



ინაკლი მღვდელთა

სახსოვრად

თბილისი  
2024



*წინამძღვარზე წიგნი ირავლი მონღოლოის მეგობართა  
ინიციატივითა და ძალისხმევით გამოცემის. მსალობზა  
წიგნის შექმნის იდეისა და გამოცემის ორგანიზატორებს:  
ზაქონ ბესიკაძეს და გოგი ცხაყვიას*

---

რედაქტორი

**ირმა კვეციანი**

ტექნიკური დიზაინერი

**ლუკა ამბალია**

ISBN 978-9941-8-6809-2

# ბინასიფყაღბის მუიიხ

მას შეიძლება ესაუბრო მიშელ უელბეჟზე, გიორგი მა-  
ისურაძეზე, აინ რენდის „პირველწყაროზე“, პოეზიაზე და  
ფილოსოფიაზე, მასობრივ ცნობიერებაზე და პიროვნების  
მარტოობაზე, პოლიტიკაზე და გია გვიჩიას მონოტიპიებზე.

მეც მიყვარს გია გვიჩიას ნავეების ისტორია, რომელიც  
ადამიანების ისტორიებს ჰგავს

მე მას ყველაფერი შემიძლია მოვუყვებ და ვიცინო მას-  
თან ერთად. გადამდები სიცილი იცის.

„ირაკლიმ ასე თქვა“, „ირაკლის ამაზე გაელიმა“, „იცი,  
ირაკლის თურმე ნაუკითხავს ეს რომანი“ - ასე ვამბობ მას-  
ზე ზურგსუკან, პირისპირ კი მიმართვა მხოლოდ ასეთი მაქვს:  
ბატონო ირაკლი!

რამდენჯერ გამკვირვებია 20-25 წლის ახალგაზრდების  
სტერეოტიპულ-შაბლონური ქცევის თუ გამოხატვის მოდე-  
ლები, მათი მართულობა, თანამედროვეობის არტახებში  
მოქცეული დაშტამპული აზროვნება. გამკვირვებია გულისტ-  
კივილით. გამიფიქრებია, რა უშლით ხელს იყვნენ თავისუფ-  
ლები? მე განათლებიდან, წიგნიერებიდან, ფიქრიდან ამოზ-  
რდილ თავისუფლებას ვგულისმობ, თორემ ტუჩზე პირსინგის  
გაკეთებას სტანდარტული ასაკობრივი სითამამეც ყოფნის.

ირაკლი აზროვნებაში თავისუფალია - რომ იცოდეთ რო-  
გორ ვაფასებ ამას! და როგორ ვცდილობ ყოველწამიერ,  
ყოველდღიურ ვიყო თავისუფალი. ვცდილობ მეყოს ამის-  
თვის გამბედაობა და ძალა. ბატონო ირაკლი, თქვენ ხომ  
იცით, რა ძნელია და მტკივნეული, იყო თავისუფალი?

მთხა ყვექოიძე



1977-1987 წლებში ვაჟბაძის საქმეზე კომპარტიის მხრივ  
ხელის შეწყობის მიზნით მოხდა, მისი საქმეზე მძვინვარეობა  
(1980-ის 1985 წლ.) საქმეზე (სხ. აქტის) საბჭოთა კავშირში.

1981 წელს კავშირი დისკორდის მიზნით „საქმეზე“ დაიწყო  
საქმის განხილვის მიზნით „საქმეზე“ და მოქმედის მიზნით  
საქმის განხილვის მიზნით „საქმეზე“ და მოქმედის მიზნით

## **მარტვილის რაიონში ირაკლი მონეაშვილის უზუალ თაოსნოებითა და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული პროექტები**

რაიონის სახალხო მეურნეობის სოციალურ-ეკონომიური განვითარე-  
ბის საქმეში ერთ-ერთ განსაკუთრებულ ადგილს მშენებლობა იკავებს.

უკანასკნელ წლებში რაიონში მნიშვნელოვანი ღონისძიებები ტარდე-  
ბა მშენებლობის ორგანიზაციის სრულყოფის და ხარისხის გაუმჯობესე-  
ბის, კაპიტალური მშენებლობის გეგმების შესრულებისა და ამ დანიშნუ-  
ლებით გამოყოფილი თანხების ათვისებისათვის.

თანდათან იზრდებოდა და იცვლებოდა რაიონული ცენტრისა და  
სოფლების გარეგნული იერ-სახე.

ამ პერიოდში აშენდა სასტუმრო „მარტვილი“, დოსაფის კომპლექ-  
სი 192 მოსწავლეზე, ნახევრად ავტომატიზირებული ასფალტ-ბეტონის  
ქარხანა, მეცხოველეობის კომპლექსი, 4 საშუალო და ერთი რვანლიანი  
სკოლა, ერთი ხუთსართულიანი 24 ბინიანი და სამი 8 ბინიანი საცხოვ-  
რებელი სახლი.

აშენდა საკონსერვო ქარხნის მაცივარი.

მუხურჩისა და ბანძის მევენახეობის მეურნეობებში კულტურის სახლი,  
გეგმვითი პირველი საშუალო სკოლა, გაჭედის ადმინისტრაციული  
შენობა, ხუთსართულიანი 48 ბინიანი, ორი თორმეტბინიანი საცხოვრებელი  
სახლი. ორსართულიანი უნივერსიტეტი სოფელ დიდიცხონში. საბაგრო  
გზა ცენტრი - მარტვილის პლატო, სერგიეთის კლუბ-კანტორა, ექვსი  
საკვებშესამზადებელი საამქრო.

საგრძობლად გაუმჯობესდა რესპუბლიკური და ადგილობრივი  
მნიშვნელობის გზებისა და ხიდების მშენებლობის საქმე. რაიონში 1979  
წელს შეიქმნა №49 საგზაო-საექსპლოატაციო უბანი.

მაღალხარისხოვნად შესრულდა გეგმვითი-მათხოვის, ბანძა-გეგმვ-  
ითი და გეგმვითი-დიდიცხონის მიმართულებით ასფალტის დაგება.  
საექსპლოატაციოდ გადაეცა კურბუს გზა. დამთვრდა სერგიეთის კომპ-  
ლექსის მიმართულებით ცხაკაიას საზღვრამდე გზაზე ასფალტის დაგება.

აშენდა ორი რკინა-ბეტონისა და 5 ხის ხიდი რესპუბლიკური მნიშვნელობის გზებზე.

კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა ადგილობრივი მნიშვნელობის გზებს.

აიგო რკინა-ბეტონის ხიდები 46 მეტრი საერთო სიგრძით ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე.

ექსპლოატაციაში შევიდა გრანიტისა და მარმარილოს სახერხი ქარხანა. გაიხსნა საშენი მასალებისა და მოსაპირკეთებელი ქვების საამქრო. ექსპლოატაციაში შევიდა ქვის საფქვაკი საამქრო.

გაიხსნა ღორღის საამქრო.

გაიხსნა სუვენირების საამქრო.

ექსპლოატაციაში შევიდა გეგეჯკორის ჩაის გადამწონი ფაბრიკა.

დაიწყო გეგეჯკორის №2 ფაბრიკის მშენებლობა.

დაიწყო გეგეჯკორის ოპტიკურ-მექანიკური ქარხნის მშენებლობა.

აშენდა საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურისა და ტელეგრაფის ახალი შენობა.

1980-1983 წლებში საექსპლოატაციოდ გადაეცა საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები მოუწყო სანაპირო ქუჩა გეგეჯკორის ქუჩიდან ყველ-კარაქის ქარხნამდე;

დამთვრდა „ჭინკას ხევის“ ათვისების სამუშაოები;

აშენდა რკინა-ბეტონის ხიდი მდინარე ინჩხიაზე ქ. გეგეჯკორში.

დაიგო შავსაფრიანი გზა ქალაქის ცენტრიდან მარტვილის პლატომდე. გაიხსნა ახალი ავტო-ვაგზალი.

აშენდა მანქანათა საანგარიშო სადგურის ახალი შენობა.

კეთილმოეწყო მარტვილის პლატო.

დაიწყო ახალი რაიონული საქვების მონტაჟი.

ქალაქის ცენტრში დაირგო 7439 ხე.

დაფუძნდა მარტვილის სახალხო აკადემია.

აშენდა გეგეჯკორის ქალაქის ახალი ბიბლიოთეკა.

გაიხსნა ქალაქის ბაგა-ბაღის ახალი შენობა.

აშენდა ბაგა-ბაღები ნავგაზაოში, ბანძაში, თამაკონში.

აშენდა ახალი კულტურის სახლები სერგიეთში, მუხურჩაში, ნამიკოლაოში.

გეგეჯკორის სკოლა ინტერნატი გადაკეთდა დღის გახანგრძლივებულ სკოლად.

გაიხსნა სტომატოლოგიური პოლიკლინიკა ქ. გეგეჯკორში.

ცენტრალურ რაიონულ საავადმყოფოში გაიხსნა რევმატოლოგიური კაბინეტები.

გაიხსნა საექიმო ამბულატორია სოფელ ნავგაზაოში.

ავტოვაგზაზე გაიხსნა სამედიცინო პუნქტი. დაიწყო ახალი ცენტრალური რაიონული საავადმყოფოს მშენებლობა.

საბრძოლო დიდების მემორიალის კომპლექსი და დიდების მუზეუმი.

მარტვილის სამონასტრო კომპლექსის სარეაბილიტაციო სამუშაოები ლენინური შაბათობის ხარჯზე.. წარმოუდგენელი რეალობაა რომელიც ბატონი ირაკლი მონწერელიასთვის იყო შესაძლებელი.

ის, რაც მისი უშუალო ხელმძღვანელობით 1978-87 წლებში გაკეთდა ღრმა პატივისცემით განაწყობს ყველას. ძნელია ჩამოაყალიბო ამ გონებრივად და სულიერად ძლიერი პიროვნების რაობა და მნიშვნელობა.

## **მარტვილში, ირაკლი მონწერელიას ხელმძღვანელობის პერიოდში განუხორციელაქალი პროექტები**

კანიონის მიმდებარე ტერიტორიაზე დაგეგმილი იყო ხიდის გაფართოება, ე.წ. „აბჰესის“ ტერიტორიაზე გათვალისწინებული იყო ფეხბურთის, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნებისა და ჩოგბურთის კორტის მოწყობა.

ამორტიზირებული სახლების ნაცვლად აიგებოდა ახალი კორტეჯები. ეზო შემოიღობებოდა დეკორატიული ღობით. იქვე, გზის გადაღმა მოეწყობოდა პიონერთა და მოსწავლეთა საზაფხულო ბანაკი. მოსწავლეები გახდებოდნენ კანიონის აქტიური მომხმარებლები.

უკვე გაყვანილი ასაქცევი გზის პირველი ეტაპი გაგრძელდებოდა ბანძის მიმართულებით. იგი მდინარე ინჩხიდან ნახუნაოს გავლით დიდციონს დაუკავშირდებოდა. ამით შეიქმნებოდა ბანძიდან დიდციონამდე მარტვილის ცენტრის გვერდის ავლით ალტერნატიული გზა.

მარტვილის მონასტერში მშვიდობის ქუჩის ორი შესახვევიდან დამატებით კიდევ ორი გზა მოეწყობოდა.

მდინარე აბაშის სანაპიროზე სამ ადგილას ტურისტებისათვის კეთილმოწყობილი საცურაო ადგილები კეთდებოდა. მდინარე ინჩხიას მარჯვენა სანაპიროზე N2 საშუალო სკოლის მშენებლობა იგეგმებოდა. ნალექსაოს მიმართულებით რკინაბეტონის ახალი ხიდი გაიდებოდა მდინარე აბაშაზე. ქალაქის ტერიტორიაზე 6 მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი უნდა აშენებულიყო. მათ შორის მარტვილში პირველად შვიდი და ცხრა სართულიანი. ბუნებრივი რესურსების ათვისების მიზნით გათვალისწინებული იყო კირის ორი საწარმოს, აგურის ქარხნის, სამშენებლო ქვებისა და მოსაპირკეთებელი ფილების კარიერების შექმნა, სასმელი წყლისა და ტორფის მოპოვების სამუშაოების ჩატარება.

9 აპრილის ქუჩა ცენტრის გაუვლელად დაუკავშირდებოდა სოფელ ხუნწში მარტვილი - ხონის რესპუბლიკურ გზას. ასევე იგეგმებოდა ქვა-



ითი - ხუნწის 8 კილომეტრიანი ასფალტის გზის გაყვანა. იგეგმებოდა რაიონის ტერიტორიაზე გამავალ მდინარეებზე ინერტული მასალის მოპოვების ლოკაციების შექმნა. სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე შეიქმნებოდა კულტურულ-საგანმანათლებლო ობიექტები: საკალმახე და ენდემური ჯიშის სავენახე მეურნეობები.

ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის მოედნები, ჩოგბურთის კორტები, სამუსიკო, სამხატვრო და სპორტული სკოლები, კინოთეატრი და სამხატვრო გალერეა, იპოდრომი და ტურისტებისათვის საცურაო გამაჯანსაღებელი კომპლექსი. აქედან მდინარე აბაშის მარჯვენა სანაპიროს საბაგირო გზის გავლით იგეგმებოდა მშენებლობა. მდინარის მარჯვენა სანაპიროს გასწვრივ 1 კილომეტრიანი საბავშვო რკინიგზის გაყვანა. დობერაზენიდან ლეხარდემდე დაგეგმილი იყო ასფალტის საფარის დაგება, გზის არსებულ მონაკვეთზე ყველა ხიდის აღდგენით.

ყველაფერს აკეთებდა მთელი არსებით, მტკიცედ ჩამოყალიბებული მიზანსწრაფულობით, შეუცდომელი ანალიტიკური აზროვნებით.

ღრმად შესწავლის უნარით, აზრების მსუბუქად გადმოცემით და საოცარი ორგანიზატორული თვისებით გამოირჩეოდა.

არასოდეს გაუბრალოებულა, არასოდეს გამარტივებულა. ადამიანებთან დაახლოების გასაოცარი უნარი ჰქონდა.

1981 წელს იცავს დისერტაციას თემაზე „კოლხეთის დაბლობის ნიადაგების აგროფიზიკური თვისებების დახასიათება“ და მიენიჭა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

1987 -1992 წლებში მუშაობდა ჩაისა და სუბტროპიკული კულტურის სამეცნიერო-სანარმოო გაერთიანების კოლხეთის სამეცნიერო ცენტრის ლაბორატორიის გამგის, უფროსი მეცნიერ-მუშაკის თანამდებობაზე.

ამ პერიოდში გამოაქვეყნა შვიდი სამეცნიერო სტატია, გამოსცა წიგნი „Почви колхидской изменности - объект мелиорации“ მონაწილეობდა კოლხეთის ათვისების სქემის შემუშავებაში.

## **ფოთში მოღვაწეობის წლები**

### **ფოთის საკრებულო 1991-1992 წწ.**

- გარემოს დაცვისა და სასოფლო-სამეურნეო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის რანგში.

- კოლხეთის ეროვნული პარკის ორგანიზებაში აქტიური მონაწილეობა.

- ქალაქის წყალსანიაღვრო და კანალიზაციის მდგომარეობის შესწავლა და მის საფუძველზე სარემონტო სამუშაოების ჩატარება.

### **ფოთის მერია 1993-1995 წწ.**

- მერის პირველი მოადგილის რანგში კოლეგებთან ერთად მერიის პირველი დებულების შემუშავება.

- მერიის გაზრდილი უფლებების ჩამოყალიბება მის წინაშე არსებული ეროვნული მეურნეობების ანგარიშვალდებულებების გათვალისწინებით.

- საბაჟოზე და ნავსადგურში მოსაკრებლების დაწესება, ქალაქის მიწების ზონირება და ტარიფების დაწესება.

- მუნიციპალური პოლიციის შექმნა.

- ფოთის საპატო მოქალაქის სახელის მინიჭებისა და მისი ქუჩების სახელდების წესის შემუშავება. ახალი რეალობების გათვალისწინებით ქუჩებისათვის სახელების გადარქმევა.

- ჯანდაცვის, კულტურის, სპორტის, განათლების დაწესებულებების იურიდიული პირის უფლებებზე გადაყვანა.

- ქალაქის კუნძულისა და მალთაყვის უბნების დეტალური დაგეგმარების პროექტის შემუშავება.

- ქალაქის ელექტროენერგიით უწყვეტი მომარაგება.

- ფოთის სკოლების რეფორმა ასაკობრივი დანაწილების პრინციპისა და მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის გათვალისწინებით. სკოლა ბალავარის გახსნა.

- ფოთის სკოლების მოსწავლეთა 150-მდე უფროსკლასელის გაგზავნა ამერიკის შეერთებულ შტატებში სასწავლებლად.

- დაძმობილებულ ქალაქ ლაგრანჟესთან აქტიური ურთიერთობების ჩამოყალიბება, მათგან დიდი ჯგუფებისა და ჰუმანიტარული დახმარების მიღება, მუდმივი ურთიერთობების დამყარება ამერიკის ელჩთან და მის თანამშრომლებთან.

- დიდების მემორიალის კაპიტალური შეკეთება.

- ჯანდაცვის ქსელის რეფორმების დაწყება, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ექიმების გაგზავნა აშშ, კენტ ვოლკერის შეფობის დაწესება, ჯანდაცვის სამინისტროსთან აქტიური თანამშრომლობა, მეზღვაურთა სავადმყოფოში დიაგნოსტიკური ცენტრის გასახსნელად მუშაობის დაწყება.

- უპოვართა სასადილოს გახსნა 80 კაცზე.

- ნიკო ნიკოლაძის ფონდიდან ფულადი დახმარების სისტემატიური გაცემა.

- ქალაქის მობილიზება აფხაზეთის ომის პერიოდში, ფოთის უწყვეტი მომარაგება პურით, ფქვილით და სხვა პროდუქტებით, მათ შორის განსაკუთრებით სამხედრო მოსამსახურეთა.

- **ქალაქის სამრეწველო პოტენციალის შენარჩუნება (1993-1995 წწ-ში ფუნქციონირებდა ყველა საწარმო, 1993 წელს აღკვეთილ იქნა კრიმინალური ჯგუფების თარეში, ხოლო 1994 წელს მთლიანად ლიკვიდირებული).**

- 1993 წლის 28 სექტემბერს ფოთის მერიის მიერ სათანადო ანაზღაურების საფუძველზე სოხუმიდან ჩამოყვანილი იქნა დევნილთა ბოლო ნაკადი.



### **ფოთის მერია 1995-2004 წლებში**

- კოლხეთის ეროვნული პარკის ორგანიზაციაში მონაწილეობა.
- საქართველოს ზღვის სანაპირო ზოლის ინტეგრირებული მართვის კვლევაში მონაწილეობა, პროექტის განხილვა ჰოლანდიურ ფირმა „ასკადისტან“ ერთად.
- მალთაყვის სრუტის ნაპირგამაგრება ზღვასთან შეერთების უბანზე და 20 ჰექტარის ზღვის პლიაჟის დაშრობა.
- ქალაქში გამავალი ყველა წყალსადინარი, ხელოვნური წყალსატევი, სანიაღვრო კანალიზაცია საექსპლოატაციოდ გადაეცა სპეციალურად შექმნილ სამსახურს „ფოთიქალაქმელიორაციას“, ასევე მასთან გაერთიანდა „საქწყალპროექტის“ ფოთის საპროექტო ორგანიზაცია. შემდგომში ამ ორგანიზაციათა გაერთიანებამ გამოიღო დადებითი შედეგი და ნ თვეში გარემონტდა 5 სატუმბი სადგური, დაკომპლექტდა პერსონალი, დაიწყო წყალმარეგულირებელი ნაგებობების წყალქვეშა და წყალზედა ნაწილის სრული რეაბილიტაცია მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილი თანხებით. გაიწმინდა სანიაღვრე არხები 120 კილომეტრზე.

### **მერის კაბინეტის სხდომაზე მიღებული იქნა შემდეგი დადგენილებები:**

1. „ფოთის მწვანე ნარგავების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.
2. „ფოთის მწვანე ნარგავობათა ზონირების და ჯიშობრივი შერჩევის შესახებ“.
3. „კუნძულ კოლიმბრის სარეკრიაციო ზონად დამტკიცების შესახებ“.
4. „მალთაყვა-გრიგოლეთის ფიჭვნარის სარეკრიაციო ზონად გამოცხადების შესახებ“.
5. „ქალაქ ფოთის წყალმომარაგების პროექტირების შესახებ“.

გემოთ მიღებული დადგენილებებიდან შესრულდა და უკვე განხორციელდა თვითღირებით უწყვეტად წყლის მიწოდება მარტვილის რაიონის სოფელ ბალდიდან, რაც ფოთის მოსახლეობის წლების მანძილზე განუხორციელებელ ოცნებას წარმოადგენდა.


მას არ ღლიდა ადამიანებთან ურთიერთობა, ბოლო დღეებშიც ისევ მის ქალაქზე, მის კეთილდღობაზე ფიქრობდა, საუბრობდა, აქვეყნებდა პუბლიკაციებს, სამომავლო გეგმებს სახავდა.

მისი ღირსეული სიცოცხლე არის საზომი და მაგალითი იმისა, რომ არასოდეს არ უნდა დანებდე... თითქოს სურდა, აღსასრულს ეს მაგალითიც მოეცა ჩვენთვის. მან შეინარჩუნა პიროვნული მთლიანობა და სისრულე.

მის ღვანლზე მომავალშიც უდაოდ არაერთხელ იტყვიან...



ნადეჟდა გუჯაბიძე - ირაკლი  
მოწერელის დედა



ალექსანდრე მოწერელია -  
ირაკლი მოწერელის მამა



ალექსანდრე მონწერელია  
კოლხეთის დაბლობის დაშრობისა და ათვისების საკითხებისადმი მიძღვნილ  
კონფერენციაზე



ალექსანდრე მონწერელია  
სოფლის მეურნეობის სპეციალისტებთან ერთად ვიეტნამში



ალექსანდრე მონერელია



ირაკლი მონრელია



ირინა მონრელია -  
ირაკლი მონრელიას და






1954 წელი, ფოთი.

მარცხნიდან მარჯვნივ დგანან: თემური ხორავა აივენგო (ვასო ჩიჩუა), დემური ხარჩილავა, თენგო უჩანეიშვილი, მირო კუჭავა.


მარცხნიდან მარჯვნივ სხედან: იური მიქაძე, ირაკლი მონერელია, შოთა რუხაძე (მწვრთნელი), ზურაბ კუტალიეშვილი.



1957 წელი, ფოთი, მეექვსე კლასი



ირაკლი მოწერელია დასთან ერთად



ირაკლი მონერელია





ირაკლი მონერელია და ელენე გუჯაბიძე



ქ. ფოთი, საჭადრაკო კლუბი





ირაკლი მონერელია სტუდენტობის მეგობართან დავით ერისთავთან ერთად





ირაკლი მონერელია





ქალაქი ფოთი, სახლი, სადაც ცხოვრობდა ირაკლი მონწერელია

მთვინეობა

## ირაკლი მონეაქლია

როცა ადამიანზე იწერება წიგნი, ე.ი მან იცხოვრა ღირსეული ცხოვრებით. ბიოგრაფიული წიგნების მთავარი ღირსება გულწრფელობაა, ასეა მემუარების, რაც უფრო მართალი და ალაღია სხვაზე თუ საკუთარ თავზე მოყოლილი ამბავი, მით უფრო მნიშვნელოვანია იგი. ირაკლი მონერელიას გარდაცვალებიდან იმდენი დრო არ გასულა, რომ გამანძილებას, დისტანცირებას მისი რთული და საინტერესო ცხოვრების რაციონალური განსჯის სრული შესაძლებლობა მოეცა, მაგრამ უკვე ბევრი რამის თქმა შეიძლება. გარდაცვლილზე ან კარგს ამბობენ, ან არაფერს, ამ ქართულ ანდაბას ოდესმე უნდა გავემიჯნოთ. ადამიანი, შთამომავლების ხსოვნაში, ხშირად მასზე არსებული მოგონებებით რჩება, ამიტომაც ეს მოგონება მართალი და, წრფელი უნდა იყოს. ამასთან ერთი ადამიანის ცხოვრება კონკრეტული ეპოქის საზოგადოებრივ ამბებს, შეფასებებს, განწყობებსაც ასახავს.

ირაკლი მონერელია ჩემს მეხსიერებაში დარჩა, როგორც ახალგაზრდობის გამორჩეული ლიდერი, კულტურული, ენერგიული, განათლებული და საქმის მოყვარული პიროვნება. მასთან საქმიანი და სამსახურეობრივი ურთიერთობა არ მქონია, მაგრამ მუდმივად ვგრძნობდი მის კეთილგანწყობას, გულშემატკივრობას და, შესაბამისად, პატივს ვცემდი მას და მის ღირსეულ ოჯახს. მონერელიების ოჯახს მხოლოდ ქალაქი კი არა, მთელი საქართველო იცნობს - როგორც კოლხეთის ათვისებაში უმნიშვნელოვანესი წვლილის შემტან ადამიანებს. ოჯახის განწყობას, ღირებულებებს, დამოკიდებულებას სხვა ადამიანებისა და საქმის მიმართ, როგორც წესი, მისი წევრების უმრავლესობა იზიარებს. ირაკლის მამას, ალიოშა მონერელიას, „კოლხეთის მინდია“ შეარქვეს, ხოლო ირაკლის მამის ძმა, მიშა მონერელია, იყო ჰოლანდიაში ცნობილი ჯვარცმული კუნძულის მოვლენების მონაწილე. ტექსტის აჯანყება ქრონოლოგიურად იყო მეორე მსოფლიო ომის ევროპული ფრონტის ბოლო ეპიზოდი და ამიტომ ხშირად ევროპის უკანასკნელ ბრძოლადაც მოიხსენიებენ.

ირაკლი მონერელიას ნიჭი ყველაზე კარგად გამოჩნდა მარტივობაში, როდესაც იგი, ყოფილი გეგეჯკორის, რაიკომის პირველი მდივანი იყო. არ დარჩენილა არცერთი სფერო საზოგადოებრივი ცხოვრებისა, სახალხო მეურნეობისა, ეკლესია-მონასტრების მშენებლობა-აღორინებისა, სპორტის განვითარებისა, რომელშიც იგი აქტიურად არ იყო ჩართული. როგორც ამბობენ, მისი ტოლი ხელმძღვანელი რაიონს არ ჰყოლია.

შეგნებულად არ ვარიდებ თავს სიმართლის თქმას და ვიტყვი, რომ

ირაკლი მონწერელია მტკივნეული გულით წავიდა ამ ქვეყნიდან. იმ პერიოდში, როდესაც ბატონი ირაკლი დაბრუნდა ფოთში და ქალაქის ერთ-ერთი ხელმძღვანელი გახდა, განვითარდა პროცესები, რომლებიც ქალაქს შავ ლაქად დააჩინდა. სამწუხაროა, რომ ობიექტური მიზეზების გამო (საქართველოში არ ვიმყოფებოდი), ვერც მე და ვერც ჩემზე ბევრად ღირსეული ფოთელები ვერ ჩაერთნენ ამ პროცესებში, ვერ შეძლეს მისი რადიკალურად შეცვლა. მჯერა, ეს ბატონ ირაკლისაც აწუხებდა და ტკივილი საფლავშიც ჩაიტანა.

ადამიანის ამქვეყნიური ცხოვრება არ არის ცალსახა, მარტივი, მხოლოდ პოზიტივით სავსე, რაც უფრო მეტი ტკივილი აქვს გამოვლილი, მით უფრო საინტერესოდ, მიმზიდველად აღიქმება ბიოგრაფია, ცხოვრების გზა, განსაკუთრებით გარკვეული დისტანციიდან.

„იგი მიდის, წიგნს კითხულობს საკუთარ თავზე“ (სტეფან მალარმე), თითოეული ადამიანი საინტერესო წიგნია და მისი წაკითხვა მომავალმა თაობებმაც სწორად, უტყუარი რაკურსით, უნდა შეძლონ. რაც მთავარია, ეს გამოცდილება უნდა გამოიყენონ, მისაღები მიიღონ, მიუღებელი განაგდონ, მხოლოდ ასე იქმნება სწორი დამოკიდებულებები, კეთდება საქვეყნო საქმეები.

როცა ადამიანზე იწერება წიგნი, შესაბამისად, მან ღირსეულად იცხოვრა!

## **ზურაბ ხონელიძე**

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი,  
პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა  
აკადემიის პრეზიდენტი,



## მომონება ირაკლი მოწერელიას შესახებ

ბატონ ირაკლი მოწერელიას ვიცნობ ფოთის ეპარქიაში ჩასვლის დღიდან (ეს იყო 1996 წელს) და მისი ყოველი გახსენება გულს მითბობს. ჩვენ დროდადრო ვხვდებოდით, საეპარქიო სახლში გვსტუმრობდა ხოლმე.

უდაოდ საინტერესო და საკმაოდ ერუდირებული პიროვნება გახლდათ ბატონი ირაკლი, მას აინტერესებდა ეპარქიის ცხოვრება, ინტერესდებოდა სულიერი ცხოვრების საკითხებით; იგი, თავის მშობლიურ ქალაქზე უსაზღვროდ შეყვარებული, გულისტკივილს გამოთქვამდა არსებულ მოუგვარებელ პრობლემებზე. მას შეეძლო საკმაოდ მარტივად და ნათლად ჩამოეყალიბებინა ისეთი სერიოზული პრობლემების არსი, როგორც, მაგალითად, არის ზღვის სანაპირო ზოლის წარეცხვა, მდინარე კაპარჯის დასუფთავება, პალიასტომის ტბის გადარჩენა. მკაფიო და ნათელი ხედვები ჰქონდა ასევე სხვა მნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრის გზების შესახებ.

ჩემთვის დაუვიწყარია მისი როლი ფოთის საკათედრო ტაძრის საპატრიარქოს მფლობელობაში დაბრუნებასთან დაკავშირებით. ამ ტაძარში 1930-იანი წლებიდან თეატრი იყო განთავსებული. მიუხედავად იმისა, რომ ისტორიულ საარქივო დოკუმენტებში, უფროსი თაობის ადამიანების მესხიერებაში ინახებოდა და ცნობილი იყო, რომ ამ შენობიდან ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ 1920-იან წლებში განდევნილ იქნა ეკლესია, დიდ წინააღმდეგობას ვაწყდებოდით ისტორიული სამართლიანობის აღდგენის საქმეში.

ბატონი ირაკლი, როგორც მრავალი სხვა ჩვენი თანამოქალაქე და თანამემამულე, გვეულშემატკივრობდა ამ საქმეში და ყურადღებით აკვირდებოდა პროცესებს. ერთხელაც, როგორც მას სჩვეოდა, დამიკავშირდა და შეხვედრა ითხოვა. საღამოს პირზე გვესტუმრა, ვივასშმეთ, ვისაუბრეთ, ტაძრის საკითხის ირგვლივ არსებულ მდგომარეობას შეეხო და იკითხა:

– მეუფე გრიგოლ, რას ფიქრობთ, დამატებით რა ნაბიჯების გადადგმას აპირებთ?

მე ვუპასუხე, რომ: „ყველა გზა ფორმალურ და არაფორმალურ დონეზე ამოწურეთ, ახალ წრეზე თუ წავალთ თორემ სხვა გზა არ ჩანს; ღმერთზე ვარ მინდობილი, მის საფარველქვეშ დავიარები, თორემ რა გაუძლებდა ამ არნახულ შემოტევებს“.

მან ყურადღებით შემომხედა და მოკლედ თქვა: „– მეუფე, ამ საკითხს სიმწვავე აკლია; მე ამ სისტემას კარგად ვიცნობ, შეიძლება ითქვას, შიგნიდან ვიცნობ და თუ საკითხი უფრო მწვავედ არ დაისვა, შედეგს ვერ მიიღებ.“ ამ საღამოს კარგა ხანს გაგრძელდა ჩვენი საუბარი; ბატონი ირაკლის სიტყვამ ძალიან დამაფიქრა; რას გულისხმობდა გამწვაებაში; მდგომარეობა უკიდურესად რთული იყო და სიმწვავეც არ აკლდა, თუმცა რაღაც უფრო მეტი იყო საჭირო.

მომდევნო დღეებში მოვიწვიე ჩვენი ეპარქიის სამღვდლო დასი; მოვისმინე მათი აზრები და შევჯერდით, რომ ნებისმიერი სახის ძალადობაზე, რასაც სხვადასხვა

ფორმით ადგილი ჰქონდა ადგილობრივი მღვდელმთავრის, სამღვდელოებისა და მრევლის მიმართ, ერთადერთი პასუხი უნდა იყოს სულიერი სიმშვიდე; ტაძრის წინ, ჩვეულებისაებრ, გაგრძელდებოდა ყოველდღიური პარაკლისები, და ამას დაემატებოდა ლოცვითი მსვლელობები ტაძრის ირგვლივ და ქალაქის ქუჩებში. ყოვლადწმიდა სამების მადლით, შედეგმაც არ დააყოვნა.

დღეს, ეს დიდებული ტაძარი (თუმცა ჯერ კიდევ დაუსრულებელი) ფოთის უნიკალურ სახეს სძენს და ამ წმიდა საშვილთაშვილო საქმეში, მრავალ ადამიანთან ერთად, თავისი წვლილი მიუძღვის ფოთის მკვიდრ ღირსეული პიროვნებას, კარგ მეოჯახესა და საზოგადო მოღვაწეს, ბატონ ირაკლი მოწერელიას.

ჩვენ უფალს შევთხოვთ, რათა სულმან მისმან კეთილსა შინა განისვენოს და ნათესავმან მისმან დაიმკვიდროს ქვეყანა, ამინ!

**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტი  
გრიგოლ ბერბიჭაშვილი**

„ახალი საქართველოს“ უნივერსიტეტის რექტორი  
ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი

\* \* \*

ღმერთის რწმენისა და ღვთის მსახურებისადმი კომუნისტური იდეოლოგიის სიმკაცრის მიუხედავად, ბატონმა ირაკლი მოწერელიამ ბევრი რამ გააკეთა მარტვილის ტაძრის შენარჩუნებისა და მისი გარემოს კეთილმოწყობისათვის. უპირველესად, ტაძარს შეუკეთა სახურავი და მისასვლელი გზა. ბოლო მონაკვეთზე დააგო ქვაფენილი, რომელიც დღესაც მოქმედებაშია. როცა კომუნისტური შაბათობებით ეკლესიის ეზოში დარგულმა კედრის ხეებმა ტაძარს დაუკარგეს შორი ადგილიდან ხედვა და მათი მოჭრა კი აკრძალული იყო, ამიტომ ბატონმა ირაკლიმ მთელი ძალისხმევით შეძლო ამნეებისა და მძიმე ტექნიკის გამოყენებით ხეების ამოღება და სხვა ადგილას გადარგვა. მარტვილის ტაძარს ბევრი დამთვალიერებელი ჰყავდა, მაგრამ აღმართით მისასვლელი გზა სირთულეებს უქმნიდა მათ. ბატონმა ირაკლიმ დღის წესრიგში დააყენა მონასტრისათვის საბაგირო გზის მოწყობა. ეს არ იყო ადვილი, მაგრამ მან ეს შეძლო და ის დღესაც მოქმედებაშია. ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მონასტრის ასასვლელზე არსებული მრავალწლოვანი მუხის ხის გადარჩენა. ამისთვის მან თბილისიდან სპეციალისტიც ჩამოიყვანა და ხეს სიცოცხლე მისცა. ეს ხე დღესაც ცოცხლობს და დგას მყარად. მარტვილის ტაძრის იერსახის სიდიადისათვის მიუღებელი იყო მის წინ მდგარი ორ-



მარტვილის მონასტერი

სართულიანი შენობა, რომლის აღებისათვის მართლაც დიდი შრომა და ძალისხმევა იყო საჭირო. მრავალი ხერხით, ბრძოლის სხვადასხვა ფორმითა და მეთოდით მან ესეც მოაგვარა. ნანგრევის ქვებით ტაძარს აღუდგინა გალავანი და ეზოში არსებული უძველესი ჭა. ღმერთი ყველაფერს ხედავს და არვის ივინყებს და არც არვის დაუკარგავს ამქვეყნიურ ღვანჯლს. უნდა გვჯეროდეს, რომ ბატონი ირაკლის სული მარადიულად იქნება ნათელში და დიდად ღმერთის სასუფეველში.

**მამა გოჩა (ცაავა)**



ლელ ბოკერისთან ერთად



ლელ ბოკერის ოჯახთან ერთად



## ირაკლი...

(ინტერვიუს ფრაგმენტი ფილმიდან „ცხოვრებისეული სურათი“)

ირაკლი მონერელია ჩემი ბავშვობის მეგობარი, ყველასგან გამორჩეული, უჭკვიანესი, განათლებული და თავმეკავებული პიროვნება იყო. იგი ძალიან ნუხდა იმ პრობლემებზე, რომლებიც საბჭოთა კავშირის მოულოდნელ დაშლას მოჰყვა. ჩვენი თაობა ხომ საბჭოთა კავშირში დაბადებული და გაზრდილი თაობა გახლდათ და ბევრ რამეს თავისებურად აღვიქვამდით, რაც რა თქმა უნდა პრობლემური იყო. მას ქონდა უდიდესი სურვილი ჩვენი ქვეყანა ყოფილიყო დამოუკიდებელი, თავისუფალი, ძლიერი, დემოკრატიული სახელმწიფო და თავისი ადგილი დაემკვიდრებინა მსოფლიოში. იგი ბევრს ფიქრობდა ამ საკითხზე და თავის ამრებს აყალიბებდა წარმოქმნილ პრობლემათა გადანაცვებისთვის. ნუხდა იმაზეც, რომ ყოფილი პარტიული და სამეურნეო გამოცდილი კადრების შესაძლებლობებს სათანადოდ არ იყენებდნენ შექმნილ პრობლემათა გადაჭრის საქმეში.

ირაკლი პატრიოტი პიროვნება იყო და განსაკუთრებით უყვარდა თავისი სამშობლო. მას ახასიათებდა პრინციპულობა ამა თუ იმ საკითხთა მიმართ. აქტიურად იცავდა თავის პოზიციას, თუმცა არგუმენტირებულ ამრებს თუ მოისმენდა დაგეთანხმებოდა.

### ლევ ბოკერია

მეცნიერი, რუსეთის ჯანდაცვის სამინისტროს მთავარი კარდიოქირურგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, რუსეთის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

## ჭეშმარიტი მამულიშვილი

ჩვენ ერთი თაობისანი ვიყავით. ირაკლი მონწერელიას ყველა ის შესაშური თვისება მიჰმადლა ბუნებამ, რაც ომისშემდგომ თაობას წინამორბედ თაობათაგან განასხვავებდა. სახელდობრ; თუ ჩვენი მამები, ცხოვრების შედარებით მკაცრი და კატეგორიული სტილიდან გამომდინარე, უფრო ნაკლებად კომპრომისული იყვნენ, სამოციანელებმა ადამიანთა შორის ურთიერთობის დათბობის თვისებები დაამკვიდრეს. სიყრმიდანვე ვიცნობდი ამ შავქოჩორა, სიმპათიურ, დინჯი ნაბიჯებით მოსიარულე, ფართობეჭება ვაჟკაცს და წონასწორობადაკარგული, გაბრაზებული ირაკლი, მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, არ მახსოვს. ხავერდოვანი ხმა ჰქონდა და რკინის ლოგიკა. ისე მოხდენილად ჩაურთავდა ლაპარაკში დამაჯერებელ არგუმენტებს, რომ ყველაზე ურჩ მოკამათესაც კი დაიყოლიებდა. საზოგადო მოღვაწისა და მეცნიერის ოჯახში გაზრდილს ოჯახიდანაც მოსდგამდა თანდაყოლილი ინტელიგენტურობა და, გითხრათ სიმართლე, გამიკვირდა კიდევ, ერთხელ რუსთაველის პროსპექტზე რომ შემხვდა და, ცოტა არ იყოს დამარცვლით, ხვნეშა-ხვნეშით მითხრა: „არ ვიცი რა ვქნა, მარტვილში მიპირებენ რაიონის ხელმძღვანელად დანიშვნას და ვატყობ, რომ უარი არ გამივაო“.

„რაიონის ხელმძღვანელად“ ბუსტად ასე მითხრა, „რაიკომის მდივანად“ არ უთქვამს.

- ხომ იცი, ირაკლი, მარტვილი ჩემი რაიონია, თამაკონში ვარ დაბადებული - მეთქი.

- ვიცი და ამიტომაც გითხარიო, - გაიღიმა.

ამ საუბრიდან დიდი დრო გავიდა.

ახლაც იხსენებენ მარტვილელები. ირაკლი მონწერელიასთანა საქმის კაცი, ნამდვილი ორგანიზატორი, გულთმისანი, მცოდნე და უჩვეულოდ ტკბილი, ჰუმანური რაიკომის მდივანი ჩვენ არ გვყოლიაო. მაგიდაზე თითის დაკაკუნება არ გვახსოვს მისგან, მართლაც რომ ღვთის კაცი იყო. ხომ ამხელა საზოგადო ტვირთს ეზიდებოდა, ხომ საკმაოზე მეტად იყო დატვირთული სახელმწიფო საქმეებით, თუმცა, აღსანიშნავ თარიღთა ტელეფონით მოლოცვას ვერ დაასწრებდი. ყველაფერი ახსოვდა, გაზეთს ნაუკითხავს არ გაუშვებდა. მახსოვს, პირველმა მომილოცა რუსთაველის პრემია. ჩვენი თაობის კაცს ჯერ ამხელა ჭილდო არ მიუღიაო, ხმა უთრთოდა, მაღლობის თქმაც არ დამაცალა. ყოველგვარი პომპეზურობისა და ზედმეტი დაფა-ზურნის გარეშე ეროვნულ ღონისძიებებს ატარებდა და

არ მომხდარა, რომ გამოვრჩენოდი. გამომიგზავნიდა თავმდაბლურად შედგენილ მოსაწვევ ბარათს და ტელეფონის ბარსაც მოაყოლებდა. ნამდვილი კოლხი იყო. ყურადღებიანი და პენიანი. ბოლოს, ჯემალ ჩახავას მოსაგონარი წერილის გამო შემეხშიანა. აქ, ფოთში მეგობრები ჯემალის საიუბილეო კრებულს ვადგენთ და ვიცი, როგორ გიყვარდა ჯემალი. დარწმუნებული ვარ, არ დაიბარებო. ამას რომ მეუბნებოდა, ხმა უკანკალებდა. ასე რაინდულად მიჰქონდა გულთან ის ტკივილი, ჟამთასვლას რომ გარდაუვალ წესად ექცია ყველა თაობების ცხოვრებაში. კრებულის მისი თაოსნობით გამოვიდა და თვითონვე უწინამძღვრა ჯემალ ჩახავას მოსაგონარ სუფრას. ვალმოხდილი მამულიშვილის - ირაკლი მონწერელის სული ახლა ზეციურ ნათელშია. აქეთ დარჩენილებს ნუგეშად ისღა გვრჩება, რომ ირაკლის სასახელო შვილი - ალექო მონწერელია დიდი მამის ალი-კვალი გახლავთ...

### **რევამ მიშველაძე**

რუსთაველის პრემიის ლაურეატი

## ჩემი უფროსი მეგობარი

მას ყველასთვის კარგი სურდა. სიკეთის ქმნისთვის არაფერს დაიშურებდა. თან ცდილობდა, ამ დროს შეუმჩნეველი ყოფილიყო. ასეთი ქმედების კაცს მე ფილანტროპს ვუნოდებ, თუმცა უცნაური ის იყო, რომ ყველასთან მეგობრობა არ შეეძლო. დიდი სიფრთხილით ირჩევდა მეგობარს და მერე ძალზე განაზოგადებდა ამ გრძნობას. სწორედ თავის მეგობრებთან იყო იგი „ჯაჯღანა“ და ოთარაანთ ქვრივივით პირში მთქმელი.

ჩვენი დაახლოება 1994-95 წლებში მოხდა, როდესაც მე ფოთის მერიაში მიმინვიეს სამსახურად. ისე, ჩვენ 1982 წლიდან ვიცნობდით ერთმანეთს... თუმცა ჯერ ფოთზე, ამ მართლაც გამორჩეულ, თვითმყოფად ქალაქზე და ფოთელებზე ვიტყვი ორიოდ სიტყვას. შესაძლოა, ბევრს გაუკვირდეს კიდევ, რომ პირველად ფოთში ძველკოლხური ხის „ხომალდით“ მოვხვდი ბუსტად ნახევარი საუკუნის წინ. მაშინ ასე გახმაურებულ სანწყლოსნო ექსპედიციას „ოქროს სანძისი“ ერქვა. ამდენი ვეება გემების მნახველი ფოთელები გულწრფელი აღტაცებით შეხვდნენ ჩვენს 22-კაციან ეკიპაჟს... მერე იყო და ჩემი უფროსი მეგობარი, რომან აბულაძე დანიშნეს ფოთის თეატრის მთავარ რეჟისორად. მისი სპექტაკლების პრემიერაზე სამჯერ ჩამოვედით თბილისიდან: თამაზ ბიბილური, ჯემალ მონიავა, ლაშა გახარია და მე. ბევრი ადამიანი გავიცანი და განწყობილებაც საუკეთესო გვქონდა, მაგრამ ყველაფერი თითქოს თავიდან დაიწყო, როცა მაშინდელი ერთადერთი ტელევიზიის საინფორმაციო პროგრამა „მოამბის“ მთავარმა რედაქტორმა, გოჩა (ვახტანგ) ხუნდაძემ, ფოთის საკუთარი კორესპონდენტი, დაუვინყარი ჯამბულ შურღაია გამაცნო. ამას ჩქარა მოყვა: რომან მელიას, გურამ დოლბაიას გაცნობა-დამეგობრება, მერე ჯემალ ჩახავაც დაემატა თავისი ლექსებით, გიტარით, ანეგდოტებით და ცრემლიანი თვალებით. მშვენიერი ანსამბლი შეიქმნა. თბილისში ვინმე თუ ვერ მიპოვიდა (სად იყო მობილური ტელეფონი) აუცილებლად ფოთში მპოულობდნენ...

ერთხელაც (ნეტა იმ დროს) ფოთს ვესტუმრეთ: ვახუშტი კოტეტიშვილი, თამაზ ჩხენკელი და ორი აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის მე-5 კურსელი გოგონა, რომლებსაც მასპინძელივით შევუძეხი ჯამბულ შურღაიას ებოში, სადაც სახლის გვერდით იყო მეგრული ჯარგვალი, მთლიანი სივრცე მეგრული ეთნოლოგიით დამშვენებული... თავისი კუპატებით, შეკვამლული ღორებით, თევზებით, სულგუნებით, წინაკებით, ბაფრანებით. გურიიდან ჩვენი საერთო მეგობრის, ავთო ბარამიძის გამოგზავნილი ულავი სურნელოვანი ალადასტურით და აი, ამ შაბათ დღეს,



ნოემბრის 12-ში, ჯამბულს რაღაც საქმეზე მოაკითხა ფოთის მკვიდრმა, იმჟამად პარტიის მარტვილის რაიკომის პირველმა მდივანმა, ბატონმა ირაკლი მონერელიამ და ჩვენი გაცნობაც ამგვარ ვითარებაში მოხდა. ახალი დაწყებული გვეონდა ლხინი, მაგრამ მოშლილფებული შემოსწრებული სტუმარი სწრაფად მოშინაურდა. აღმოჩნდა, რომ ისიც, როგორც ყველა ქართველი, იმ სატელევიზიო გადაცემებით იცნობდა ვახუშტი კოტეტიშვილს, რომელსაც „ლექსო, არ დაიკარგები“ და „ფოლკლორული ზეიმი“ ერქვა. ვახუშტი მაშინ 45 წლისა იყო. ირაკლი კი 40-ს მიტანებული. გოგონებს სიმღერის შესანიშნავი ნიჭი აღმოაჩნდათ და მართლაც დიდ ეშხს ჰმატებდნენ წვიმიანი ნოემბრის ამ შაბათ დღეს. ირაკლიმ ჭიქა კარგად შეავსო და თამადას, ვახუშტის ერთი სადღეგრძელოს ნება სთხოვა.

-ვიცი, შვილების სადღეგრძელოს უკვე ჩემს მოსვლამდე იტყოდით, მაგრამ კიდევ და კიდევ შეიძლება ვთქვათ... ყოფილიყვნენ ბედნიერი და ჩვენზე უკეთესი მომვლელები იმ სილამაზისა, რომელსაც ჩვენი სამშობლო, ჩვენი საქართველო ჰქვია... და აქვე მიულოცა თავის ვაჟს, ალექო-ალექსანდრეს დაბადების დღე. ბიჭს 10 წელი შესრულებია... ვახუშტიმ და თამაზმა დალოცეს იუბილარი და სიამოვნებით გამოსცალეს ალადასტურით სავსე ჭიქები.

ამ სუფრასთან გავიგეთ, რომ ეს ახალგაზრდა პარტიული მუშაკი, რომელსაც ახლახანს დაუცავს დისერტაცია სოფლის მეურნეობის სფეროში, ცნობილი პროფესორის, ალექსანდრე მონერელიას შვილია. ბატონ ალექსანდრეს კი მოფერებით, ზედმეტსახელად „ფოთის მინდიას“ უწოდებდნენ და მართლაც დაუღლეელი პატრონი ყოფილა ბუნების, რიონის კალაპოტის, შავი ზღვის სანაპიროსი. სტუმრებმა ამ დღეს ძალზე ბევრი რამ გავიგეთ ფოთზე, სამეგრელოზე და კერძოდ, მარტვილის რაიონზე. გივი ელიავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმზე, ყურძნის უნიკალურ ჯიშებზე, მდინარეებზე, ტბებზე, ჩანჩქერებზე, გამოქვაბულებზე... დადიანებზე, ჭყონდიდელებზე, საგანგებოდ გაიხსენეს გიორგი ათონელი.

ამ დღეს ლხინით აღგვავსო სწორედ სურნელოვანმა ალადასტურმა. ბევრჯერ გაკენწლეს ნიშნის მოგებით რომან მელია და გურამ დოლბაია, რომელნიც, თურმე, რაღაც საქმეზე სოხუმს წასულან. ვახუშტის რა გააჩერებდა. ხშირ-ხშირად იმეორებდა კაფიებს, მეც ცხადია, მხარს ვუბამდი. თამაზ ჩხენკელი ხმამაღლა კითხულობდა და იცინოდა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სიცილით. ძირითადი თემა, ანუ საქლიკო მე ვიყავი, რადგან წინა დღეებში ბევრმა „მომინია“ და ახლა ალადასტურის დალევა მიჭირდა. ჰაერის უკმარისობას ვუჩიოდი. ვახუშტის ერთი საქლიკო ლექსი ასე თავდებოდა:

...და არასდროს დაკარგოდეს,  
კეისარსა - კეისრისა,  
შაიბრალეთ ტყემალაძე,  
პურ-მარილში გეისრისა!

იცინოდა ყველა. იცინოდა ჩვენი ირაკლიც და იმეორებდა - რა კარგი ვქენი, ჯამბული რომ ვინახულეო... ახლა ნოემბერია, აი, ბაფხულშიც გვეწვიეთ, თან ზღვაში ვიბანაოთ, თანაც ამჯერად ირაკლის ნაქები გივი ელიავას ოჯალეში დავაგემოვნოთო, ამბობდა სტუმრებით გახარებული ჯამბულ შურღაია.

იდეა ყველამ მოიწონა, ოღონდ ვახუშტიმ ზღვაში ბანაობაზე სასტიკი უარი განაცხადა. მერე თავისი როხროხა ხმით თქვა:

ფოთში რომ კარგი ძმები გვყავს,  
ამას რად უნდა დასტური,  
ზღვაში დაღრჩობას მე ვირჩევ,  
მაღრჩობდეს ალადასტური...

ეს ლექსები ჯამბულის თხოვნით ჯარგვალის კედელზე მიანერა ვახუშტიმ.

გავიდა დრო ანუ ერთი წელიწადი. წინათ ხომ დრო ასე ჩქარა არ გადიოდა. ჯემალ ჩახავამ მთხოვა და მარტვილში წავყევი. ლიტერატურის მოყვარულებთან ჰქონდა შეხვედრა. მასპინძელი ამჯერად ბატონი ირაკლი იყო. მე წარუდგინე საზოგადოებას (ძირითადად ქართულის მასწავლებლებს) მათი მიწა-წყლის პოეტი და მიკროფონთან ვუხმე. ბატონმა ირაკლიმ სერიოზული სახით რაღაც უთხრა ყურში ჯემალს, რომელმაც მშვენივრად ისაუბრა. ყველას მოეფერა და ლექსებითაც ყველა გაახარა. მერეღა გავიგე, რა უთხრა პირველმა მდივანმა თავის ბავშვობის მეგობარს: „თუ ძმა ხარ სერიოზული იყავი, უშნოდ არ ილადაო“ - ვინც ჯემალ ჩახავას იცნობდა, იცოდა რა რეპერტუარის ანეგდოტები ჰქონდა...

იმ დღეს, ვიდრე ქართული წესის და რიგის სუფრას მოვუსხდებოდი, ბატონმა ირაკლიმ მარტვილის ღვთისმშობლის ტაძარში წაგვიყვანა და ნამდვილად გაგვაოცა საქართველოს ისტორიის ფუნდამენტური ცოდნით. ეზოში შემადღებულ ადგილას ვიდექით, საიდანაც საუცხოო სილამაზით მოჩანდა თითქმის მთელი სამეგრელო და საიმერლო. ექსტაზში შესული მასპინძელი ორ სტუმრად მყოფ მეგობარს გვეუბნებოდა, ჩვენი გულის სათქმელს. ამბობდა - იქნებ მოვესწროთ თავისუფლებით სხვაგვარად აყვავებულ სამშობლოსო... ტაძარში შესვლისას მძღოლმა ცელოფანში შეხვეული რაღაც გადასცა. ჩვენ სანთლები ავანთეთ. ანდ-

როპოვის კაგებს თვალი მაშინ ყველგან იყურებოდა, მაგრამ ამას არ მორიდებია რაიონის კომუნისტების მეთაური. მერე ის შეფუთული გახსნა და თეთრი ვარდების მცირე თაიგულმა სხვა სხივით აღავსო ტაძარი. ბატონი ირაკლი კრძალვით მიუახლოვდა ეკატერინე ჭავჭავაძის სამაროვანს და ფრთხილად დადო თაიგული.

დრო კი ისევე წელა მიდიოდა უსასრულობისკენ. აირია სტალინის წარმოქმნილი საბჭოთა სახელმწიფო, აირია საქართველოს აღმოსავლეთ-დასავლეთი. ბატონი ირაკლი დროზე განერიდა ამ ქაოსს და ჭკვიანი კაცის თვალით და გონებით აფასებდა მოვლენებს. რამდენიმე წლის მერე, ან უკვე ნანატრ თავისუფალ საქართველოში ფოთის მერად ჩვენი მეგობარი, დიდი გამოცდილების სამეურნეო ხელმძღვანელი რომან მელია დანიშნეს, რომელმაც ყოველმხრივ შემკული კაცი, ბატონი ირაკლი მიიწვია თავის პირველ მოადგილედ. მოადგილეები გახდნენ თავისი დარგის დიდი მცოდნენი: გურამ დოლბაია, შოთა ყავლაშვილი, დავით იაკობიძე, დავით ბენიძე, ორიოდ კიდევ და ხელმძღვანელი გუნდიც შეიკრა. ტრამპირებული იყო საქართველო რუსეთის აგრესიით. ისე, როგორც თბილისში, მთელ საქართველოში დაიწვა და განადგურდა მნიშვნელოვანი შენობა-ნაგებობანი. ასე მოხდა ფოთშიც. ხშირად ითიშებოდა ელექტრო ენერჯია. ნულს ქვემოთ იყო დასული ქვეყნის ეკონომიკა. მართლაც მამაცურად ედგნენ გვერდით გუნდის წევრები რომან მელიას. ყოველივეს მონმე ვარ 1994 წლის მარტის თვიდან, როდესაც მეც ჩამიყვანეს ფოთში რომანმა და გურამ დოლბაიამ. პრესცენტრს ვხელმძღვანელობდი. ფოთში იყო მაშინ ადგილობრივი ტელევიზია, რადიო, საქალაქო გაზეთი. თან პარალელურად ქართულ ლიტერატურას ვასწავლიდი მესამე პროფილურ სკოლაში. ასე რომ, თითქოს მეც ჩემი საქმიანობით მხარს ვუმაგრებდი ფოთის ხელმძღვანელ ბირთვის. ერთი, რაც თვალნათლივი იყო, ყველანი დიდ პატივს სცემდნენ ბატონ ირაკლის და სეფე სიტყვის პატრონად მიიჩნევდნენ. საერთო გაჭირვების ჟამს მატერიალური ბაზის შექმნა დაიწყეს ფოთის ხელმძღვანელებმა, დანგრეული და ტერაქტების ქვეყანაში სწორედ ფოთიდან გამოკრთა იმ დღემდე უცნობი შუქი. ფოთის მერიამ ხვალინდელ დღეებ დაიწყო ფიქრი. ფოთელ საშუალო სკოლადამთავრებულ ახალგაზრდებს, სათანადო გამოცდის შემდეგ, ამერიკის უნივერსიტეტებში უშვებდა უმაღლესი განათლების მისაღებად და ორი წლის განმავლობაში, რაც მე იქ ვიყავი, 100-მდე ფოთელი ყმანვილი გახდა ამერიკის დიდი ქალაქების უნივერსიტეტთა სტუდენტი.

ბატონი ირაკლის კაბინეტში რაღაც საქმეზე ვიყავით შესული მე და ბატონი შოთა ყავლაშვილი. უცებ ბატონი ირაკლი ამბობს, - რა თქმა უნდა, კარგად იცით სერვანტესის „დონკიხოტი“ . აი, დღევანდელი დონ

კიხოტი - და რომან მელიას კაბინეტისკენ მიგვანიშნა, - მისი სურვილი ჩვენი ახალგაზრდების საზღვარგარეთ განათლების მიღების შესახებ ქარის წისქვილებთან ბრძოლას მაგონებდა... თუმცა, რაც შემეძლო მხარს ვუჭერდი. თავისი გაიტანა. გაიმარჯვა... აი, ასეთი დონე კიხოტებია დღეს საჭირო ჩვენი ქვეყნისთვის.

გამოხდა ხანი. ბატონი ირაკლის ოჯახი უფრო თბილისში იყო, ვიდრე ფოთში. აქ გადავიხადეთ ფოთში დამეგობრებულებმა რომან მელიას 70 წლისთავი. თამადა ბატონი ირაკლი იყო. დიდი ქართული წესით წარუძღვა სუფრას. ყველას მოეფერა, ყველას ასიამოვნა. ბევრიც იხუმრა, რომელიც მის მაღალ იუმორის შეგრძნებას ადასტურებდა... ამ დროს უკვე ექიმებთან ჰქონია ვიზიტები.

ტელევიზიის და რადიომაუწყებლობის გენ-დირექტორის თანამდებობა რომ მართლაც მოულოდნელად დავტოვე, ბატონმა ირაკლიმ, რომელიც ყოველ კვირას (ხანდახან კვირაში სამჯერაც) მოდიოდა ჩემთან, საქციელი არ მომიწონა, გამინანწყენდა კიდევ.

იმ დღეებში ფოთში იყო ჩვენი გადამღები ჯგუფი. ფოთზე ორი ფილმი მომზადდა „ლიხს იქით და ლიხს აქეთ“. ბატონმა ირაკლიმ პირველი ფილმი დაამშვენა თავისი აწონილი სიტყვით.

ერთ დღეს ტელევიზიაში რამდენიმე სექელტანიანი ჟურნალი თუ წიგნი მოიტანა. ზუგდიდის რაღაც გაერთიანებისა იყო. აქ აცხადებდნენ მეგრულს კოლხების ენად და წარმოაჩენდნენ მსოფლიო ენებს შორის ყველაზე დახვეწილად... თქვა - მე, რა თქმა უნდა, ამის წინააღმდეგი არა ვარ, მაგრამ არ მინდა რიგ საკითხებში ჩვენს სამხრეთელ მეზობლებს დავემსგავსოთო. მერე მთხოვა: - აბა, ახლა ვაჟა-ფშაველას ორი ლექსი თქვი, ამ ორი კვირის წინ, რადიოში, რომ წაიკითხე... ვერა და ვერ გავიხსენე, რომელ ლექსზე მეუბნებოდა. იქვე მდებარე ვაჟას კრებული აიღო და ფურცვლა დაიწყო. მეც ჩემს ნაწერებს მივხედე. ნახევარი საათის შემდეგ მხიარული ხმით მამცნო, ვიპოვე და აჰა. ეს ყოფილა გენიალური ვაჟას 1902 წელს დაწერილი ალტერ ეგო. „ვინ არის კაცი“, სადაც ბოლოს წინა სტროფში წერს: (კაცი ის არის, ვინც...) ალტერ ეგოს სფეროდან...

„გადაამტერებს ერთმანეთს,  
ქართლსა, იმერეთს, კახეთსა,  
საკუთარ ანბანს შეუდგენს,  
მეგრელებსა და სვანებსა“.

ბევრი ვიცინეთ. იმ დღეს (ბატონ ირაკლის თხოვნით) დიდუბის პანთეონს ვესტუმრეთ. ქვემოთა კარით შევედით. დიდხანს უთქმელად იდ-

გა ჯერ ჯემალ ჩახავას, მერე ვახუშტი კოტეტიშვილის და ბოლოს თამაზ ჩხენკელის საფლავთან. პანთეონიდან გამოვედით. მანქანაში აღარ ჩაჯდა. აქვე მაქვს პატარა საქმეო. დავრჩებიო. მივხვდი, რომ მარტო ყოფნა სურდა. ძალა არ დამიტანებია.

ერთი კვირის შემდეგ მითხრა: ხვალ ჩვენს ეროვნულ აკადემიაში ფოთის თემა განიხილება და შენთან ერთად დავესწრებო (მე აკადემიასთან არსებული ეროვნულ საკითხთა საბჭოს წევრი ვარ), მეორე დღეს თავის დროზე შევხვდით ერთმანეთს ზემელზე და აკადემიის შენობაში შევედით. ფოთის სახელის შეცვლის (ფაზისი) ინიციატორები ორიოდ კვირის წინ ბატონმა ირაკლიმ თავის ინტერვიუში მკაცრად გააკრიტიკა. არსებულ სადისკუსიო თემას სამარადისო წერტილი დაუსვა თავისი ისტორიული ექსკურსით, ღრმა და ნათელი ანალიზით. ბატონი ირაკლის ამ დარბაზში ხილვას არანაირად არ ელოდნენ ფოთელი „სხვაგვარად“ მოაზროვნენი. შეცბუნდნენ და სულ სხვა თემაზე დაიწყეს საუბარი. იმ დღით კმაყოფილი იყო უკვე ფერმკრთალი ჩემი უფროსი მეგობარი. სახლში მივიყვანე. მანქანიდან ჩამოვიდა, რაღაცის თქმა უნდოდა... ხელი ჩაიქნია. თქვა, „მერე, მერე იყოსო“. ეს ყოფილა ამ ძვირფასი ვაცის, სანიმუშო ქართველის ჩემთვის ნათქვამი სულ ბოლო ფრაზა.

მე მთელი ის წელიწადი საავადმყოფოებში გავატარე. არ დამირეკავს. ცუდი წინათგრძნობა მქონდა.

ახლა კი, როდესაც მინდა, წარმოვიდგინო ბატონი ირაკლი, უპირველესად ამ სურათს ვხედავ... თეთრი ვარდების თაიგულს როგორ დებს იგი ეკატერინე ჭავჭავაძის და დავით დადიანის სამაროვანზე მარტვილის ღვთისმშობლის ტაძარში.

**თამაზ ტყემალაძე**

ლიტერატორი, ჟურნალისტი



## საქმის კახი

მონერელიების ოჯახის ისტორია ქვეყნის და ფოთის სიყვარულის, თავდადებისა და მსახურების შესანიშნავი მაგალითია, რომელიც დროის გამოცდას გაუძლებს. ბატონი ირაკლის მამა, ალექსანდრე მონერელია სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი გახლდათ, რომელსაც იცნობდნენ და აფასებდნენ არა მარტო ფოთში, არამედ სრულიად საქართველოსა და საბჭოთა კავშირში, რომლის სამეცნიერო ცენტრებთან მას მჭიდრო ურთიერთობები აკავშირებდა. წლების განმავლობაში იგი ხელმძღვანელობდა ანასულის ჩაის საკავშირო ინსტიტუტის ფოთის სამეცნიერო ფილიალს, სადაც არაერთი საინტერესო იდეასა და ნოვაციას შეასხა ფრთები. ბატონი ირაკლის დედაც, ქალბატონი ნადია გუჯაბიძე, სამეცნიერო ფრონტის მუშაკი გახლდათ, რომელიც ღირსეულად უმშვენებდა მხარს თავის სახელგანთქმულ მეუღლეს. ოჯახის ტრადიციები გააგრძელა და ახალ საფეხურზე აიყვანა ბატონმა ირაკლიმ, რომელიც სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი გახლდათ და სამეცნიერო მოღვაწეობას შესანიშნავად უთავსებდა სახელმწიფოებრივ საქმიანობას, რისი დასტურიც გახლდათ მისი წარმატებული მოღვაწეობა მარტვილის რაიონსა და ფოთში. იგი ათი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა მარტვილის რაიონს, რომელიც მის ხელში ჩამორჩენილი აგრარული რაიონიდან იქცა ქვეყნის ერთ-ერთ მონინავე რაიონად, სადაც ჩქეფდა სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო და კულტურული ცხოვრების მაღალი დონე. მისი ხელმძღვანელობის პერიოდში მარტვილში აშენდა არაერთი სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო, საგანმანათლებლო, კულტურული, სამედიცინო დანიშნულების ობიექტი, დამშვენდა და გალამაზდა ქალაქის ცენტრი, მზრუნველობა დაეცყო რაიონის ყველა სოფელს. არანაკლებ წარმატებული გახლდათ მისი მოღვაწეობა ქალაქ ფოთში, რომელიც დაემთხვა ჩვენი ქვეყნისთვის დესტრუქციულ პერიოდს, რომლის განმავლობაშიც ბატონი ირაკლი ერთგულად იდგა ქალაქის სადარაჯოზე და ბოლომდე იცავდა მის ინტერესებს.

მეგობრებს, კოლეგებსა და თანამშრომლებს ბატონი ირაკლი ხიბლავდა პრინციპულობის უნარით. მისთვის უცხო იყო პირმოთნეობა და კონფორმიზმი. მას შეეძლო არა მარტო საკუთარი პოზიციების დაცვა, არამედ თავისი პრინციპების ერთგულება და რეალიზება. მას ახასიათებდა მაღალი დონის პროფესიონალიზმი, რაც უპირველეს ყოვლისა ვლინდება საკითხების და დასახული მიზნების ღრმად წვდომასა და განსწავლულობაში. მას შეეძლო ნებისმიერი საქმისა და ამოცანის ბო-

ლომდე მიყვანა ისე, რომ ამ გზაზე მისთვის არ არსებობდა მსხვილმანი და წვრილმანი, რადგან ყველაფერს თანაბარი დატვირთვა ჰქონდა წარმატების მიღწევის საქმეში. იგი გამორჩეული იყო უშრეტი ენერგიით, რის გამოც პირველ რიგში არ ზოგავდა, როგორც საკუთარ თავს, ასევე სხვასაც, რამაც მის გარშემო დარაზმულ კოლექტივს შეაძლებინა მნიშვნელოვანი წარმატებების მოპოვება. ყოველი მისი ქმედება სამართლიანობის გრძნობით იყო გამსჭვალული, რის გამოც რაიონსა და მის ფარგლებს გარეთ ყველამ იცოდა, რომ ბატონი ირაკლი ადამიანს უმიზეზოდ და დაუმსახურებლად არ განსჯიდა და ვისაც მისი მტკიცე ხელი მოხვდებოდა, იგი ამას იმსახურებდა. იგი არ იყო მარტივი და სხვების ხმას ამყოლი ადამიანი, არ უყვარდა უადგილო ფამილარობა და ჩინოვნიკური შეამხანაგება, რასაც დაუკრეფავში გადაჰყავს ადამიანი. მასთან დაახლოება არ იყო იოლი, რადგან იმ სტანდარტებს, რომლებსაც იგი გარშემო მყოფებს უყენებდა, ყველა ვერ აკმაყოფილებდა, რის გამოც, ცხადია, მისი თვალთახედვის მიღმა რჩებოდა. ადამიანებში იგი აფასებდა ინტელექტს, საქმისადმი ერთგულებას, შინაგან კეთილსინდისიერებასა და პატრიოტიზმს, რაც გამორჩეული ნიჭით დაჯილდოებულ პიროვნებებს ახასიათებთ, რისი მაგალითიც პირველ რიგში თავადვე იყო. იგი ადრე წავიდა ჩვენგან და თან წაიღო უამრავი განუხორციელებელი იდეა და ჩანაფიქრი, რომელთა რეალიზაცია ასე წაადგებოდა ჩვენს ბედკრულ სამშობლოს. მან ცოტათი გულნატკენმა დატოვა ეს ქვეყანა, რადგან ჩვენს გაუკუღმართებულ დროში მას დაუპირეს ლაფის სროლა, რომელიც მას კი არა, იმ მედროვეებს მოხვდათ, რომლებიც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ გვახსენებენ თავს. ბატონი ირაკლი უბოძოდ იყო შეყვარებული თავის ქალაქზე, რის დემონსტრირებასაც მუდამ ახდენდა. კარგი იქნება, თუ ამ სიყვარულს უკანვე მივაგებთ და ფოთის ერთ-ერთ ქუჩას მივაკუთვნებთ მის სახელს, რასაც ბატონი ირაკლი მოწერელია სამართლიანად იმსახურებს. ჩვენი მეგობრობის ნიშნად ბატონ ირაკლის მივუძღვენი ლექსი, რამაც იგი გულწრფელად გაახარა.

## **ირაკლი მონწერელიას**

ღმერთმა გარგუნა ბედნიერება,  
მამად გყოლოდა კოლხი მინდია,  
მისგან ისწავლე წუთისოფელი,  
ცოდნის გარეშე მხოლოდ ბინდია.

ცხოვრების გზაზე მუდამ ცდილობდი,  
არ შეგეღახა მამის სახელი,  
ისეთ მწვერვალზე დაადგი ფეხი,  
ბევრი არცაა მისი მნახველი.  
სადაც მიხვედი, ყველგან წარმოჩნდი,  
ფოთში, მარტვილში სახელს იხვეჭდი,  
იცოდი, შრომით და თავდადებით,  
ხალხის სიყვარულს რომ მოიხვეჭდი.  
მადლიერია ბაგრატ მეოთხე,  
სადადიანოც მადლობას გიხდის,  
დავალებული ბათა ქექია,  
ამაგის გამო ქუდსაც მოგიხდის.  
გამჩენმა მოგცეს ჯანის სიმრთელე,  
პირთამდე გქონდეს ფუძე და კერა,  
შენი ნაგრამის გამარჯვებებზე,  
გინათლებოდეს სახე და მზერა.

### **თეიმურაზ ფაჩულია**

ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი,  
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,  
საქართველოს განათლების მეცნიერებათა  
აკადემიის აკადემიკოსი.

## ბატონი ირაკლის მოსაგონებლად

სანამ ბატონ ირაკლის გავიცნობდი, მასზე უკვე ბევრი კარგი რამ მსმენოდა ჩვენი საერთო მეგობრის, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ კონსტანტინე აბულაძისგან. ამიტომ, როდესაც მას თხილის ასოციაციის ერთ-ერთ მაღალი რანგის ღონისძიებაზე შევხვდი ექსპო-ჯორჯიის საგამოფენო ცენტრში, სიამოვნებით გავუზიარე თხილის ნარგავების გეო-ინფორმაციული სისტემისა და ეკონომიკური შეფასების მონაცემთა ბაზის შექმნის იდეა, რაშიც საკმაოდ დიდი გამოცდილება მქონდა. გარდა ამისა, იმ ხანად ძალიან აქტუალური იყო ფერმერთათვის თხილის წარმოების თემატიკაზე საკონსულტაციო ღონისძიებების გატარების აუცილებლობა, რაზედაც ჩვენ სპეციალური საკონსულტაციო მობილური აპლიკაციის შექმნის იდეა წამოვაცენეთ. არასდროს დამავიწყდება თუ როგორი ენთუზიაზმით შეხვდა ბატონი ირაკლი თხილის წარმოებაში თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების იდეას, როგორი ოპერატიულობით განჭვრიტა, თუ რა სარგებლის მოტანა შეეძლო შეთავაზებული პროექტის განხორციელებას და მხარდაჭერა გამოუცხადა პროექტს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არ მოგვეცა ხანგრძლივი ურთიერთობის საშუალება, ბატონმა ირაკლიმ წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე, როგორც პროგრესულად მოაზროვნემ, უაღრესად კულტურულმა, გულისხმიერმა და საქართველოს პატრიოტმა ადამიანმა.

### სერგო ცირამუა

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი,  
ინფორმატიკის პროფესორი

## როგორ მაკლიხარ, ძმაო!

ჩემი ცხოვრების მანძილზე ბევრი კარგი მეგობარი მყოლია. მე ამით, შეიძლება ითქვას, განებივრებული ვიყავი ყოველთვის, - ირაკლი მონერელია მათ შორის გამორჩეულია ჩემთვის. მასზე უფრო ახლობელი, ჭირისა და ლხინის გამზიარებელი, ნამდვილი გულშემატკივარი არავინ მყოლია.

ირაკლი 1977 წელს გავიცანი, როდესაც დედაქალაქიდან ფოთში გადამიყვანეს პურის ქარხნის ასაშენებლად. ამ დროს ირაკლი პარტიის საქალაქო კომიტეტის განყოფილების გამგედ მუშაობდა. მონათესავე სულები ხომ უმალ ცნობენ ერთმანეთს და ჩვენ შორისაც გაცნობისთანავე დამყარდა კეთილგანწყობა, რომელიც მალე გულითად მეგობრობაში გადაიზარდა და გაგრძელდა მთელი სიცოცხლის მანძილზე. სიკვდილის მეტი ამ ერთობას ვერაფერი მოერეოდა. მასხოვს, რა საინტერესო სამეგობრო ჩამოგვიყალიბდა მაშინ ფოთში - ჯამბულ შურღაია, ჯემალ ჩახავა, გურამ დოლბაია... თანამოაზრეები ვიყავით, კარგად შეწყობილები. ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს. სამეგობროს სული და გული ირაკლი იყო თავისი ღია ბუნებით, განუზომელი ფანტაზიით, არაჩვეულებრივი, ლალი იუმორით.

უღალატო კაცი იყო, რაც მის ერთგვარ სავიზიტო ბარათად შეიძლება გამოდგეს. ჩასაფრებული მტერიც კი ვერ დააბრალებდა მას ღალატს. უღალატო იყო პირად ურთიერთობებშიც და საქმეშიც. და რა გასაკვირია, რომ 1993 წელს, როდესაც ქალაქ ფოთის მერი გავხდი, ბევრი არ მიფიქრია, ისე შევთავაზე მერის პირველი მოადგილის თანამდებობა, რაზედაც ის დამთანხმდა და დაიწყო, პირად მეგობრობასთან ერთად, ჩვენი საქმიანი ურთიერთობა.

ფასდაუდებელი იყო ჩემთვის მისი ჩემს გვერდით ყოფნა იმ მძიმე წლებში. ობიექტურ სიძნელეებს ემატებოდა ისიც, რომ მე სამეურნეო მუშაკი ვიყავი და პარტიული მუშაობის გამოცდილება არ მქონდა. ეს კი ძალიან მჭირდებოდა ქალაქის თავად ყოფნისას. ამიტომაც იყო შეუცვლელი ის მაშინ. რასაკვირველია, თანამოაზრეები ვიყავით - საკვანძო საკითხებში ერთნაირად ვხედავდით პრობლემებს და მათი გადაჭრის



გბებს; ერთად ვიღებდით გადანყვეტილებებს. თუმცა, ზოგჯერ წამოიჭრებოდა საკითხი, სადაც გადაკვეთის წერტილს ვერა და ვერ ვაგნებდით - ის თავის აზრზე რჩებოდა, მე ჩემსაზე ვიდექი. არაერთხელ ყოფილა ისე, რომ მისი აზრი უფრო გამართლებული იყო, თუმცა, ამ დროსაც მეტყვოდა: როგორი გადანყვეტილებაც არ უნდა მიიღო, მე შენს გვერდით ვარ, რომც არ ეთქვა, ვიცოდი, რომ ასე იყო. მეთანხმებოდა თუ არა, ჩემთან ერთად ეწეოდა საქმის ჭაპანს.

მისი აქტიური მონაწილეობით გვარდებოდა არაერთი პრობლემა ფოტოში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი წვლილი მოსწავლეთა საზღვარგარეთ სასწავლებლად გაგზავნის ორგანიზებაში. დღეს მაშინდელი მოსწავლეები შემდგარი პროფესიონალები არიან და წარმატებით მოღვაწეობენ, როგორც ჩვენში, ასევე საზღვარგარეთ.

ყველაფერს უდიდესი პასუხისმგებლობით და პროფესიონალიზმით უდგებოდა. ზერელობას ვერ იტანდა ვერც საქმეში, ვერც, უბრალოდ, ურთიერთობაში. უკიდურესად საღი და კრიტიკული აზროვნება ჰქონდა. რამე თუ არ მოეწონებოდა, ასე ვთქვათ, არ გაატარებდა, აუცილებლად მიმითითებდა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამდებობის პირისათვის, - როდესაც გვერდით არის, არა ყველაფერზე თავის დამკვრელთა, მლიქვნელთა, ანდა ყოველ ნაბიჯზე ჩასაფრებულ მოკირკიტეთა მთელი არმია, არამედ ჭირისუფლად, გულშემატკივრულად, ობიექტურად შემფასებელი და მთქმელი. ამიტომ მქონდა მისი იმედი ყოველთვის, ამიტომ ვენდობოდი ბოლომდე; თვალდახუჭული ვენდობოდი. რამხელა სიმდიდრეა გვერდით ადამიანი, რომელსაც უკანმოუხედავად ენდობი ყველგან და ყველაფერში... და ამ დროს არასოდეს სანაცვლოს რომ არაფერს მოეღის შენგან.

დასამალი როდია, რომ თანამდებობის პირისაგან ადამიანები მუდამ რაღაცას მოეღიან. მით უფრო იმ უმძიმეს პერიოდში, როდესაც ქალაქის პირველი პირი ვიყავი. იმედით შემოგყურებენ - პრობლემა, გასაჭირი, ხან კი, უბრალოდ, მდგომარეობის გაუმჯობესების სურვილი... გთხოვენ, მოითხოვენ... ირაკლი არასოდეს არაფერს მოელოდა ჩემგან. გადაკვრითაც კი არაფერი მოუთხოვია სათავისოდ. და თუ მეგობრობა ერთგვარი მიღება-გაღებაა, ირაკლი მუდამ გამღები იყო, უანგაროდ გამღები, რაც ასე სათნოა ღვთისათვისაც და ადამიანისთვისაც.

ამგვარი გვერდში მდგომი ადამიანის ფასი განსაკუთრებული იყო მა-

შინ, იმ წლებში. ჯერ მშვიდობა რა იყო იმ დროს და ახლა ამას ზედ დამატებული კიდევ აფხაზეთის მოვლენები... ენა არ მიტრიალდება, რომ ამას ომი ვუნოდო. არადა, ომი იყო, აბა, რა... მე ხშირად მიწევდა ქალაქის დატოვება და ჩემს ბატალიონთან ერთად ფრონტის ხაზის გადაკვეთა - აფხაზეთში გადასვლა. არც ერთხელ, ერთი წუთითაც კი არ მიფიქრია, რომ ჩემ იქ არყოფნაში ქალაქში რამე შეფერხდებოდა - იქ ირაკლი მონწერელია რჩებოდა და ეს უკვე ყველაფერს ნიშნავდა. ყოველთვის შესაძლებლობის მაქსიმუმს აკეთებდა, გაუჩინელს გამოაჩენდა, მიუღწევლს მიაღწევდა; არც თავს ზოგავდა, არც თანამშრომლებს.

ეს ყველაზე კარგად იციან მათ, ვისაც მის გვერდით მუშაობა რგებია წილად. მონადინებული ადამიანი მის გვერდით იზრდებოდა, ბევრს სწავლობდა, ნამდვილ პროფესიონალად ყალიბდებოდა. ამიტომაც იყო, ამდენს რომ აღწევდა. უამრავი კარგი საქმე აქვს გაკეთებული რაიკომის მდივნად მუშაობის პერიოდში, დღემდე ახსოვთ მარტვილელებს ეს და უფასებენ კიდევ (აქაც ალბათ ჩემზე უკეთ ისინი იტყვიან ამის შესახებ). მასზე იცოდნენ თქმა, გაუკეთებელს აკეთებსო და ასეც იყო. უფრო მეტი გაუკეთებელი რა უნდა წარმოიდგინო, თუ არა კომუნისტების დროს ეკლესიის აღდგენა-რესტავრაცია. იმ რეჟიმმა აღდგენა კი არა, ტაძარი არ დატოვა დაუნგრეველი. მაშინ თავში აზრად როგორ უნდა მოგსვლოდა ეკლესიის აღორძინება... ირაკლის მოუვიდა.

სალოცავს როგორ ახსენებდა ვინმე მაშინ (მისი მადლი გამწყრალი ჰქონდათ), კულტურის ძეგლიაო - გამოაცხადა და აბა, შაბათობები! შედეგად მხოლოდ მარტვილის მონასტრის რეაბილიტაცია კი არ განხორციელდა და მონესრიგდა მისი იერსახე, იმასაც კი მიაღწია, რომ ქალაქის ცენტრიდან სამონასტრო კომლექსს დაუკავშირდა საბაგირო გზა. უშუალოდ თვითონ ხელმძღვანელობდა ახლომახლო ტერიტორიის კეთილმოწყობასაც. და ეს მაშინ, როდესაც ეს ამბავი მინიმუმ თანამდებობის დაკარგვად შეიძლება დასჯდომოდა, რამეთუ კულტურის ძეგლზე იხარჯებოდა ასიგნებები. ზემოთ ჩვენი სამეგობრო ვახსენე... ირაკლის ფოთიდან წასვლის შემდეგ არ დაშლილა ის. რაღაცნაირად ტრადიციასავით ჩამოგვიყალიბდა, რომ დედაქალაქიდან ხშირად გვსტუმრობდნენ კულტურის თუ სპორტის ცნობილი მოღვაწეები - გურამ ფანჯიკიძე, ოტია იოსელიანი, შოთა და გიზო ნიშნიანიძეები, ჯანსუღ ჩარკვიანი, ვაჟა აზარაშვილი, ანსამბლი „ქართული ხმები“, - მაშინ „ჟურნალისტი ერეკვა“, - გია ჭირაქაძე, ზაურ ბოლქვაძე, გოგი

დოლიძე... ბევრი სხვა. სხვათა შორის, გოგის ჩვენთან გადავუხადეთ საიუბილეო საღამო. მერე, როცა ირაკლი უკვე მარტვილში იყო, სტუმრებთან ერთად იქ ვესტუმრებოდით ხოლმე. რა მასპინძლობა იცოდა!.. ისე არ გამოგვიშვებდა, მონასტერში რომ არ ავეყვანეთ და სანთლები არ დაგვენთო. გამორჩეულად უყვარდა იქაურობა, ლამის, შვილის ამაგი რომ ჰქონდა მასზე.

სხვანაირი ვაყი იყო - არავის ჰგავდა, კომუნისტური მენტალიტეტი არ ჰქონდა, შინაგანად უფრო მეცნიერი იყო, ვიდრე პარტიული მუშაკი; განათლებული, სხარტი გონების პატრონი, თავისუფალი აზროვნებით, შეუზღუდავი ფანტაზიით.

ზემოთაც ვთქვი, თანამდებობის პირისგან ადამიანები ბევრს მოეღიან. ხშირად ისეთ რამეებსაც კი, რაც ობიექტურად შეუსრულებელია. ამას ემატება სამწუხარო ინტრიგები, შური, მრავალი ნეგატიური ფაქტორი (ამიტომაც განუსაზღვრავენ თანამდებობის პირს თმენის ვალდებულებას). ირაკლისაც ბევრჯერ ატკინეს გული, ისევე, როგორც მე. სრულიად დაუშსახურებლად, ბევრჯერ დაგვწამეს აბსოლუტურად აბსურდული ცილი, სცადეს ჩვენი რეპუტაციის შებლაღვა, მაგრამ ამაოდ. სიმართლეს ერთი გასაოცარი თვისება აქვს - თვითონ მუშაობს, თვითონ იცავს თავის თავს... მისი ფასი არაფერია და თუ მისი მსახური ხარ, ადრე თუ გვიან გაცხადდება შენი სიმართლე და დაუშსახურებელი ლაქა ჩამოგერეცხება. ასე იყო ჩვენს შემთხვევაშიც. დრო გავიდა, თეთრი და შავი ერთმანეთისაგან განირჩა და სიმართლემ თავი არ დამალა. ადამიანებს სწორედ ირაკლის მიერ გაკეთებული უამრავი კარგი საქმე ახსოვთ ფოთშიც, აღარაფერს ვამბობ მარტვილის რაიონზე. ამიტომაც იგონებენ ასე თბილად ყველგან, სადაც კი უცხოვრია და უმუშავია.

წლის ბოლოს 80 წელი შეუსრულდებოდა ჩემს მეგობარს. დარწმუნებული ვარ, ეს თარიღი არ დაავიწყდებათ მათ, ვის გვერდითაც გაიარა ირაკლი მონწერელიას სახსე და შინაარსიანმა ცხოვრებამ და სათანადოდ აღნიშნავენ.

\*\*\*

რომ იცოდე, როგორ მაკლიხარ, ირაკლი, როგორ მენატრები, ბიჭო... იცი? ძალიან რომ შემომანწვება გულზე სევდა, ან რამეზე რომ ვფიქრობ ბევრს და გადაწყვეტილება ვერ მიმიღია, შენთან ამოვდივარ, საფლავ-

ბე. ჩამოვჯდები და გესაუბრები, როგორც ცოცხალს, ისე გიზიარებ ნაფიქრალს, თითქოს შენგან პასუხს ველი. ტყუილად ამბობენ, შეუცვლელი არავინ არისო. როგორ არ არის. შენ ჩემთვის შეუცვლელი იყავი მუდამ. ეს ყოველთვის ვიცოდი. რაც ნახვედი, ამას განსაკუთრებით მძაფრად ვგრძნობ. ვერაფერმა შეავსო ის ვეებერთელა სიცარიელე, რომელიც შენმა წასვლამ დამიტოვა. შენ ხომ ჩემი ძმაც იყავი, მეგობარიც, მამაც კი. არადა სულ რაღაც 3-4 წლით ხარ ჩემზე უფროსი. ჩემთვის სამაგალითო იყავი ყველაფერში - საქმეში, კაცობაში, მეგობრობაში, უბრალოდ, ადამიანობაში. ხომ არის ნათქვამი, მითხარი ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი, ვინ ხარ შენო... მე კი ამას გეტყვი, ირაკლი, თუ როდისმე ვინმე შენს მიხედვით განმსჯის, როგორც შენ მეგობარს, მე ამით მხოლოდ ბედნიერი ვიქნები.

## რომან მელია



დავით ბენიძე, რომან მელია, გურამ დოღბაია, თენგიზ მილორავა, ირაკლი მოწერელია, დავით იაკობიძე, ჯემალ ჩახავა.

## ღირსჯიბით აღსავსე პიროვნება

რვა ათეული წელი შემისრულდა, ერთობ ხანგრძლივ ცხოვრებაში ბევრი კარგი ვნახე, ცუდი ამბებიც არ დამკლდება, თუმცა დამეთანხმებით კარგის გახსენება ყოველთვის სასიამოვნოა.

სკოლის წლებიდან ვმუშაობდი სხვადასხვა დაწესებულება-ორგანიზაციაში, სადაც უამრავი ადამიანი გავიცანი.

კრებულის მთავარი გმირი და მე პირველივე შეხვედრიდან დავმეგობრდით. კარგად მახსოვს ის დღე, როდესაც ფოთიდან ჩამოვიდა გასაუბრებაზე (კომკავშირის ქალაქკომის პირველ მდივანად იყო რეკომენდირებული). გაგვეცნო, პირველივე ფრაზებიდან გამოჩნდა, რომ შესანიშნავ ოჯახში იყო აღზრდილი, სიტყვა-პასუხი არ ეშლებოდა, ბიჭებს გვესიამოვნა, რომ კიდევ ერთი განათლებული ადამიანი შემოდიოდა სამეგობროში. თითქმის ხუთი წელი ვიმუშავეთ ახალგაზრდულ ორგანიზაციაში, ყოველთვის ველოდებოდით ფოთში მივლინების გაფორმებას, რათა ირაკლის შევხვედროდით. მის სტუმართმოყვარე ოჯახშიც ვყოფილვართ. კარადაში განლაგებულ წიგნებს ეტყობოდათ, რომ მკითხველი არ აკლდა. მაშინ გავიგეთ, რომ იგი ცნობილი მეცნიერის ალექსანდრე მონერელიას ვაჟი გახლდათ. წლები გავიდა, ჩვენ უკვე სხვადასხვა სამსახურებში ვიყავით, თუმცა ურთიერთობა არ გაგვიწყვეტია, როდესაც ირაკლი მარტვილში გადაიყვანეს, ხშირად გვირეკავდა, კითხულობდა რამეში ხომ არ ავარ საჭიროო, როდესაც საქმეზე ჩამოდიოდა, საღამოთი აუცილებლად ჩემთან ვიკრიბებოდით ირაკლი, კოტე აბულაძე, ოლეგ გალოგრე. რკინიგზის სადგურთან ახლოს ვცხოვრობ და მატარებლის გასვლამდე ერთმანეთს ძმობასა და სიყვარულზე ვესაუბრებოდით, ასე გრძელდებოდა მრავალი ათეული წელი.

მრავალი ათეული წელი.

ბოლოს თოდუას კლინიკაში შევხვდით ერთმანეთს, ირაკლი ქალიშვილთან ერთად იყო. ძალიან გამიხარდა მისი ხილვა, სამახსოვრო ფოტოც გადავიღეთ. არ დავმალავ, მისმა ფიზიკურმა მდგომარეობამ ამაფორიაქა, მივხვდი ჯანმრთელობის მხრივ პრობლემა ჰქონდა. ერთ დღეს კი სამწუხარო ინფორმაცია მივიღე, ირაკლი აღარ გვყავსო. უამრავმა ადამიანმა გააცილა უკანასკნელ გზაზე ეს უწესიერესი, გულისხმიერი, საქმისადმი თავდადებული პიროვნება, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ქვეყანას, ხალხს მიუძღვნა.

გულითადი მეგობარი დაგვაკლდა ყველას. ირაკლი გახლდათ პირ-



დაპირი, უშუალო, სიკეთით და ღირსებით აღსავსე, მოსიყვარულე, მხარში მდგომი და ყველას პატივისმცემელი პიროვნება. დაგვაკლდა კიდევ ერთი მართალი ადამიანი, რომელმაც არ იცოდა რა არის ბოროტება და არ ესმოდა რა არის შური.

ირაკლი მინწერელიას მიერ განვლილი ცხოვრებისეული გზა ნაღდი მაგალითია იმისა, რომ ყველა ეპოქაშია შესაძლებელი ღირსეულად აკეთო საქმე, რომელიც სცილდება პიროვნულ ინტერესს და იძენს საზოგადოებრივ ჟღერადობას, რომ ნებისმიერ გარემოში შეუძლია პიროვნებას სამთელქვეყნო დატვირთვა მისცეს საკუთარ საქმიანობას და ჭეშმარიტ მოღვაწეთა ერთობაში დაიმკვიდროს ღირსეული ადგილი. ჩვენი ირაკლი სწორედ ასეთი ადამიანი ბრძანდებოდა და მარადიულად ასეთად დარჩება იმათ ხსოვნაში, რომელთაც წილად გვხვდა მასთან ურთიერთობის ბედნიერება.

სიცოცხლის მანძილზე ათეულობით უახლოესი ადამიანი მყავს დაკარგული (კლასელები, კურსელები, თანამშრომლები). პატარა სიაც მაქვს ჩამოწერილი, ჩავხედავ, გავიხსენებ ხოლმე მათ სახელებს და ერთად გატარებულ წლებს. ამ ჩამონათვალში ირაკლი მონწერელია ერთ-ერთი პირველთაგანია, რომელსაც სანამ სული მიდგას და სანამ ამ ცოდვილ მიწაზე დავდივარ, არასოდეს დავვიწყებ.

**დემიკო ლოლაძე**

## როზა საქმანი მთხველზეან ადამიანზე...

ჩემთვის დიდი პატივი იყო ქალაქ ფოთის ერთ-ერთ წარმოჩენილ პიროვნებასთან - პროფესორ ალექსანდრე მონერელიასთან ერთად ფოთის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული აღორძინების ხელშეწყობი ასოციაციის „ფოთი და ფოთელები“ დაარსება. ჩვენ ერთად ვიმუშავეთ, გარკვეული პერიოდი, ასოციაციის პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის რანგში; ბატონი ირაკლი მონერელია კი ცოტა მოგვიანებით გავიცანი, თუმცა, მასზე ადრეც ბევრი მსმენოდა. განსაკუთრებით აღნიშნავდნენ მის პრინციპულობასა და საქმისადმი კომპეტენტურ დამოკიდებულებას, რაშიც თავადაც დავრწმუნდი ვიცემერების თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში.

ისე, როგორც ყველა ნიჭიერ, გონიერ და განათლებულ ადამიანს ახასიათებს, მასაც თავისებური ხასიათი ჰქონდა, ამიტომაც ადვილი არ გახლდათ მისი ნდობის მოპოვება. დიდი გამოცდილების მქონე ადამიანს ყველაფერში სიღრმისეული ანალიზისა და მსჯელობის მოთხოვნა ჰქონდა. რჩევისათვის არ დაგზარდებოდათ, ოღონდ უნდა დარწმუნებულიყო, განსახილველი საკითხით შენს ნამდვილ დაინტერესებაში, რადგანაც ზერელობასა და ზედაპირულობას ვერ იტანდა. ბევრჯერ მწვავე პოლემიკაშიც გადაზრდილა საუბარი, ოღონდ ეს ეთიკისა და მორალის ფარგლებს არასდროს გასცდენია და, რაც მთავარია, მსჯელობა მუდამ ჩვენი ქალაქის უკეთესი მომავლის საკითხებს ეხებოდა.

ბატონი ირაკლი დიდად წიგნიერი ადამიანი გახლდათ, მუდამ ლაკონურად გადმოსცემდა სათქმელს და ამასვე მოითხოვდა სხვებისგანაც. მან, ბოლო პერიოდში, რამდენიმე საინტერესო წიგნი მიუძღვნა ფოთსა და ფოთელებს; აღწერა ქალაქის მივიწყებული ისტორია, სხვადასხვა დროს აქ მოღვაწე გამოჩენილი ადამიანების ცხოვრება და ქალაქში არსებული პრობლემების გადაწყვეტის არაერთი ეფექტური გზაც შემოგვთავაზა, რასაც დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა.

ბატონი ირაკლი ადამიანის ინდივიდუალური უნარების შეფასებისა და ჯეროვნად დაფასების ნიჭით გამოირჩეოდა. ერთხელაც, დიდუბის პანთეონში ჩვენი თანაქალაქელის, სასიქადულო პოეტის - ბატონი ჯემალ ჩახავას საფლავზე ამოტვიფრულმა ეპიტაფიამ მიიქცია ჩემი ყურადღება. ადრე არ მენახა იგი და, ცხადია, დავინტერესდი. „ერთი ლექსის იმედი აქვს ყველას, ერთი ლექსი უკვდავებას უდრის...“ როგორც შემდეგ შევიტყვე, ეს წარწერა ბატონი ირაკლის უშუალო ინიციატივითა და მისი მეგობრების დახმარებით გაკეთდა. როგორც თვითონ აღნიშნავ-

და, ზემოხსენებული წიგნების შედგენისა და რედაქტირების საქმეში დიდი დახმარება გაუწევია კულტურის გამორჩეულ მუშაკს, ქალბატონ ირმა კეკელიძეს, რისთვისაც ძალიან ემადლიერებოდა.

სიცოცხლის ბოლო პერიოდში არ გახლდათ მოშვებული და ძველებურად აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრებით ცხოვრობდა. მისი ინიციატივითა და წარმოჩენილი ფოთელის, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის მრჩევლის - პროფესორ გივი აბდუშელიშვილის ხელმძღვანელობით ვამზადებდით დიდი ნიკო ნიკოლაძის დაბადების დღისადმი მიძღვნილ რესპუბლიკურ კონფერენციას. იდეის განხორციელება, სამუხაროდ, სხვადასხვა გარემოებათა გამო, გარკვეული პერიოდით გადაიდო.

ნათელი და სანთელი მის ხსოვნას!

### **ნუგზარ კაჭარავა**

ასოციაცია „ფოთი და ფოთელების“ პრეზიდენტი  
ღირსების ორდენის კავალერი  
ფოთის საპატიო მოქალაქე

\* \* \*

ირაკლი მონწერელიამ მარტვილის რაიონული კომიტეტის პირველ მდივნად ათწლიანი მუშაობის პერიოდში შესძლო ბევრი ღონისძიების განხორციელება რაიონის სხვადასხვა დარგის აღორძინებისათვის, რითაც მარტვილელების სიყვარული დაიმსახურა. რაიკომის მდივნობის შემდეგ სხვადასხვა ორგანიზაციის, მათ შორის სააქციო საზოგადოება „ფოთიტორფს“ ხელმძღვანელობდა. იქაც წარმატებები ჰქონდა. ბოლოს კი ფოთის მერის პირველი მოადგილის მოვალეობას ასრულებდა. ფოთი იყო მისთვის უსაყვარლესი ქალაქი და მასზე აუგის მიქმელს არაფერს პატიობდა. რამდენიმე წლის წინ ფოთელების ერთმა ნაწილმა ქალაქის სახელის შეცვლა მოინდომა და „ფაზისის“ სახელის დარქმევისათვის იბრძოდა. ირაკლიმ ჩვენც ჩაგვაყენა საქმის კურსში და ისეთი დასაბუთებული წერილი გამოაქვეყნა, რომ მას შემდეგ არავის ხმა არ ამოუღია.

ირაკლის ბევრი მეგობარი ჰყავდა. მათ შორის იყო მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, რუსეთის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მოსკოვის ა. ბაკულევის სახელობის გულსისხლძარღვთა ქირურგიის ინსტიტუტის დირექტორი ლეო ბოკერია და მისი სამეგრელოში სტუმრად ჩამოსვლის დროს ერთად ვმასპინძლობდით.

მოკლედ, ასეთი იყო, ჩვენი თვალთახედვით, ირაკლი და ღმერთმა აცხონოს მისი სული. კურთხეულ ჰყოს უფალმა ირაკლი მონწერელიას სამარადისო განსასვენებელი.

**ბონდო ჯიქია  
ოთარ ფაცაცია**



მარტილის მონასტერი  
კარლო ასათიანი, გივი ელიავა, შავლე გილაშვილი, ირაკლი მონერელია



## პრინციპული ხელმძღვანელი, შესანიშნავი მემოზარი

დიდად სამუხაროა, რომ ჩვენს გვერდით არ არის ბატონი ირაკლი მონერელია, შესანიშნავი პიროვნება, რომელმაც მთელი ცხოვრება, სადაც არ იმოღვანა, ყველგან აკეთა ეროვნული საქმეები. მისი გავლელი გზა საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა წარმოაჩინო ნიჭი და უნარი, ღირსეულად ემსახურო შენს ხალხს და დიდი პატივისცემა დაიმსახურო. თავისი საქმიანობით მან დაადასტურა, რომ იყო დიდი პატრიოტი, მრავალმხრივ განვითარებული, უაღრესად ყურადღებიანი, ცხოვრებაში თავმდაბალი.

ბატონი ირაკლი იყო ავტორიტეტული, სახელმძღვანელო ორგანიზატორი, მოქალაქე, მეცნიერი, დიდი შემართების პრინციპული პიროვნება. მან შეძლო რთული სიტუაციის განმუხტვა ემოციების გარეშე, ყოველთვის გამონახავდა გზას საკითხების ორიგინალურად მოსაგვარებლად.

მე და ირაკლი მონერელიამ გასული საუკუნის სამოცდაათიან-ოთხმოციან წლებში ვიმუშავეთ მარტვილის რაიონის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელებად, მან ათი წელი იმუშავა რაიკომის პირველი მდივნის თანამდებობაზე. ბევრი საუკეთესო საქმე გააკეთა რაიონის სოფლის მეურნეობის მთელ რიგ დარგებში მეცნიერული მიღწევების დასანერგად, სამრეწველო საწარმოების ასაშენებლად, ეკონომიკის ასამაღლებლად, კულტურული და საგანმანათლებლო სიახლეების შესატანად, რამაც განაპირობა მისი, როგორც რაიონის ხელმძღვანელის დიდი ავტორიტეტი. მას შემდეგ ოთხ ათეულ წელზე მეტი გავიდა და დღესაც მარტვილის რაიონში მას პატივისცემით იხსენებენ, როგორც ღირსეულ ხელმძღვანელს, შესანიშნავ პიროვნებას.

ბატონმა ირაკლიმ იცხოვრა წესიერი ცხოვრების წესით. მას პირად კეთილდღეობაზე არასოდეს უზრუნია. იგი იყო ძალზედ პრინციპული, მაგრამ სამართლიანი.

როდესაც ვიხსენებ ბატონი ირაკლის თაობის ხალხს და მათ საქმიანობას, იგი გამოირჩეოდა ერთგულებით, ხალხზე ზრუნვით. მისი ცხოვრება და მოღვაწეობა საუკეთესო მაგალითია თუ როგორ უნდა აკეთო დიდი საქმეები, ემსახურო ქვეყანას. მას არასოდეს აურიდებია თავი მწვავე პრობლემების გადაწყვეტისათვის. იგი დამამახსოვრდება, როგორც სიტყვის კაცი, უდიდესი პასუხისმგებლობის მქონე პიროვნება, კომუნიკაბელური, აუღელვებელი ინტელიგენტი, თავისი ცხოვრების მანძილზე მას შეცდომები არ დაუშვია.

ჩემი და ირაკლი მონერელიას მეგობრული და საქმიანი ურთიერთობა 60 წელზე მეტს ითვლის. იგი 1954 წელს ქ. ფოთში სკოლის მოსწავ-

ლე, თავისი ბიძის, შესანიშნავი მოქალაქის, დიდი დამსახურების მქონე პიროვნების, ქ. ფოთის კოლორიტის მიშა მონერელიას ოჯახში გავიცანი, შემდგომში მე მიშას უმცროსი მეგობარი გავხდი. არასოდეს დამავინწყდება მისი დიდი ყურადღება და სითბო.

მინდა აღვნიშნო, რომ ჩემი და ირაკლის ურთიერთობა ჩვენი მამების მეგობრობას ამშვენებდა. ბატონი ალექსანდრე მონერელია იყო აღიარებული მეცნიერი მელიორაციის და ირიგაციის საკითხებში, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის კოლხეთის დაბლობის ათვისების საქმეში.

მადლიერი ვარ, რომ მე და ირაკლის ახლო მეგობრობა გვექონდა. ჭირსა და ლხინში ერთმანეთის გვერდით ვიდექით. ბევრი ვარგი შეხვედრის გახსენება შეიძლება. გულდანყვეტილი ვარ, რომ ჩვენს გვერდით აღარ არის ირაკლი. მისი უდროო წასვლა ამ ქვეყნიდან არა მარტო მის ოჯახს, არამედ მის მეგობრებს და ახლობლებსაც დააკლდათ.

რაც დრო გაივლის, მით უფრო გამოჩნდება თუ როგორი დიდი პიროვნება იყო იგი.

გავა წლები და ბატონ ირაკლი მონერელიას მოიგონებენ, როგორც ღირსეულ მამულიშვილს, მოქალაქეს, პიროვნებას, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება და მოღვაწეობა ხალხისა და ქვეყნის საქმეების კეთებას მიუძღვნა.

ღმერთმა დალოცოს მისი სული.

## **ვლადიმერ გვარჯალაძე**

ვეტერინალურ მეცნიერებათა დოქტორი,  
ბიზნესმეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი



ირაკლი მონწერელია საკავშირო უმაღლესი საბჭოს დეპუტატ, აკადემიკოს  
ნიკოლოზ ინოზემცევთან ერთად



## ირაკლი მონერელიას წარუშლელი კვალი

საჭყონდიდო სამეგრელოს ნიჭიერებისა და აზროვნების გამოვლენის განსაკუთრებული კერაა, სადაც ლაზური წარმომავლობის ბაგრატიონებიდან დიდმა დავით აღმაშენებელმა და მისმა აღმზრდელმა და მასწავლებელმა გიორგი ჭყონდიდელმა ტეხურის, აბაშისა და ცხენისწყლის ნაპირებთან განმარტოებულებმა ფიქრი დაიწყეს, როგორ ეშველათ მამულისთვის - განედევნათ უცხო მომხვდურები, განევრცოთ ენა და ქრისტიანობა და გაეერთიანებინათ საქართველო.

დავით აღმაშენებლისა და გიორგი ჭყონდიდელის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ხაზი მარადიულ შესასრულებლად რჩება დღესაც საქართველოსთვის.

იოანე მინჩხის, გიორგი ჭყონდიდელის, ამბროსი ხელაიას, ვერიკო და ბურაბ ანჯაფარიძეების, სერგი დანელიას, სერგი ჯიქიას, ევგენი გეგეჭკორის, ლავრენტი ბერიას, მიხეილ და დავით კვესელავების და სხვათა სამკვიდრო, გუშინდელი ჭყონდიდი და დღევანდელი მარტვილი ბევრ ისეთ „ხემაჯღვერებს“ იცნობს, თავიანთი მოღვაწეობით წარუშლელი კვალი რომ დატოვეს. მათ შორის ნათელ სახეებად გამოირჩევა ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ალექსანდრე მონერელიას პირმშო ირაკლი მონერელია, იდეებით აღსავსე პიროვნება, რომელმაც თავისი გამგებლობის უამს ბევრი რამ გააკეთა მარტვილის აღმშენებლობისათვის და წარუშლელი კვალი დატოვა.

ეროვნული მუხტის მქონე, სიახლეების მუდმივად მაძიებელ კაცს, ირაკლი მონერელიას წელს 80 წელი შეუსრულდებოდა.... მარტვილი და ფოთი იყო მისი დიდი ორგანიზატორობისა და შემოქმედების კერა და მას სხვანაირად არ შეეძლო.

მარტვილელებმა, ყველა ხელმძღვანელისადმი მკაცრი შეფასებით გამორჩეულებმა, გულდიად შეიყვარეს ირაკლი მონერელია, როგორც შემოქმედი ორგანიზატორი, მკაცრი, მაგრამ გულისხმიერი და მართალი მმართველი.

კარგად მახსენდება, ჩვენი შეხვედრების დროს, ფოთისთვის სახელის გადარქმევის გამო ერთ პერიოდში ატეხილი აჟიოტაჟი და ირაკლის შეუპოვარი პოზიცია ამ უსაგნო დისკუსიის მიმართ. ირაკლის ეკუთვნოდა იდეა

„ჭყონდიდობის“ დღის დაარსებასთან დაკავშირებითაც, რომელიც შემდგომ ვაჟა აბაკელიას ძალისხმევით განხორციელდა მარტვილში და ეს დღე 25 სექტემბერი გამორჩეულ სახალხო დღესასწაულად იქცა საქართველოსათვის.

ირაკლი მონწერელიას მემკვიდრე ალექსანდრე მონწერელია სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის გუბერნატორი იყო და ახლა, როგორც საქართველოს პარლამენტის წევრი იბრძვის უკეთესი საქართველოსა და სამეგრელოსათვის.

მე, როგორც მარტვილის საპატიო მოქალაქე, დაბეჭითებით ვუჭერ მხარს მარტვილის საზოგადოებრივი აზრის გამოხატვას, ირაკლი მონწერელიას სახელი დაერქვას მისი ინიციატივით და დიდი ძალისხმევით შექმნილ მარტვილის სანაპიროს, რათა ის დარჩეს აღმშენებლობის განმახორციელებლის სახელად და ძეგლად საზოგადოებისათვის. მარტვილი, ფოთი და ირაკლი მონწერელია განუყრელები არიან. ირაკლი იყო, არის და იქნება.

### **იგორ კვესელავა**

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, სტუ-ს პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსი, სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი - აკადემიკოსი, მარტვილის საპატიო მოქალაქე



ირაკლი მონწერელია გმირ დედა მარგო ჩიქვანაიასთან ერთად





ქ. ფოთის ხელმძღვანელებთან ერთად



მარტვილი, ირაკლი მონწერელია სტუმრებთან ერთად



ირაკლი მონჯერელია

## უამოქმადი კახი

ირაკლი მონწერელია სტუდენტობის წლებში გავიცანი. ჩვენ თანატოლები ვიყავით და 1960 წელს, ცხრამეტი წლის ასაკში, ერთდროულად ჩავირიცხეთ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგროქიმიკ-ნიადაგმცოდნეობის სპეციალობაზე. გაცნობის პირველი დღიდანვე ჩვენი დაახლოება თავისთავად და ბუნებრივად მოხდა, რომელიც შემდგომ დიდ მეგობრობაში გადაიზარდა და სიცოცხლის ბოლომდე ერთმანეთთან მჭიდრო კავშირი არ გაგვინწყვეტია.

ირაკლი ტრადიციულ, ქართულ ოჯახში გაიზარდა, სადაც მაღალი ინტელექტი, ზნეობა, პატრიოტული სულისკვეთება, ეროვნული საკითხებისადმი დიდი ზრუნვის და პასუხისმგებლობის ატმოსფერო სუფევდა. მისი მშობლები - ქალბატონი ნადია გუჯაბიძე და პროფესორი ალექსანდრე მონწერელია ჩვენი სამეცნიერო ინტელიგენციის ცნობილი წარმომადგენლები იყვნენ და დიდი ავტორიტეტით და პატივისცემით სარგებლობდნენ საზოგადოებაში. ბუნებრივ მონაცემებთან ერთად მშობლების კეთილისმყოფელმა გავლენამაც ი. მონწერელიას პიროვნებაში პატიოსნება, პრინციპულობა, სამართლიანობა, განათლებისადმი მუდმივი სწრაფვა განაპირობა, რაც ნათელ ბოლად გასდევდა მთელ მის საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

ირაკლი მონწერელიამ ცხოვრების საინტერესო და შინაარსიანი გზა განვლო. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მან მოღვაწეობა გააგრძელა სამეცნიერო სფეროში და დაუღალავი შრომით მოკლე დროში ჩამოყალიბდა, როგორც თავისი დარგის ზედმიწევნით მცოდნე, მაღალი რანგის პროფესიონალი, იყო მრავალი სამეცნიერო შრომის ავტორი, წარმატებით დაიცვა დისერტაცია, მინიჭებული ჰქონდა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

ნიჭიერმა, მიზანსწრაფულმა და მრავალმხრივი ცოდნით აღჭურვილმა ახალგაზრდამ იმთავითვე მიიპყრო საზოგადოების ყურადღება. იგი დანინაურებულ იქნა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე ჯერ ქ. ფოთში, შემდეგ კი წლების განმავლობაში წარმატებით ხელმძღვანელობდა ყოფილი გეგეჭკორის (დღევანდელი მარტვილის) რაიონს და დიდი წვლილი შეიტანა მისი ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტაში. მარტვილელებს დღესაც კარგად ახსოვთ და კეთილად იგონებენ ირაკლი მონწერელიას მმართველობის წლებს.

ირაკლი მონწერელია, როგორც ფოთში დაბადებული და აღზრდილი, თავისი მშობლიური ქალაქის დიდი პატრიოტი და გულშემატკივარი იყო. მას ყველაზე რთულ და მძიმე პერიოდში მოუხდა მუშაობა ქალაქის პირველი ვიცემერის პოზიციაზე და კოლეგებთან ერთად დიდი ძალისხმევა გასწია ქალაქში მდგომარეობის სტაბილიზაციის, პოლიტიკური

სიტუაციის დაწყნარების, ეკონომიკის აღდგენისათვის. განსაკუთრებით ფასეული იყო მისი, როგორც საქმეში ღრმად ჩახედული ექსპერტის, მოსაზრებები ე. ფოთის სპეციფიკურ პირობებში ჰიდროლოგიური რეჟიმის რეგულირების და ქალაქის ინფრასტრუქტურის ფუნქციონირებასთან მისი ოპტიმიზაციის შესახებ.

წარმატებული საზოგადოებრივი მოღვაწეობის პარალელურად, ირაკლი მონწერელიამ, როგორც ყოველხრივ მონწესრიგებულმა კაცმა, შექმნა შესანიშნავი ოჯახი და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მეუღლესთან, ქალბატონ ნუნუ ბჟულავასთან ერთად ქვეყანას აღუზარდა ორი შვილი, რომლებიც ჩვენი საზოგადოების ღირსეული წევრები არიან.

ირაკლი მონწერელია ჩემი თაობის მართლაც გამორჩეული წარმომადგენელი იყო, უანგარო მამულიშვილი, უღალატო მეგობარი, ქვეყნის და საზოგადოების წინაშე ვალმოხდილი კაცი.

**ომარ კილასონია**



მარტვილი, ირაკლი მონწერელია სტუმრებთან ერთად



\* \* \*

ყველა ღვანლმოსილ ადამიანს აქვს ფსიქოლოგიური პორტრეტი, რომელშიც შესისხლხორცებულია მისი ბუნება, ხასიათი, შეხედულებები, ქცევისა და მოქმედების ფორმა და შინაარსი. ჩემებური გაგებით, ასე იყო გამოკვეთილი ირაკლი მოწერელიას ფსიქოპორტრეტი და ის გამომდინარეობდა მისი მთლიანი ცხოვრების შინაარსიდან, პრაქტიკული მოღვაწეობის შრეებიდან და ნაკვები იყო მისი ინდივიდუალური თვისებებითა და მოქმედების წესით.

ყოველი პიროვნება რაღაც ინდივიდუალობის მატარებელი და გამომხატველია. ირაკლისათვის ასეთი თვისებრივი მახასიათებლები, რაზედაც მისი ცხოვრება იდგა, იყო ქართული ტრადიციული ღირებულებები: ქვეყნისადმი ერთგულება, მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა, ოჯახის სიყვარული, მეგობრობის ნაღდი ნიჭი (განსხვავებით პოლიტიკაში დამკვიდრებული ფორმალური მეგობრობისა). ის შემზრდილი იყო მშობლიურ მინას, აქაური ადამიანების ზნეობასა და თვისებებს.

ირაკლი წარმატებული პიროვნება გახლდათ (როგორ მენანება მისი წარსულში აღქმა) - ცოცხალი პრაქტიკულ საქმიანობაში, ადამიანებთან ურთიერთობაში, პირად ცხოვრებაში, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში. იგი გამოირჩეოდა სინამდვილის ობიექტური ხედვით, მიზნის მისაღწევად რეალურ საშუალებათა ძიებით. მეხსიერებაში შემომრჩა მისი სურვილ-მოსაზრებები მაშინ არსებული პრობლემებისა და აუცილებლად გადასაწყვეტი მიმდინარე საკითხების მიმართ - მათი სიღრმისეული ხედვითა და გათავისებით.

ჩვენ ერთი ეპოქის და ერთი თაობისა ვიყავით და როგორც კოლეგები, ერთ საქმეს ვემსახურებოდით. ვაცს განსაკუთრებით თავისი „თანამესაუკუნე“ მოსწონს და ახსოვს, თორემ სხვა დროს დაბადებული მისთვის მაინც შორებლად ითვლება. მხოლოდ თავისდროინდელთან შეუძლია მას სრულფასოვანი ურთიერთობა, მუშაობა და იმდროინდელი ეპოქის სრულად გათავისება. ადამიანთა ურთიერთობის ნებისმიერი გამოვლინება ხომ მათი აღზრდის პროცესიცაა, რადგან ჩვენ ყველანი ერთმანეთისაგან ვსწავლობთ მეტ-ნაკლებად.

ცხოვრების თანამგზავრი ადამიანებიდან უმრავლესობა უმნიშვნელო კვალს გვითრევს, ზოგი კი დიდხანს გვამახსოვრდება, როგორც ჩვენს შემთხვევაში ირაკლისთან მიმართებისას. რაოდენ მნიშვნელოვანია თითოეული მათგანის სახე მთელი პირადი ცხოვრების სარკიდან არეკლილი. არადა, ეს ის სარკეა, რომელშიც მრავალრიცხოვან გარშემოწოდებთან ერთად საკუთარ თავსაც ვხედავ. ადამიანებში კეთილი და



სუფთა გულის გამორჩევა საკმაოდ ძნელია, მაგრამ სასიამოვნოდ მაგონდება ირაკლისთანა წრფელი გულისა და გახსნილი ბუნების ადამიანები.

ირაკლი მონერელია იყო მთლიანი პიროვნება - არა გაორებული, მრავალსახა, არამედ ერთი რწმენისა და პოზიციის მსახური, რომელთაც ვერც უღალატებდა და ვერც ფორმალურად მოეკიდებოდა, როგორც ეს შემდგომ ბოგიერთმა ჩვენმა კოლეგამ და პოლიტიკურმა მუშაკმა გამოავლინა. ირაკლის, მისი უნარ-ჩვევებიდან გამომდინარე, წლების განმავლობაში არ მოკლებია არც თანამდებობები და არც რეგალიები, სხვადასხვა რანგში თავკაციც იყო და მრავალთათვის დასაყრდენი ძალაც, მაგრამ ბევრ ჩვენს კოლეგასთან ერთად, დღევანდელი „ვაილიდერებისაგან“ განსხვავებით, არც პირადი კომფორტი და არც ფეშენებელური საცხოვრისი მოუწყვია. ის ყოველთვის დაუღალავად აკეთებდა მინდობილ საქმეს და ამით უანგარო წვლილი შეჰქონდა რაიონის, ქალაქის თუ ქვეყნის შენებაში.

ირაკლი განსაკუთრებით გამოირჩეოდა კოლხური ბრდილობითა და სიდარბაისლით, ჩაცმის კულტურით, ქცევის მანერით, საჭირო დროსა და გარემოცვისას უწყინარი იუმორის გრძნობით. ეს იყო ჩვენი წრფელი ურთიერთობების წლები, კოლეგიალური მოღვაწეობა, მეგობრული სითბოთი ნაკვები ყურადღება და ერთმანეთის პატივისცემა.

დასრულდა ეპოქა! ამ ქვეყნიდან ირაკლივით წავიდა იმ დროის ბევრი ადამიანი, მაგრამ დარჩენილებს გვაკავშირებს სასიამოვნო მოგონებანი მათზე, საერთოდ წარსულზე, რომელიც ჩვენი ისტორიაა და რომელსაც ნაკლიც საკმაო ჰქონდა და უპირატესობანიც. ისტორიის გაყალბება დანაშაულია შთამომავლობის წინაშე - არც მისი შელამაზებაა საჭირო და მით უფრო, არც გაშავება.

კარგად დახარჯული სიცოცხლეა დღევანდელი ცხოვრება. უკვდავნი არ იბადებიან, მაგრამ ისე უნდა მოკვდე, რომ დარჩენილთა ხსოვნაში იცოცხლო. ერთადერთი, რასაც სიკვდილი ვერ ერევა, ეს სახელია. კაცის სახელოვნება - როცა ადამიანი ფიზიკურად ქრება, მაგრამ მისი სახელი, როგორც ირაკლის შემთხვევაში, არც არასოდეს კვდება.

როცა ირაკლი მახსენდება, თითქოს აღმატებული ენერგია მემატება - ცხოვრებისეული, პრაქტიკული, არამოჩვენებითი, გულწრფელი. ვგრძნობ, რომ თითქოს უფრო ღრმად ვიხედები ჩემი კუთხის ადამიანების გულსა და გონებაში, ამ კუთხის წარსულსა და აწმყოში. უფრო ვკოლხდები, ვივსები მეტი ადამიანობით, მოყვასისადმი სიყვარულით, პატივისცემით და თანაგრძნობით. ამიტომაც ვიხსენებ მას სიყვარულით და პატივისცემით.

**რაულ ჯახია**

## ირაკლი მონერელიას მოსაზრება

ზამთრის მიწურულია. 2021 წელი დგას. უკვე თითქმის ერთი წელი გადის, რაც მსოფლიოში covid 19 ბობოქრობს. ადამიანებს შორის პანდემიისაგან დეფორმირებული ურთიერთობები ქმნიან მოსაწყენ ერთფეროვნებას. ადამიანი შიშით გაჰყურებს მომავალს. ვემშვიდობებით უამრავ ჩვენთვის ძვირფას სახელებს და უძღურების განცდა არ გვტოვებს. ასეთ დროს გულად და ჭკვიან ხალხს, რომლებსაც მიზნად დაუსახავთ, დაარღვიონ მიმდინარე ერთფეროვნება და საკუთარი ენერჯით ძალა შეჰმატონ საზოგადოებრივ თანაცხოვრებას, გაუჩნდათ აზრი, რომ აღვნიშნოთ ჩვენი უდროოდ გარდაცვლილი მეგობრის, საერთო ეროვნული მნიშვნელობის მოღვაწის ირაკლი მონერელიას დაბადებიდან 80 წლისთავი. ეს მნიშვნელოვანი ფაქტია. პირველი იმიტომ, რომ გავისხენებთ და პატივს მივაგებთ ჩვენს კარგ მამულიშვილს, ვაჟკაცს, რომელმაც თავისი შრომით და მოღვაწეობით კეთილი კვალი დააჩნია ჩვენს საერთო საცხოვრისს და მეორე, სევდით მოცული ერთფეროვანი ყოველდღიურობა ცოტა მაინც გამოაცოცხლოს და მიანიჭოს მიზანდასახულების საზღვრისი.

„ისტორიის შექმნა ერთეულების ხვედრია, ისტორიაში მონაწილეობა კი თითოეული ჩვენგანის ვალდებულებაა“, ალბერ კამიუს ეს სიტყვები მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ჩვენ თანამედროვე ადამიანზე ვმსჯელობთ. მართლაც ასე ჩვენ ყველანი ისტორიის მონაწილენი ვართ და ჩვენი შესაძლებლობით ვტოვებთ საკუთარ კვალს მის წიაღში. საქმე ისაა, რომ ყველანი ვმონაწილეობთ ჩვენს სოციუმში მიმდინარე პროცესებში, მაგრამ ცოტას შეუძლია ეს ყოველდღიურობა მომავლის პრიზმაში გაიაზროს და მას დაუქვემდებაროს თავისი საქმიანობა. ხოლო ის, თუ რამდენად ხდები შენი ეპოქის მთავარ მიზანდასახულებათა მატარებელი, განაპირობებს შენს ადგილსა და როლს საზოგადოებაში. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ირაკლი მონერელია ის კაცი იყო, რომლისთვისაც ანმყო, მიმდინარე რეალობა, რომელშიც ყველანი ჩვენ ვცხოვრობდით, არსებული ყოველდღიური რუტინა კი არა, არამედ მომავალი აქტივობებისათვის მომზადების პერიოდი იყო. იგი თავის ყოველდღიურობაში მუდმივად სამომავლო პრობლემებს გაიაზრებდა და მათი გადაწყვეტის გზებს ეძებდა. ამიტომ მისი საქმიანობა შორს იყო ერთჯერ კარგად ათვისებულის მუდმივი გამეორებისაგან. იგი მუდმივად პრობლემების დაძლევის ახლებური ხერხებისა და მეთოდების ძიებაში ჩართული, ახორციელებდა შემოქმედებით აქტივობებს, რომლის საშუალებითაც ცდილობდა შეეცვალა არსებული გარემო. უკეთესი პირობები

შეექმნა მომავალი თაობებისათვის. ასეთი შემოქმედებითი მიდგომა ჩვეულებრივი სასიცოცხლო ბუნებრივი გარემოსადმი მისი ცხოვრების წესი გახდა. „იაზროვნე გლობალურად და იმოქმედე ლოკალურად“, ბატონი ირაკლის მოქმედების პრინციპი იყო. იგი თავის ყველა საკეთებელს ხედავდა ფართო კულტურულ-ისტორიული მასშტაბიდან და მოქმედებდა შესაძლებლობების ფარგლებში.

ამიტომ ირაკლი მოწერელია არ ხელმძღვანელობდა პოლ ბოდლერის პრინციპით - „შემოქმედებითი აქტივობა აქცევს ჩვენ რუტინულ ყოველდღიურობას მომავალზე ორიენტირებულ თანამედროვეობად“. მას ეს არ სჭირდებოდა, ყოფითი პრობლემებისადმი ინოვაციური და შემოქმედებითი მიდგომები, უბრალოდ, მისი ცხოვრების წესი იყო. მას სხვანაირად არ შეეძლო. მუდმივად ეძებდა სიახლეებს და ცდილობდა ყველაფერ ჩვეულებრივში, რომელსაც ადამიანები შეეჩვივნენ და გვერდს ისე უვლიან, როგორც ღვთისგან ბოძებულ მოცემულობას, ეპოვნა მათი გაუმჯობესების, გაკეთილშობილების გზები და ფორმები.

იმას, რასაც ახლა ვამბობ ირაკლი მოწერელიაზე, ეს ყველაფერი, მასთან ჩემი პირადი მეგობრული ურთიერთობისა და სამსახურებრივი თანამშრომლობის, ერთად საქმიანობით წარმოქმნილი რეფლექსიიდან გამომდინარეა. უბრალოდ, ეს ჩემი დაკვირვებისა და განზოგადების შედეგია. ჩვენ ერთად ვმუშაობდით ქალაქ ფოთის მერიაში, შემდეგ კი საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეთევზეობის დეპარტამენტში. ორჯერ ვიყავით სამსახურეობრივი პარტნიორები სხვადასხვა ადგილზე და განსხვავებულ სფეროში. ასეთი პიროვნული სიახლოვე კი უფლებას მაძლევს გამოვთქვა საკუთარი აზრი ბატონი ირაკლის შესახებ.

ყოველთვის მხიბლავდა მისი უკომპრომისობა გამოვლენილი სიმახინჯეების მიმართ. სულ ერთია ვისგან მომდინარეობდა იგი და მისი მახვილი თვალის მიერ შემჩნეული ის დეტალები, რომლებიც მისი ძალისხმევით შემდგომი ჩვენი საქმიანობის ქვაკუთხედი ხდებოდა. მაგალითად, ფოთის წყალსადენი, სასმელ წყალს ტეხურის ფილტრებიდან იღებდა, ნოსირიდან ფოთამდე წყლის გადმოსვლას რამდენიმე (10-მე მეტი) ტუმბო ემსახურებოდა. ქალაქი იღებდა უმაღლესი ხარისხის სასმელ წყალს. ასეთ დროს ბატონი ირაკლის თაოსნობით ქალაქმა დაიწყო საქმიანობა მარტვილის რეგიონიდან თვითდინებით ახალი ალტერნატიული წყალსადენის მშენებლობაზე. ეს ხდება 1993 წელს, იმ დროს, როდესაც ადამიანები მხოლოდ იმით არიან დაკავებული, თუ როგორ გაიტანონ შეჭირვებული წუთისოფელი და სამომავლო პროექტები უბრალოდ ფუჭ ოცნებათა რიგს განეკუთვნებოდა. ასეთ დროს ირაკლის მენეჯერული უნარებისა და ენერგიული მოქმედების წყალობით, ფოთის ახალი წყალსადენის იდეამ ხორცი შეისხა და იგი ბატონი ირაკლის დიდი

ძალისხმევით განხორციელდა. ასეთივე მაგალითები ბევრი შეიძლება გავიხსენოთ, რადგან ბატონი ირაკლი მძაფრად გრძნობდა მომავალზე გათვლილი ამოცანების საჭიროებებს და მისი მდიდარი გამოცდილება კარნახობდა მას მათი გადანყვეტის გზებს.

თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ირაკლი მოწერელია ისეთი ადამიანების რიგებიდან იყო, რომელთათვისაც ძნელად მისაღებია ყოველდღიურობის მიერ შემოთავაზებული რუტინა და ცდილობენ საკუთარი აქტივობის ხარჯზე გაამრავალფეროვნონ, მიანიჭონ შემოქმედებითი მუხტი მიმდინარე პროცესს. საქართველოს რეალობის კარგი მცოდნე, ღრმად განათლებული მეცნიერი, თავის დაუშრეტელ ენერჯიას მუდამ მიმართავდა აქტუალური და მნიშვნელოვანი პრობლემების გადანყვეტისაკენ. იგი სრულიად ახალგაზრდა ჩაერთო ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობის საზოგადოებრივ საქმეში, როგორც ქალაქ ფოთის ახალგაზრდობის თავკაცი, თუ მარტვილის ისტორიული რეგიონის ხელმძღვანელი. შემდეგ ქალაქ ფოთის პირველი ვიცე მერი, მუდმივად ზრუნავდა საზოგადოებრივი მნიშვნელობის პრობლემების გადანყვეტისათვის. მისთვის ამოსავალი იყო სამშობლოსა და ხალხის მსახურება და ასეთ აქტივობაში ხედავდა იგი დღევანდელი კავშირს მომავალთან. ამიტომ მისი ყოველდღიური საქმიანობა მუდამ მიზანდასახული და აზრით დატვირთული იყო. ამიტომ მის მენეჯერულ წარმატებებზე საუბარს აღარ გავაგრძელებ, რადგან მჯერა, რომ ეს სერიოზული, სპეციალური კვლევის საგანია და ამის დრო აუცილებლად დადგება. მაგრამ თავს ვალდებულად ვთვლი, ამ მოკლე მემორიალურ წერილში მასზე რამოდენიმე სიტყვა მაინც ვთქვა, სადაც მისი სხვა არანაკლებ მნიშვნელოვან თვისებებს შევეხები.

ირაკლი მოწერელიას პროფესიული საქმიანობა ერთგვარად განაპირობა მისი სიჭაბუკის დროს კოლხეთში მიმდინარე დიდმა სამეურნეო პროცესებმა, რომელზე დაკვირვებამაც დაანახა მას ახალი საინტერესო საქმიანობების მთელი კომპლექსი. ამას ემატებოდა მასში სიჭაბუკიდანვე გაჩენილი მშობლიური კუთხისადმი დიდი სიყვარული, საიდანაც იგი მთელ სამყაროს ხედავდა ქართველი ხალხის ერთიანი საცხოვრისის გაუმჯობესებისთვის. შესაბამისად, იგი გულგრილი არ დარჩა კოლხეთის დაბლობზე მიმდინარე სამეურნეო ცვლილებებისადმი და დაუოკებელი სურვილი გაუჩნდა მონაწილეობა მიეღო ამ გარდაქმნებში. მისი ეს ინტერესი იმითაც იყო გამტკიცებული, რომ მამამისი, ბატონი ალექსანდრე მოწერელია კოლხეთის დაბლობის ავტორიტეტული მკვლევარი და იქ მიმდინარე სამეურნეო პროცესების მეცნიერ-კონსულტანტი, დიდი პედაგოგიური ტაქტიკითა და ერუდიციით აყვარებდა მას კოლხეთის სამეურნეო მნიშვნელობას, აცნობდა დაჭაობებული ადგილების რეკრეაციის თანამედროვე მეთოდებს და ა. შ. ყოველივე ამას დაემატა ახალგაზრდა ირაკლის დიდი შრო-

მისმოყვარეობა და ნიჭიერება, რამაც ერთიანობაში საშუალება მისცა მას ჩამოყალიბებულიყო მაღალი კვალიფიკაციის ნიადაგმცოდნედ და კოლხეთის დაბლობთან დაკავშირებული მრავალი სამეურნეო წამონწყების ინიციატორად. ირაკლი მონერელია ასევე კარგად იცნობდა საქალაქო მეურნეობის ინფრასტრუქტურის ფუნქციონირების ურთულეს საკითხებს. მან ბედმიწევნით კარგად იცოდა, თუ რა სჭირდებათ ადამიანებს ნორმალური სოციალური თანაცხოვრებისათვის. როგორ უნდა ფუნქციონირებდეს ქალაქში სამართალდამცავი ორგანიზაციები, ჯანმრთელობის და განათლების სისტემები, დასვენების კერები. ამიტომ, არცთუ იშვიათად, ირაკლის მიმართავდნენ რჩევისათვის სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ადამიანები და მისგან სასარგებლო რჩევებს იღებდნენ. მისთვის უცხო იყო ზერეულე და ნაჩქარევი გადაწყვეტილებები და პირველადი შთაბეჭდილებების საფუძველზე გაკეთებული დასკვნები. იგი საკითხებს იხილავდა გულდასმით, მრავალ სპეციალისტთან კონსულტაციის შემდეგ იწყებდა დასახული ამოცანის გადაწყვეტის გზების ძებნას. ამავე დროს, როდესაც რაიმე საკითხში ღრმად იყო დარწმუნებული, იგი ხდებოდა შეუვალი და დანყებული საქმის ბოლომდე მისაყვანად ყველა წინააღმდეგობისადმი შეუპოვარი.

ბატონ ირაკლის დიდი სამეგობრო ჰყავდა. ყველასადმი გულითადი ურთიერთობით ხასიათდებოდა. უადრესად სტუმართმოყვარე ოჯახშიც ხშირი იყო სტუმრიანობა და ამიტომ იგი თვითონ აყენებდა ღვინოს. მისი საფერავი და რქანითელი მთელ სამეგობროში განსაკუთრებული განსჯის საგანი იყო. იგი ღვინოს აყენებდა ღვინის ტექნოლოგიის სრული დაცვით. ღვინოსთან სერიოზული და ტრადიციული დამოკიდებულება მან მარტვილის რაიონის მეთაურობისას შეიძინა, სადაც მისი ინიციატივით გააშენეს ოჯალეშის მოზრდილი ზვარი და კარგ ღვინოსაც აყენებდნენ. ის ბევრს ფიქრობდა კოლხური ვაზის ჯიშების გამწვანების საკითხზე. ჰქონდა კონკრეტული წინადადებებიც, ტორფით გამდიდრებულ ფერდობიან ნიადაგებში კოლხეთისათვის ისტორიულად დამახასიათებელი ჯიშების გამწვანების შესახებ. ამისათვის მას სანერგე მეურნეობის შექმნა უნდოდა, მაგრამ ავადმყოფობამ შეუშალა ხელი. ასევე ცდილობდა შეექმნა სანარმო, რომელიც გაზონებისათვის დეკორაციული ბალახების ფორმირებულ ბელტებს დაამზადებდა ქალაქგანვითარებისათვის. სიტყვამ მოიტანა და აქვე ვიტყვი, რომ ირაკლი მონერელია ძალიან კარგი თამადა იყო. მისთვის უცხო არ იყო მეგობრების წრეში იმიტაციები, სხარტი, მოსწრებული რეპლიკები და სიტყვაკაზმული ჩანართები. ისიც უნდა ითქვას, სუფრაზე უადრესად ზომიერი (არა თუ მთვრალი, ნასვამიც იშვიათად უნახავს ვინმეს), თამადაობდა მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში, საკუთარ ოჯახში თავის დაყენებულ ღვინოზე და მაშინ, თუ ახლობლების თხოვნით ამ საქმეს თავიდან ვერ აიცილებდა.



უსაზღვროდ უყვარდა ბატონ ირაკლის თავისი მშობლიური ქალაქი. მუდამ ზრუნავდა მასზე და მისი ყველა ტკივილი სტკიოდა. მონმე ვარ, რა დიდ ყურადღებას იჩენდა იგი საქალაქო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის. ის პირველი იყო, ვინც გვერდით დაუდგა დედა ეკლესიას და იზრუნა ნიკო ნიკოლაძის ჩანაფიქრის ასრულებისათვის. ფოთის სახელმწიფო თეატრის შენობამ კვლავ დაიბრუნა პირვანდელი ფორმა და დღეს იქ საკათედრო ტაძარი ფუნქციონირებს. ამავე დროს, მისი პრინციპული ხასიათიდან გამომდინარე, იგი ვერ ეგუებოდა ფოთისადმი, მისი აზრით, დაუმსახურებელი მნიშვნელობის მინიჭებას, ქალაქის გადაჭარბებულ აპოლოგიას და ცდილობდა ზომიერების ფარგლებში წარმოედგინა ქალაქის განვითარების ყველა კულტურულ-ისტორიული საკითხი. ამიტომ ძველი ფაზისის საკითხებზე პოლემიკაშიც კი ჩაება და რაციონალურ ჩარჩოებში ჩააყენა ზოგიერთი ფოთელი პატრიოტის გადაჭარბებული, დილეთანტიზმში გადასული წარმოდგენები ქალაქის ისტორიაზე.

ახლა, როდესაც ბატონი ირაკლი ჩვენს გვერდით აღარაა, როდესაც ქვეყანაში COVID 19-ის პანდემია მძვინვარებს, ყველა მისი ახლობელი, მისი დიდი სამეგობრო გრძნობს, თუ რა დიდი საყრდენი დაკარგა, განიცდის შესანიშნავი ვაჟკაცის, ირაკლი მოწერელიას გადასვლას დიდ სოფელში და სჯერა, რომ მისი სული იქაა დავანებული, სადაც მართალნი განისვენებენ.

### **დავით იაკობიძე**

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი  
პროფესორი

## საქართველოს შვილი

წინამდებარე წიგნი ირაკლი მონწერელიას მეგობართა ინიციატივით გამოიცა. მეგობრებმა, კოლეგებმა, ასევე ფართო საზოგადოების წარმომადგენლებმა, ვისაც ირაკლი მონწერელიასთან ურთიერთობა ჰქონია, გულწრფელად და მონივნით გამოთქვეს საკუთარი შეხედულებები მასზე, მის თვისება-ღირსებებზე, მოქალაქეობრივ და სახელმწიფოებრივ პოზიციებზე, სხვადასხვა ფორმით გამოხატეს მადლიერებაც, პატივისცემაც, აღიარებაც.

მასზე საუბრისას ვითვალისწინებდით არსებულ რეალობას, რომელიც ხასიათდება ისეთი კონტრასტული თავისებურებებით, როგორცაა: პიროვნების (მოღვაწის) შეფასების ურთიერთგამომრიცხავი კრიტერიუმები, მადლიერება-უმაღურობის ფონზე შიშველი სუბიექტივიზმის გავლენით სოციალისტურ სისტემაში მოღვაწე მამულიშვილების საზოგადოებაში, ქვეყნის ისტორიაში როლისა და ადგილის განხილვა-შეფასების დამკვიდრებული სტილი, რომელიც განსაკუთრებული სიმძაფრით, მასშტაბით გამოვლინდა ქვეყნის განვითარების მიმდინარე პროცესებში. ნიჰილიზმის, ახალი ტიპის მედროვეთა, „ხელწერის“ - თვითგვემის - ყოველივე უცხოურის მიმართ გაუცნობიერებელი ნდობის (რაც, სამწუხაროდ, ჩვენთვის გენეტიკური მანკიერებაა), დამკვიდრების მცდელობით შეიქმნა წარსულის, ეროვნულ ფასეულობათა უგულვებელყოფის, კერძო, საერთო და სახელმწიფო ინტერესების დაპირისპირების, განვითარებაში პოზიტიურისა და ნეგატიურის აღრევის ხელშემწყობი გარემო. ასეთია სინამდვილე, რომელიც ჩვენს თვალწინ ჩამოყალიბდა. ვხედავთ, რომ ცხოვრება იცვლება, ასევე - სამყაროც, მასთან ერთად ადამიანების შეხედულებებიც, საზოგადოებრივი ურთიერთობებიც და, ბუნებრივია, წარსულისადმი დამოკიდებულებაც. ამასთან რწმენის შერყევის, მშობლიური ენის დაკნინების, შრომისადმი ამპარტავნული დამოკიდებულების, ყოველივე ეროვნულის გლობალურ პროცესებში ათქვეფის საფრთხეც, სამწუხაროდ, რეალობაა.

ასეთ დროს, როცა ქვეყანას და მით უფრო მსოფლიოსაც გაურკვევლობა წარმართავს, როცა საზოგადოებას სიბრძნეც გაეფანტა, ქვეყნის (მისი ისტორიის) წინაშე პასუხისმგებლობაც მოდუნდა (დანანევრდა) გვემართებს, მყარად დავდგეთ უმთავრეს პრინციპზე - „წარსული მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო მომავლისა. ეს სამი სხვადასხვა ხანა, სხვადასხვა ჟამი ერის ცხოვრებისა ისეა ერთმანეთზედ გადაბმული, რომ ერთი უმეოროდ წარმოუდგენელია, გაუგებარი და გამოუცნობია“ (ილია).

წინამდებარე წიგნის მიზანია ჩვენი მეგობრის ცხოვრებისა და მოღვაწეობის თუნდაც მოკრძალებულად წარმოჩენამ ხელი შეუწყოს ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას - ერის დამსახურებული ადამიანების ღვაწლის ობიექტურად შეფასების ეროვნული (ისტორიული) მნიშვნელობის გაცნობიერებას.

მიგვაჩნია, რომ თითოეულ ღირსეულ მამულიშვილზე, მიუხედავად იმისა, რომელ ეპოქაში დაიბადა და მოღვაწეობდა იგი, მეისტორიემ მართალი სიტყვა უნდა თქვას, აჩვენოს, რომ მამულიშვილობა (როგორც სტატუსი) უპირველეს ყოვლისა, დროის გამონწვევებთან მუდმივ ბრძოლაში ვლინდება, საზოგადოებრივი მეხსიერებით მყარდება და თაობებს გადაეცემა. ასეთია ცხოვრების განვითარების ლოგიკა.

მამულიშვილობა აღიარების ყველა ფორმას შორის უპირველესია, მით უფრო ქართველისათვის, რომელიც მამულის, ენის, სარწმუნოების - ქართველი ერის განვითარების ამ უნივერსალური ფორმულის სულისკვეთებით იზრდებოდა (იზრდება, გაიზრდება). თითოეული მამულიშვილი ერის წარსულის, აწმყოსი და მომავლის ხიდის საძირკველში „ჩაკირულ-ჩადუღაბებული“ ბურჯია, რომელიც ქართულ ცნობიერებაში ყოველთვის ქვეყნის (სამშობლოს) მდგომარეობის, თავისთავადობის და თვითმყოფადობის სიმბოლოა.

ირაკლი მონწერელიამ ცხოვრებისა და მოღვაწეობის დიდი გზა განვლო. წარმატებული მოწაფე, სტუდენტი, ასპირანტი, მეცნიერ-მუშაკი, პროფესიონალი, სახელმწიფო მოხელე, კომუნისტური პარტიის რაიონული კომიტეტის პირველი მდივანი, ქალაქის მერის პირველი მოადგილე - მისი განვლილი ცხოვრების გამორჩეული შტრიხებია.

ირაკლი მონწერელია უპირველეს ყოვლისა საქართველოს შვილია, ქვეყნის ცხოვრების ერთი ეპოქის - საბჭოთა ეპოქის პირმშო, სოციალისტურ სისტემაში აღზრდილი და საზოგადოებრივ და სახელმწიფო მოღვაწედ აღიარებული, უმაღლესი რანგის პროფესიონალი, რომელიც კოლხეთის დაბლობის თავისებურებების ღრმად შესწავლით ბუნებასთან ურთიერთობის საიდუმლოს ეზიარა და ადამიანებთან დამოკიდებულების მორგებულ გასაღებსაც მიაგნო და საკუთარი ნიჭი, ღრმა ცოდნა, შრომისმოყვარეობა, მოყვასისადმი სიყვარული და სხვა თვისება-ღირსებაც უყოყმანოდ მიუძღვნა მშობლიური ხალხის კეთილდღეობას. მას თანამედროვეთაგან ერთი გამორჩეული ხელწერაც ამშვენებს - სამშობლოს ორ მკვეთრად განსხვავებულ ეპოქაში ერთი და იმავე პოზიციიდან - მამულიშვილის პოზიციიდან ერთგულად ემსახურა ქვეყანას, მის აღმშენებლობას. ამიტომაც, რომ ირაკლი და მისნაირი მოღვაწეები თანაბრად ეკუთვნიან, როგორც ქვეყნის წარსულსა და დღევანდელობას, ასევე მის მომავალსაც. ეს ერთეულთა ხვედრია. ასეთი მოღვაწეები (ერის

კაცები) ყოველთვის საზოგადოების მხრივ ყურადღებით უნდა იყვნენ გარემოსილნი.

წინამდებარე წიგნის დედააზრი და მონოღებაც სწორედ ეს არის. საზოგადოებამ, სახელმწიფომ მამულიშვილებს ჯეროვნად, დამსახურებისამებრ უნდა მიაგოს პატივი - მათ მაგალითებზე იქმნება ქვეყნის ისტორია.

ჩვენ, ირაკლის მეგობრებს გვეამაყება, რომ მასთან ერთად ვმოღვაწეობდით და ვემსახურებოდით სამშობლოს, მის აღმშენებლობას, ქვეყნის ეკონომიკის, კულტურის, განათლების, მეცნიერების წარმატებულ განვითარებას.

### **ნოდარ ჭითანავა**

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,  
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

## ბატონი ირაკლი მონწერელიას ნათელი ხსოვნა

გასული საუკუნის 60-70-იანი წლები დიდი აღმავლობით აღინიშნა საქართველოში, იგი შეეხო ქვეყნის განვითარების ყველა სფეროს. სწავლა-განათლების მიღების დიდ ინტერესს მოჰყვა ეკონომიკის კიდევ უფრო სრულყოფა, ლიტერატურისა და ხელოვნების, სპორტის ყველა სახეობაში მსოფლიო მასშტაბით არნახული წარმატებები.

ქალაქი ფოთი ცნობილია თავისი ისტორიული წარსულით, სახელოვანი, ღირსეული ადამიანებით. რამდენიმე ადამიანის ხსენებაც საკმარისია: ნიკო ნიკოლაძე, მსოფლიო მნიშვნელობის ინჟინერ-მშენებელი ნიკოლოზ ესაკია, კარდიოლოგი ლეო ბოკერია, აკადემიკოსი ცოტნე მირცხულავა, ამ წლების ქ. ფოთის ახალგაზრდობის თავკაცი დემურ ბერაია.

ამ ადამიანების სახელს ამშვენებს სოფლის მეურნეობის ღვაწლმოსილი მუშაკის, კოლხეთის განაშენიანების დიდი მოღვაწის ბატონ ალექსანდრე მონწერელიას სახელი. სწორედ ამ ინტელექტუალურ ოჯახში დაიბადა და აღიზარდა სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე ბატონი ირაკლი მონწერელია. იგი სკოლის დამთავრების შემდეგ მამის კვალს გაჰყვა, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტი ხდება. შემდეგ ერთვება სამეცნიერო საქმიანობაში და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ხდება. ეს იმ დროს ძალიან საპატიო საქმედ ითვლებოდა. შემდგომში იგი ქალაქ ფოთის ახალგაზრდობის ლიდერი ხდება, რომელმაც სახელი და ღირსება მოუტანა. მალე სხვადასხვა საფეხურების გავლის შემდეგ იგი რესპუბლიკის ხელმძღვანელობას გეგეჭკორის (დღევანდელი მარტვილის) პარტიულ ხელმძღვანელად, რაიკომის პირველ მდივნად გადაჰყავთ.

მარტვილის რაიონი დიდი წარსულის მქონეა ღირსეული ადამიანებით, ისეთებით, რომლებმაც დიდი სიტყვა თქვეს ცხოვრების ყველა სფეროში, ლიტერატურაში, ხელოვნებაში, სპორტში. ამ სფეროში რომან რურუასა და მურთაზ ხურცილავას დასახელებაც კმარა. სწორედ ამ რაიონის საქმიანობაში ჩაერთო იგი ენერგიულად, მაშინ სრულიად ახალგაზრდა ირაკლი მონწერელია.

პირველ რიგში მან გამოიხატა საერთო ენა სხვადასხვა დარგში დასაქმებულ ადამიანებთან, გონივრული, ორგანიზატორული საქმიანობით და მალე მათ შორის ავტორიტეტი მოიპოვა. მისთვის დამახასიათებელი იყო შრომისმოყვარეობა, საქმის ცოდნა და ღრმად გარკვევა დეტალებში, მოსმენის უნარი და დიდი ნებისყოფა, უბრალოება, რაც აუცილებელია ხელმძღვანელი პირებისთვის.



ჩვენ, მის კოლეგებს იმ პერიოდში ხშირად გვესმოდა ადამიანების გამოძახილი მის ამ დადებით შედეგებზე, მის მიმართ მხარდაჭერაზე. მან გვერდში დაიყენა გამოცდილი სამეურნეო მუშაკები, ბატონები ზურაბ კიკალიშვილი, კარლო და ნუგზარ სულავები, გუდუ ბერულავა და ბევრი სხვა. მათ მიერ მოპოვებულ წარმატებებს დამსახურებულად მიაწერდნენ ირაკლი მოწერელიას.

ბატონ ირაკლის მარტვილში ათწლიანმა მოღვაწეობამ ამ რაიონს სახელი და დიდება მოუტანა, განმტკიცდა ეკონომიკა, გადანყდა მრავალი სოციალური პრობლემა, დამშვენდა და გალამაზდა რაიონული ცენტრი, ამაღლდა მოსახლეობის კეთილდღეობის დონე. სწორედ ამიტომ, საკმაოდ დიდი პერიოდის გასვლის შემდეგაც მარტვილელები მადლიერებას გამოხატავენ მის მიმართ, მისი განუელი ღვაწლის მიმართ.

ასეთი იყო იგი და ასეთად დარჩება.

## გურამ გუნავა



ირაკლი მოწერელია თანამშრომლებთან ერთად მარტვილის მონასტრის აღდგენითი სამუშაოების დასრულებისას

## განსაკუთრებული

ირაკლის და ჩემი მეგობრობა, მისი საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი საქმიანობის დამთავრების შემდეგ უფრო ახლო და მრავალმხრივი გახდა. ის, თბილისში, მეზობლად ცხოვრობდა და ჩემს სახელოსნოს ხშირად სტუმრობდა, ჩემთან, როგორც არქიტექტორთან, „ამონებდა“ თავის იდეებს და ოცნებების მიზანშეწონილობას.

დიდი ადამიანები გარდაცვალების შემდეგაც კეთილ საქმეებს აკეთებენ. ირაკლიზე მოგონებამ, ქალაქ ფოთის სხვადასხვა დროის ხელმძღვანელები - საქმისადმი თავდადებული ადამიანები გამახსენა, რომლებიც, როგორც წესი, მოღვაწეობას ფოთში იწყებდნენ და ამთავრებდნენ რესპუბლიკის უმაღლეს ინსტანციებში.

ფოთი ელგუჯა ამაშუკელის და ჩემი ქალაქიცაა, არა იმიტომ, რომ მისი საპატიო მოქალაქეები ვართ, არამედ ის იყო ჩვენი წარმატებული შემოქმედებითი არენა: „კოლხეთის დედა“ (1968 წ.), რომელიც არა მხოლოდ ფოთელებმა გაითავისეს და შეიყვარეს, არამედ მთელი კოლხეთის სიმბოლო გახდა. მას ბავშვები ტროტუარებზე, შენობათა ფასადებზე და თავიანთ სახატავ ალბომშიც ხატავდნენ, შემდეგ იყო „გამარჯვების მემორიალი“ - გმირ მეზღვაურთა მემორიალური ანსამბლი მალთაყვაში (1979 წ.) - მიენიჭა სსრკ-ის სახელმწიფო პრემია, ცოტნე დადიანი სამეგრელოს მოედანზე (1996 წ.), რომელიც დიდ ეროვნულ მოვლენად იქცა. ფოთს ამშვენებენ ელგუჯას და ჩემი - ვალერიან გუნიას, ბორის პაიჭაძის და ივანე ჯავახიშვილის ბიუსტები, ასევე მოქანდაკე რეზო ხასიას და ჩემი, გრ. კოკაიას ხეივნის სიმბოლური კომპოზიციები. სამწუხაროდ, განუხორციელებელი დარჩა ჩემი, შოთა ბოსტანაშვილის და მოქანდაკე ვაჟა მელიქიშვილის, მრავალი საერთაშორისო პრემიით აღნიშნული, მალთაყვის ბავშვთა პარკის პროექტი.

ცხოვრების მანძილზე ქვეყნისათვის, თავის ქალაქისათვის თავდადებული არა ერთი ადამიანი შემხვედრია, მაგრამ ირაკლი განსაკუთრებული იყო. მას ფოთი სხვანაირად უყვარდა და სტკიოდა. საოცრად განიცდიდა „მეზღვაურთა მემორიალის“ უპატრონობას, შეუფასებლობას. ითხოვდა მის საფუძვლიან რეაბილიტაციას ყოველწლიური „მიმდინარე კოსმეტიკური რემონტის“ ნაცვლად, აწუხებდა პალიასტომის ტბის პრობლემები, ქალაქის უსახური განაშენიანება, განიცდიდა სანაპირო ზოლის კეთილმოწყობაზე გაღებული სოლიდურ ფინანსებს, რომელსაც სათანადოდ მხატვრული და ეკონომიკური უკუგება არ მოჰყოლია და სხვა.

ირაკლის განსაკუთრებული ინტერესების სფერო იყო პალიასტომის ტბის მიმდებარე ჯუჯა „კუნძულებზე“ ელიტარული სასტუმრო-ვილების მოწყობა, ეთნოგრაფიული კუთხეებით და კოლხური ყოფის ობიექტებით, რომელსაც, მისი ვარაუდით (გაანგარიშებით), მნიშვნელოვანი ეკონომიკური ეფექტი ექნებოდა.

ძალიან გვაკლიხარ, ირაკლი!

### **ვახტანგ დავითაია**

არქიტექტორი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი,  
ამერიკის არქიტექტორთა ინსტიტუტის საპატიო წევრი

## **გულიანი, საქმიანი, კომპაქტუნობური, უმნიკვლო და კორანიერ-კორური ორგანიზაციური**

(ანუ შტრიხები ირაკლი მონერელიას პორტრეტისათვის მისი დაბადებიდან  
80 წელთან დაკავშირებით)

ირაკლი მონერელიას საქმიანი და ადამიანური თვისებების სრული პორტრეტისათვის არათუ ეს მცირე წერილი, არამედ მთელი ტომიც კი არ იქნებოდა საკმარისი, მაგრამ სათაურში გამოტანილი თუნდაც რამდენიმე უნარ-თვისება ნათლად მიუთითებს ირაკლი მონერელიას, როგორც პიროვნებისა და ასევე გამოჩენილი პარტიულ-საზოგადოებრივი მოღვაწის დიდბუნებოვნებაზე.

უხსოვარი დროიდან საქართველოში და მათ შორის კოლხეთში, განსაკუთრებით კი სამეგრელოში ეპითეტი უმნიკვლო გამოხატავდა არა მარტო ადამიანის სიმძინდეს და კეთილსინდისიერებას, არამედ მის ფიზიკურ, გონებრივ და მორალურ-ზნებრივ სრულყოფილებას, ყოველგვარი ნაკლისა და ხინჯის გარეშე. ასევე სიტყვა კორანიერი-კორი, იყო ადამიანის აღმატებით ფორმაში დახასიათების გაცილებით მეტი მახასიათებელი, ვიდრე კარგი, ნაღდი, წესიერი კაცი და ა. შ.

ასეთი იყო ჩვენი საყვარელი კოლეგა, ძმა და მეგობარი ირაკლი მონერელია. იგი საქმეში ბოლომდე იხარჯებოდა, ყველაფერში სულსა და გულს აქსოვდა, არ უყვარდა ზედაპირულობა, მოვალეობის მოხდის მიზნით საქმის კეთება და ამავეს მოითხოვდა ხელქვეითებისაგან.

ომარ ხაიაში ამბობდა: „ადამიანმა თავის სიცოცხლეში სამი რამ მაინც უნდა გააკეთოს, დაწეროს ლექსი, დარგოს ხე და გაზარდოს ბავშვი“. იგი სიტყვა ლექსში ადამიანის შემოქმედებით საქმიანობას გულისხმობდა. ამ მიმართულებით ირაკლი მონერელიას მრავალმხრივ შემოქმედებაზე, რაც მას თავისი სიცოცხლის მანძილზე უკეთებია, არა თუ ლექსი, არამედ პოემა და რომანებიც კი დაიწერებოდა.

რაც შეეხება ხის დარგვას, რაც ირაკლი მონერელიას თავის მოღვაწეობის მანძილზე სუბტროპიკული მცენარეების, ტექნიკური კულტურებისა და ხეხილის პლანტაციები გაუშენებია, მე მგონი „სემირამიდას ბაღებსაც“ კი შეშურდებოდა.

ასევე მან თავის საყვარელ მეუღლესთან, ბრწყინვალე ქალბატონ ნუნუსთან ერთად აღზარდა შესანიშნავი შვილები და ვალმოხდილი ძალზე ნაადრევად წავიდა მარადისობაში.

ირაკლი მონერელიას ბადალი არ ჰყავდა ერუდიციის, ინტელექტისა და კომპეტენტურობის თვალსაზრისით. ეს თვისებები ნათლად გამოჩნდა ყველგან, სადაც კი მას უშუშავია. ეს იყო ფოთის კომკავშირი, საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის პოსტზე, თუ მარტვილის პარტიის რაიონული კომიტეტის პირველი მდივნის, ფოთის აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის, შემდეგ კი, ფოთის ვიცე მერის თანამდებობაზე მუშაობისას.

ვისაც კი უნახავს მარტვილის რაიონში ირაკლი მონწერელია მუშაობისას, რაიკომის პირველი მდივნის საქმიანობის შესახებ გადაღებული დოკუმენტური კინოფილმი, დამერწმუნება, თუ როგორი ავტორიტეტით, სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა ირაკლი მონწერელია რაიონის მშრომელი მოსახლეობის და განსაკუთრებით კი, კოლმეურნე გლეხობას შორის.

წარმატების ფორმულა კი მის კომპეტენტურობაში, არა ადმინისტრაციული მბრძანებლობის მეთოდებით მუშაობაში გამოიხატებოდა. იგი, როგორც პარტიული ლიდერი, ხალხთან ერთად მუშაობდა, უსმენდა მათ, ყურად იღებდა მათ შენიშვნებსა და წინადადებებს. ასე დაჯერების მეთოდებით, ხალხთან ერთად მუშაობით დაიმსახურა მან ხალხის ნდობა, პატივისცემა და სიყვარული.

შემდგომ წარსულს ჩაბარდა მშფოთვარე XX საუკუნე. აღარ არის ის ქვეყანა, რომელშიც ჩვენი თაობის ცხოვრებამ ჩაიარა. შეიცვალა მსოფლიო, საქართველოც შეიცვალა თავისი პოლიტიკური, ეკონომიკური და საზოგადოებრივ-სოციალური წყობით. ადამიანებიც და ცხოვრებაც სულ სხვანაირი გახდა, სახე იცვალა ფასეულობებმა და პრიორიტეტებმა.

ირაკლი მონწერელიას ყოველივე ეს, როგორც ამ ქვეყნის შვილს და პატრიოტს ძალიან ანუხებდა და აქტიურად იღწვოდა განახლებული ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური აღორძინებისათვის, იმისათვის, რომ ყველას გაეთავისებინა ცხოვრებისეული ჭეშმარიტება იმის შესახებ, რომ „ანმყო, შობილი წარსულისაგან არის მომავლის დედა“. რომ არ შეიძლება ქვეყანა დაიყოს ყოფილებად და ახლებად, ახალგაზრდებად და ძველგაზრდებად. ყველა უნდა ჩაებას ახალი საქართველოს მშენებლობის ფერხულში და მოახმაროს მას თავისი გამოცდილება, ცოდნა და უნარი. ამისთვის მან ძალიან ბევრი გააკეთა, როგორც ქალაქ ფოთის ვიცე მერმა და შემდგომში კი, როგორც ქვეყნის ღირსეულმა შვილმა და მოქალაქემ.

ქართული ტევადი სიტყვა გარდაცვალება, სწორედ რომ მიესადაგება რჩეულ პიროვნებებს, როგორიც იყო ირაკლი მონწერელია. ასეთი ადამიანები არ კვდებიან, ჩვენთვის იგი არც მომკვდარა! იგი ჩვენს მეხსიერებაში მუდამ დარჩება, როგორც გულმართალი და ალალი კაცი, კაცი ოქროპირი, სიდარბაისლისა და სისპეტაკის ჭეშმარიტი ნიმუში, რომელმაც მხოლოდ მიაბარა მშობლიურ მიწას თავისი ლამაზი სხეული, ხოლო სული აამაღლა ზეციურ საქართველოში და სამარადისოდ შეუერთა სახელოვან და უკვდავ მამულიშვილთა ღირსეულ კოპორტას.

ღმერთმა გაანათლოს და სასუფეველში ამყოფოს ჩვენი საყვარელი ირაკლი მონწერელიას ლამაზი სული, ამინ!

## ვილენ ალავიძე

საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის აკადემიკოსი, მშვიდობის მსოფლიო ფედერაციის წევრი, მშვიდობის ელჩი, ყოფილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე.



## ირაკლი მონეაქლიას განხილვა

ირაკლი მონეაქლია ამ ქვეყნიდან ადრე წავიდა. შვილებმა და ოჯახმა მის ჯანმრთელობას და მკურნალობას არაფერი დააკლო, მაგრამ, აბა, უკურნებელ სენს რას მოერეოდნენ. ბუნებრივია, ბევრს ვფიქრობ ამ ბოლო დროს მომრავლებულ ფატალურ შედეგებზე, რომელმაც ჩემთვის ძვირფასი ადამიანების სიცოცხლე თან წაიღო და გაუყუჩებელი ტკივილი დამიტოვა, მივედი იმ დასკვნამდე, რომ მათი დიდი ნაწილი მაინც მათივე ბიოგრაფიით, მათ მიერ გადატანილი განსაცდელეებით უნდა აიხსნას. ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი ხომ თვითონ ირაკლი მონეაქლიაა, არადა, ცხოვრების ლოგიკა თავიდან ასეთ რამეს თითქოს გამოირიცხავდა. მისი პიროვნება ხომ არაჩვეულებრივ გარემოში, საყოველთაო აღიარებითა და სიყვარულით გარემოსილ ოჯახში, კოლხეთის მინდიად წოდებული პროფესორისა და ახალგაზრდობის აღმზრდელის ალექსანდრე (ალიოშა) მონეაქლიას ოჯახში ჩამოყალიბდა. ვინც ახლოს იცნობდა ბატონ ალექსანდრეს და მის წვლილს კოლხეთის დაბლობის სახალხო-სამეურნეო ათვისების საქმეში, მის ადამიანურ და მოქალაქეობრივ ღირსებებს, დამსახურებას ჩვენი ქალაქისა და ქვეყნის წინაშე, ვერაფრით ხსნიდა მისი შვილის, მე-10 კლასელი უმშვენიერესი გოგონას ზღვაში დახრჩობის ფაქტს. ეს ტრაგიკული ფაქტი ყველა ფოთელი მოქალაქის საერთო გლოვისა და მწუხარებაში ურთიერთ თანაგრძნობის საგანი გახდა, რომელიც წლების განმავლობაში არ მისცემია დავიწყებას. გასაგებია, რომ ამ შემთხვევამ პირველი უმძიმესი დარტყმა მიაყენა მოზარდი ირაკლის ფსიქიკას. ჩემი და ირაკლის გაცნობა ადრეულ ასაკში, რამოდენიმე ათეული წლის წინ მოხდა, იგი უკვე ქ.ფოთის ახალგაზრდობის ლიდერი და კომკავშირის ქალაქკომის სტაჟიანი პირველი მდივანი იყო. მეც ქ.ზუგდიდში ამავე პოზიციაზე აღმოვჩნდი, თუმცა ძალზე მცირე დროით შემოვრჩი კომკავშირს, ხოლო ირაკლი კიდევ კარგა ხანს აგრძელებდა ახალგაზრდულ კარიერას. ცხოვრებამ ჯერ ენგურჰესზე, შემდეგ კი აფხაზეთში გადამისროლა და რამდენიმე წლით აფხაზეთ -ქართული ურთიერთობის ორომტრიალში ჩამაგდო. იმ წლებში ჩვენ ერთმანეთს გარკვეული დროით დავშორდით. მიუხედავად ამისა, ბუნებრივია, თვალყურს ვადევნებდი ირაკლის წინსვლას, რადგან დარწმუნებული ვიყავი მის კარიერულ წარმატებებში, გამომდინარე მისი წარმომავლობიდან, პიროვნული თვისებებიდან და პროფესიული მომზადების დონიდან. ჯერ იყო და სრულიად ახალგაზრდა გახდა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, შემდეგ ფოთის ქალაქკომის

დარგობრივი მდივანი; ერთ დღეს ვიგებ, რომ იგი მარტვილის პარტიის რაიკომის პირველ მდივანად დაანინაურეს. მართლა გულით გავიხარე და გულწრფელად მივულოცე. ერთი წუთით ეჭვი არ შემპარვია, რომ ამ საქმესაც თავს შესანიშნავად გაართმევდა. თანატოლებში ირაკლი მონწერელია თავიდანვე გამოირჩეოდა პრინციპულობით, სამართლიანობით, თანდაყოლილი პატიოსნებითა და ჯანსაღი მოქალაქეობრივი მრწამსით. გავრცელებული აზრით გეგეჭკორის (დღევანდელი მარტვილი) რაიონი, მართლაცდა ძალზე ნიჭიერი მოსახლეობითა და მშრომელი ხალხით, სამართავად რთულ რეგიონად ითვლებოდა. უნდა გითხრათ, რომ მან ამ საპასუხისმგებლო უბანს შესანიშნავად გაართვა თავი, თან ადგილობრივ მოსახლეობაში დიდი პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდა. ირაკლი მონწერელია მთელი ათი წელიწადი ედგა სათავეში მარტვილის რაიონს და ღრმა კვალი დაატყო იქაურ სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებას, ასობით ახალგაზრდის კარიერულ წინსვლას. დღემდე ვხვდები ადამიანებს, ვინც დიდი პატივისცემით იგონებს მისი ხელმძღვანელობით წლების მანძილზე განეულ უანგარო მოღვაწეობას და დანატოვარ კვალს. ბოლო არჩევნებისას, როცა მისი შვილი ალექო კენჭს იყრიდა პარლამენტის დეპუტატად, მარტვილში მოსახლეობასთან შეხვედრისას ბევრჯერ გახდა მოწმე, თუ რა სიყვარულს გამოხატავდა ხალხი მისი მამისდროინდელი ათეული წლების წინანდელი საქმეებისა და უბრალო მოქალაქეების მიმართ გამოჩენილი ადამიანური დამოკიდებულების გამო. ესაა ის მთავარი დანატოვარი და ანდერძი, რასაც თვალის ჩინივით უნდა გაუფრთხილდეს მომდევნო თაობები. ირაკლი მონწერელის კარიერა რატომღაც არამართლზომიერად განვითარდა, რასაც მე პირადად ვერაფრით ვხსნიდი. მოხდა ისე, რომ მისი ბიოგრაფიის ამ პერიოდზე არასოდეს გვისაუბრია, მაგრამ არ იყო ძნელი მისახვედრი, რომ უკმაყოფილო დარჩა მისი ღვაწლისა და ამაგის მიმართ მაშინდელი ზემდგომი ორგანოების დამოკიდებულებით. იგი არ კადრულობდა და თავისი ღირსების შელახვად თვლიდა ზოგიერთ პიროვნებაზე და მათ უნამუსო ხელქვეითებზე მონათხრობით შეეწუხებინე. მოგეხსენებათ, ხელისუფლების მუდმივი თანამგზავრია მლიქვნელი, უსაქციელო, უსაქმური ადამიანების მუდმივი ტრიალი მაღალ ეშელონებში და მათ მიერ დამსახურებული ადამიანების გაკილვა, საქმიდან ჩამოცილება. ეს მანკიერება არა თუ მოიშორეს ჩვენი ქვეყნის შემდგომმა მმართველებმა, არამედ კიდევ უფრო დააკნინა პროფესიონალი, საქმის ერთგული მუშაკების როლი და მნიშვნელობა. შედეგაც ხომ სახეგება, ბუნებრივია რადიკალურად შეცვლილმა სახელმწიფო წყობილებამ თავისი კვალი დაატყო ადამიანთა ქცევას, მსოფლმხედველობას, თქვენ წარმოიდგინეთ, განუმეორებელ ქართულ ურთიერთობებს. ვერ წარიმართა კა-

ნონზომიერად ათასობით ღვანღმოსილი ადამიანის ბიოგრაფია, ჩვენი ქვეყნის წინაშე განსაკუთრებული დამსახურების მქონე მოქალაქეთა ცხოვრება, გარკვეული აზრით ისინი ბედისგან, კაცთაგან, რაც მთავარია სახელმწიფოსგან მიტოვებულები აღმოჩნდნენ. უკვე ათეული წლებია ამას უყურებს ახალგაზრდობა და ვერ ღებულობს კარგ მაგალითს... სწორედ ესაა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ უზომოდ გაზრდილია მოხელეთა სწრაფვა, მოკლე დროში დააგროვონ ნაძარცვი ქონება და ნაკლებად იფიქრონ სახელმწიფო მოვალეობების პატიოსნად შესრულებაზე... ზემოთ უკვე ვამბობდი ამ მოვლენის საერთო საქვეყნო ხასიათზე, მაგრამ სხვადასხვა ადგილას იგი სხვადასხვა სპეციფიკური ფორმით გამოვლინდა. ჩემთვის არაა მარტივი ფოთზე და ფოთელებზე ვისაუბრო, მაგრამ როცა საკითხი ირაკლი მონწერელიას ცხოვრებას ეხება, ამ თემას გვერდს ვერ ავუვლი. ცნობილია, რომ ამ ქალაქში მოსვლამდე ბევრ რეგიონში მომინია საქმიანობა, მაგრამ ფოთი და ფოთელები ჩემს ცხოვრებაში განუმეორებელ ადგილს იკავებენ. აქ გატარებული შვიდი წლის მანძილზე კარგად გავითავისე ფოთელი მოქალაქის ბუნება, მათი ცხოვრებისეული მრწამსი, განსაკუთრებული შინაგანი წესრიგი და გამორჩეული პასუხისმგებლობა. 90-ანი წლების დასაწყისიდან აქ რაღაც უცნაური მოვლენები განვითარდა. მოიშალა ეკონომიკა, ადამიანური ურთიერთობები, საუკუნოვანი კულტურული და თანაცხოვრების ტრადიციები. ვერავინ გადამარწმუნებს, რომ ეს ყველაფერი ჩვენს მშვენიერ ქალაქში გარედან არ იყო შემოტანილი და ძალადობრივი გზით თავს მოხვეული. ნაწილობრივ მაინც უთუოდ ქალაქის მესვეურთა უუნარობით უნდა ავხსნათ ის, რომ მათ თავის დროზე ვერ შენიშნეს უარყოფითი ტენდენციები და წინ ვერ აღუდგნენ მათ მომძლავრებას. სულ რამოდენიმე წელიწადში მოხერხდა მოქალაქეთა ურთიერთ ნაკიდება, უფრო სწორად სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდება. ეს ბაცილა პირველ რიგში ქალაქის მოქმედ და გადამდგარ ხელისუფალთა შორის, ინტელიგენციაში გავრცელდა. გამრუდდა ღირსეულ მოქალაქეთა ყოფა, აწიოკდა ოჯახები. ბევრი მათგანი ციხეში აღმოჩნდა, ზოგიერთი კი საერთოდ შეეწირა თავს მოხვეულ ინტრიგებს და ხრიკებს. აგორებულმა სიბინძურემ ყველა და ყველაფერი ტალახში ამოსვარა და ბუნებრივია, მას ვერც მონწერელების ოჯახი გადაურჩა. ირაკლი ჩემს თვალწინ გათეთრდა და წელში გადატყდა, მაგრამ ძლიერი თვისებების გამო მაინც გამხნევდა და საზოგადო საქმეს არ ჩამოცილდა. დაგროვილი ჭირი და განცდები უკვალოდ როდი ქრება. დარწმუნებული ვარ, მისი ჯანმრთელობის გაუარესებაზე ყოველივე ამან შეუქცევადი დრამატული როლი ითამაშა... გული მწყდება, რომ ამ რთულ დროში მეც განზე გამდგარი აღმოვჩნდი, ჩემს თავს დატეხილი პირადი ტრაგედიის გამო. ეს რომ არა, მგონია შემეძლო მეთამაშა გარკვეული მარეგულირებელი როლი შექმნი-

ლი ვითარების დაცხრობაში... ახლა, როცა მხოლოდ ხსოვნის ვალდებულება დარჩა, ერთგვარად გულს ის ახარებს, რომ ირაკლი მონწერელიას შესანიშნავი ოჯახი დარჩა - დიდებული ქალბატონი ნუნუ, სასახელო შვილები, რომლებიც ქვეყნის სამსახურში არიან ჩამდგარი, თავიანთი მეუღლეებითა და შვილებით. მხოლოდ ესაა სანანბელი, რომ ბოლომდე ვერ დატკბა მათი ბედნიერების ხილვით. ამასთან სწორედ ეს ძვირფასი დანატოვარი არის მისი დიდი ოჯახის უმთავრესი მიღწევა და მამა-პაპათა დვანლის, მათი ხსოვნის საუკეთესო გამოვლინება. ღმერთმა ნათელში ამყოფოს ალექსანდრე და ირაკლი მონწერელიების სული.

### ბაკურ გულუა



ირაკლი მონწერელია

## ირაკლი მოწერელიას მოსაგონარი

ჩვენ ერთ თაობას ვეკუთვნოდით. საშუალო სკოლა ერთ გამოშვებაში (1958 წ.) დავამთავრეთ. ბავშვობიდან ახლოს ვიყავით. გამოვიარეთ პიონერთა ბანაკი, სხვადასხვა წრეები პიონერთა სახლში, ერთად ვმეცადინეობდით ჭადრაკის კლუბში; იგი ახლოს მეგობრობდა ოთარ აბდუშელიშვილთან, ავთო თურქიასთან, ლეო ბოკერიასთან, მურთაზ გვაზავასთან...

მისი გვარი და ოჯახი ქ. ფოთში ცნობილი იყო. მამამისი, ბატონი ალიოშა, თუ არ ვცდები, ქალაქში ერთადერთი მეცნიერებათა დოქტორი იყო სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა სფეროში, რომლის სამსახურიც და მეცნიერული ინტერესები კოლხეთის რეგიონში აგროტექნიკის საფუძვლებს და დაშრობის საკითხებს მოიცავდა.

ირაკლისთან მეგობრობის წრეც საერთო გვყავდა; სტუდენტობის წლებში დიდი და საინტერესო ურთიერთობანი გვაკავშირებდა - ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს, პატრიოტულ და ქვეყნისთვის საჭირობოტო საკითხებზე ვსაუბრობდით.

ასეთივე ურთიერთობა გაგრძელდა, კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელ რგოლში რომ მოვხვდით - იგი ქ. ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად აირჩიეს; ამ წლებშიც და შემდეგაც პარტიულ თუ საბჭოთა ორგანოებში ხელმძღვანელი თანამდებობები ეკავა და კარგად გამოჩნდა მისი უნარიცა და პატრიოტიზმიც კოლხეთის რეგიონის მიმართ.

ჩვენი თაობა ქ. ფოთში, ისევე, როგორც ჩვენი მშობლების თაობა, ხასიათდებოდა მაღალი პროფესიონალური დონით, მომთხოვნელობით, პრინციპულობით, რუსული ენისა და ლიტერატურის კარგი ცოდნითაც. ყველაფერი ეს გვეხმარებოდა ქვეყნისა და, კერძოდ, ქალაქის ინტერესების დაცვაში საკავშირო დონეზეც კი.

ხანდაზმულობის დროს, ორივეს მეტი შესაძლებლობა მოგვეცა შევხვედროდით უფრო ხშირად და გვესაუბრა ქვეყნის საჭირობოტო საკითხებზე. პირადი პოზიციებიდან ვაანალიზებდით შექმნილ მდგომარეობას და გამოვხატავდით ქალაქში გადასაჭრელი პრობლემებისადმი მიდგომას.

როგორც ცნობილია, არ არსებობს რაიმე საზოგადოებრივი მოვლენა ან პიროვნება, მით უმეტეს მაღალ თანამდებობაზე, რომლის მიმართ მხოლოდ დადებითი აზრი არსებობდეს... ჩვენც ეს გადავიტანეთ, მაგრამ ისტორია უმეტესად, სამართლიან შეფასებას იძლევა და რეალურად დადებითი აზრი იმარჯვებს.



ასეთი შემთხვევები მრავლადაა ცხოვრებაში, სწორედ ამიტომ ისტორიულად დადებითი შეფასების ღირსია ირაკლი მონწერელიაც.

ქ. თბილისში მოქმედებს საზოგადოება „ფოთელები“, რომელიც დიდი სიყვარულით აღნიშნავს მისი წევრის, ქ. ფოთის სასახელო შვილის - ირაკლი მონწერელიას დაბადებიდან 80 წლის იუბილეს.

დიდი პატივისცემით მივესალმები მის დანატოვარ ოჯახს - სამეგობრო წრეში გამორჩეულ რძალს - ქალბატონ ნუნუს, ვაჟიშვილსა და ქალიშვილს, მათ ოჯახებს.

ჯანმრთელობა, წარმატებები და ბედნიერება!..

## გივი აბდუშელიშვილი



ქალაქი ფოთი, სტუმრად გემთმშენებელ ქარხანაში

\* \* \*

ირაკლი მონწერელიას მეგობრობა ჩემთვის ძვირფასი იყო მრავალი მიზეზის გამო, მაგრამ მთავარი, რასაც ვაფასებდი მისი უანგარობა იყო და ის ეფუძნებოდა ადამიანებს შორის ურთიერთობების საყოველთაოდ მიღებულ პრინციპებს და ასახავდა ჩვენს მისწრაფებებს, ვყოფილიყავით მაქსიმალურად ლოიალური და ერთგულები ოჯახისათვის, ქვეყნისათვის, თანამოქალაქეებისათვის, საქმისათვის და ასე ცხოვრება არ იყო მოჩვენებითი თავის მოსაწონებლად, ეს იყო იმის გამოძახილი, რასაც ჩვენ გვასწავლიდნენ სახლში, სამეზობლოში, ქართულ სუფრაზე, სკოლაში, ინსტიტუტში, სამსახურში და, საერთოდ, ყველგან, საზოგადოებაში. ადამიანების ცხოვრება ხომ მუდამ სწავლაშია. ჩვენ დავდივართ ამ ქვეყანაზე და მუდამ რაღაცას ვსწავლობთ, ალბათ ჩვენგანაც სწავლობენ. ამიტომაც მეგობრობა საინტერესო და ორმხრივი პროცესი ერთმანეთისაგან სწავლისა.

ირაკლი მონწერელიასთან ჩემი მეგობრობის ისტორიაში ეს იყო მთავარი და თუ გავითვალისწინებთ, რომ ირაკლი 8 წლით ჩემზე უფროსი იყო, მე მისგან უფრო მეტი მისწავლია და მადლობას ვუხდი მას ამისათვის!

ერთმა ჩვენმა საერთო მეგობარმა, დავით იაკობიძემ დაწერა თავის წიგნში „მადლობას ვუხდი ყველა იმ ადამიანს, ვისგანაც როდესმე რამე მისწავლია“-ო...

დიახაც, დავითი მართალს ამბობს, ყველაზე დიდი ადამიანი დედამიწაზე მასწავლებელია და ასეთი ადამიანი იმსახურებს ძეგლს და რადგან ასეთი ადამიანები ბევრნი არიან, მათი ძეგლი ჩვენს გულშია, ჩვენს გონებაშია!

ირაკლი მონწერელია თავის მიწიერ ცხოვრებაში გამორჩეული მასწავლებელი იყო და გარდაცვალების შემდგომაც ასრულებს განგებისაგან მინიჭებულ მისიას, იყო მაგალითი, როგორ გიყვარდეს ქვეყანა, ხალხი, ოჯახი და მეგობრები!

**გურამ დოღბაია**

\* \* \*

ირაკლი ალექსანდრეს ძე მონწერელიასთან, პარტიის რაიკომის მეორე მდივნის სტატუსით, თითქმის ათი წელი ვიმუშავე, რაც მაძლევს შესაძლებლობას ვთქვა, რომ იგი იყო პარტიის ერთგული, დახვეწილი მუშაკი, ჰქონდა დიდი ერუდიცია და ყოველი საკითხისადმი საკუთარი ხედვა. არ ახასიათებდა ემოციურობა და არც დოგმატიკოსობა.

როგორც პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ყოველი საკითხის გადანყვეტას უდგებოდა მაღალი პასუხისმგებლობით. არ განიხილავდა საკითხს და არც რამე გადანყვეტილებას მიიღებდა თუ აღნიშნული საკითხი ამომწურავად არ ჰქონდა შესწავლილი. განსაკუთრებულ სიფრთხილეს იჩენდა კადრების შერჩევაში. ამ საქმეში ჰქონდა საკუთარი მეთოდი. უპირველესად ადგენდა პირის პარტიულობას, განათლებასა და ცოდნას, ხასიათს, ოჯახურ მდგომარეობას, საზოგადოებაში ავტორიტეტს და პასუხისმგებლობის გრძობას. უყვარდა გამოთქმა - „პარტიულ მუშაობაში არ არსებობს წვრილმანი“. პარტიის რაიკომისა და ბიუროს წევრებთან რაიონული რგოლის, წარმოება-დანვსებულებისა და სამეურნეო დარგის ხელმძღვანელებთან იჩენდა მეგობრულ დამოკიდებულებას, მაგრამ ყველასთან ინარჩუნებდა თავისებურ დისტანციასა და შეუვალობას. მათ მცირედ გადაცდომასაც არ ტოვებდა რეაგირების გარეშე.

რესპუბლიკის სასოფლო რაიონების პირველი მდივნებისაგან გამოირჩევით ბატონი ირაკლი უფრო დაინტერესებული იყო მშენებლობით. „მართალია სასოფლო-სამეურნეო გეგმების შესრულება კანონიკაა და ვალდებულებაც, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რასაც ავაშენებთ და რასაც შევქმნით სამახსოვროდ დიდხანს დარჩება“ - იტყოდა ხოლმე. მართლაც დღეს რაიონში მისი სახელი მზეობს იმ შენობა-ნაგებობებით, რომლებიც აშენდა და შეიქმნა მისი მოღვაწეობის პერიოდში.

მისი ხელმძღვანელობით ამაღლდა რაიონის ეკონომიკური მაჩვენებლები. ამ შემთხვევაში იგი ცდილობდა ეს წარმატებები ასახულიყო მშრომელთა ცხოვრებაში სოციალურ-საყოფაცხოვრებო და კულტურულ სფეროებზე.

ბატონი ირაკლი, მიუხედავად ბემდგომი ორგანოებიდან მომდინარე დირექტივებისა, დიდი თანაგრძნობით შეჰყურებდა ეროვნულ მოძრაობას, ჩუმად გვაფრთხილებდა, უხეშად ნუ დაუპირისპირდებით ამ მოძრაობასო. საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ შეხვედრისას მან მითხრა: „ეროვნული მოძრაობის მიმართ ჩვენ სწორი პოზიცია გვქონდაო“. უდროოდ წავიდა ჩვენგან ეს დიდი, კარგი კაცი, მაგრამ ჩვენთან დატოვა ნათელი კვალი, რომელიც მარად იდიადებს მისი ხსოვნისა და არდავინწყებისათვის.

**გოგილო ბასილაია**

## მომონება

დიდი პატივია ჩემთვის და ვამაყობ, რომ წლების განმავლობაში ვიყავი ბატონი ირაკლი მოწერელიას კოლეგა და თანამოაზრე. პირველ რიგში მინდა ვთქვა ის, რომ გზა არ ყოფილა ია-ვარდებით მოფენილი. ეს გზა მეტად რთული და საინტერესო იყო, რომელიც თითოეულმა ჩვენგანმა ღირსეულად გავიარეთ ბატონი ირაკლის ხელმძღვანელობით, იმის მიუხედავად, ვის რა თანამდებობა გვეკავა მაშინ. საყოველთაოდ ცნობილია ბატონი ირაკლის დამსახურება და ღვაწლი, თუ რა დიდი შრომა ჩადო მარტვილის რაიონის განვითარებისა და აღმშენებლობის საქმეში. მისი ხელმძღვანელობით რაიონის სახალხო მეურნეობის ყველა დარგი ყოველთვის მოწინავეთა რიგებში იყო რესპუბლიკის მასშტაბით. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა დასაქმებისა და სოციალური კეთილდღეობის საკითხებს. ვინ მოთვლის ბატონმა ირაკლიმ რამდენ ადამიანს გაუკათა გზა და ცხოვრებაში სწორი მიმართულება მისცა. არაერთგზის ვყოფილვარ მონმე, როგორ უხდიდნენ მადლობას კეთილი საქმეებისთვის. მაგრამ როგორც მოგეხსენებათ, დაუნდობელია წუთისოფლის მსჯავრი... ბატონი ირაკლი თავისი ცხოვრების წესით, განვლილი გზით ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან მარადისობაში და დაგვიტოვა დიდი სინანული... მან თავისი ყველა ჩანაფიქრის და სტრატეგიული გეგმის განხორციელება ვერ მოასწრო. დიდია მოლოდინი იმისა, რომ მის გზას მისი მემკვიდრეები ღირსეულად გააგრძელებენ. ბატონმა ირაკლიმ სიცოცხლეშივე აიგო ძეგლი თავისი ხალხის, ოჯახისა და მრავალრიცხოვანი მეგობრების გულში. ეს ძეგლი სამარადუამოა, მიუხედავად იმისა, რომ ღირებულებებმა ფერი იცვალა.

ქედს ვიხრი ღირსეული პიროვნების, ცხოვრებაში უაღრესად თავდაჭერილი, მაღალი ზნეობითა და შინაგანი კულტურით გამორჩეული, პროგრესულად მოაზროვნე, დახვეწილი ინტელიგენტის - ბატონი ირაკლი მოწერელიას ხსოვნის წინაშე.

**ნუნუ ხარებავა**

## ცხოვრების სურათი

წილად მხვდა ბედნიერება ბატონ ირაკლი მონწერელიასთან თანამშრომლობისა..

ეს გახლდათ განუწყვეტელი სწავლისა და სულიერი გამდიდრების პროცესი, რომ ყოველი საქმე ბოლომდე უნდა მიიყვანო და არ არსებობს გამოუვალი მდგომარეობა...

როდესაც მასზე ბიოგრაფიულ ფილმს, „ცხოვრების სურათს“ ვქმნიდით, მისი პიროვნული თვისებებიდან, შეხედულებებიდან და ცხოვრების წესიდან გამომდინარე ძალიან ვიწრო ზღვარზე უნდა გაგვევლო.

ეს ზღვარი მოითხოვდა დოკუმენტალურ სიზუსტეს და ობიექტურ ხედვას, რომ მისი საქმეებით აღფრთოვანებულებს უნებლიეთ ქებათა ქების ჭაობი არ მოგვრეოდა, ბატონ ირაკლის ხომ სძულდა პროვინციალიზმის ნებისმიერი გამოვლინება...

პიროვნება, ვისთვისაც საკუთარ თავზე გადატვირთული ეპითეტებით, აღმატებულ კონტექსტში საუბარი კატეგორიულად მიუღებელი იყო. ვისთვისაც, მიუღებელი იყო განდიდებითი თაყვანისცემა და სიცოცხლეშივე „ძეგლად“ პატივება.. ადამიანებისგან მადლიერების გამოხატვის მოსმენასაც ერიდებოდა...

ის, რაც მარტვილში მისი უშუალო ხელმძღვანელობით 1977-87 წლებში გაკეთდა ღრმა პატივისცემას იმსახურებს.. ძნელია ჩამოაყალიბო ამ გონებრივად და სულიერად ძლიერი პიროვნების რაობა და მნიშვნელობა.

ისე წავიდა, არც მარტვილის და არც ქალაქ ფოთის საპატიო მოქალაქედ არ დასახელებულა..

აკი მოგახსენეთ, მადლიერების მოსმენასაც არიდებდა თავს, რადგან ამით მისგან დავალებული ადამიანი არ შეეწუხებია..

მარტვილში ფილმის გადაღებებისას სრულიად მოულოდნელად აღმოვაჩინე, რომ იმ „ავადსახსენებელ“ ეპოქაშიც თავისუფალი პიროვნებები ნიკოლაძის დარად აშენებდნენ და დაბიდან ქმნიდნენ ქალაქს.

აქ შევხვდი ადამიანებს, რომლებიც სხვა რეალობას მიეკუთვნებიან.. იმ იდეალურს, სადაც ყველა მაქსიმალისტია და სიტყვა მხოლოდ საქმესთან ერთად ფასობს! ეს ყველაფერი მათში დღემდე ცოცხლობს.

ბატონო ირაკლი, განმაცვიფრა თქვენდამი პატივისცემის ამ დოზით გამოხატულებამ, რომლითაც ეს ადამიანები დღემდე გიგონებთ...

მხოლოდ ბატონ ირაკლი მონწერელიას შეეძლო მის ირგვლივ მყოფი ადამიანებისთვის მიეცა საშუალება საკუთარ თავში განსაკუთრებულობა



ეგრძნოთ. შემოევრება ისინი და მათში ეს თვისებები გაედრმავებია, მიეცა მნიშვნელობა და აღმატებული გაეხადა..

ყველაფერს აკეთებდა თავგანწირვით, მთელის არსებით. მტკიცედ ჩამოყალიბებული მიზანსწრაფულობით, შეუცდომელი ანალიტიკური აზროვნებით.

რასაც ხელს მოჰკიდებდა ყველაფერში ღრმად შესწავლის უნარით, აზრების მსუბუქად გადმოცემით და საოცარი ორგანიზატორული თვისებით გამოირჩეოდა.

არასოდეს გაუბრალოებულა, არასოდეს გამარტივებულა. გასაოცარი უნარი ჰქონდა ადამიანებთან დაახლოების.

იგი განუმეორებელი პიროვნული ხიბლით იყო დაჯილდოებული და მასთან ყოველი შეხვედრა, თუნდაც ძალზე ხანმოკლე, ისეთ გრძნობას იწვევდა, რომელსაც სიხარულს თუ შეადარებ..

ვიცოდით, რომ უკურნებელ სნეულებას შეეპყრო, ბოროტ, დაუნდობელ დაავადებას დაეჯახნა მისი მოუღლეელი სხეული, მაგრამ მისი მაღალი სულისათვის ვერაფერი დაეკლო. მას არ ღლიდა ადამიანებთან ურთიერთობა, პირიქით: სიკვდილის პირისპირ მდგომს, შეუდრეკელს, ბოლომდე მომდიმარს, მუდმივად სიახლეების ძიებაში მყოფს აღსასრულის ჩრდილი არასოდეს დატყობია..

ბოლო დღეებშიც ისევ მის ქალაქზე, მის კეთილდღეობაზე ფიქრობდა, საუბრობდა, აქვეყნებდა პუბლიკაციებს, სამომავლო გეგმებს სახავედა..

მისი ღირსეული სიცოცხლე არის საზომი და მაგალითი იმისა, რომ არასოდეს არ უნდა დანებდე...თითქოს სურდა, აღსასრულს ეს მაგალითიც მოეცა ჩვენთვის.. მან შეინარჩუნა პიროვნული მთლიანობა და სისრულე.

მხოლოდ მისნაირი სულის მქონე პიროვნებები თუ გადაარჩენენ დანამცეცებულ, გაბოროტებულ, გაუფასურებულ სამყაროს.

თანდაყოლილი თავმდაბლობისა და მოკრძალების გამო მუდამ ჩრდილში ყოფნას ამჯობინებდა... არასოდეს მიელტვოდა ჯილდოებსა თუ რეგალიებს, ტაშსა თუ ფარისევლურ ურთიერთდამოკიდებულებებს.. მართალი სიტყვისთვის ზურგი არასოდეს შეუქცევია!

დინების წინააღმდეგაც ბევრჯერ წასულა და არ ემსგავსებოდა მკვდარ თევზებს, დინებას რომ თან მოაქვს ხოლმე...

თუკი რამ არის გარდაუვალი ამ წუთისოფლად, ეს სიკვდილია, ყოველად უცილობელი და უღალატო.. ჩვენმა გონებამ ეს იცის, მაგრამ მაინც სიკვდილის ყოველ მოვლინებას აღვიქვამთ, როგორც მოულოდნელსა და თავზარდამცემ ტრაგედიას..

მოგმართავთ, ბატონო ირაკლი...

გითხრათ ის სიტყვა, რომელსაც აღარ გაიგონებთ და აღარც გჭირდებათ... ვინაიდან იმ სულთა საუფლოში, რომლის ბჭენიც შეადგენს, ამქვეყნიურ სიტყვებს არც აზრი აქვთ და არც ფასი.

ჩვენ რაღა ვუყოთ ჩვენს მადლიერებას თქვენდამი, სად მოვათავსოთ, სად მივუჩინოთ ღირსეული ადგილი?! არადა, ზედმეტად მადლიერების გამოხატვის მოსმენაც არ გიყვარდათ.. ყველაფერს ბუნებრივ ელფერს აძლევდით, აქ განსაკუთრებული არაფერი ხდებოდა..

დაუვიწყარი და სათუთად შესანახია ხსოვნა თქვენთან ყოველი შეხვედრისა. დიდი რწმენისა და იმედის მომცემი იყო ყოველჯერზე თქვენთან საუბარი...

პატივისცემით,

**ირმა კეკელიძე**



ირმა კეკელიძე, ლეო ბოკერია, ლირა კეკელიძე, ირაკლი მონერელია

\* \* \*

მე რიგითი მშრომელი ვაყი ვარ და მონწერელიას დროს ბუღდობერზე ვმუშაობდი. მონაწილე ვარ 10 წლის მანძილზე იმ კეთილი საქმეებისა, რასაც ირაკლი მონწერელია ეწეოდა. დღე არ გავიდოდა ობიექტზე არ მოსულიყო, აუცილებლად ხელს ჩამოგართმევდა, მოიკითხავდა ტრაქტორისა და ჩემი ოჯახის პრობლემებს. სამი ახალი ტრაქტორი გამომიცვალა, ბოლოს ჩემს სანარმოს, სადაც ვმუშაობდი, ფოთის სამხედრო ნაწილიდან ჩალის ფასად ჩემი სანატრელი „რამი“ შეაძენინა. პირადად ჩემს ოჯახს ვაზ-2106 მარკის მსუბუქი ავტომობილი შეაძენინა, რამდენიმე წლის შემდეგ მეორის რიგშიც ჩამაყენა, მაგრამ რაიონიდან წასვლამ მოუწია და მერე მე არავის გავხსენებოვარ.

მისი გარდაცვალება გვიან გავიგე, ძალიან განვიცადა. ჩემი ოჯახის წევრები ვერ მიხვდნენ, რაზე ვიცრემლებოდი. შვილიშვილი შემპირდა, თბილისში ირაკლი მონწერელიას საფლავზე წაყვანას, მას სანთლებს დავუწებებ.

უფალმა აცხონოს მისი სული.

**რომან ქაჯაია**

## სამართლიანობა და პროფესიონალიზმი მის სავიზიტო ბარათს წარმოადგენდა

სრულიად ახალგაზრდას მომიწია საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში საქმიანობა, რა დროსაც გეგეჭკორის (ამჟამად მარტვილი) რაიონში კომკავშირის რაიონული კომიტეტის პირველი მდივნის თანამდებობა განთავისუფლდა, რადგან წარმოშობით ამ რაიონიდან ვიყავი ამ პოზიციაზე განვიხილებოდი. ამ მოტივით 1983 წლის გაზაფხულზე პარტიის ცენტრალურ კომიტეტში შედგა ჩემი პირველი შეხვედრა პარტიის გეგეჭკორის რაიონული კომიტეტის პირველ მდივან, ბატონ ირაკლი მონწერელიასთან. შეხვედრა გაცნობით ხასიათს ატარებდა.

მეორე შეხვედრა ბატონ ირაკლისთან რამოდენიმე თვის შემდეგ 26 ივნისს უკვე მარტვილის რაიონში რაიონული კომიტეტის პლენუმზე შედგა, რომელზეც მისი მხარდაჭერით კომკავშირის რაიონული კომიტეტის პირველ მდივანად ამირჩიეს. 23 წლის ასაკში, რაიონის ახალგაზრდობის მრავალათასიანი ორგანიზაციის ხელმძღვანელობა, სამეგრელოს ისტორიულად ერთ-ერთ მნიშვნელოვან ჭყონდიდის რეგიონში, გამოცდილი პარტიული ხელმძღვანელის, მეცნიერებათა დოქტორის, საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, ბატონ ირაკლი მონწერელიას ხელმძღვანელობითა და მხარდაჭერით ჩემთვის მეტად საპატიო და საპასუხისმგებლო იყო.

ბატონი ირაკლი წლების მანძილზე ქალაქ ფოთის ახალგაზრდულ ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა და ღრმად იცნობდა ახალგაზრდულ პრობლემებს. ამიტომ ჩემი მესამე შეხვედრის შემდეგ მასთან ყოველდღიურად ვურთიერთობდი. მასთან ყოველი შეხვედრა საინტერესო და საქმიანი იყო. სანყის ეტაპზე იყო გარკვეული ადაპტაციის პერიოდი, სირთულეები, რომელიც მალევე დაძლეული იქნა. დაიწყო მეტად საინტერესო, აქტიური შემოქმედებითი საქმიანობა და სულ მალე ბატონი ირაკლისა და მისი გუნდის, რაიონის თვალსაჩინო ინტელიგენციის წარმომადგენლების: კარლო ასათიანის, გოგილო ბასილაიას, ნუნუ ხარებავას, რობინ უბილავას, ბესიკ ჭოჭუას, დემურ ჭამბურიას, გივი ელიავას, დემური კილასონიას, ავთანდილ ხუროძის, მურადი ვვაშილავას, ნანი ჩიქოვანის, ნუგზარ სულავასა და სხვათა მხარდაჭერით რაიონის ახალგაზრდობამ, დაუღალავი შრომით მრავალი ინიციატივა საქმედ აქცია. იყო შეხვედრები ახალგაზრდებთან, შრომის ვეტერანებთან, პედაგოგებთან, შემოქმედებით ინტელიგენციისა და ხელოვნების წარმომადგენლებთან. გაიხსნა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი, ახალგაზრდობის დისკოკლუბი, ახალგაზრდობის მუზეუმი, კაკლის ხეივანი და ლიმონარიუმები.

ბატონი ირაკლის უშუალო ხელმძღვანელობით და რაიონის ახალგაზრდობის აქტიური მონაწილეობით განხორციელდა პირველი სარეაბი-

ლიტაცო სამუშაოები მარტვილის მონასტრისა და სალხინოს სასახლის შემოგარენში, გაიხსნა დიდების მემორიალი-მუზეუმი, განხორციელდა ქალაქ გვეგეჯორის ურბანული დაგეგმარება, აშენდა პირველი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები და სხვა. ცენტრის მხრიდან ჩვენი საქმიანობა უყურადღებოდ არ დარჩენილა. რაიონის ახალგაზრდულმა ორგანიზაციამ თავისი ისტორიის მანძილზე პირველად 1983-1985 წლებში რამოდენიმეჯერ მიიღო იმ დროისათვის მნიშვნელოვანი საკავშირო და რესპუბლიკური გარდამავალი დროშები, ჩვენი საქმიანობა სამეგრელოს რეგიონში სამაგალითოდ იქცა. ჩემს ცხოვრებაში ეს იყო მნიშვნელოვანი პერიოდი, წინააღმდეგობებით აღსავსე და მისი გარღვევა დღევანდელი დღის გადასახედიდან ჩემი მომავალი წარმატებების საფუძვლად მიმაჩნია.

გავიდა წლები. საბჭოთა კავშირში დიდი გარდაქმნები დაიწყო, მე ისევ დედაქალაქში, ცენტრალურ კომიტეტში მომიწია დაბრუნება. 1985 წლის 22 ნოემბერს რაიონული კომიტეტის პლენუმზე, ჩვენ ისევ შევხვდით ერთმანეთს. მე გულწრფელი მაღლიერების სიტყვებით მივმართე დამსწრე საზოგადოებას და განსაკუთრებით ბატონ ირაკლის, რომელმაც ასევე მაღლობა გადამიხადა განუელი საქმიანობისათვის და შემდგომი წარმატებები მისურვა, ამით დაიწყო ჩვენი ურთიერთობა სხვა რაკურსით, რომელიც ბოლომდე ღირსეულად გაგრძელდა...

მისი ხელმძღვანელობით და თანადგომით წარმატებები შემთხვევითი არ იყო. ბატონი ირაკლის მამისაგან, პროფესორ ალექსანდრე მონწერელიასაგან მიღებული ჰქონდა არა მარტო გენეტიკური, არამედ აკადემიური და ცხოვრებისეული გამოცდილება, ბატონი ირაკლი უპირველესად იყო ოჯახის ღირსეული ხელმძღვანელი, რომელმაც სამშობლოს აღუზარდა ორი შესანიშნავი მოქალაქე ირინასა და ალექსანდრეს სახით. იგი გამოირჩეოდა მაღალი ბნეობრივი ცნობიერებით, რაც დადებით ზეგავლენას ახდენდა მის გარშემო შემოკრებილ გუნდზე. სამართლიანობა, პრინციპულობა, მაღალი პროფესიონალიზმი მის სავიზიტო ბარათს წარმოადგენდა, რითაც შესანიშნავ მაგალითს აძლევდა რაიონის მოსახლეობასა და განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობას, მათ შორის მეც. მაღლიერებით მინდა აღვნიშნო, რომ მისგან მიღებული გამოცდილება მთელი ცხოვრების მანძილზე გამომადგა. ბატონი ირაკლი მონწერელიას ცხოვრება და მოღვაწეობა სამშობლოს სიყვარულისა და თავდადების მაგალითია.

## მალხაზ ბაძაღუა

წმინდა გიორგი ჭყონდიდელის სახელობის აკადემიის თანადამფუძნებელი, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, პროფესორი.



## საქმიანობა კომპაპშირში

/ქალაქის ახალგაზრდობის ლიდერი/

ირაკლი მოწერელიამ ჯერ კიდევ ანასეულის და სუბტროპიკული კულტურების კოლხეთის ფილიალში უმცროს მეცნიერ მუშაკად მუშაობის პერიოდში თავი გამოიჩინა, როგორც განათლებულმა, ერუდირებულმა და პერსპექტიულმა ახალგაზრდა კაცმა, რაც არ გამოორჩენია ქალაქის მაშინდელ ხელმძღვანელობას ქალბატონ ნინო ლავიას მეთაურობით და 1971 წელს წარდგენილ იქნა საქართველოს კომკავშირის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად (ქ. ფოთის ახალგაზრდობის ლიდერად), სადაც წარმატებულად მუშაობდა 1976 წლამდე.

მაშინდელ პერიოდში ჩამოყალიბებული ზედმეტად იდეოლოგიზებულ და ხშირ შემთხვევაში ახალგაზრდობის ყალბი პათოსით აღზრდის ფონზე კი ირაკლი მოწერელიამ ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტის პროცესში მისთვის დამახასიათებელი ინდივიდუალური, არასტერეოტიპული მიდგომით მოახერხა მისთვის სულ მოკლე პერიოდში წარმოეჩინა საქალაქო ორგანიზაცია რესპუბლიკური მასშტაბით, პარალელურად იზრდებოდა მისი ავტორიტეტი, როგორც ახალგაზრდობის ლიდერის.

ერთხელ, როდესაც კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი ამზადებდა რესპუბლიკური მასშტაბით ღონისძიებას ოპერატიულ თათბირზე მისმა გამორჩეულმა ლიდერმა, იშვიათი ერუდიციის მქონე პიროვნებამ, პატრიოტმა, უძლიერესმა ორგანიზატორმა ჟიული შარტავამ აპარატის მუშაკებს უთხრა, რომ აღნიშნული ღონისძიება უნდა ჩატარებულიყო მაღალ დონეზე, „რადგან ჩვენ გვყავს საქალაქო ორგანიზაციების ისეთი ძლიერი ლიდერები, როგორც მამუკა ასლანიკაშვილი რუსთავში, რამაზ მხეიძე ქუთაისში, ირაკლი მოწერელია ფოთში და მათ წინაშე არ უნდა შევრცხვეთო“. არც იყო გასაკვირი, რომ სამივენი იყვნენ მეგობრები, ერთგვარი „შესანიშნავი სამეული“.

ქალაქის განათლების განყოფილების გამგე, აკაკი ცხადაია, თვითონ უაღრესად განათლებული და ერუდირებული პიროვნება, როდესაც სჭირდებოდა ირაკლის ნახვა, ასე იკითხავდა: „სად არის ჩემი ჭკვიანი ირაკლი?“

ირაკლი მოწერელია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ახალგაზრდა კადრების სწავლებას, აღზრდასა და განათლების საქმეს. სწორედ კომკავშირში ჩამოყალიბდა ის თვისებები აღნიშნულ საკითხში, რასაც წარმატებით იყენებდა კომკავშირის შემდგომ მუშაობის პერიოდში, როგორც ფოთში, ასევე მარტვილის რაიონში. საერთოდ აღნიშვნის ღირსია მისი დამოკიდებულება მის მიერ აღმოჩენილი და წამოწეული ახალგაზრდა კადრების მიმართ.

ქალაქ ფოთის ახალგაზრდობის ლიდერის პოსტზე წარმატებული მუშაობის პერიოდი არ გამოჩენია რესპუბლიკის ხელმძღვანელობას, კერძოდ, თვით ელუარდ შევარდნაძეს.

როდესაც ქალაქის ახალგაზრდობის ლიდერის პოსტზე მისი შემცვლელი ზურაბ გულორდავა მიწვეულ იქნა ე. შევარდნაძესთან გასაუბრებაზე, მისალმების შემდეგ ერთ-ერთ პირველ საკითხად რესპუბლიკის მეთაურს უკითხავს: „სად არის ირაკლი მონერელია?“. რომ გაუგია ირაკლის დანიშნულების შესახებ პარტიულ სამუშაოზე, უთქვამს: „ძალიან კარგი“.

ყოველდღიური რუტინული საქმიანობის პარალელურად ირაკლი მონერელია იყო სხვადასხვა მასშტაბური ღონისძიებების და საქმიანობის სულის ჩამდგმელი.

ქალაქის ახალგაზრდობის ლიდერად მუშაობის პერიოდში მისი ხელმძღვანელობით მომზადდა და ჩატარდა არაერთი მასშტაბური ღონისძიება.

მაშინდელი დროისათვის ძალიან რთული იყო შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობის არქონის გამო, ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლის შექმნა. მიუხედავად ყველა პრობლემისა, მან თავის თანამოაზრეებთან ერთად მოახერხა ჰიდრომელიორაციული ტექნიკების ბაზაზე ჩამოეყალიბებინა ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „ფაზისი“, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში აქტიურად და წარმატებულად მონაწილეობდა საქალაქო ზონალურ და რესპუბლიკურ ღონისძიებებში, რომლის შემადგენლობაში იყვნენ მანანა სანაია, გურამ დოღბაია, თემურ შარაშენიძე, ჯანო დანელია, შალვა ლიპარტელიანი. დღესაც არ დავიწყებიათ იმ დროინდელი თაობის „ახალგაზრდებს“ ფოთელი ახალგაზრდების გამარჯვება რესპუბლიკურ შეჯიბრებაში - „ჩემი ქალაქი“ - შემდეგი შემადგენლობით: ავთანდილ აბურჯანია, ჯანო დანელია, ავთანდილ ესაკია, ნუგზარ ნაჭყებია, ბიძინა თავბერიძე, ზურაბ ბილიხოძე.

ფაშიზმზე გამარჯვების 30 წლისთავის აღსანიშნავ ღონისძიებებთან ერთად გაიმართა ქალაქის ახალგაზრდობის, პროფგანათლების მოსწავლეთა შეხვედრა სსრკ გმირი ქალაქების დამცველებთან, რომელზედაც მიწვეული იყვნენ სტუმრები მაშინდელი თხუთმეტივე რესპუბლიკიდან.

აღნიშნული ღონისძიება იმდენად რეზონანსული იყო, რომ რესპუბლიკურ და საკავშირო პრესასა და ტელევიზიაშიც კი გაშუქდა. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ამ ღონისძიების წარმატებით ჩატარების საქმეში ქალაქის პროფტექნიკური სასწავლებლის პედაგოგიური კოლექტივის (შოთა რუხაძის ხელმძღვანელობით) აქტიური მხარდაჭერა და მონაწილეობა.

სწორედ ქალაქის ახალგაზრდობის ხელმძღვანელად მუშაობის პერიოდში (1971-1976 წლები) ირაკლი მონერელია ჩამოეყალიბდა, როგორც პარტიულ-სამეურნეო მუშაკიც, რაც შესანიშნავად გამოავლინა

შემდგომ პერიოდში. კერძოდ, 1976 წლის ივნისიდან 1977 წლის აგვისტომდე მარტვილის (ყოფილი გეგეჭკორის) რაიონის ლიდერამდე წელიწადსა და ორ თვეში გაიარა ქალაქ ფოთის პარტიის საქალაქო განყოფილების გამგეობა, მდივნობა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების ინსპექტორობა.

ირაკლი მონწერელიას მრავალმხრივი ერუდიციის, განათლებულობის, ორგანიზატორული ნიჭის დამადასტურებლად ისიც მეტყველებს, რომ სოფლის მეურნეობის სპეციალისტის მოღვაწეობა იყო წარმატებული.

ირაკლი მონწერელია გამოირჩეოდა ლოგიკური აზროვნებით, საკითხისადმი არასტანდარტული მიდგომითა და გადაჭრის გზებით.

ირაკლი იყო ქარიზმატული პიროვნება, რომელიც ერთნაირად ხიბლავდა, როგორც ახალგაზრდა, ასევე ასაკოვან ადამიანს. ჰყავდა ინტელექტუალურ მეგობართა საკმაოდ დიდი წრე. თვითმყოფადი იუმორის მქონეს ძალიან ხშირად მეგობრების წრეში შეეძლო თავის თავზე ეხუმრა.

ირაკლი იყო საოცრად მომთხოვნი საკუთარი თავის მიმართ და ასევე ითხოვდა სხვებისგან. ის იყო თავის ქვეყანაზე და ფოთზე უსაზღვროდ შეყვარებული, შემწყნარებელი და მიმტევებელი, თითოეული ფოთელის ჭირისა და ლხინის გამზიარებელი.

## ბურაბ გულორდავა



მარტვილი, მოსწავლეთა სასწავლო - სამეცნიერო კონფერენცია



ზურაბ გულორდავა, ირაკლი მონწერელია

## ყველას რაიმე გვაქვს სახსოვარი

ჩაიარეს წლებმა, მაგრამ მარტვილელების მეხსიერებიდან არ ამოიშლება დაუღალავი, ღვანლმოსილი პიროვნების ირაკლი მონწერელიას სახე, რომლის სახელთანაა დაკავშირებული ახალი მარტვილის შენება. სწორედ მასზეა ზედგამოჭრილი სხარტი ნათქვამი: „დატოვა კვალი ნათელი“. მან წრფელი გულით შეიყვარა მარტვილი და მარტვილელები. თავს ნამდვილ მარტვილელად თვლიდა, რადგან მისი წინაპრების სამკვიდრო სწორედ მარტვილი გახლდათ. პროფესიული საქმიანობის ძალიან პროდუქტიული 10 წელი სწორედ მარტვილში გაატარა. ბატონი ირაკლის ღვანლის შემფასებლად ის მემკვიდრეობა მეტყველებს, რაც მან მარტვილელებს დაუტოვა: სკოლები, გზები, ხიდები, კომუნალური შენობები თუ ბინები. ადამიანის ამოცნობის უტყუარი უნარით იყო დაჯილდოებული. პრინციპული პიროვნება გახლდათ, მაგრამ სამართლიანი.

ძალიან უყვარდა ეს გამოთქმა: „ხალხი ბრძენია, მან უკეთ იცის ვინ მიყვება ჭეშმარიტების გზას“. პოპულარობა არ უძებნია, იგი თავისი უანგარო საქმიანობის შედეგით დაფასდა. ბედნიერება მხვდა წილად, მასთან საქმიანი ურთიერთობა მქონოდა. ახლოვდებოდა მარტვილში 1830 წელს დაარსებული პირველი საშუალო სკოლის 150-ე წლისთავის იუბილეს. საჭირო იყო თადარიგის დაჭერა. ამ სკოლის ისტორიასთან იყო დაკავშირებული სამეგრელოში უძველესი საგანმანათლებლო კერის დაფუძნება, რომლის საფუძველზეც აღმოცენდა მრავალი დაწყებითი და საშუალო სკოლები რაიონში. ბუნებრივია, იუბილესე საქართველოს ყველა კუთხიდან მოსალოდნელი იყო საპატიო სტუმრების დიდი ნაკადის ჩამობრძანება. ბატონ ირაკლისთან შევედი და დაწვრილებით ავუხსენი საიუბილეო ღონისძიების ჩატარების სამუშაო მასშტაბები და ვთხოვე გაგვერემონტებინა სკოლის ძველი შენობა.

ბატონი ირაკლი დაფიქრდა და შემომთავაზა თავისი იდეა: „ძველი სკოლის რემონტს ხომ არ აჯობებს ახლის აშენება?“ გაოცებულმა ვიკითხე: „ეს როგორ?“ მან მოკლედ მიპასუხა: „შენი მონდომება, ჩემი მონდომება, პედკოლეექტივის და მშობლების თანადგომა და იუბილესაც ღირსეულად გადავიხდით“.

დაიწყო ახალი სკოლის მშენებლობა. გულახდილად ვამბობ, გაკვირვებული ვიყავი მისი ყოველდღიური ჩართულობით სამშენებლო პროცესში. ჰქონდა ორგანიზაციის არაჩვეულებრივი უნარი. ახალი სკოლის მშენებლობა პირად საქმედ გაიხადა. მე ვერ ვასწრებდი სამშენებლო ობიექტზე მისვლას, ბატონი ირაკლი უკვე იქ იყო და დათვალიერებუ-



ლი ჰქონდა ყველა დეტალი. თავად ამონმებდა სამშენებლო მასალის ხარისხს და საოცრად უხაროდა თითოეული წინ გადადგმული ნაბიჯი. როგორც იტყვიან, შეუძლებელი შეძლო. სკოლის დაარსების 150-ე წლისთავის იუბილე მთელმა საქართველომ იზეიმა. ამ ზეიმს უდიდეს ხიბლს მატებდა მარტვილის პირველი საშუალო სკოლის თანამედროვე სამსართულიანი შენობა; კლას-ლაბორატორიები, კეთილმონწყობილი სასწავლო ოთახები და სკოლის გამორჩეული სპორტული კომპლექსი. საქართველოს განათლების მინისტრის მოადგილემ, ბატონმა ო. ქინქლაძემ სკოლას საპატიო სიგელი გადასცა. ყველანი ძალიან ამაყები და ბედნიერები ვიყავით იმ დღეს, რომ საშვილიშვილო საქმე გაკეთდა მარტვილში. რა თქმა უნდა, დიდი საიუბილეო ზეიმის მთავარი შემოქმედი იყო ბატონი ირაკლი. მარტვილელები, პირველსკოლელები მუდამ ღირსეულ პატივს მიაგებენ ირაკლი მონერელიას ნათელ ხსოვნას. მარტვილელებმა იციან ქვეყნის კეთილდღეობისთვის მებრძოლი პიროვნებების მიერ განწეული ღვაწლის ღირსეული დაფასება. მათი სახელის უკვდავსაყოფად მარტვილში ბევრი ქუჩა ატარებს მათ სახელს.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ფასდაუდებელია ბატონი ირაკლის წვლილი რაიონის აღმშენებლობის საქმეში. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მარტვილში ერთ-ერთ ქუჩას მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად ეწოდოს მისი სახელი. ამ პატარა ჟესტით მაინც მივაგებთ პატივს მის ხსოვნას.

**გურამ გალდავა**

## მადლი არ იკარგება

ადამიანთა ურთიერთობაში ხშირად გაიგებთ ტიპურ, უფრო ხშირად სტერეოტიპურ გამონათქვამს „ხალხზე არავინ ზრუნავს“. ჩემი ოჯახი გამონაკლისი მგონია, იქნება გამონაკლისი არ ვარ და ჩემსავით ბევრია.

სრულიად ახალგაზრდამ შევქმენი ოჯახი, ხოლო 23 წლისას მეუღლე გარდამეცვალა და შევრჩი ცხოვრებას სამი წვრილშვილითა და მეოთხეზე ორსული. დღეს ოთხი შვილისა და რამოდენიმე შვილიშვილის ბედნიერი ბებია ვარ და ეს ხალხზე მზრუნველი, იმ დროის მარტვილის ხელმძღვანელთა დამსახურებაა.

2020 წლის ზაფხულში, საპარლამენტო წინასაარჩევნო პერიოდში „ვარ და კარის“ პროგრამაში მონაწილე ახალგაზრდა პიროვნება მეწვია მარტვილის რაიონის ერთ-ერთ სოფელში. მაუწყა, რომ იგი ალექსანდრე მონწერელია ირაკლი მონწერელიას შვილი იყო.

ამ ცნობაზე, მათთვის გასაოცარი ემოცია ვერ შევიკავე, გონებაში აღვიდგინე ყველაფერი, ჩემი განვლილი ცხოვრება, ეს ახალგაზრდა ხომ იმ კაცის შვილი იყო, ვისი მეოხებითაც დღეს ასე ბედნიერი ბებო ვარ.

ღიახ, სწორედ ირაკლი მონწერელიას დახმარებით დადგა ჩემი ოჯახი ფეხზე, სწორედ მისი დამსახურებაა, რომ მქონდა სამსახური და საშუალება, გამეზარდა ოთხი შვილი.

მისი მემკვიდრისგან მოვისმინე, რომ ირაკლი მონწერელია გარდაიცვალა. გულით განვიცადე, ისე, როგორც საკუთარი ოჯახის წევრის გარდაცვალება.

შემდგომში ერთმა ახალგაზრდამ ჩემი შვილის დახმარებით მომძებნა, იგი თავს ირაკლი მონწერელიას შეგირდს ეძახდა. მთხოვა, ხომ არ გაიხსენებთო ყოველივე იმას, რაც ზემოთ ვთქვი. რა გამაჩერებდა, მეძლეოდა საშუალება მადლისთვის მადლით მეპასუხა და ასე აღმოვჩნდი ირაკლი მონწერელიას „მომგონებელთა სიაში“, მაგრამ როგორც ამბობენ, „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს“.

მადლობა მას და ღმერთმა აცხონოს სამუდამო სასუფეველში.

**ლავინა ნაჭყებია**

## ღვანულმოსილი

ირაკლი მონწერელია ჩვენი რაიონის ხელმძღვანელი იყო 80-იან წლებში. მაშინ საბჭოთა სისტემა მყარად გამოიყურებოდა, მარტვილს გეგეჭკორი ერქვა და არც ჭყონდილობა იცოდა მოსახლეობამ.

ირაკლი მონწერელიამ შეძლო სიახლის შეტანა რაიონის ცხოვრებაში, განაახლა ცენტრი, დაბა ქალაქად იქცა.

ყოველ წლის ბოლოს იმართებოდა სახალხო დღესასწაული, რა დროსაც რაიკომის მდივანი ხსნიდა ახალ ობიექტებს. საზოგადოებას აჩვენებდა მიღწეულ, კონკრეტულ შედეგებს.

ინვესტორები ინტელიგენციის წარმომადგენლებს, რომლებიც მოღვაწეობდნენ თბილისსა და სხვა ქალაქებში.

რამდენჯერმე მეც გახლდით მინვეული ამ სახალხო ზეიმზე, რაც საყოველთაო ინტერესსა და სიყვარულს იწვევდა.

შემდეგ მას შეენაცვლა ჭყონდილობა. მაგრამ ირაკლი უკვე აღარ იყო რაიონის ხელმძღვანელი.

ირაკლი მონწერელიას ახლო და მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა მწერლებთან. მაგალითად, აღსანიშნავია ის ყურადღება, რასაც იგი იჩენდა პოეტ ჯემალ ჩახავას მიმართ.

შემდეგ მისი მოღვაწეობა ქალაქ ფოთში გაგრძელდა. დასანანი, რომ ამ ღვანულმოსილ აღამიანს არ დასცალდა არაერთი საინტერესო გეგმის განხორციელება. მაგრამ რაც გააკეთა, ისიც დაუვიწყარია, რათა ახალმა თაობამაც პატივისცემით ახსენოს მისი სახელი.

### სოსო სიგუა

პროფესორი  
სახელმწიფო პრემიის ლაურეატი



მარტვილი, სალხინო, დადიანების სასახლე



მარტვილი



## მემოზრის ხსოვნა

არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთი ცხოვრების წესითა და საზოგადოებაში მოპოვებული ავტორიტეტით წარუშლელ კვალს ტოვებენ ჩვენს მეხსიერებაში. ჩემთვის ასეთია ბავშვობისა და შემდგომში მონიფული პერიოდის უახლოესი მეგობარი ირაკლი მონწერელია.

დიდხანს ვიფიქრე, თუ როგორ დამესათაურებინა ეს წერილი, ვერაფრით ვერ ვეგუები მის გარდაცვალებას და ბოლოს მივედი დასკვნამდე, რომ მას „მეგობრის ხსოვნა“ ვუწოდო. ჩემთვის, ოთხმოც წელს გადაცილებული კაცისთვის, ძნელია ამის შეგუება, მაგრამ რას იზამ, როგორც ამბობენ, თავს ზემოთ ძალა არ არის.

მე და ირაკლიმ ერთმანეთი ჯერ კიდევ პატარა ბავშვებმა გავიცანით. მას ბევრი იცნობს, როგორც ნაღდ, აქტიურ საზოგადოებრივ პიროვნებას, კარგ მენეჯერს და ეფექტურ მმართველს, მაგრამ ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ მას ფუნდამენტური მუსიკალური განათლება ჰქონდა. სწორედ მუსიკალურ შვიდწლედში სწავლისას გავიცანით ერთმანეთი, სადაც იგი, როგორც წესი, ჩინებული მოსწავლე იყო.

იგი ყველაფერში და ყველგან ლიდერი იყო. არ მახსოვს საქმიანობის რომელიმე სფერო, სადაც იგი მოღვაწეობდა, თავკაცი არ ყოფილიყო. არასდროს აკეთებდა რაიმეს ზერეულად და ამასვე მოითხოვდა სხვისგანაც. ასეთი უკომპრომისო, მაგრამ სამართლიანი და ობიექტური იყო მეგობრობაში.

ძალიან კარგად მახსოვს როგორ გვიხსნა. მის მეგობრებს საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ ქალაქში, დროსტარებაში გართულებს ფოთში გასამგზავრებელი ფული „მემოგვეხარჯა“. ირაკლიმ, გადანახული თანხით დაგვაფინანსა და მშობლიურ ქალაქში დაგვაბრუნა, რა თქმა უნდა, მისთვის ჩვეული იუმორით შემდგომში ხშირად შეგვახსენებდა ამაზე.

იგი ჩვენს სამეგობროში ყველას პატრონი იყო. მე, სხვა ქალაქში მცხოვრებს, ფოთში დედა გამიხდა ავად, მან ყველაფერი გააკეთა ჩემს ჩამოსასვლელად, პრესტიჟული სამსახურიც მიშოვა და შვიდი წელი მის გვერდით ვმოღვაწეობდი.

ირაკლი უკომპრომისო პიროვნება იყო. ვერ იტანდა ზერელობას, ყველაფერს მაღალი პასუხისმგებლობით აკეთებდა და ამას მოითხოვდა ჩვენგანაც.

მას მე მუდამ ჩემს საუკეთესო მეგობრად ვთვლიდი და ასეთად დარჩება იგი ჩემს მეხსიერებაში. ვაგლახ, რომ იგი ჩვენგან წავიდა.

მშვიდობით, ჩემო ირაკლი!

**მურთაზ გვაზავა**



## კვალი ხსოველი

ბატონ ირაკლი მოწერელიას რეალური სურათი რომ დახატო, ზედმიწევნით უნდა იცნობდე, სხვა შემთხვევაში, როცა მისი ცადამადლებული სული ჩვენს ნააზრევს წაიკითხავს, არმოწონების ნიშნად წარბს შეჭმუხნის და გვერდით გაიხედავს... წერილის ფორმატი, რომ არ მზღუდავდეს ბატონ ირაკლიზე წიგნს დავწერდი... ირაკლიმ ცხოველი კვალი დაამჩინა მარტვილის უღიმღამო ცენტრის ქალაქად ჩამოყალიბების საქმეს. ჩემი ასაკის ადამიანებს ემახსოვრებათ ხევადქცეული შემოსასვლელი და სამიოდე ბარაკის ტიპის შენობით შემორკალული რაიონის ცენტრი თუ როგორ იქცა ერთი ვაცის ჯიუტი ნებით მოსაწონ სივრცედ. ...უმეტეს შემთხვევაში ზემდგომი ორგანო დიდად თავს არ იწუხებდა რომელიმე პერიფერიულ რაიონული კუთხის კეთილმოწყობასა თუ მშენებლობაზე, მწირი ბიუჯეტი ამის საშუალებას ნაკლებად იძლეოდა. მისი მიზანდასახულობით ყველაფერი გვარდებოდა და ეს ხდებოდა, წლების განმავლობაში, ყოველდღიური მიზანსწრაფვის საფუძველზე... ირაკლისთან მუშაობის წლებმა ჩემში ჩამოაყალიბა პუნქტუალობის, საკუთარ თავთან დამოუკიდებლად მუშაობის და, რაც მთავარია, წერის კულტურა. თავად, ზედმიწევნით პუნქტუალური და მოწესრიგებული, კოლეგებისგანაც იგივეს ითხოვდა. მთელმა მისმა ათწლიანმა მოღვაწეობამ მისი ჯანმრთელობის ხარჯზე გადაიარა. დილის ხუთი საათიდან ან სანაპიროზე იდგა ან არქიტექტორთან და მშენებელთან ერთად ნახაზებს ჩაკირკიტებდა. პირველი ორი წელი მის პირად მდივნად ვიმუშავე და თამამად შემოძლია განვაცხადო, მე მის სულიერ მოძრაობას ვგებულობდი. ირაკლისთან, საყველპურო ქართულით ვერ გავიდოდი, ვერც ტყუილის მოშველიებით გახვიდოდი ფონს. ....სამი ათეული წელი გავიდა და დღესაც მიკვირს, რატომ ეშინოდა მისი, უმეტესობას, მაშინ, როდესაც ის არავის არ თრგუნავდა, ოღონდ ეს იყო, ზერელობას და საქმის მიფუჩეჩებას ვერ იტანდა. ...ასეთი ერუდითი და განსწავლული ადამიანი უფუნქციოდ დარჩა გარკვეული ხნით, იქიდან დაიწყო ჩემში შინაგანი რღვევა, ზემდგომი სტრუქტურის ავკარგიანობაზე(!). პიროვნება, რომელსაც შეეძლო თავისუფლად ემართა ნებისმიერი სამეცნიერო თუ სამეურნეო სტრუქტურა, ხელიდან გამოგვეცალა... ..ბოლო ოცი წელია ემიგრაციაში ვარ, რო-

ცა, დროდადრო, მშობლიურ მხარეს მოვინახულებ, თვალწინ კინოკადრებივით გაირბენს ბატონი ირაკლის მუხლჩაუხრელი მუშაობის მთელი პროცესი, ისეთი შეგრძნება მიჩნდება, ქუჩის რომელიმე ამოსახვევიდან გამოჩნდება, ზურგზე პიჯაკგადაკიდებული და თავისი უშუალო ხიბლით შემაჩერებს(!)... ...ჩვენ, ერთი და იგივე წიგნებს ვიწერდით კლასიკური ლიტერატურიდან, ბევრჯერ გვისაუბრია ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე, ეს იყო მასთან ურთიერთობის ლამის ყოველდღიური სამახსოვრო პასაჟი. ვის არ ჰქონია ცხოვრებაში კრიტიკული სიტუაციები, მათ შორის მეც, ირაკლი ყოველთვის უშურველად მდგარა ჩემს გვერდით. ერთი ასეთი დამახასიათებელი პლასტი: მას ვერასოდეს მოიხელთებდი მოშვებულად ჩაცმულ - დახურულს, ახლდა თავისი განუმეორებელი პენი და ლაზათი, ასეთი იყო ის, ხალხის წინაშე ზეპირ გამოსვლაში, ასეთი იყო, სუფრასთან, კორექტული და სხარტი იუმორით... დროისა თუ გარემოების გამოისობით, ისე უჩუმრად წავიდა ზეციურ საქართველოში ჩემი უფროსი მეგობარი და თვალსაჩინო მამულიშვილი, რომ მგონია, ჯეროვნად ვერ მოვესიყვარულე, ამ, კოლხური დვრიტის იშვიათ წარმომადგენელს!

Ps. ქართულ ენაში არის ერთი ასეთი ტევადი სიტყვა, მამულიშვილი.... როგორ გვაკლია დღეს, ამ ჩვენს ბედკრულ საქართველოში, ირაკლი მოწერელიას რანგის მამულიშვილები. ნათელი და სანთელი ირაკლის ამაყ და ფაქიზ სულს!.

**გოგი ცხაკაია**

ისრაელი, თელავივი, 2021 წლის ივლისი



მარტვილი, საშუალო სკოლის საზეიმო გახსნა

\* \* \*

უნდა ვაღიარო, რომ მიძნელებდა მოსაგონარი სიტყვა ვთქვა, რომელიც ეკუთვნის ირაკლი მონწერელიას.


მაგონდება ერთი ბრძნული გამონათქვამი, „თუ ვაცს აქვს ის, რისთვისაც ღირს სიკვდილი, იგი ბედნიერია“. ნაადრევად კი მისი იმ სოფლად წასვლას ბედნიერად ვერ მოვისაზრებ. ადვილი არ არის და, მით უმეტეს, ხელმძღვანელისთვის მოიპოვო მაღალი ავტორიტეტი, დიდი თუ პატარა მოგისხენიებდეს პატივისცემით, მომდურავზე გაცილებით მეტი მადლიერი გყავდეს. სწორედ ასეთი ხელმძღვანელი იყო ირაკლი. მას, სხვა დადებით თვისებებთან ერთად, ახასიათებდა ზომიერება, პრინციპით - არც ზედმეტად ტკბილი იყო და არც ზედმეტად მწარე. იგი მუდმივ მზადყოფნაში იყო წამოჭრილ პრობლემებზე გაეცა სწორი და ამომწურავი პასუხები. ის ქმნიდა ისეთ გარემოს, რომელშიც პირდაპირობით და გულახდილობით ყველას მოსაზრებას, პოზიციას პატივს მიაგებდა, მაგრამ არ კარგავდა საკუთარ „მეს“. ყოველთვის ჰქონდა საკუთარი მყარი აზრი და თავისებური, საკუთარი, პრინციპული მიდგომა. რაც ერთი შეხედვით მოგეჩვენებოდა, რომ არ იყო სწორი, მაგრამ დროის უმოკლესი მონაკვეთი დაადასტურებდა, რომ იგი, როგორც ყოველთვის, მართალი იყო.

ირაკლი ჩემთვის (და არა მარტო ჩემთვის) გამორჩეული ხელმძღვანელი იყო თავისი ინტელექტით და პატიოსნებით. ხალხის თვალს არაფერი გამოეპარება. მცირე დამსახურებასაც არ დაგიკარგავს, მაგრამ არც უპატიებელს გაპატიებს. იგი თავისი ცხოვრების წესითა და მუშაობის დახვეწილი, მოსახლეობასთან მიდგომის სტილით, მარტვილის სინამდვილეში ნდობით, პატივისცემითა და დიდი სიყვარულით სარგებლობდა. ის უდავოდ მაღალი დონის პროფესიონალი იყო, რამაც შესაძლებლობა მისცა (მაშინდელ რთულ საბჭოურ პერიოდში) თანაბრად განვითარებინა რაიონის სახალხო მეურნეობა. მის მაღალ ავტორიტეტს უფრო თვალსაჩინოს ხდის მისი ოჯახის სინამდვილე. იგი ამ მხრივაც მაგალითის მიმცემი იყო. მის ცხოვრებისეულ კრედიტს რაიონისა და ოჯახის მართვა და კეთილმოწყობა შეადგენდა, რომელსაც კეთილგონიერება და სამართლიანობა ჰქვია ზოგადად. ასეთად დარჩა ის დღემდე ჩვენს მესხიერებაში. მე შეამაყება, რომ ამ შესანიშნავი პიროვნების გვერდით მომიწია მუშაობამ და ვითვლები მის მეგობრად. რაიონის სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანეს დარგებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა აგროსამრეწველო გაერთიანების (რომელსაც მე ვხელმძღვანელობდი იმ წლებში) განვითარებას, მის სწორ დაგეგმვას, ეფექტიანობის ამაღლებას, მთელი კომპლექსის და მათ შორის შემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებას,

გადამამუშავებელი მრეწველობის შემდგომ განვითარებას და, რაც მთავარია, კადრების შერჩევას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა. ციფრებით არ გადაგტვირთავთ. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ წარმატებები ხელშესახები გვქონდა.

გულწრფელად ვწუხვარ, რომ ირაკლიზე წარსულში მიხდება საუბარი. ვისურვებდი, რომ კარგად ამყოფოს და ღმერთმა გაამრავლოს ირაკლი მონწერელიას ძვირფასი გენის მემკვიდრენი. ბოლოს ს. ესენინის ერთი ნათქვამის პერიფრაზით დავამთავრებ ჩემს მოგონებას ბატონ ირაკლი მონწერელიაზე: „წუთისოფელში მან იცხოვრა წესის გულისთვის ისევე, როგორც ყველა კაცის წმინდა ვალია“. იგი თავისი არსებობით მართლაც ბრწყინვალე მაგალითი იყო ყველასათვის და ვალმოხდილი წავიდა ზეციურ სამყაროში.

## რობინ უბილავა



მარტვილი, ლეზარდე



ბატონ ირაკლი მონერელიას გაცნობა ქ. ფოთში ჩემი სტუდენტობის პერიოდს უკავშირდება. სასწავლებლის დამთავრებისთანავე მეგობრების თხოვნით ხელოვნების კუთხით 3 წლით ჩხორონწყუს რაიონში მომინია სამუშაოდ გადასვლა.

სწორედ აქ შედგა ჩემი მოულოდნელი შეხვედრა ბატონ ირაკლის-თან. ჩხორონწყუში რაიონული კომიტეტის ერთ-ერთ ღონისძიებაზე, სადაც ახლო რაიონების რაიკომის პირველი მდივნები და სტუმრები, მათ შორის უკვე მარტვილის რაიონის რაიონული კომიტეტის პირველი მდივანი ბატონი ირაკლი ალექსანდრეს ძე მონერელიაც იყო მონაწილე (თუმცა პირადად მე ამის შესახებ არაფერი ვიცოდი)... სცენაზე ჩემი სასიმღერო ნომრის შესრულების დროს მაყურებელთა დარბაზის პირველ რიგში ან განსვენებული, ასევე დიდებული პიროვნების, ჩხორონწყუს რაიონული კომიტეტის პირველი მდივნის ბატონ კარლო ქაჯაიას გვერდით ვიხილე ბატონი ირაკლი მონერელია. სიმღერა ჩამთავრდა და ვფიქრობ, ბატონი ირაკლი როგორ არ ვნახო - მეთქი, არადა, მერიდებოდა მისვლაც. ამ დროს სცენის კარი იღება და... ეს შეხვედრა ჩემთვის დაუვიწყარი იყო... მისალმება და მოკითხვის შემდეგ მეუბნება: ბადრი, შენ შენს რაიონს უნდა დაუბრუნდეთ... ფაქტიურად ერთ თვეში მე მართლაც ჩემს რაიონს დაუბრუნდი და გავაგრძელე კულტურის სფეროში მუშაობა.

ბატონ ირაკლის საოცარ ადამიანურ თვისებებზე ბევრი სასიამოვნო მოგონებები მახსენდება, მაგრამ მინდა ერთ-ერთზე შევჩერდე. მარტვილის სა-რაიონო კულტურის სახლის დირექტორის რანგში მოღვაწეობის პერიოდში, მაშინ როცა მთლიანად კულტურის დარგს ხელმძღვანელობდა შესანიშნავი პიროვნება და მეგობარი, ანგანსვენებული რევამ შალვას ძე კილასონია, ერთ-ერთი მასშტაბური ღონისძიების მომზადების პროცესში, დახმარების მიზნით რაიონული კომიტეტის მხარდაჭერით აუცილებელი შეიქმნა თბილისიდან კომპოზიტორის მონაწილეობა. ჩვენ არჩევანი ცნობილ კომპოზიტორზე, ბატონ მიხეილ ჩირინაშვილზე გავაკეთეთ. მისი 2 დღიანი საქმიანი ვიზიტის შემდეგ თბილისში გამგზავრებამდე ბატონმა ირაკლიმ დამიბარა და მითხრა, სტუმარი უჩემოდ არ გაუშვათო. ბევრს არ გავაგრძელებ... ერთ-ერთ რესტორანში ( ის ყველგან არ დაჯდებოდა) სადაც სულ 4 ადამიანი ვისხედით: ბატონი ირაკლი, მიხეილ ჩირინაშვილი, რევამ კილასონია და მე, ჩვენი ვიზიტი სულ 2 საათი გაგრძელდა. ბატონი ირაკლი, რომელიც მუდამ სამუშაო პროცესში იყო ჩაფლული, ჩვენდა მოულოდნელად ბოლომდე დარჩა და სტუმარს სხვადასხვა საკითხებზე, კერძოდ რაიონის საკეთილდღეოდ, მომავალ მიზნებზე და გეგმებზე ესაუბრებოდა...

ჩემი მოგონება ამ შესანიშნავ, ყოველმხრივ განვითარებულ და უნიჭიერეს პიროვნებაზე ერთი საოცარი ეპიზოდით მინდა დავასრულო.... ბატონმა ირაკლიმ მიხეილ ჩირინაშვილი აღღვრებულა, როგორც სტუმარი და მადლობა გადაუხადა დახმარებისათვის, მაგრამ საოცრება ის იყო, რომ ამ პროცესში მას დაუსახელა და ჩამოუყალიბა მისი მთელი ცხოვრების განმავლობაში შექმნილი შედეგები, მუსიკალური ნაწარმოებები.. თვალწინ მიდგას აღფრთოვანებისგან გამონჯველი სტუმრის გაოცებული სახე. ბატონ ირაკლის მიერ დასახელებული ზოგიერთი ნაწარმოების არსებობა შეიძლება არც ახსოვდა კიდევ ისედაც უკვე ასაკში შესულ კომპოზიტორს. ასევე რა დამაფინყებს მის სიტყვებს, რაც ბოლოს, გაცილების დროს მან მე და რევაზ კილასონიას გვითხრა: „ეს ვინ გამაცანით, შორიდან ვიცნობდი, როგორც გამორჩეულ რაიკომის მდივანს, მაგრამ ჩემი ამდენი ნაწარმოები საიდან იცის, რაიკომის მდივანია თუ კომპოზიტორი!...“

საოცრება კი ისაა, რომ ბატონი ირაკლი მონწერელია ასეთი იყო ყველა სფეროში.

ღმერთმა ნათელში გვიმყოფოს მისი სული.

## ბადრი გვილავა



ირაკლი მონწერელია, პროფესორები პარმენ ზაქარაია, ნოდარ ლომოური და ვადიმ ლეჟვინაძე აბედათის ციხის არქეოლოგიური გათხრების დროს. 1985 წ.

\* \* \*

ირაკლი მონწერელია იმ დიდი ადამიანური მასშტაბის და გასაოცარი თვისებების პიროვნებაა, რომლის შეფასებისას, ჩემს მიერ წარმოთქმული ნებისმიერი სიტყვა უმნიშვნელოდ მეჩვენება.

რთულია წარსულ დროში ისაუბრო მის შესახებ. უკვე ორი წელი გავიდა, რაც ეს დაუჯერებელი ამბავი მოულოდნელად დაგვატყდა თავს მის მეგობრებსა და ახლობლებს. ახლაც კი შეუძლებელია იმის აღქმა, რომ გამოგვაკლდა ენერგიული, ძლიერი პიროვნება, მხნე, მომდიმარი, ყოველთვის პირდაპირი, საოცრად გულწრფელი და ხალისიანი ირაკლი მონწერელია!

ყველა, ვინც კი იცნობდა ირაკლის, მოხიბლული იყო მისი ადამიანური თვისებებით - კეთილშობილებით, თავმდაბლობით, ერუდიციით, იუმორით, მუდმივი მზადყოფნით ადამიანის დასახმარებლად.

მას ძლიერ უყვარდა საქართველო, მშობლიური მხარე, ფოთი და ფოთელები, მუდამ აღელვებდა მთელი ჩვენი საზოგადოების პრობლემები,

ირაკლი იყო ჭეშმარიტი ქართველი ინტელიგენტი, წყნარი და განონასწორებული, მაგრამ როდესაც საქმე ეხებოდა საზოგადოების ინტერესების დაცვას იგი ყოველთვის იკავებდა პრინციპულ პოზიციას, ავლენდა მტკიცე ხასიათს, ურყევ ნებისყოფას და მიზანსწრაფვას.

ირაკლი მონწერელიას მთელი საქმიანობა ეროვნული სულისკვეთებითაა გამსჭვალული. მისი მუდმივი საზრუნავი იყო ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, საზოგადოებრივი ურთიერთობების, სამეცნიერო სფეროს, ახალგაზრდობის აღზრდის პრობლემები.

სწორედ ამ სფეროებში იჩინა თავი ირაკლის კიდევ ერთმა ფასდაუდებელმა თვისებამ - ადამიანთა შეკავშირების უნარმა, რაც ნათლად გამოვლინდა მის წარმატებულ მმართველობით საქმიანობაში ყველა უბანზე.

იგი იყო არა მხოლოდ ნიჭიერი ხელმძღვანელი, ორგანიზატორი და საზოგადო მოღვაწე, არამედ საიმედო მეგობარი, თანამოაზრე, თანამებრძოლი. ამიტომაც დაიმსახურა დიდი სიყვარული, პატივისცემა და ავტორიტეტი.

ჩვენ პირველივე შეხვედრიდან დავმეგობრდით. ვიგრძენი, რომ მასთან ურთიერთობა იქნებოდა კომფორტული, დავინახე მისი მაღალი ადამიანური თვისებები - კულტურა და პროფესიონალიზმი, მოკლებული ყოველგვარ სნობიზმს.

ჩვენ გვაკავშირებდა ნახევარსაუკუნოვანი, სრულიად უღრუბლო მეგობრობა. ეს იყო თანამოაზრეთა კავშირი, ურთიერთგაგება ყველა საჭირობოროტო საკითხთან და პრობლემასთან დაკავშირებით.

მუდამ ვგრძნობდი, რომ ნამდვილი მეგობარი მყავდა!

ძალიან დამაკლდა ირაკლი!

**კონსტანტინე აბულაძე**

## უფროსი მემოზრის სსოვნას

არიან პიროვნებები, რომლებიც თავიანთი პიროვნული თვისებებითა და საქმიანობით წარუშლელ კვალს ტოვებენ ადამიანთა მეხსიერებაში. ბატონი ირაკლი მონერელია ჩემთვის სწორედ ასეთთა კატეგორიას განეკუთვნება. მქონდა ბედნიერება, წლების განმავლობაში მისი ჯერ შეგირდი, შემდგომში უმცროსი მეგობარი ვყოფილიყავი და რამდენად სამწუხაროა, რომ მასზე მოგონებების წერამ მომიწია?.

თითქმის ნახევარი საუკუნის წინ, ორშაბათის მიღებაზე რაიონის თავკაცად ახალარჩეულ, ჩემთვის სრულიად უცხო პიროვნებას ვენვლე სამსახურის ძიებაში. კარგად მახსოვს, ორმოცი წუთის მანძილზე მცდიდა, მამონებდა, მეკითხებოდა. ვერ მივხვდი, ინსტიტუტის მერხიდან მოსულისგან რას მოითხოვდა, რა უნდოდა. ბიოგრაფია დეტალურად გამომკითხა, შემდეგ ერთი ზარით, იმავე დღეს, გადანყვიტა ჩემი შრომითი მონაცემების საკითხი, რაიონის ახალგაზრდული ორგანიზაციის მმართველობით ორგანოში გამამწესა რიგით თანამშრომლად, ხოლო 15 თვეში რაიონის ახალგაზრდობის თავკაცად მაკურთხა. სამი წლის თავზე ჩემმა რესპუბლიკურმა „უფროსობამ“ პარტიულ სკოლაში გამიწია რეკომენდაცია სასწავლებლად. რომ ვიკითხე, პირველმა თუ იცის-მეთქი, მიპასუხეს, იცისო, თურმე, მომატყუეს. სარწმუნო წყაროებიდან ვიცი, ბატონი ირაკლი გაბრაზებულია ჩემს თავნებობაზე, მაგრამ ჩემთან ერთხელაც არ გამოუხატავს, გულში არ ჩაუდია. ბაქოში თავის კოლეგებთან ერთად ჩამოსული სუფრაზე დავპატიჟე, მონვევა მიიღო, მეგობრებთან ერთად მენვია. როდესაც მლოცავდა მივხვდი, რომ ჩემზე ყველაფერი იცოდა. რამდენიმე თვეში სასწავლებლიდან გამომიწვია და რაიონის მმართველობით აპარატში თავის გვერდით მეტად საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დამნიშნა და რაიონის აღმშენებლობითი საქმიანობის თანაავტორი გამხდა. წვრილშვილიან მამას სამოთახიანი ბინა გამომიყო, მომიგვარა სხვა საყოფაცხოვრებო პირობები. ამის დავიწყება არ შეიძლება, ეს ხომ ახალგაზრდა კადრზე, მის კარიერულ ზრდაზე ზრუნვის საუკეთესო მაგალითია. მეც ვცდილობდი აქტიურად მეღვანა მისი ხელმძღვანელობით რაიონის აღმშენებლობით საქმიანობაში.

იგი ასეთსავე დამოკიდებულებას იჩენდა გამოცდილი კადრებისადმი. საბჭოთა მმართველობითი სისტემა მეტად ხისტი იყო თავისი ბუნებით. სხვადასხვა გადაცდომებისათვის მას ორგანიზაციული ღონისძიებების გატარება უხდებოდა რაიონის წარმოება-დანესებულებების ხელმძღვანელთა მიმართ. მარტვილის სინამდვილეში არ მახსოვს არც ერთი შემთხვევა, გარკვეული დროის შემდეგ სხვა თანამდებობაზე არ

მიებრუნებიანოს ადრე განთავისუფლებული კადრები. ისინი შემდგომში მოტივირებულები იყვნენ და აქტიურად მონაწილეობდნენ რაიონის აღმშენებლობაში.

ბატონი ირაკლი თავისი ბუნებით მეტად თავმდაბალი პიროვნება იყო. არასდროს უცდია ის წარმატებები, რომელიც რაიონს ჰქონდა, საკუთარი პიროვნებისთვის მიეწერა და ყოველთვის ხაზგასმით მიუთითებდა კოლექტიურ წვლილზე. ძალიან კარგად მახსოვს, მასთან პირად საუბარში შევთავაზე რესპუბლიკის მასშედიის წარმომადგენლების ჩამოყვანა რაიონში მიმდინარე პოზიტიური პროცესების ობიექტურად ასახვისთვის. თავი შორს დაიკავა და მიპასუხა - „ბესიკ, ხალხი ყველაფერს ხედავს და დაგვიფასებენ“. აქაც ცამდე მართალი აღმოჩნდა - მაღლიერი მარტვილები ორმოცდახუთი წლის შემდეგაც 1977-87 წლების პერიოდს „მონერელიას დროს“ ეძახიან, ხოლო მას დღემდე მარტვილის აღმშენებლად მოიხსენიებენ.

ბატონ ირაკლის საქმიანობამ მოუწია კომუნისტური სისტემის დეგრადაციის პერიოდში. მან აქაც გამოიჩინა ორგანიზატორული უნარი, ადგილობრივი რესურსების ეფექტურად გამოყენების ჩვევები, არსებული რეზერვების მაქსიმალურად გამოყენების ღმერთისგან ბოძებული თვისებები და ე.წ. „კომუნისტური შაბათობებით“ აკეთილშობილებდა რაიონს, ხოლო მარტვილის მონასტრის და მისი შემოგარენის რეკონსტრუქციისადმი მიძღვნილი საქმიანობა კომუნისტურ წყობაში გმირობად უნდა ჩაითვალოს რაიონის პარტიული თავკაცის მხრიდან.

ბატონ ირაკლიზე ბევრის თქმა შემოძლია, მაგრამ წიგნის ფორმატი ამის საშუალებას არ მაძლევს.

ბატონ ირაკლის ჩემთვის ცნობილი ათამდე პროექტი დარჩა განუხორციელებელი. როდესაც მისი მემკვიდრე საქართველოს პარლამენტის დეპუტატი გახდა, „ამალასთან“ ერთად ეს ობიექტები შემოვატარე, საკმაოდ „დავღალე“. მის შეკითხვაზე იმ გადატაკებულ დროს ვინ იყო ამ პროექტების განხორციელების გარანტი, შევირდმა ოსტატზე დაუფიქრებლად ვუპასუხე - ირაკლი მონერელია.

ასეთი იყო იგი ჩემთვის და ასეთად დარჩება მარადუამს.

**ბესიკ ჭოჭუა**





მარტვილი, სოფ. სალხინო



ირაკლი მონერელია, დემიკო ლოლაძე, კოსტანტინე აბულაძე

\* \* \*

ჩვენი სტუდენტობის პერიოდში აგრონომიული ფაკულტეტი ოთხი მიმართულების სპეციალისტებს ამზადებდა 1.მემინდვრე აგრონომები 2.მეთესლე-სელექციონერები 3.მცენარეთა დაცვის აგრონომები და 4. აგროქიმიკოსი ნიადაგმცოდნეები. პირველ კურსზე ას სტუდენტს რიცხავდნენ ზემოთ მოყვანილ სპეციალობებზე თანაბარი რაოდენობით. სპეციალობის არჩევა, უკვე სტუდენტების პრიორიტეტი გახლდათ.

ირაკლის მამა - ბატონი ალექსანდრე მონწერელია საბჭოთა კავშირის, ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების ინსტიტუტის კოლხეთის ფილიალის დამფუძნებელი და ერთ-ერთი, ცნობილი მეცნიერ-ნიადაგმცოდნე იყო. ალბათ, დედ-მამის ცხოვრებისეულმა ხედვამ განაპირობა ირაკლის ნიადაგმცოდნეობის დარგის განსაკუთრებული ერთგულება და დიდი სიყვარული.

ჩვენ წრეში ირაკლი შემოიყვანა მისმა ჯგუფელმა ომარ კილასონიამ. იგი მალევე დამკვიდრდა ჩვენ რიგებში ერთ-ერთ მონინავე პოზიციაზე, რაშიც ხელს უწყობდა კარგი განათლება და აღზრდა. ნიადაგმცოდნეობაში მისი ცოდნა და გამოცდილება, როცა დამჭირდებოდა მაშინვე მას მივმართავდი. ეს ჩემი ასპირანტურაში სწავლის პერიოდში ხდებოდა. სწორედ მაშინ გავიცანი ბატონი ალიოშაც და დედამისიც, მაგრამ სამწუხაროდ, როგორც არა მეცნიერი, არამედ როგორც დიასახლისი და მისი შვილის მეგობრების მიმართ დედობრივი სითბოს მატარებელი ადამიანი.

ამდენად, არ გამკვირვებია, როდესაც კარგა ხნის შემდეგ ფოთში ჩასულმა შევიტყვე, რომ თურმე ბატონ ალიოშა მონწერელიამ, რომელმაც მრავალი მეცნიერი აღზარდა, მათ შორის ჩემი მეგობრებიც იყვნენ: მისი შვილი ირაკლი მონწერელია და მის მიერ ინსტუტიდან წამოყვანილი მეგობარი ომარ კილასონია, რომელთა აღზრდისთვის თავი მანამდე არ დაუნებებია, სანამ ისინი არ აქცია სასოფლო - სამეურნეო რაიონების საკმაოდ ძლიერ და თანაც წესიერ რაიკომის მდივნებად. ასე რომ, ბატონმა ალიოშამ ორი რაიკომის მდივნის აღზრდელი მამის სახელი მოიპოვა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პატიოსანი სახელის მქონე რაიკომის მდივნები კი არც თუ ბევრი იყო მაშინდელ საბჭოთა საქართველოში. მათ ჯერ მეცნიერად, შემდეგ კი, პოლიტიკურ ხელმძღვანელებად გადაქცევას კი ხელს უწყობდა სწორედ ზემოთ მოყვანილი ინსტიტუტში სწავლა, თუ მუშაობის პერიოდში მიღებული ცხოვრებისეული გამოცდილება.

**გოდერძი გოდერძიშვილი**

\* \* \*

ისე ინება განგებამ, რომ 1992 წელს მე, დავით ბენიძე, ქუთაისელი კაცი ფოთში აღმოვჩნდი ფოთის მერის მოადგილის თანამდებობაზე ქვეყნისათვის უმძიმეს პერიოდში, როდესაც საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო ჩამოყალიბების დაწყებით პერიოდში იმყოფებოდა და ყოფილი მეტროპოლიის დიდ წნეხს განიცდიდა. ეს ის დროა, როდესაც საქართველოს დაშლის პროცესი მიმდინარეობს და ყველა რეგიონს აქეზებენ სეპარატიზმისაკენ, რათა დაასუსტონ ცენტრალური ხელისუფლება და საბოლოოდ მიიღონ არშემდგარი სახელმწიფო, რომელიც ვერ იარსებებს დამოუკიდებლად და კვლავ ჩაუვარდება ხელში რომელიმე ძლიერ მებობელს მთლიანად ან ნაწილ-ნაწილ.

აფხაზეთში და სამაჩაბლოში სეპარატისტები უკვე ხელისუფლებაში არიან და მომენტს ელოდებიან, აჭარა მდინარე ჩოლოქზე სასაზღვრო გამშვებ პუნქტს აწესებდნენ. არასტაბილური მდგომარეობაა ქვემო ქართლში და ჯავახეთში.

ამ დროს ქვეყნის დასავლეთში მედგრად დგას ქალაქი ფოთი, რომლის მოსახლეობა ყველაფერს აკეთებს, რომ დროულად და შეუფერხებლად მიაწოდოს ყველა რეგიონს ნავსადგურში შემოსული ტვირთი და თბილისთან ერთად საქართველოს ეკონომიკური გადარჩენის გარანტიად გვევლინება.

ასეთ დროს ქალაქს ხელმძღვანელობს ბატონი რომან მელია, მერის პირველი მოადგილე გახლავთ გამოცდილი სახელმწიფო მოხელე, ირაკლი მონერელია, რომელიც წლების მანძილზე მართავდა ამჟამად მარტვილის რაიონს. ის ერთადერთი იყო მერიის გუნდში, ვისაც ქალაქის მართვის გამოცდილება ჰქონდა.

მერიის გუნდში მოადგილეების რანგში იყვნენ გამოცდილი სამეურნეო და დარგობრივი გამოცდილების მქონე ადამიანები: გურამ დოლბაია, დავით იაკობიძე, შოთა ყავლაშვილი და თამაზ ტყემალაძე.

ყურადღებიანი მკითხველი, გადახედავს რა მხოლოდ ამ მოკლე სიას ადამიანებისა, ნათლად დაინახავს, რომ იმ ძნელბედობის ჟამს ფოთს ხელმძღვანელობდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხის შვილები, რომლებიც ერთად წყვეტდნენ ქალაქის წინაშე მდგომ ამოცანებს. ერთ-ერთი ასეთი ურთულესი ამოცანა გახლდათ აფხაზეთის ფრონტის მემორების მომარაგების ამოცანა, როგორც საბრძოლო მასალებით, ასევე ამუნიციით, ცოცხალი ძალით, საკვები პროდუქტებით.

იმ ურთულეს პერიოდში ქალაქის ფუნქციონირების და მის წინაშე არსებული პრობლემების გადანაცვების კოორდინაციაში მთავარი ფიგურან-

ტი იყო ირაკლი მონწერელია. მან წარმატებით გაართვა თავი ამ მოვალეობას.

მრავალი წელია გასული მას შემდეგ და გული სიამაყით მევსება, რომ ჩვენ ბატონ ირაკლის ხელმძღვანელობით შევძელით არა მარტო ქალაქის მოსახლეობის სტაბილური ცხოვრების უზრუნველყოფა, არამედ ომთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება. ამ დროს ბევრი რამ ვისწავლე ბატონ ირაკლისაგან და ეს არასდროს დამვიწყებია, ყოველთვის დიდი პატივისცემით ვხვდებოდი მას და ვწუხვარ, რომ მასზე, როგორც გარდაცვლილზე მოგონების წერამ მომიწია.

**დავით ბენიძე**

## მარტვილის აღმშენებელი

მე მარტვილელი ვარ, აქ დავიბადე და სკოლაც აქ დავამთავრე, შემდგომში ცხოვრება და მოღვაწეობა მის ფარგლებს გარეთ მომიწია.

რაიონში ჩამოსული გაკვირვებული ვრჩებოდი იმ გრანდიოზული აღმშენებლობითი საქმიანობით, რომელსაც თითქმის ათი წლის მანძილზე ბატონი ირაკლი მონწერელია ეწეოდა. ხალხი ბრძენია და სწორედ ასეთი შრომისათვის, მაღლიერმა მარტვილელებმა, მას „მარტვილის აღმშენებელი“ შეარქვეს. აღამიანმა გაბედა და საბჭოთა პერიოდში, ოსტატურად გამოიყენა შაბათობები იმისათვის, რომ მარტვილის მონასტრის იერსახე მოენწერიგებინა, მისი რეაბილიტაცია-რესტავრაცია მოეხდინა. ქ. მარტვილის ცენტრი საბაგირო გზით დაუკავშირა მარტვილის სამონასტრო კომლექსს, რაიონის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობასაც თავკაცობდა. მისი მოღვაწეობის პერიოდში, მდინარეებზე: აბაშა და ინჩხია რამდენიმე ხიდი აიგო. გაჩნდა მარჯვენა და მარცხენა სანაპიროები, მოხდა რამდენიმე ხევის ამოვსება: კურორტ ლეზარდის გზაზე აიგო რვა ხიდი, ქალაქში პირველად აშენდა რამდენიმე მრავალსართულიანი სახლი, რომელიც აშენდა აგურით (განმეორებულია იგივე პროექტი თბილისში ნუცუბიძის ფერდობზე), მარტვილში, როგორც მცირემიწიანი და რთული რელიეფის პირობებში, ეს პროექტი უნიკალურია. გაკეთდა მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა მემორიალური კომპლექსი. დაიწყო საავადმყოფოს ახალი კომპლექსის, მეფრინველეობის ფაბრიკის, აგურის ქარხნის, ჩაის ფაბრიკების, მეცხოველეობის კომპლექსების, სკოლების, საბავშვო ბაღების, სოფლად კულტურის ცენტრების, სტრატეგიული მნიშვნელობის შემოვლითი, თუ რაიონის ყველა სოფელთან დამაკავშირებელი ასფალტირებული გზების მშენებლობები.

1986 წელს ირაკლი მონწერელიამ მიაღწია იმას, რომ მარტვილში საკავშირო დაქვემდებარების საწარმო ოპტიკურ-მექანიკური ქარხანა დააარსა და ავსტრიული თანამედროვე დანადგარებით ავსტრიელ ინჟინრებს დაამონტაჟებინა. კომუნისტურ 80-იან წლებში ირაკლი მონწერელია 50 წლით წინ იყურებოდა. ბატონმა ირაკლიმ რაიკომის პირველი მდივნის თანამდებობა 1987 წელს დატოვა. 1995 წელს გაზეთი „მარტვილი“ მოსახლეობას სთავაზობს რუბრიკას „ჩვენი ფოტოთეკა“, ნიშანდობლივია, რომ მაღლიერმა მარტვილელებმა სწორედ ბატონი ირაკლი მონწერელიას პორტრეტით დაიწყეს.

წელს, არჩევნების პერიოდში, ბატონი ირაკლის მემკვიდრეს, ჩემს უმცროს მეგობარს ალექსანდრე მონწერელიას, როგორც დეპუტატობის



კანდიდატს, დავყვებოდი შეხვედრებზე სოფლად თუ ქალაქად. გაკვირვებული დავრჩი, როგორი სითბოთი და სიყვარულით იხსენებდა მადლიერი ხალხი ბატონ ირაკლის 33 წლის შემდეგაც, ყველა სფეროს წარმომადგენლები, უფროსი თაობაც, ვინც მოესწრო და მათი შვილების თაობაც, ვინც არ მოსწრებია. მაგრამ თავიანთი მშობლებიდან ჰქონდათ განაგონი. საოცარია, როგორ მოახერხა ამ ადამიანმა თითოეულ მოქალაქეს ასე შეხებოდა, ხელი გაეწვდინა და დახმარებოდა მათ, გაკვირვებული დავრჩი, ის, რაც ვიცოდი თურმე არ მცოდნია, თურმე იმაზე უფრო მეტად ჰყვარებიათ და იმაზე მეტი გაუკეთებია, რაც მე ვიცოდი, ყველგან მისი ნაკვალები და ნაშრომი დაგვხვდა. არჩევნებში ახალგამარჯვებულ დეპუტატ ალექსანდრე მონწერელიას და მის მეგობრებს, ბატონი ირაკლის გუნდის წევრებმა „შეგირდებმა“ (ასე უწოდებდნენ საკუთარ თავს), დაგვათვალაიერებინეს „ოსტატის“ მიერ ჩაფიქრებული, მაგრამ განუხორციელებელი პროექტები. ადფრთოვანებული დავრჩი ამ პროექტების გრანდიოზულობით, პერსპექტივით. „შეგირდებისადმი“ ჩემს ლოგიკურ კითხვაზე - რას ეყრდნობოდა მათი ოპტიმიზმი, მიპასუხეს - ირაკლი მონწერელიას...

აფერუმ ასეთ ადამიანს!

მარტვილელებთან ერთად იმედს ვიტოვებ, რომ ახლა უკვე ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს დეპუტატი, ალექსანდრე მონწერელია განახორციელებს მამის ჩაფიქრებულ პროექტებს. სწორედაც რომ, „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა“.

მოხარული ვარ, რომ მარტვილში გამოჩნდა საინიციატივო ჯგუფი, რომელიც ირაკლი მონწერელიასადმი მიძღვნილი წიგნის გამოცემას შეუწყობს ხელს. წიგნი, რომელშიც მთელი სისრულით გამოჩნდება ამ დიდებული ადამიანის მთელი ნაღვანი.

## **მელიტონ სულაბერიძე**

ფიზიკა - მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი  
პროფესორი

## **ხატიან სულაბერიძე**

არ არსებობს მარტვილში ადამიანი, ბატონ ირაკლის რომ არ აქვებდეს, პირადად მე ბევრჯერ შევსწრებივარ უფროსი თაობის საუბარს, სადაც მის გაკეთებულ საქმეებს იხსენებდნენ. მე კი ასმაგად ამაყი ვარ, რომ ჩემს ძმას ირაკლი - ბატონი ირაკლის საპატივცემულოდ ჰქვია.

## **მერი შენგელია**

ბატონი ალევოს წინასაარჩევნო შეხვედრების 95%-ს მაინც ვესწრებოდი, არ მახსენდება ისეთი შეხვედრა, სადაც ადგილობრივებმა მის ადამიანობაზე და გაკეთებულ საქმეებზე არ ისაუბრეს. მეტად საპასუხისმგებლოა ასეთი მამის შვილობა, მაგრამ ბატონი ალევოს შესაძლებლობების და საქმისადმი დამოკიდებულების მჯერა. ძალიან მნიშვნელოვანია მისი ხმა პარლამენტში, რადგან არაერთ სასიკეთო საქმეს შემატებს მარტვილს.

## **ეკატერინე ბაღდავა**

მახსენდება, ჩემი მშობლები როგორ იხსენებდნენ ბატონ ირაკლის, როგორც მარტვილის რაიონის გამორჩეულ, ძლიერ მენეჯერს! ბატონი ალექსანდრეს გამოჩენაც ჩემთვის მამამისთან ასოცირდება და მჯერა,

რომ ისიც საუკეთესო მენეჯერი იქნება. მარტვილის მოსახლეობას თავისი გაკეთებული საქმეებით ისევე კარგად დაამახსოვრებს თავს, როგორც ეს ბატონმა ირაკლიმ შეძლო. მელიტონ ბიძია, თქვენი ასეთი დახასიათება კი ორმაგად მარწმუნებს ამაში! წარმატებები ბ-ნ ალექსანდრეს.

## **მადნაზ საჯანია**

სრულიად გეთანხმებით, ბატონო მელიტონ, და მიხარია, რომ ამ ყველა დადებითი ღირსებით შემკული და უღალატო მამულიშვილის გონიერი შვილი ალექსანდრე იქნება პარლამენტში ჩვენი რაიონების წარმომადგენელი. წარმატებები მას!...

## **ჩუსუძან ბასილაია**

როგორ ბუსტად გადმოეცით, ბატონო მელიტონ, ბატონი ირაკლის ნაღვანი რაიონის წინაშე. მართლაც კაცი, რომელიც დროს გაცდა და შეეხო, ადასრულა იმ დროს ტაბუდადებული თემები, თან ამაში იყენებდა არა ბიუჯეტს, არამედ ადამიანურ რესურსებს, შაბათობებს, ორგანიზაციებს, ადამიანი სამართლიანი, პრინციპული, ერუდირებული, რომელიც თანაბრად ერკვეოდა ყველა სფეროში.

მარტვილი ვალშია მის წინაშე და ეს ნაწილობრივ გამოიხატა ბატონ ალექ-

სანდრესთან მიმართებაში. გვჯერა, რომ პარლამენტში ღირსეული დეპუტატი გვეყოლება.

## **მანანა ბალათურიცა**

ნათელში ამყოფოს უფალმა ბატონი ირაკლი. წარმატებები მის შვილებსა და შვილიშვილებს, რომლებიც ღირსეულად აგრძელებენ ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

## **ბადრი გვილაძე**

ირაკლი მონწერელია - პიროვნება, რომელმაც თავისი სინდის-ნამუსით, მარტვილზე და მთლიანად მარტვილელეებზე ყოველდღიური ბრუნვით, აღნიშნული რაიონისათვის მის მიერ ყველა ახალი დაწყებული საქმისადმი მაღალი პროფესიონალური მიდგომით, ასევე როგორც უდიდესმა რეფორმატორმა, შურით და ბოღმით აღვსილ ადამიანებსაც (სამწუხაროდ ასეთებს რა გამოლევს) არანაირი შანსი არ დაუტოვა მასზე აუგის თქმისა. ეს მხოლოდ ერთეულების ხვედრია. ბატონ ირაკლის ასევე ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის მარტვილის კულტურის სფეროს განვითარებაში. გულით მიხარია, რომ ბატონი ირაკლის ვაჟიშვილს, ალექსანდრე მონწერელიას აქვს დიდი შანსი, მამის ბევრ ჩაფიქრებულ და ცნობილი მიზეზების გამო, მა-

შინ ვერ განხორციელებულ პროექტებს ფრთები შეასხას. მუდამ წარმატებას და ახალ-ახალ გამარჯვებებს გისურვებთ. მადლობა ბატონო მელიტონ!

## **ბია ჩიხლაძე**

მე ბატონი ირაკლის დროს მომიწია სრულიად ახალგაზრდას მუშაობა აღმასკომში ეკონომისტად. ერთ მშვენიერ დღეს დამიბარეს რაიკომში და შემომთავაზეს არც თუ პატარა თანამდებობა ვაჭრობის სისტემაში, რაზეც უარი ვთქვი ერთადერთი მიზეზით, რომ ვიყავი 22 წლის და ეს სისტემა მაშინ ფაქტიურად „აფუჭებდა“ ადამიანს და მით უმეტეს ახალგაზრდას. ჩემი ამ პოზიციით ერთის მხრივ გაკვირვება გამოვიწვიე მაშინდელ ხელმძღვანელში და მეორეს მხრივ დიდი მონონება ჩემს უარზე. მაშინ უთქვამს ბატონ ირაკლის, ამ ახალგაზრდას დააკვირდით და დააწინაურეთ შესაბამის სამსახურში.

სამწუხაროდ, ამის შემდეგ მალე მოუწია ბატონ ირაკლის რაიონის დატოვება. ძალიან გამიხარდა ბატონი ალექსანდრეს პარლამენტის წევრად არჩევა (როგორც შემეძლო გვერდში ვედექი წინასაარჩევნო პერიოდში) ...დიდი იმედი მაქვს, გაამართლებს ჩვენს ნდობას, წარმატებები ბატონ ალევოს ქვეყნის საკეთილდღეოდ!

## ანათოლი ჟიჟალუა

სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ათი თავით მაღლა იდგა იმდროინდელ მოხელეებზე.

## ავთო ბჟალია

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული... ღირსეული ადამიანების ღირსეული საქმეები მუდამ თან სდევს შთამომავლობას და სიამაყით აღავსებს ყოველ მემკვიდრეს... მემკვიდრეს ღირსეული მამის...

## გოგი ხვაკაია

ერთხელ აღვნიშნე და ახლაც გავიმეორებ, მის მიერ გაკეთებული აღმშენებლობითი „სლაიდი“ რომ ამოვჭრათ მარტვილის სინამდვილიდან, ხელში უღიმღამო, დაბის ტიპის რაიონი შეგრძმებათ ხელთ. ირაკლიმ ამ პროცესში მთელი რაიონის ახალგაზრდობა ჩართო. უცნაური ის იყო, რომ არ იზოგავდა და არც გვასვენებდა. დილის ხუთი საათიდან სანაპიროზე იდგა და ტრაქტორისტებს მეგობრულად ჩანაფიქრს უზიარებდა. პ.ს. ასეთ შემართული ადამიანს უნდა ემართა სოფლის მეურნეობის სამინისტრო(!), წინ წაწევა კი არა ცოცხლად შეჭამეს ვაცი! აბა სხვანაირად ძნელად წარმოსადგენია ქართვე-

ლი(!), გაფოფრილი შურის ზეობა ამ პატარა ცოდვილ ქვეყანაში!, წერტილი.

## სიხო თოღუა

წარმატებები, ბატონ ალექსანდრე მონწერელიას!

## თამაზ კუჩღელია

განათლებული, ჰუმანური და უკეთილშობილესი ადამიანი. ძალიან იშვიათი ადამიანური თვისებებით იყო დაჯილდოებული.

## დათო გოდეთიანი

ნათელში ამყოფოს ბ-ნი ირაკლის სული, ხოლო მის მემკვიდრეს ბ-ნ ალექსანდრეს ვულოცავ გამარჯვებას და ვუსურვებ ყოფილიყო ღირსეული გამგრძელებელი.

## ომიკო შვანია

დღევანდელი ოპოზიცია თუ პოზიცია უნდა ბაძავდეს ასეთ ერისკაცებს. მარადიული ნათელი მის უკვდავ სულს!

## რობინ უბილა

ბატონ ირაკლი მონწერელიასთან ერთად თითქმის ერთი ათეული წლის ერ-

თობლივი მუშაობის გამოცდილება მაძლევს საშუალებას (ვიტოვებ უფლებას) ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ის იყო ძლიერი და წარმატებული პიროვნება. მის სიძლიერეს ხაზს უსვამს და ამტკიცებს გაკეთებული საქმეები, რაშიც მთლიანად ვეთანხმები ბ-ნ მელიტონ სულაბერიძეს და კომენტატორებს.

## **ჟანა ჩიხლაძე**

ჩემი მამიდა ციცო ჩიხლაძე ყოველთვის დადებითად და პატივისცემით იხსენებს ბატონ ირაკლის! მამიდა ამბობს, რომ ბატონი ირაკლი იყო ძლიერი და წარმატებული პიროვნება, საუკეთესო უფროსი, მეგობრული, რომელიც პატივს სცემდა და აფასებდა მის თანამშრომლებს. ფიქრობდა მარტვილზე და ადარდება მარტვილელების ბედი და დაუღალავად შრომობდა მათი კეთილდღეობისთვის. მამიდა - ციცო ჩიხლაძე ამბობს რომ ბატონი ირაკლი დღესაც ცოცხალია მარტვილელებისათვის და დღესაც მოყვება მარტვილს ბატონი ირაკლის სიკეთე და სიყვარული. ამას კი ნათლად გვიჩვენებს ბატონი ალექსანდრე მონწერელიას სიყვარული მარტვილელების მიმართ, არასოდეს იკარგება სიკეთე და სიყვარული. საქართველოს სიყვარული გადაარჩენს!

## **ინჩხურის საჯარო სკოლა**

ინჩხურის საჯარო სკოლას ბევრი სიკეთე ახსოვს ბატონ ირაკლი მონწერელიასგან, ის იყო ნამდვილად ღირსეული ადამიანი. მის მიერ გაკეთებული საქმეები არ დაავიწყდება მარტვილს...

## **ნუნუ სიღაბავა**

ბატონი ირაკლი კაცურკაცობის სიმბოლო იყო. მას ყველა დროში დიდი პატივი ერგო და დამსახურებულადაც. ახლა ჯერი ბატონ ალექსანდრეზეა. ნათქვამია, ადამიანი ჯერ ადამიანი უნდა იყოსო და ეს სიტყვები ბედგამოჭრილია მასზე. წარმატებებს, წარმატებებს და მხოლოდ წარმატებებს ვუსურვებ მას.

## **ოლეზ კოჭაია**

იყო ძლიერი ორგანიზატორი, ჭკვიანი და წინდახედული, დისტანციური ყველასთან, მოვიდა და ხალხის ნდობა დაიმსახურა გაკეთებული საქმით. ალექოს უფრო დიდი ტვირთი აწევს, საზოგადოების ნდობა აქვს, საქმეები წინ ელოდება.

## **ღია ღაშხია**

ბატონო მელიტონ! სრულიად გეთანხმებით იმაში, რომ ბატონი ირაკლი იყო მარტვილის ერთ-ერთი შესანიშ-



ნავი რაიკომის მდივანი, რომელმაც რაიონში თითქმის 10 წელი იმუშავა. მან უდიდესი სიყვარული და სითბო დატოვა იმ კეთილშობილურ საქმეებთან ერთად, რომელიც მისი ხელმძღვანელობით განხორციელდა მარტვილში. მე უშუალო მონაწილე ვარ იმ შაბათობებისა თუ სხვა ღონისძიებებისა, რომლებიც განხორციელდა რაიონში 1977-87 წლებში. ბატონი ირაკლი იყო რაიონის ერთ-ერთი საუკეთესო სკოლის დირექტორის, აკაკი ლაშხიას გამორჩეული მეგობარი, რომელიც ემსახურებოდა ახალგაზრდა თაობის აღზრდის საქმეს იმ პრინციპების საფუძველზე, რომელსაც რაიონის ხელმძღვანელობა და იმდროინდელი მთავრობა კარნახობდა. დღეს ისინი ჩვენს გვერდით არ არიან, უფაღმა ნათელში ამყოფოს მათი სულები. ბატონი ირაკლის მიერ დატოვებული სითბოსა და სიყვარულის უდიდესი დასტურია ის, რომ მან საფუძველი ჩაუყარა იმ დიდ გამარჯვებას, რომელიც 2020 წლის 31 ოქტომბერს მისი შვილის, ბატონ ალექსანდრე მონწერელიას საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში დეპუტატის სტატუსის მინიჭებით დასრულდა. მთელი ჩემი ოჯახის სახელით ვულოცავთ ბატონ ალექსანდრეს ამ დიდ გამარჯვებას და ვუსურვებთ წარმატებებს პირად თუ საზოგადოებრივ საქმიანობაში.

## დაჩქან სხუღხია

ბატონო მელიტონ! ვკითხულობ თქვენს წერილს და თანდათან სევდამორეული ფიქრებით წარსულში ვინაცვლებ... მიჭირს, ბატონ ირაკლი მონწერელიას ღვანლისა და დამსახურების შესატყვისი სიტყვების მოძებნა. ირაკლი მონწერელია კაცი, რომელმაც ღირსეულად ატარა ერისკაცობის ტვირთი. კაცი, რომელმაც მარტვილსა და მარტვილელებზე ზრუნვაში გალია წლები. კაცი, რომელმაც არ იკმარა ნამოღვანარი და შვილს დაავალა მარტვილსა და მარტვილელებზე ზრუნვა (ის ურჩევნია მამულსა...). კაცი, რომელმაც დაუღალავი, მუხლჩაუხრელი შრომისა და პროფესიონალიზმის წყალობით ხელმძღვანელის სტატუსს თავისებური ელფერი შესძინა. კაცი, რომელიც ნამდვილად დააკლდა მარტვილსა და მარტვილელებს. უფაღმა ნათელში ამყოფოს ბატონი ირაკლის სული.

P.S. ბატონო მელიტონ, მადლობა თქვენ ყველა მარტვილელის სახელით!

## ღონადი ქაგანი

ბატონო მელიტონ! მოგიკითხავთ დიდი პატივისცემით. მადლობა ბატონი ირაკლი მონწერელიას საქმიანობის ობიექტური შეფასებისთვის. მეც

მქონდა პატივი ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდას მემუშავა მასთან და მენახა მისი თავდადებული მუშაობა მარტვილისათვის. მან ხომ ქალაქად აქცია მარტვილი. გულწრფელად ვამბობ: მისგან ვისწავლე თავდადებული, უანგარო და სამართლიანი მუშაობის ფასი. მისდამი კეთილგანწყობა და პატივისცემა მის შვილზე, ბატონ ალექსანდრე მონწერელიაზე გადაიტანეს მარტვილელებმა. ამის მაჩვენებელია საპარლამენტო არჩევნებში მისი ღირსეული გამარჯვება. მას ხომ ბავშვობის საუკეთესო წლები მარტვილში აქვს გატარებული და ძალიან უყვარს მარტვილელები. მიხარია, რომ ბატონი ირაკლი მონწერელიას ღვანლს უფრო სისრულით გამოაჩინეს მისდამი მიძღვნილი წიგნის გამოცემა.

## **ბია გვიღავა**

თქვენ მართალი ბრძანდებით, ბატონო მელიტონ! მარტვილელებმა ბატონ ირაკლი მონწერელიას სამართლიანად უწოდეს მარტვილის აღმშენებელი. მან დაუღალავი შრომით დაბა მარტვილი ქალაქად აქცია.

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მას შვიდი მნიშვნელოვანი პროექტი დარჩა განუხორციელებელი, არადა მისი განხორციელება კიდევ უფრო

დაამშვენებდა ჩვენს მარტვილს. ჯერი თქვენზეა, ბატონო ალექსანდრე! თქვენი სჯერათ მარტვილელებს, რადგან თქვენ უკვდავი მამის ღირსეული მემკვიდრე ბრძანდებით. მარტვილი არასოდეს დაივიწყებს ბატონ ირაკლი მონწერელიას.

## **ნუნუ ხაჩიბავა**

სრულიად გეთანხებით ბატონო მელიტონ, თქვენ რეალურად გაქვთ ასახული მაღალი ინტელექტის მქონე და პროგრესულად მოაზროვნე პიროვნების, ბატონი ირაკლი მონწერელიას, მარტვილის რაიონში მოღვაწეობის მნიშვნელოვანი ფაქტები. უდაოდ დიდია ბატონი ირაკლის დამსახურება რაიონის აღმშენებლობაში და მას დავინყება არ უწერია. ვამაყობ, რომ ვიყავი ბატონი ირაკლის კოლეგა და ერთ-ერთი თანამოაზრე-თანამშრომელი. ვსარგებლობ შემთხვევით და ვულოცავ ღირსეული წინაპრების გზის ღირსეულ გამგრძელებელ ალექსანდრე მონწერელიას საქართველოს პარლამენტის დეპუტატად არჩევას.

## ქეთევან ხანაპია

ბატონი ირაკლის ძალისხმევით მიენიჭა უძველეს ჭყონდიდს ქალაქის სტატუსი, მიენიჭა დამსახურებულად, თავკაცის უდიდესი შრომის და თავდადების შედეგად. იმ პერიოდში ფრთა გაშალა მარტვილმა, უსახური შენობების ნაცვლად რამდენიმე მრავალსართულიანი სახლი აშენდა, გაიჭრა ახალი გზები, მოწესრიგდა ქალაქი. პირადად მე, აგრო-ეკონომიური ტექნიკუმის სტუდენტებთან ერთად, ხშირად მიმიღია მონაწილეობა მარტვილის მონასტრის შემოგარენის კეთილმოწყობაში. სასწავლებელი, რომელიც მშენება იყო მარტვილის რაიონისთვის, მხედველობაში მაქვს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, დღეს აღარ არსებობს... გადამწვარი, დანგრეული და გაუბედურებულია მავანთა უსინდისობის გამო. ბატონი ირაკლი ამას დაუშვებდა? ასე დიდად, დაუსჯელად დატოვებდა ამ განუკითხაობას? არამც და არამც... ან ვინ გაბედავდა. დიდი იმედი მაქვს, რომ ბატონი ირაკლის ღირსეული შთამომავალი თავის წონად სიტყვას იტყვის მის აღდგენაში.

## ღოღო ხანაპია

წავიკითხე ბატონი მელიტონ სულაბერიძის მოგონება ბატონ ირაკლი მონერელიას შესახებ. ამ გახსენებით მოხარული ვარ, რადგან მისმა მარტვილში მოვლინებამ საფუძველი ჩაუყარა რაიონული ცენტრის ქალაქად გახდომას.

დაუვიწყარია ჩემთვის ბატონ ირაკლისთან პირველი შეხვედრა, როდესაც ახლად აღებული დიპლომით, მომავლის იმედით გაცისკროვნებული, უიმედოდ დამტოვა განათლების განყოფილებამ. გულდანწყვეტილმა ყოველი შემთხვევისთვის მივმართე პარტიის რაიკომის პირველ მდივანს, რომელმაც მითხრა - ჩვენს აპარატში დაინწყებთ მუშაობასო და მართლაც 10 წელი ვმუშაობდი რაიკომის აპარატში. მაღალ ღმერთს ვთხოვ, ნათელში ამყოფოს მისი კეთილშობილი სული.

## მარტვილის მონასტარი

მე მარტვილის ქუჩაზე დავიბადე და გავიზარდე, ამიტომ ძალიან კარგად მახსოვს ირაკლი მონწერელიას შრომა და გარჯა მონასტრის რეკონსტრუქციისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობისათვის. ამ საქმისადმი მიძღვნილი მრავალი „მაბათობების“ მონაწილე ვარ.

ვიცი, რომ ქ. თბილისიდან ჩამოყვანილი სპეციალისტის მონაწილეობითა და საქმის კარგად მცოდნე კალატობებით რეკონსტრუქცია გაუკეთდა ნახევრად დანგრეულ მონასტერს, გალავნით შემოიფარგლა მონასტრის ტერიტორია, ცენტრალურ შემოსასვლელთან ერთად გაჩნდა პატარა შესასვლელიც.

მონასტრის ტერიტორიიდან გაქრა უბადრუკი შენობები, რომლებიც ამახინჯებდნენ იქაურობას, გამიგია, რაიონის თავკაცს დიდი შრომა დასჭირდა „ბევით“ ამ უმსგავსოების იმ ტერიტორიიდან მოშორებისთვის.

მონასტრის ტერიტორიაზე ორ სხვადასხვა სიბრტყეზე დაიგო კორდი, აღდგენილი იქნა ისტორიული ჭა, ჩიქვანების ეკლესიიდან ჩამოყვანილი იქნა კიბე სახელურებით, მონასტრის შიგა ტერიტორიაზე დაიგო ქვაფენილი, დანარჩენ ნაწილებზე - ასფალტი. აყვანილი იქნა სასმელი წყალი, მოეწყო საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტები, მონასტერი განათდა იმ დროისათვის არსებული ფერადი განათებებით. ცენტრიდან მონასტრამდე პირველად ამ გზის ისტორიაში დაიგო ასფალტი, მოეწყო ცხაურები, წყლის ასაქცევი ორმოები, მარტვილის ქუჩაზე ცენტრიდან მონასტრამდე მოეწყო განათებებიც.

მე, როგორც ამ ქუჩაზე მცხოვრები, ხშირად მისმენია ირაკლი მონწერელიას „თათბირებისთვის“ თავის თანამშრომლებთან მონასტრის ტერიტორიაზე და ვიცი, რომ მშვიდობის ქუჩიდან მონასტრის ქვედა ნაწილამდე გათვალისწინებული იყო ორი დამატებითი გზის აყვანა დღევანდელი მშვიდობის ქუჩის მეორე და მესამე შესახვევებიდან, რითაც მრევლი უმოკლესი და მათთვის ხელსაყრელი გზით ავიდოდა სალოცავად.

მონასტერი ქვემოდან კარგად რომ გამოჩენილიყო, მონასტრის ქვედა ნაწილიდან გადარგულ იქნა მრავალწლიანი წიწვოვანი მცენარეები, რითაც მთელი სიდიადით გამოჩნდა მისი უდიდებულესობა - მარტვილის მონასტერი.

ამ კომპლექსის მშენებება საბაგირო გზა, რითაც ცენტრი დაუკავშირდა მონასტერს. შეამაყება ის, რომ მე ირაკლი მონწერელიას ამ აღმშენებლობის მონაწილე ვარ.

დამეთანხმებით, კომუნისტურ წყობაში რაიონის პარტიული თავკაცისაგან ეკლესიისადმი ასეთი დამოკიდებულება ნამდვილი გმირობაა, იგი ირაკლი მონწერელიამ შეგნებულად ჩაიდინა.

ღმერთმა აცხონოს ირაკლი მონწერელიას სული.

**შუქერი ხვინგია**

\*\*\*

ასე ლამაზად, ასე მარტივად,  
როგორ მოგნათლეს ნეტავ მარტვილად.  
როგორ მოგხატეს, როგორ ეცადნენ,  
რომ აგიყვანეს ასე ზეცამდე.  
ხარობს და ფეთქავს შენი სხეული,  
საუკუნეთა არ ხარ ძლეული.  
ხარ აფრენილი, როგორც ოცნება,  
შენი ყოველი ქვა იკოცნება.  
ისევ ახლდები, აღარ გვეცლები,  
დაგჭიკჭიკებენ თავზე მერცხლები.  
სიზმარს მოჰგავხარ, აუ, როდინდელს,  
აქ დავითს ვხედავთ, ვხედავთ ჭყონდიდელს.  
ცისკენ ილტვოდა შენი მიზანი,  
გაჩუქურთმებდა თვით ოპიზარი.  
დრო ვერ შეგეხო ნავზევ გოლიათს,  
სხვა სიტურფე გაქვს, სხვა ჰარმონია.  
ავსებული ხარ წითელ - მირონით,  
გუგუნებს შენი სანაპირონი.  
ისევ ირთვები და იხატები  
შენი ფრესკებით, შენი ხატებით.  
ასე ლამაზად, ასე მარტივად,  
როგორ მოგნათლეს ნეტავ მარტვილად.

ქემალ ხახუა



## მემორიალი

მემორიალი მარტვილელების „საფირმო“ სიტყვაა და იგი მთლიანად უკავშირდება მარტვილში ირაკლი მონწერელიას მოღვაწეობას და როგორც იტყვიან მისი პირმშოა.

მარტვილის ცენტრის გეოგრაფიულად ჩაკეტილმა კონტურმა, მისი გაფართოებისათვის მოფიქრალ თავკაცს მდინარეების - აბაშისა და ინჩხიას „გადალახვა“ აფიქრებინა.

„დიდების მემორიალი“ მარტვილის ცენტრის გაფართოების პირველი პრეცედენტია. პირველ რიგში განისაზღვრა მისი კონტურები და შედგა საკმაოდ საინტერესო პროექტი. დაიბადა იდეა კომპლექსში შესულიყო დიდების მუზეუმიც და ამის გამო კერძო პირისგან შესყიდულ იქნა მემორიალის ტერიტორიაზე არსებული საცხოვრებელი სახლი. იგი ვაპიტალურად იქნა გარემონტებული და სათანადოდ მოეწყო მისი შემოგარენი ფანტანით, გარე განათებით, ქვაფენილებითა და დეკორატიული ღობეებით, მასთან მიყვანილი იქნა მისასვლელი გზა და ასე გაჩნდა მდინარე ინჩხიას მარჯვენა სანაპირო ყველკარაქის ქარხნიდან მდინარე აბაშის ხიდამდე. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ მუზეუმში საკმაოდ მდიდარი გამოფენაც მოეწყო.

ახლადშექმნილი მარჯვენა სანაპიროს გასწვრივ გორაკი გაგრძელებული იქნა და შეიქმნა მემორიალის კასკადი საფეხურებითა და წყლის სადენი ნაწილით. კასკადის ბოლოში მოეწყო წყლის მიმღები ოთხკუთხედი ფორმის ავზი და იგი მილებით დაუკავშირდა კასკადსა და მდინარე ინჩხიას. ასე შეიქმნა ეს ულამაზესი კომპლექსი.

მემორიალის ზედა ტერიტორიის მოშანდაკების შემდეგ დაიდგა ცენტრიდან გადმოტანილი ჯარისკაცის ბიუსტი, მოეწყო ომში დაღუპულთა სტენდი რამოდენიმე ათასი შინმოუსვლელთა გვარებით, დეკორატიულად გაფორმდა მემორიალის ზედა ნაწილი, იგი ასფალტირებული გზით დაუკავშირდა მარჯვენა სანაპიროს, „დიდების მუზეუმის“ ებოს გავლით, მოეწყო კიბე „დიდების მუზეუმთან“ კავშირისათვის.

მემორიალის ქვედა ავზიდან მდინარე ინჩხიაზე გადასროლილი წყლის ბოლოს გათვალისწინებული იყო წყლის წისქვილის აშენება.

ვატყობ ამ მემორიალის შექმნის ისტორია ცოტა არ იყოს გაიოლებულ ფორმაში გამომივიდა, მაგრამ ყველა მარტვილელმა იცის, ამ საქმეში ირაკლი მონწერელიას უდიდესი შრომა იყო ჩადებული და იგი

ჩვენთვის, მარტვილელებისათვის არასდროს იქნება დავინწყებული.

ბატონ ირაკლის სიტუაციამ უკარნახა და შემდგომში გაჩნდა მდინარე ინჩხიას მარცხენა სანაპიროც.

ვწუხვარ, რომ ირაკლი მონერელია ვერ მოესწრო მისი მემკვიდრის ინიციატივით აღდგენილ მემორიალს.

## ანატოლი ჭიჭალუა



მარტვილის მონასტერი



დიდების მემორიალი, მარტვილი



## კანიონი

სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებში ხშირად გაისმის მარტვილის კანიონის „ვიღაც აღმომჩენების“ შესახებ, ისტორია კი ასეთია.

გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში კანიონის არსებობის შესახებ ინფორმაცია ბატონ ირაკლი მოწერელიას მიაწოდა ერთ-ერთმა მისმა თანამშრომელმა. დათვალიერების შემდეგ, სტრატეგიულად მოაზროვნე რაიონის თავკაცმა ორმოცი წლის წინ ეს ობიექტი და ზოგადად ტურიზმი რაიონისთვის პერსპექტიულ დარგად ჩათვალა და დაიწყო მისი კეთილმოწყობის სამუშაოები.

მაშინდელი მწირი საშუალებებითა და ე.წ. „შაბათობებით“ ეკალ-ბარდებისაგან განთავისუფლდა მიმდებარე ტერიტორია, მარტვილი-დიდი ჭყონის რესპუბლიკური ტრასიდან კანიონამდე ჩაყვანილი იქნა ასფალტირებული გზა, გაკეთდა კანიონში ჩასასვლელი კიბითა და სახელურებით, კანიონის ყველაზე ვიწრო ადგილას გაიღო ხიდი და მის სიღრმეში ჩაიდგა „მონადირის სახლი“, კანიონის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩატარდა გეოდეზიური აზომვები მისი შემდგომი კეთილმოწყობის მიზნით, აქვე აღდგენილი იქნა „ისტორიული წისქვილი“, რომელიც ადრე არსებობდა. ჩამოყვანილი იქნა გამოცდილი არქიტექტორი, ამ ტერიტორიის შემდგომი კეთილმოწყობისათვის, მაგრამ ცნობილ მიზეზთა გამო ჩანაფიქრის რეალიზება ვერ მოხერხდა.

**სერგო უჩავა**

## „ჭინკას“ ხევი

მე ძალიან კარგად მახსოვს დღევანდელი რუსთაველის ქუჩა, (ყოფილი ე.წ. „ჭინკას ხევი“). იგი ჩემი სახლის უკანა მიმდებარე ტერიტორია იყო და ძნელად ვინმე წარმოიდგენდა ამ მაღარიის ბუდეს (300 მეტრამდე სიგრძის, 20 მეტრი სიღრმისა და 20 მეტრის სიგანის ხევი) დღევანდელი კეთილმოწყობილი რუსთაველის ქუჩა ჩაანაცვლებდა.

ბატონმა ირაკლი მონწერელიამ პირადი ინიციატივითა და მონდობებით იმ დროის მეტად მწირი საშუალებებითა და „შაბათობებით“ შეძლო ამ პრობლემის გადაწყვეტა.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ რუსთაველის ქუჩის ქვემოთ ჩადებულია 1500 მილიმეტრის დიამეტრის ბეტონის მილები, რომლითაც მარტვილის ცენტრში დაგროვილი ნიაღვარის წყალი გადაისროლება მდინარე ინჩხიაში.

„ჭინკას ხევის“ ამოვსებამ და მასზე ახალი, რუსთაველის ქუჩის შექმნამ, გარდა სანიტარული პირობების გაუმჯობესებისა, სატრანსპორტო საშუალებების მფლობელებს მისცა საშუალება მარტვილის ცენტრის გვერდის ავლით მოხვდნენ რაიონის რამოდენიმე სოფელში.

ამჟამად რუსთაველის ქუჩა ქალაქ მარტვილის ძირითადი სატრანსპორტო არტერიაა.

## მერაბ გაგუა



მარტვილის N2 ბაღი



## ოპტიკური ქარხანა

მარტვილში წინა საუკუნის ბოლო მეოთხედში თავისუფალი მუშახელის გარკვეული რაოდენობა დაგროვდა. რაიონის თავკაცმა მიიღო გადაწყვეტილება ამ რეზერვის ათვისებისა და გადინების აღკვეთისათვის.

საკავშირო ორგანოებთან აქტიური საქმიანობის შედეგად მარტვილში დაიწყო საკავშირო დაქვემდებარების ოპტიკურ-მექანიკური ქარხნის მშენებლობა (მაშინ იმ უდიდეს სახელმწიფოში მხოლოდ ორი ასეთი საწარმო არსებობდა).

გამოიყო ტერიტორია, უმოკლეს დროში „კისლოვოდსკის“ ტიპის კონსტრუქციებით რამოდენიმე ათას კვადრატული მეტრის ფართობზე ტექნოლოგიური და დამხმარე ტიპის ნაგებობა აშენდა, ცენტრიდან 100 მილიმეტრიანი დიამეტრის მილით მიყვანილ იქნა წყალი, ადგილზე დაიდგა ელექტროენერჯის ძალოვანი კვანძი მხოლოდ ამ ობიექტისთვის. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის გაუქმებული მოსწავლეთა საერთო საცხოვრებელი გამოყენებულ იქნა ადმინისტრაციულ შენობად. ამ ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩაის მრეწველობის შემდგომი განვითარების აუცილებლობიდან გამომდინარე აშენდა ჩაის N2 ფაბრიკა, რომელიც დაკომპლექტდა გათბობის (ორთქლის) გაძლიერებული ქვაბებით, იქიდან 150 მილიმეტრიანი მილებით ორთქლი მიეწოდება ახალაშენებულ ოპტიკურ-მექანიკურ ქარხანას, რითაც თბებოდა სასადილო, ადმინისტრაციული შენობა, ორთქლი ასევე მიეწოდებოდა ტექნოლოგიურად აუცილებელ ობიექტებს. გათვალისწინებული იყო სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის შენობის გათბობით უზრუნველყოფა.

ქარხანა დაკომპლექტდა მაშინ უნიკალური „კუასის“ ტიპის მრავალპროფილური 17 ავსტრიული ჩარხით. მისი უნიკალურობა იმაში მდგომარეობდა, რომ მას გარდა სათვალეებისა შეეძლო სხვა, ნებისმიერი სახის სახალხო მოხმარების პროდუქციის გამოშვება (ეს წინასწარ იყო ჩაფიქრებული).

ამ ჩარხების ექსპლოატაციაში გამგებისათვის ჩამოყვანილ იქნა ავსტრიიდან სპეციალისტები, რომლებმაც ადგილობრივი კადრებიც მოამზადეს ჩარხების სწორი ექსპლოატაციისათვის. გაჩნდა ახალი გაღვანური საამქროც.

ქარხნის თანამშრომლებისათვის გამოყოფილი იქნა სპეციალური ავტობუსი ცენტრიდან ქარხანამდე გადასაყვანად, რომელიც შემდგომში სამარშრუტო მომსახურების ტრანსპორტად იქცა. ასე იქნა „ათვისებული“ 1000-მდე „ჭარბი“ მუშახელი და შეწყდა ახალგაზრდების გადინება რაიონიდან.

### დავით უჩავა

ოპტიკურ-მექანიკური ქარხნის ყოფილი დირექტორი



მდ. ინჩხია, მარჯვენა სანაპირო



ხიდი. მდ. აბაშა, სოფ. მუხურჩა





საჯარო სკოლა. სოფ. ბანძა



საჯარო სკოლა. სოფ. ლეხინდრაო





საჯარო სკოლა. სოფ. ხუნნი



ხიდი მდ. ინჩხია, მარტვილი



მარტვილის მონასტრის საბაგირო გზის სადგური



ხიდი მდ. აბაშა, მარტვილი





პურის ქარხანა, მარტვილი



საჯარო სკოლა, სოფ. ნოღა, მარტვილი



N1 საბავშვო ბაღი, მარტვილი



მდ. იჩხია, მარცხენა სანაპირო





ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლები, მარტვილი



N1 საჯარო სკოლა, მარტვილი



დიდების მემორიალი, მარტვილი

ԵՏԵՆԳՈՒՄ  
ՖԻԶԻԿԱԿԱՆ ՄԱՍԻՆ  
ԵՐԿՐԱՆՈՒՄ



## ფოთის პრობლემური საკითხები

(ამონარიდი)

1. ზღვა ინტენსიურად ანგრევს სანაპირო ზოლს ნავსადგურის სამხრეთ ბოლიდან (ჯებირიდან) შუქურამდე და შუქურიდან ყოფილი ციტრუსების მეურნეობის მთელ დასავლეთ პერიმეტრზე. ქალაქის ამ უბანზე უკვე წარეცხილია 300 ჰექტარზე მეტი ტერიტორია.

ეს ხდება იმიტომ, რომ ქალაქში გამავალი მდინარე რიონის არხი წყალგამყოფი კვანძიდან (რომელიც განთავსებულია მე-7 კილომეტრზე) ზღვამდე ვერ უზრუნველყოფს წყლის იმ ხარჯების გატარებას, რომელიც შესაძლებელს გახდის ნაპირწარმოქმნელი პროცესების გაძლიერებას და ზღვის სანაპირო ზოლის წარეცხვისგან დაცვას.

პირველ ეტაპზე აუცილებელია არხის ამონმენდა - დადრმავება, საპროექტო პროფილში მოყვანა იმ ვარადუდით, რომ მისმა კალაპოტმა შეძლოს წამში სულ ცოტა 300 კუბური მეტრი წყლის ხარჯის გატარება, რაც უზრუნველყოფს სანაპირო ზოლის ზღვის წარეცხვითი მოქმედების მინიმუმამდე დაყვანას.

ამავე დროს, აუცილებელია წყალგამყოფი კვანძის სრული რეაბილიტაციის ჩატარება. ამჟამად იგი ვერ ასრულებს წყლის ნაკადების რეგულატორის ფუნქციას იმის გამო, რომ ნაგებობის ელექტროტექნიკური ნაწილი მთლიანად გამოსულია მწყობრიდან.

მეორე ეტაპზე საჭირო იქნება ქალაქში გამავალი სათავე ნაგებობის ნაწილობრივი რეკონსტრუქცია იმ ვარადუდით, რომ მან შეძლოს არხში 420 კუბ.მეტრი წამში წყლის ნაკადის გატარება.

20 წლის წინანდელი შეფასებით ამ სამუშაოთა საპროექტო დოკუმენტაციის - შედგენას 13 ათასი ლარი ჭირდებოდა, ამონმენდა დადრმავების სამუშაოთა წარმოებას კი 950 ათასი ლარი.

- დღეის მდგომარეობით ზღვა მეტად მიუახლოვდა (100-150 მეტრით) ფოთის შუქურას და სერიოზულ საფრთხეს უქმნის მას.

- ქალაქში გამავალი რიონის არხი მკვეთრად შემცირებული მყარი ნატანით ვერ უმკლავდება ზღვის შემოტევას.

- ფოთის ნავსადგური მაღალი ინტენსივობით ისილება. ნავსადგურის შემავალი არხის სიღრმე საპროექტო ნიშნულის (13 მ.) ნაცვლად 5-6 მეტრს არ აღემატება.

რიონს წლიურად 10711 მილიონი კუბ. მეტრი მყარი ნატანი შეაქვს ზღვაში. წყალმარეგულირებელი ნაგებობის ამოქმედებით შესაძლებელია ზღვის მავნე მოქმედების შეკავება, ვინაიდან ზემო-ხსენებული წლიური ხარჯის მეხუთედის გატარება ზღვამდე ქალაქში გამავალი არხის

მეშვეობით უნდა წარიმართოს, რაც უზრუნველყოფს წარეცხილი სანაპირო ზოლის აღდგენას. ამავე რაოდენობის მყარი ნატანი კი აცდება ნავსადგურში შემავალ არხს და შეამცირებს მისი მოსილვის ინტენსივობას, ანუ წყალმარეგულირებელი ნაგებობა შეძლებს იმ ფუნქციის შესრულებას, რისთვისაც იგი აშენდა და შევიდა ექსპლოატაციაში 1959 წელს.

წყალმარეგულირებელი კვანძი უნიკალური ჰიდროტექნიკური ნაგებობაა. იგი შედგება კაშხალისაგან 10 ხვრელით, თითოეული სიგრძით 14 მეტრი, რეგულატორისაგან 20 ხვრელით, თითოეული სიგრძით 3 მეტრი, მიმართული ე. ფოთისკენ და გადასასვლელი ხიდით, რომელიც საავტომობილო ხიდის ფუნქციასაც ასრულებს. მას აუცილებლად ჭირდება მომსახურე პერსონალი, იმ სქემის შესაბამისად და იმ საშტატო განრიგით, რომელიც შემუშავებული იყო საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ. უსასრულო რეორგანიზაციების შედეგად, მომსახურე პერსონალი დათხოვნილია, ნაგებობა ზედამხედველობის გარეშე არის დარჩენილი და გაპარტახებულია, განსაკუთრებით ელექტროტექნიკური ნაწილი.

უფრო მეტიც, ეს უაღრესად დიდმნიშვნელოვანი ობიექტი რეესტრში ჯეროვნად რეგისტრირებულიც კი არ არის. ფოთის მერიიდან მიწოდებული ცნობით იგი გატარებულია, როგორც „საავტომობილო ხიდი“ და არა როგორც „წყალმარეგულირებელი ნაგებობა გადასასვლელი ხიდით“. ეს უხეში შეცდომაა, ერთიან საძირკველზე ამოყვანილი ნაგებობის ნაწილი რეგისტრირებულია, ნაწილი კი თითქოს არც არსებობს. მომსახურე პერსონალი ხიდს ჭირდება, მარეგულირებლის ფუნქციას კი ნაგებობა მის გარეშე ვერ შეასრულებს. ამდენად აუცილებელია პირველ რიგში ნაგებობის იდენტიფიკაციის აღიარება და შესაბამისად რეესტრში გატარება. იქნებ ისიც დადგინდეს, თუ ვინ გააუქმა საშტატო განრიგი, რამაც ნაგებობის ავარიულ მდგომარეობამდე მიყვანა განაპირობა.

უკანასკნელად ნაგებობის რეაბილიტაცია 2004-2005 წლებში ჩატარდა, როდესაც მისი წყალქვეშა ნაწილიც შეაკეთეს. ამჟამად ნაკლები სირთულეები იქნება დასაძლევია. რეაბილიტაციის შემდეგ კი ნაგებობის ექსპლოატაციის ხარჯები სამინისტროსთან ერთად ნავსადგურმა და ფოთის მერიამ უნდა გაიღონ (საკუთარი ინფრასტრუქტურისადმი ზრუნვა მათაც უნდა ეხებოდეს). ნაგებობა კი ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე უნდა დარჩეს, რამეთუ მისი დანიშნულებაა ე. ფოთის ცენტრალური, მჭიდროდ დასახლებული ნაწილის მიმდებარე ზღვის სანაპირო ზოლის, სტრატეგიული ობიექტების შუქურისა და ნავსადგურის ჰიდროტექნიკური ნაწილის მდგრადობის უზრუნველყოფა.

ირაკლი მოწერელია  
05.03.2017

## როდესაც ასორმოცდაათი ასთხუთმეტს არ აღემატება, ასთხუთმეტი კი ასორმოცდაათის ტოლი არ არის

მაისის შუა რიცხვებში ქ. ფოთში აღინიშნა აკადემიკოს თეოფანე დავითა-  
იას სახელობის №1 საჯარო სკოლის 150 წლისთავი და ამავე სკოლის ქიმიის  
კაბინეტის შემქმნელის და მისი უცვლელი ხელმძღვანელის, თაობათა აღმზ-  
რდელის, თვალსაჩინო პედაგოგის თინა ჭოჭუას დაბადების 100 წლისთავი.

დიდი ხანია ფოთში არ ვიმყოფები და ხსენებული მოვლენის თაო-  
ბაზე ინფორმაცია ინტერნეტში გამოქვეყნებული პოსტებისა და ფოთის  
ტელევიზიით გაშუქებული სიუჟეტით მივიღე. ჩემმა ნაცნობ-მეგობრებმაც  
გამიზიარეს თავიანთი შთაბეჭდილებები და ის უკმარისობის გრძნობა,  
რომელიც ქალაქის საზოგადოებრიობის ნაწილს დარჩა.

ინტერვიუშიც იგრძნობოდა შინაგანი დაძაბულობა, უფრო მეტად თი-  
ნა ჭოჭუას ღვაწლს აღნიშნავდნენ, პატივს მიაგებდნენ მის ხსოვნას და არ  
ეხებოდნენ სკოლის 150 წლისთავს. გაუგებარი იყო სკოლის დირექტო-  
რის ხაზგასმა სკოლის 130 წლისთავის აღნიშვნის შესახებ, რომელიც გა-  
მოდის, რომ 1997 წელს შემდგარა და იქვე მიმდინარე საიუბილეო თა-  
რიღის გასამართლებლად ბუნდოვნად რაღაც ქალაქლების მოშველიება.

საზოგადოებრივი მეხსიერება დიდხანს ინახავს მნიშვნელოვან ინ-  
ფორმაციას, ამიტომ სავსებით კანონზომიერია, რომ მას ქალბატონი თინა  
ჭოჭუა ახსოვს, რომლის ყოფილი მოსწავლეები დღესაც მრავლად არიან  
წარმოდგენილი ქ. ფოთში და არა მარტო იქ, რომ მის მიერ შექმნილი და  
ნალოლიავები ქიმიის კაბინეტი დღესაც წარმატებით გამოიყენება ჩვენი  
მოსწავლე-ახალგაზრდობის აღსაზრდელად. ისიც აღსანიშნავია, რომ ამ  
კაბინეტს მისი მოწაფე უძღვება და ეს ფაქტი პედაგოგიურ საზოგადოებაში  
მემკვიდრეობითობის იშვიათი, მაგრამ მნიშვნელოვანი მაგალითია.

რაც შეეხება სკოლის 150 წლისთავს, აქ სულ სხვაგვარად გვესახება  
მდგომარეობა. თუ გავიზიარებთ ამ თარიღის რეალობას, 100 წლისთავი  
1967 წელს უნდა აღნიშნულიყო, მაგრამ არ აღნიშნულა. სკოლის ასაკი  
არავის გახსენებია მაშინაც, როდესაც აკად. თეოფანე დავითაიას კლასე-  
ლებმა სწორედ 1967 წელს აღნიშნეს სკოლის დამთავრების 50 წლისთა-  
ვი. არც მერე თქმულა რაიმე სკოლის ასაკთან დაკავშირებით, როდესაც  
მას აკად. თ. დავითაიას სახელი მიეკუთვნა 1980 წელს, ამიტომ გასაგებია  
ქალაქის საზოგადოების სკეპსისი თარიღთან დაკავშირებით, ვინაიდან  
შუალედური საიუბილეო თარიღები მის მეხსიერებას არ შემორჩა.

არის კიდევ ერთი გარემოება, რომელმაც განაპირობა უკმარისობის  
გრძნობა საზოგადოებაში. ეს გახლავთ იმ მნიშვნელოვანი დღის იერარქიუ-

ლი ღონისძიებებისათვის დამკვიდრებული სცენარით წარმართვა. იერარქიული ღონისძიებები, როგორც წესი, მზადდება სახელმწიფო დაწესებულებების მიერ, მის ფორმატს ადგენს დაწესებულების ხელმძღვანელი, როგორც წესი თავად ნიშნავს მისი შესრულებისთვის პასუხისმგებელ პირებს.

ეს ღონისძიებები ეძღვნება რაღაც თარიღებს, მზადდება ნაჩქარევად, მომზადების პროცესში არ იზღუდება ფაქტებისადმი თვითნებური დამოკიდებულება, დაშვებულია რიტორიკა, რომელიც შესაძლებელია რეალობას აცდენილი იყოს. ამდენად ხსოვნის ცრუ საიუბილეო თარიღისა და ქალბატონ თინა ჭოჭუას ხსოვნის პატივგების ერთ ფორმატში მოქცევა სწორედ ამის შედეგია და არ შეიძლება საზოგადოებისათვის შეუმჩნეველი დარჩენილიყო, ხოლო თუ მან მყისიერად პროტესტი არ გამოხატა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ იგი კმაყოფილია.

არ არის ფოთის №1 საჯარო სკოლა 150 წლის! კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს 1866, 1867, 1869 წლების ანგარიშები, „1802 წლიდან 1880 წლამდე კავკასიაში სასწავლებლის საქმის მიმდინარეობის შესახებ კრებისთი ანგარიში“ ის საარქივო დოკუმენტებია, რომლებიც ამას ადასტურებენ. იქ არ არის ნახსენები ფოთში რაიმე სახის სასწავლებლის არსებობის თაობაზე, თუმცა 1869 წლის ანგარიშში გაჩნდა ჩანაწერი ოზურგეთში სამკლასიანი, ხოლო ქუთაისსა და ზუგდიდში ორკლასიანი პირველდარსებითი სასწავლებლების გახსნის შესახებ.

დაფიქსირებულია თბილისსა და ქუთაისში უფრო მაღალი კატეგორიის სასწავლებლების არსებობა, მაშასადამე, სკოლები იხსნებოდა იქ, სადაც აღირიცხებოდა სასკოლო ასაკის კონტინგენტი. 1867 წელს, რიონის მარცხენა ნაპირი ამჟამინდელი რუსთაველის რკალიდან მალთაყვამდე დაჭაობებულ, დაუსახლებელ მასივს წარმოადგენდა და პირუტყვის საძოვრად გამოიყენებოდა გურიის მეჯოგეების მიერ, ისიც სეზონურად, როდესაც მას დატბორვის საშიშროება არ ემუქრებოდა რიონისა და კაპარჯინის მხრიდან. ასე რომ, იქ, სადაც არ იყო მოსახლეობა, არ იყო სასკოლო ასაკის კონტინგენტი, არც რაიმე სასკოლო დაწესებულება არსებობდა, ისიც სათქმელია, რომ ამავე პერიოდში მწვავედ იდგა პროფესონალური კადრებით სასწავლო დაწესებულებების უზრუნველყოფის საკითხი, როგორც ამას 2015 წელს გამოცემული „საქართველოს განათლების მათიანე“, გვამცნობს.

ფოთის №1 საჯარო სკოლა, რომელიც აკადემიკოს თეოდანე დავითაიას სახელს ატარებს და აკაკი წერეთლის ქუჩაზე №44-ში მდებარეობს ინჟინერ ვასილევვიჩის პროექტით 1902 წელს აიგო და იმავე წლის „7 სექტემბერს გაიხსნა დედათა პროგიმნაზია, ფოთში პირველი საშუალო სასწავლებელი“. (გაზეთი „ცნობის ფურცელი“, 13 სექტემბერი, 1902 წ.).

მომდევნო პერიოდში მან განათლების დარგის ყველა რეფორმა გაიარა და ვიდრე დღემდე საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესე-

ბულებად დარჩა, ასე რომ, როგორც საგანმანათლებლო კერა იგი 115 წლისაა, ანუ მისი ასაკის ათვლა 1902 წლიდან იწყება, რაც იმ დროის პერიოდიკითაც დასტურდება, იგივე მოსაზრებას იზიარებდა ამ სკოლის მოამბე, ფოთის განათლების დარგის თვალსაჩინო ორგანიზატორი აკაკი ცხადაია და ამიტომაც სკოლის 100 წლისთავი 1967 წელს არ აღნიშნულა, რამეთუ იგი იმ წელს „მხოლოდ“ 65 წელს ითვლიდა.

არც 130 წლისთავი აღინიშნა 1997 წელს. იმ პერიოდში ქალაქის მერად ივანე ზოდელავა მოღვაწეობდა უაღრესად ორგანიზებული და საქმიანი პიროვნება, ამ სტრუქტურების ავტორი კი მისი მოადგილე გახლდათ, სკოლის დირექტორად იმხანად სხვა ადამიანი მუშაობდა, განათლებით მათემატიკოსი და როგორც ჩანს, ისიც „იგივე არითმეტიკით“ ხელმძღვანელობდა, როგორც ჩვენ და მიაჩნდა, რომ 1997-ს გამოკლებული 1902 უდრის 95-ს. ამიტომ არავითარი 130 წლისთავის გამო მერიისთვის არ მიუმართავს და არავითარი საზეიმო აღნიშვნა არ ჩატარებულა არც სკოლაში, არც მის გარეთ.

სულ ახლახან ჩემი თაობის წარმომადგენლებმა მამცნეს, რომ 2014-2015 წლებში ფოთში 100 წლისთავი აღუნიშნავთ მეხუთე და მეექვსე საჯარო სკოლებს.

არც ერთი არის ასი წლის, არც მეორე, მეხუთე საშუალო სკოლის პირველი გამოშვება 1957 წელს შედგა ძველ შენობაში, რომელშიც მანამდე ჯერ მეზღვაურთა სკოლა, შემდეგ კი ვაჟთა რვანლიანი სკოლა ფუნქციონირებდა, რომელიც საშუალო სკოლად 1954 წელს გადაკეთდა.

რაც შეეხება მეექვსე საშუალო სკოლას, ის ტერიტორია 1921 წლამდე ათვისებული არ იყო. ერთადერთი კანტიკუნტად დასახლებული ამჟამინდელი სამეგრელოს ქუჩა გახლდათ და იმ უბანში მხოლოდ 1922 წელს გაიხსნა დაწყებითი სკოლა. სხვათა შორის ამ გარემოებას ისიც ადასტურებს, რომ მომავალი აკადემიკოსი თეოფანე დავითაია, რომელიც ოჯახთან ერთად ნაბადაში ცხოვრობდა მისმა მშობლებმა 1922 წელს პირველ საშუალო სკოლაში გაამწესეს მეხუთე კლასში.

ისმის კითხვა, რა საჭიროა სკოლების ასაკის გადასინჯვა? ვის სჭირდება ეს?

როგორც ჩანს აქ საქმე გვაქვს გარკვეული თარიღების კორექტირებისადმი სწრაფვის უჩვეულო გამოვლინებასთან უკანასკნელ სამწლეულში და ამ „ნოვაციის“ სათავე ცენტრში გვესახება, რომლის თავკაცი ქართული ხალხური ზღაპრების კორექტირების ინიციატივით წარმოგვიდგება პერიოდულად. ჰოდა, რა გასაკვირია, როდესაც გამოძახილად ფოთში საშუალო სკოლების „საიუბილეო სერიალს“ ვღებულობთ, სამწუხაროდ, ზოგჯერ ფუჭი ქმედების თანხლებით.

ირაკლი მონერელია  
26.06.2017



## არა შეჯდა მწყერი ხეხა, არა იყო გვარი მისი

ეს ბრძნული ანდაბა გამახსენდა 2012 წლის მიწურულს, როდესაც ფოთში, ვაგბლის მოედანზე აღმოვჩინე და თვალი ვკიდე წვრილ მიღბე წამოსკუპულ კუბის ფორმის საათს, რომელიც შემოესაზღვრათ საბჭოთა პერიოდში გავრცელებული ბავშვების დასაბანი ვარცლის კონფიგურაციის ბეტონის ზღუდარით, მიწით შეევსოთ იგი და ძვირფასი ქვით მოეპირკეთებინათ ისეთით, როგორითაც აპირკეთებდნენ ლენინის ძეგლებსა და პრესტიჟული მეტროს სადგურების ინტერიერებს. საათის „კვარცხლბეკს“ 2 ადამიანი დასტრიალებდა და წმენდნენ ტალახიანი შხეფებისაგან, ძვირფასი მოპირკეთების კარგად გამოსაჩენად, ანუ დაწესებულ პროცედურას ასრულებდნენ ნაწვიმარზე.

აღწერილი კომპოზიციის გარშემო დიდი სივრცეა, ციფერბლატი ძნელად იკითხება, საათი კი ისე გამოიყურება, როგორც თავკომბალა და ისევე უსარგებლოა დღეს, როგორც მაშინ, როდესაც გაჩერებული იყო და მთელი 2 წლის განმავლობაში არავის გახსენებია მისი შეკეთება. სხვაგვარად გადაწყვიტეს თბილისსა და ბათუმში, სადაც ზუსტად ასეთი საათები გზაჯვარედინზე, ტროტუარზე, გადასასვლელთან დააყენეს, ანუ იქ, სადაც უნდა იდგეს ეს საათი. ნაცნობ არქიტექტორებს რომ ვკითხე, საათს ადგილი „უფროსობამ“ შეურჩიაო, ანუ ქალაქის მერმა, ფოთის სინამდვილეში ნაციონალური მოძრაობის უკანასკნელმა დიდმოხელემ.

ერთ დღეს ნავსადგურის სამმართველოსთან ჩავიარე, იქ ბანკის წინ შუა მოედანზე პალმა მეგულებოდა გასული საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს მოღვაწე ქალაქის ხელმძღვანელის ინიციატივით დარგული, ეკზოტიკური მცენარისადმი სიყვარულით, თუმცა ავტოტრანსპორტის უსაფრთხოდ მოძრაობის ნორმების უგულებელყოფით. პალმა გაბრდილა, ნიკო ნიკოლაძის ძეგლს ეფარებოდა და გადაურგავთ, მის ნაცვლად კი ღუბა დაუბრძანებიათ, ნიკოლაძის ძეგლის ღერძზე, მის უშუალო სიახლოვეს. ეს ღუბა კარგა ხანს ნავსადგურის სარემონტოს სახელოსნოში ეგდო, ქალაქის ახალმა „უფროსობამ“ კი 21-ე საუკუნეში 2010 წელს ადგილი შუა ქუჩაში მიუჩინა, ფოთი საზღვაო ქალაქი რომ არის იმის მისანიშნებლად. ფოთი სამხრეთ კავკასიის კარიბჭეს რომ წარმოადგენს ყველასათვის ცნობილია, შინაც და გარეთაც. ღუბა კი ხომალდის სამუხრუჭე სისტემის მხოლოდ ნაწილია და იქ, სადაც დღეს არის აღმართული, საკუთარ ძეგლს წარმოადგენს, მეტს არაფერს. არ ვარგა ღუბა შუა მოედანზე, არ არის იქ მისი ადგილი, არც განთავსების მოტივაციაა მოსაწონი. კიდევ კარგი, რომ იგი არ გავრცელდა სრულიად საქართველოში, თორემ ასეთი ლოგიკით, თელავში ან გურჯაანში გზამქსაყარზე,

საზნახელი და ქვევრი უნდა გვეხილა, რუსთავში ურო და გრდემლი, ქუთაისში ჩამონწერილი ავტომობილის ძრავა, ხაშურში ვაგონის ბორბალი, ლესიჭინეში ურმის თვალი, ივანდიდში დიდი ძველი კარდანი, გორში გუთანი, შროშაში ლობიოს ქოთანი და ა.შ. ან კიდევ, ხომ შესაძლებელია ერთი ადამიანის თავში გაჩენილი ახირებული აზრი სხვამაც გაიზიაროს და იმ ღუბას გვერდით ან მის ნაცვლად ბრინჯაოს ხანის კოლხური ცული დააბრძანოს, რა თქმა უნდა, „ხალხის მოთხოვნით“ (რა თქმა უნდა ასლი), რომლის დედანმა 20 წლის წინათ ქალაქ აგდემი ევროპელები „აღაფრთოვანა“, მაგრამ არ ივარგებს, რამეთუ სამუბეუმო ექსპონატი მუზეუმში უნდა იყოს გამოფენილი, ჯართი ჯართში ჩაბარებული, ურო და გრდემლი სამჭედლოში და არა გზაჯვარედინზე ან შუა ქუჩაში.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ღუბებისადმი სიმპატიები ფოთის „უფროსობაში“ ადრეც აღინიშნებოდა, რის შედეგად ქალაქმა ორღუბიანი გერბი მიიღო 2005 წელს, „მტრის ჯინზე“, რომელსაც ორთავიანი არწივი აქვს სახელმწიფო გერბზე, ფოთს კი ორი ღუბა გემის გარეშე. ეს გერბი მერიის სატიტულო ბლანკის „მარჯვენა მაღალ კუთხეშია“ განთავსებული, სახელმწიფო გერბის მოპირდაპირედ, რომელსაც მარცხენა კუთხე აქვს დათმობილი. კანონმდებლობით ეს არ არის აკრძალული, მაგრამ ფოთს არაფერში არგია, სახელმწიფოს სიმბოლიკას კი აკნინებს და, მაშასადამე, არც საქართველოს არგია.

წარსულს რომ გადავაავლე გონების თვალი, გამახსენდა, რომ გასული საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარში ჯართში ჩაბარების ნაცვლად წყალქვეშა ფრთიანი ხომალდი „კომეტა“ რიონის არხში შემოიყვანეს და საწყლოსნოს სპორტული ბაზის გვერდით სპეციალურად მოწყობილ ხარიხაზე დადგეს და კაფე მოაწყვეს, უფრო ადრე კი, ნიკოლაძის ძეგლის უკან, რკინა-ბეტონისაგან აგებული არგონატების ხომალდი „არგო“ განათავსეს და იქაც იგივე სახელწოდების კაფე გახსნეს.

1993 წელს ფოთის მერის მოადგილემ ქართული არქიტექტურული სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელმა შოთა ყავლაშვილმა ამ ორივე ობიექტის, როგორც შეუფერებლების, აღება მოითხოვა, ლოგიკა მარტივი იყო: გემი ერთადერთი სატრანსპორტო საშუალებაა, რომელიც მხოლოდ წყალზე გადაადგილდება და არასოდეს ხმელეთზე არ ამოდის, ისევე, როგორც არასოდეს არ ჯდება მწყერი ხეზე. ელინურ ხანაში კი ხომალდებს ხის მასალისაგან აგებდნენ, ხოლო რკინა-ბეტონი გემთმშენებლობაში დღემდე არ გამოიყენება. „კომეტა“ იმთავითვე 1994 წელს ჩაბარდა ჯართს, ხოლო რკინა-ბეტონის „არგო“ უფრო გვიან, 2001 წელს იქნა აღებული. ამასწინათ, გაზეთში სათაური შევნიშნე: „კოსმოსიდან დანახული ფაზისი“ და უცებ ფოთის პარკში არსებული შადრევანი გამახსენდა, ფრიად უჩვეულო კონფიგურაციის, რომელიც

ბემოდან ნამდვილად აღიქმება, როგორც ოქროს საწმისი, ახლოდან კი მისი წამკითხველი, მე არ შემხვედრია. თუმცა კარგად მახსოვს, რომ პარკში შესასვლელის ღერძზე, სამშენებლო საქმის დიდოსტატის, ივანე ლალიძის დაპროექტებული წრიული ფორმის შადრევანი იყო, რომელიც მორიგმა „უფროსობამ“ ფაქტობრივად რეზუსით შეცვალა. გეომეტრიასთან და არქიტექტურასთანაც მწყრალოდ რომ იყო იმიტომ. ის „უფროსობა“ წავიდა, რეზუსი დარჩა. მეორე შადრევანიც არსებობდა ფოთში, რომელსაც სწორი გეომეტრიული ფორმა გააჩნდა, თუმცა ადგილმდებარეობა შეუფერებლად ჰქონდა შერჩეული, წყლის პირი, ზედ გემმისადგომთან. მსგავს პრეცედენტს პრაქტიკაში ვერათუ ვერ იპოვიოთ სადმე, სპეციალურ სახელმძღვანელოებშიც კი ვერ გადაეყრებით, როგორც განხილვის თემას, ამიტომ ის შადრევანიც ისევე გაქრა, როგორც ანტიკური ხანის „ხომალდის ძეგლი“, ბემოხსენებული რკინა-ბეტონის „არგო“. 2005 წელს ქალაქის პარკში კიდევ ერთი ღირსშესანიშნაობა გაჩნდა. ძველი, მე-18 საუკუნის ბარბაზის ლულა. არავინ იცის ვინ მოიტანა ის ლულა და რატომ გადაწყვიტა იმდროინდელმა „უფროსობამ“ ამ „ექსპონატის“ იქ გამწვანება. უფრო ორიგინალური ხომ არ იქნებოდა „ჯართის მუზეუმის“ შექმნა. ეს რაც შეეხება ქალაქის გაფორმებასა და მცირე არქიტექტურულ ფორმებს. აქვე უპრიანია გავიხსენოთ მნიშვნელოვანი არქიტექტურული, ისტორიული ძეგლებისადმი უადრესად უდიერი მოპყრობის ფაქტებიც. მაგალითად, საკათედრო ტაძრის თეატრად გადაკეთება 1936 წელს, როდესაც ამ უნიკალურ შენობას დიდი კიბე და ტრიბუნა მიაშენეს, გუმბათზე ჯერ გლობუსი, ომის შემდეგ კი მის ნაცვლად ვარსკვლავი დაამონტაჟეს, წინ ვრცელი მოედანი მოუწყვეს, სამაისო და საშვიდნოებრო დემონსტრაციების ჩასატარებლად. სხვა დროს ეს მოედანი სრულიად უფუნქციო ტერიტორიად რჩებოდა. ლალისფერი ვარსკვლავი ნიკოლაძის კომპლექს დაამონტაჟეს, რამდენიმე წლის შემდეგ კი აიღეს. ამავე რიგის მაგალითია არქიტექტურული და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, ჰიდრომელიორაციული ტექნიკუმის, გემთსაშენის კლუბის, ყოფილი უშიშროების, „მიქიაშვილების სახლის“ ისტორიული შენობების სრულ გაჩანაგებამდე მიყვანა, თანაც ტურიზმის განვითარების თაობაზე ქალაქის „უფროსობის“ დაუსრულებელი ყბედობის ფონზე.

ქალაქის სივრცით მოწყობაზე ძალმომრეობის ფაქტია მალთაყვის მემორიალისათვის ტერიტორიის ჩამოჭრა და იქ საცურაო აუზის მშენებლობის დაწყება, რომელიც იმ დროს მოქმედმა „უფროსობამ“ წამოიწყო, უშველა მემორიალს ხელისუფლების შეცვლამ, მაგრამ ტერიტორია დღემდე დაბრუნებული არ არის. იქაურობა კი მეტად დამთრგუნველ სურათს წარმოადგენს.

როგორც ვხედავთ, ყველა განხილულ შემთხვევაში, ყველა გზა „უფროსობისკენ“ მიდის, უფრო იმ „უფროსისაკენ“, რომელიც სხვების პროფესიული თუ სამსახურეობრივი ფუნქციების შეთავსებისადმი აღმოჩნდა მიდრეკილი, ასე ვთქვათ, გარდა იმისა, რომ „უფროსია“ ზოგადად, ამავედროულად „მთავარიც“ არის. იგი შეიძლება იყოს მთავარი არქიტექტორი, მთავარი მხატვარი, მთავარი დიზაინერი, მთავარი აგრონომი, მთავარი სცენარისტი, მთავარი ენერგეტიკოსი, მთავარი ისტორიკოსიც კი. როგორც ზემოთ განვიხილეთ, მან იცის სად დააყენოს საათი, რა დანიშნულებით გამოიყენოს მოსაპირკეთებელი ქვები, ჯართად ქცეული ღუბა და ბარბაზის ლულა, როგორ გადანყვიტოს ქალაქის სივრცითი მოწყობის უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხები, როგორ გადააკეთოს არქიტექტურული ძეგლები, ან სულაც, ადგილი უცვალოს მათ, რა კონფიგურაცია განუსაზღვროს შადრევანს და სად ააშენოს იგი. იცის რა მოუხდება ისტორიული შენობის გუმბათს ან თუნდაც რა უნდა დაერქვას მშობლიურ ქალაქს არსებული სახელის ნაცვლად. რაც უფრო მეტად ითავსებს „უფროსი“ დამატებით ფუნქციებს, მით ნაკლებად წარმატებულია მისი მოღვაწეობა. არქიტექტურას მეტად კონკრეტული, ლოგიკური და მკაცრი მოთხოვნები ამოძრავებს და მათი უგულვებელყოფა იწვევს ზემოაღწერილ შედეგებს, რასაც სახელად პროვინციალიზმი ჰქვია. მის დაძლევას კი, როგორც წესი, დამატებითი ფინანსური ხარჯები მოსდევს, ფოთს ამის მწარე გამოცდილება აქვს.

სივრცითი მოწყობის თემები მუდამ მოსახლეობის თვალწინ იშლება, ამიტომ მათ მიმართ საზოგადოების ინტერესი მუდამ მაღალია, რაც განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს აღმასრულებელ ხელისუფლებას. მაღე მუნიციპალიტეტის მერის არჩევნები გაიმართება და ეს თემები სრულყოფილად უნდა გამოიკვეთოს, საჯარო გახდეს ამთავითვე, საარჩევნო პერიოდში. ამომრჩეველი შეიცვალა, უფრო მომთხოვნი გახდა, ამიტომ საარჩევნო მართონში მონაწილეებმა რიტორიკას პასუხისმგებლობითა და სერიოზული ყურადღებით უნდა მოეკიდონ. არ უნდა დაუშვან ცნებათა და ტერმინთა აღრევა. საკუთარი ან პარტიული მოსაზრებები არ წარმოადგინონ, როგორც „ხალხის მოთხოვნა“, მოერიდონ ფუჭ ფრაზეოლოგიას. იმედი ვიქონიოთ, რომ ფოთელ ამომრჩეველს მორიდებენ ისეთ განცხადებებს, როგორცაა: „ნიკოლაძის შემდეგ ფოთში არაფერი გაკეთებულა“, „ფოთიდან ბრენდს გავაკეთებ“, „ფოთს ფაზისს დავარქმევ“, „ფოთელებს ერთი სიყვარული აქვთ“, „ფოთელობა ხომ წოდებაა“, „ფოთისაგან ტურისტულ ცენტრს შევქმნი“, „ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად ბიუჯეტიდან თანხებს გამოვყოფ“ და სხვ. ამომრჩეველმა კი უნდა გააცნობიეროს, რომ საარჩევნო პერიოდში გაუღერებული ყველა თემა, რომელიც არ იქნება იმავე პერიოდში გაპროტესტე-

ბული, ან ოპონირებული, მომავალში, დიდი ალბათობით „შეიფუთება“, როგორც „ხალხის მოთხოვნა“, ამიტომ ამომრჩეველმა მარტო იმაზე კი არ უნდა ილაპარაკოს, რა უნდა, არამედ იმაზეც, რა არ უნდა მას. მისთვის არ უნდა იყოს სულერთი, რას ააშენებს „უფროსობა“ არჩევნების შემდეგ: სამედიცინო დაწესებულებას თუ სპორტულ ობიექტს, კინოთეატრს თუ სანიაღვრე კანალიზაციას, ან ზღვის სანაპირო ზოლს გაამაგრებს თუ წესრიგში მოიყვანს რიონის არხს და გამწმენდ ნაგებობას. კულტურის ძეგლებს ადადგენს თუ მეტროპოლიტენის მშენებლობას შესთავაზებს საბაბად მერიაში მარკშეიდერის შტატის შემოღების მიზნით, ისევე, როგორც ახლო წარსულში „ტურიზმის განვითარების მიზნით“ შესაბამისი სამსახურის შექმნა მავანთა დასასაქმებლად.

ხელისუფლებას ხალხი ირჩევს. ხელისუფლება კი ანგარიშვალდებულია არა ზოგადად ხალხის, არამედ კონკრეტული ამომრჩეველის წინაშე. თუ იგი აიცდენს „უფროსის“ სინდრომს, მისი მოღვაწეობის შეფასებისას ასევე აიცდენს იმ ანდაზას, რომელიც ამ პუბლიკაციის სათაურად გამოვიყენე.

ირაკლი მონწერელია  
17.09.2017



## „ფაზისობა“, როგორც ასეთი...

„ფაზისობა“ საერთო-სახალხო დღესასწაული არ არის. უფრო სწორი იქნება ითქვას, რომ იგი არც „საერთოა“, არც „სახალხო“ და არც „დღესასწაულია“.

„ფაზისობის“ ჩატარება-არჩატარება ერთი ადამიანის, ქალაქის აღმასრულებელი ხელისუფლების მოქმედი თავკაცის ნება-სურვილზეა დამოკიდებული. მის ფორმატს და ჩატარების თარიღს ამჟამად ქალაქის მერი განსაზღვრავს. ამიტომ „ფაზისობა“ მერიის ერთდღიანი კულტურულ-ნაწილობრივ მასობრივი ღონისძიებაა, რომელსაც „საერთო-სახალხო“ ისევ მისმა ორგანიზატორებმა უწოდეს სტატუსის აწევის მიზნით, ფაქტობრივად კი იგი „იერარქიული დღესასწაულია“, რამეთუ მისი დამწესებელი და ორგანიზატორი ადგილობრივი ხელისუფლებაა.

„ფაზისობის“ გამართვისათვის არ არის განსაზღვრული მუდმივი თარიღი. როგორც წესი, იგი შეიძლება ტარდებოდეს წელიწადის ნებისმიერ თვეში, მეტწილად შემოდგომით, აუცილებლად შაბათ დღეს, ამიტომაც ვერავინ გეტყვით, რას აღნიშნავს ამ დღეს „ხალხი“, რის გამოც არის სადღესასწაულო ის შაბათი, რომელიც ისედაც დასვენების დღეა და ვისაც როგორ უნდა ისე გეგმავს და ატარებს მას.

ის, რომ „ფაზისობა“ იერარქიული „დღესასწაულია“, ამას პრაქტიკაც ადასტურებს. 1987 წლიდან 1995 წლამდე და 1998-დან 2013 წლამდე იგი არ ჩატარებულა და ამის გამო წუხილი ან მონატრება არავის გამოუთქვამს. ეს წყვეტილობა მეტყველებს იმაზე, რომ მისი ჩატარება ტრადიციულად ვერ იქცა, ისევე, როგორც 1 მაისისა და 7 ნოემბრის აღნიშვნა. საბჭოთა დღესასწაულებს ყავლი გაუვიდა საბჭოთა ხელისუფლებასთან ერთად, მაგრამ მათგან განსხვავებით, როგორც ჩანს „ფაზისობა“ კარგად დავინწყებული არ აღმოჩნდა და ამ კომუნისტური გადმონაშთის რეანიმაცია მოხდა და მას ადგილობრივი ხელისუფლება საკუთარი პიარისათვის იყენებს და ამავედროულად „ფაზისობასაც“ აპირებს, როდესაც მას „დიდი წარსულის მატარებელ“, „ბრწყინვალე“ დღესასწაულს უწოდებს.

„ფაზისობა“, ისევე, როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დამკვიდრებული „ობები“ 1979 წლის შემდეგ, 26-27 ოქტომბერს პირველად ჩატარებული „თბილისობის“ მიმბაძველობით გავრცელდა.

თავდაპირველად ფოთში „ქუჩებისა და კარ-მიდამოების“ დათვალიერება - ზეიმი ტარდებოდა, საკმაოდ კონკრეტული, სახელწოდების შესაბამისი და დროის შესაფერისი შინაარსობრივი დატვირთვით. „ფაზისობა“ კი 1984 წლიდან გაჩნდა ტიმ სევერინის მოგზაურობის შემდეგ. რადგან იმხა-

ნად „საერთო-სახალხო“ დღესასწაულად სახელმწიფოში მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე 1 მაისი, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დღე 7 ნოემბერი იყო დანესებული, „ფაზისობა“ უფრო მოკრძალებულად ტარდებოდა და რაც მნიშვნელოვანია, მასზე საბიუჯეტო ფული არ იხარჯებოდა. მას იდეოლოგიური შემადგენელიც გააჩნდა: ქალაქის მოსახლეობის ჩართვა საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმიანობაში.

პოსტსაბჭოთა პერიოდის „ფაზისობა“ წინამორბედისაგან განსხვავდება, რომლისაგან მან მხოლოდ იერარქიული სანყისი აიღო. სხვა მხრივ იგი ორი მუდმივი და რამდენიმე ცვალებადი კომპონენტისაგან წარმოგვიდგება. მუდმივი კომპონენტებია გახსნისას ფოთში არსებული ძეგლების გვირგვინებით შემკობა, დახურვის აღნიშვნა კი „წლის“ პურ-მარილით, რომელიც ცენტრიდან მოწვეული „მაღალი სტუმრების“, სამეზობლოდან ჩამოსული იერარქიული კოლეგების, ადგილობრივი ელიტის მონაწილეობით იმართება და მომდევნო დღეს „ადმინისტრაციული რესურსის“ წვრილფეხობისათვის „ნამცემობით“ მთავრდება.

ამ ორ კომპონენტს შორის პერიოდში იმართება სპორტული შეჯიბრებები მაგიდის ჩოგბურთში, შაშში, ჭადრაკში, ზოგჯერ ჭიდაობასა და კრივში ან სანყლოსნო სპორტის სახეობებში. ყველა ეს შეჯიბრება ლოკალური ხასიათისაა და მას იმდენი მაცურებელი ესწრება, რამდენი გულშემატკივარიც მოყვება მათ მონაწილეებს.

ამ, ე.წ. „დღესასწაულის“ კიდევ ერთი შემადგენელია ადგილობრივი თვითმოქმედი მხატვრული კოლექტივების მონაწილეობით გამართული კონცერტი. ძირითადად ქართული ხალხური სიმღერებისა და ცეკვების დემონსტრირებით.

მხატვრულ ნაწილში ხდება მოსწავლეთა ჩართვა, მათ შორის უმცროსკლასელების, რომლებსაც როგორც წესი, ახლავან მშობლები, ახლო ნათესავები, მეზობლები. მათი დასწრება კი უზრუნველყოფს დარბაზის გავსებას. აქვე იმართება ქ. ფოთის საპატიო მოქალაქეების ჯგუფურად პატივდება, სცენაზე მათი მოხმობა-ჩამწკრივება და „არჩეულად“ გამოცხადება, მაშინ, როდესაც სულაც არ არის სავალდებულო და არც გონივრული ამ პროცედურის რიტუალად გადაქცევა, მხოლოდ იმიტომ, რომ იგი „იერარქიული დღესასწაულის“ კომპონენტად აქციო.

პერიოდულად „ფაზისობას“ თეატრალიზებული წარმოდგენებიც ახლავს. უპირატესად ელიზური ხანის სურათების თანხლებით. ხან მიტოვებული და უნუგეშო მედია საყვედურობს იაზონს, ხან კიდევ მეფე აიეტი ცხენზე ამხედრებული სტატისტების ყიჟინით მხარდაჭერილი გრგვინავს იმის გამო, რომ ფოთს ფაზისი არ ჰქვია.

1995-1996 წლებში „ფაზისობის“ „უკეთ ორგანიზების მიზნით“ ქალაქის ცენტრალურ მოედანზე თეატრონი მოეწყო და იქვე დიდი კოცონი გა-

ჩაღდა ჭიაკოკონას მსგავსად, რომელმაც ათი კუბმეტრი შეშაც შეიწირა, მაგრამ კოცონს იერარქიული პირამიდის მწვერვალზე მყოფმა იმდროინდელმა ფუნქციონერმა „რწმენის კოცონი“ შეარქვა.

2015 წელს გამართულ „ფაზისობაზე“ მართალია, კოცონი არ დაუნთი-ათ, არც ხანძარსაშიში და ტრავმასაშიში ჩირადნებით „ხელდამშვენებული“ აიეტის ფეხოსნები გამოჩენილან, მაგრამ შემოქმედებითი „მუხტით“ აღსავ-სე ორგანიზატორებმა უფრო მშვიდი კომპონენტით ჩაანაცვლეს: „მაღალ სტუმრებს“ საქმე გამოუჩინეს და ახალგაზრდობის საბავშვო ბაღის შე-ნობის გახსნის ნიშნად ბაფთა გააჭრევინეს და ეს „მოვლენა“ ობიექტივითაც აღბეჭდეს.

გემოაღნიშნული კომპონენტების ჩამოთვლა საკმარისად მიმართა სა-იმისოდ, რომ დავასკვნათ, „ფაზისობა“ არ არის ქალაქის ბიუჯეტში გადამ-ხდელთა დაკვეთა. ემსახურება ადგილობრივ ხელისუფლებას, რომ მისი ჩატარებით საკუთარი თავის არსებობა შეახსენოს მოსახლეობას, რომელ-საც გარკვეული წყვეტილობით, ორ ათეულ წელიწადზე მეტია „ფაზისობის“ სახით დღესასწაულის ნაცვლად დღესასწაულის პაროდის ანვდის, მოსახ-ლეობისავე ხარჯით. „ფაზისობა“ სხვა საზოგადოებრივ ეკონომიკურ ფორ-მაციაში შექმნილი ღონისძიება იყო (და არა საერთო სახალხო დღესასწა-ული იხ. 1979-1989 წწ. გაზ. „ახალი კოლხეთი“). დღეს იგი ღონისძიებათა კონგლომერატს წარმოადგენს, მეტს არაფერს და კარგა ხანია ანაქრონიზ-მად იქცა. იქნებ დროა შევცვალოთ უკეთესით, პროვინციალიზმის გამოვ-ლინებებს კარგი არაფერი მოაქვს. მეტიც, იგი საზოგადოების განვითარების პროცესს ხელს უშლის. აქვე აღვნიშნავ, რომ „ობები“ სხვაგანაც მსგავსი სცენარით ტარდება და მათი რაოდენობაც მატულობს. სულ ახალაზან „დიდუბობა“ ჩატარდა დიდუბეში. თუ ასე გაგრძელდა ადვილად შესაძლე-ბელია, რომ სოფელ ბანძაში „ბანძობა“ გაიმართოს, სოფელ გაჭედილში „გაჭედილობა“, ხონში „ხონობა“, ხობში „კიდევ „ხობობა“, თუმცა სახელ-დების წარმოშობა სხვა თემაა. დღეს რაც გვაქვს, ისიც პროვინციალიზმის გამოვლინებაა, რომელიც არ უწყობს ხელს საზოგადოების განვითარების პროცესს.

P.S. ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ მორიგი „ფაზისობა“ 22 ივლისს ჩა-ტარდება, ტრადიციული შემოდგომის ნაცვლად. უმნიშვნელო ცვლილებე-ბის არითმეტიკა რომ მოვიშველიო, შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი იგი-ვე დარჩა - პროვინციალიზმი.

ირაკლი მონერელია  
2017

## „ფოთის დღეები 2018“ „ფაზისოზის სინდრომითა და ელფარით“

„ფაზისობა, როგორც ასეთი“, ამ სათაურით გამოქვეყნდა ჩემი სტატია გაზეთში „მთავარი თემა სამეგრელოში“ 2017 წლის სექტემბრის №24-ში. ვინც ის პუბლიკაცია წაიკითხა დამეთანხმება, რომ „ფოთის დღეები 2018“ სათაურშეცვლილი იგივე „ფაზისობაა“. მისმა ორგანიზატორებმა, ახალი და მით უმეტეს არაჩვეულებრივი, „ჯერარნახული“ მას ვერაფერი შემატეს. ამიტომ ის თვითკმაყოფილება და თავმოწონება, რომელიც მერიის თანამშრომლებმა გამოხატეს, გაკვირვებას იწვევს. გაკვირვებას იწვევს იმიტომაც, რომ ორგანიზაციულად მისი ჩატარება ძნელი სულაც არ არის. „ჩასაფრებულები“, როგორც მერიის დიდმოხელე გვაუწყებს, ვინ იყო ან ჩასასაფრებელი რა იყო „ფოთის დღეების“ აღნიშვნისას, ძნელი წარმოსადგენია. მაგრამ მოქილიკეები თუ გამოჩნდნენ ეს სავსებით შესაძლებელია. ქილიკი აზრის გამოხატვის ფორმაა, გაჩენილი უკმარისობის გრძნობის გამო. თუ ვინმე გუშინდელ „ფაზისობასა“ და დღევანდელ „ფოთის დღეების“ მომზადებისა და ჩატარების შემდეგ მათ შორის მსგავსება დაინახა და არ მოეწონა, რატომ იწვევს ეს „ფოთის დღეების“ „ორგანიზატორისა და სულის ჩამდგმელის“ უკმაყოფილებას? ხომ არ წარმოუდგენია, რომ საზოგადოება მხოლოდ მამებლების, მლიქვნელების, ფარისევლებისა და პათეტიკით „დამუხტული“ ქარაფშუტებისაგან შედგება? სავსებით ბუნებრივად ჩნდება კითხვა, რატომ არის, რომ XXI საუკუნეში, 2013 წლიდან მოყოლებული ფოთის ყველა მერის დღის წესრიგში „მემკვიდრეობით“ „საქალაქო დღესასწაულის“ მონყობას უადრესად მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა, სხვა საზრუნავი კი არ უჩნდებათ. საზრუნავს ფოთში რა გამოლევს, მაგრამ როგორც პრაქტიკა მოწმობს, როდესაც ხელმძღვანელი ძირითად ფუნქციას ვერ ასრულებს, აკეთებს იმას, რაც ადვილია. სწორედ ამ ტიპის ხელმძღვანელები დაებედა ქ. ფოთს 2005 წლის შემდგომ პერიოდში და როგორც დასანანი არ უნდა იყოს ჩემთვის, ამჟამინდელიც წინამორბედთა ნაკვალევს შედგომია. ახლა კი ორიოდ სიტყვა „ხალხის“ გასართობად „მეიმების გამომგონებელთა“ და „ღირსი“ თარიღების მძებნელთა გასაგონად:

1. საქართველოში დაწესებულია ერთი საერო დღესასწაული ეროვნული დამოუკიდებლობის დღე – 26 მაისი. ხელისუფლება (მათ შორის ადგილობრივი ხელისუფლება), ვალდებულია იგი აღნიშნოს ფართოდ, მრავალფეროვნად, ყოველმხრივ საზემო ვითარებაში, სპეციალურად ამ დღისთვის შედგენილი გეგმის მიხედვით. და არა ისე უფერულად და

უდიდამოდ, როგორც უკანასკნელ წლებში, როდესაც „ფაზისობა“ და ეროვნული დამოუკიდებლობის დღე ერთნაირი სცენარით აღინიშნებოდა. ეს კი დაუშვებელია. არ შეიძლება მთავარ დღესასწაულთან მნიშვნელობით და აღნიშვნის მასშტაბურობით სხვა, ფოთური წარმოშობის „დღესასწაულის“ გატოლება. მით უმეტეს, რომ ადგილობრივი ხელისუფლება არ არის ვალდებული ადგილობრივი მნიშვნელობის დღესასწაული დაანესოს.

2. „ქალაქის დღის“ აღნიშვნის ფორმატი ისე უნდა განისაზღვროს, როგორც ეს მიღებულია იქ, სადაც ამის ტრადიცია არსებობს. თანამედროვე ქალაქი ფოთი საპორტო ქალაქად 1858 წლის 18 ნოემბერს გამოცხადდა. ეს თარიღი არის ქალაქის დაბადების ათვლის წერტილი და იგი 18 ნოემბერს უნდა აღინიშნებოდეს. არ უნდა ხდებოდეს მისი გადატან-გადმოტანა ცალკეული მედროვე ფუნქციონერის შეხედულებისამებრ. ეს რომ არ მოხდეს უნდა დანესდეს, რომ ყოველი წლის 18 ნოემბერს ქალაქის თვითმმართველობა ანგარიშს აბარებდეს განუვლი მუშაობის თაობაზე ამ შემთხვევისათვის ქალაქის თეატრში შეკრებილ საზოგადოებას. ეს იქნება პატივისცემა ამომრჩევლებისადმი, რომელიც, სამწუხაროდ, მხოლოდ არჩევნების წინ ახსენდებათ (და არა მართო ფოთში). 23 ნოემბერი გიორგობაა. უპრიანია ამ პერიოდში 18-დან 23 ნოემბრამდე ტარდებოდეს ქალაქის დღეები, რომლის პროგრამა წინასწარ უნდა შემუშავდეს საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა აზრისა და წინადადებათა გათვალისწინებით. აქ წერტილის დასმასაც ვაპირებდი, მაგრამ პირველი მაისის „საქართველოს რესპუბლიკაში“ პუბლიკაციას გადავეყარე სათაურით: „ფაზისობის დაუვინყარი დღე“... ავტორი შთაბეჭდილებებსაც გვიზიარებს, ორგანიზატორსაც წარმოგვიდგენს და შრომასაც უქებს, „უკვე დაეტყო ქალაქის კულტურულ ცხოვრებასო“. ფოთის ოფიციალური კი იტყობინება, რომ ფოთში, „ფოთის დღეები – 2018“ ჩატარდა და არა სხვა რამ. ჰო, და გაიგე ახლა ვისი რა დაეტყო რას. მე კი ის აზრი განმიმტკიცდა, რაც სათაურით გამოვხატე. გულწრფელად. ქილიკის გარეშე.

ირაკლი მონწერელია  
04.05.2018



## **ფოთი თუ ფაზისი**

ინტერვიუ ირაკლი მონწერელიასთან

**ბატონო ირაკლი, ხშირად ისმის საკითხი ქალაქისთვის ისტორიული სახელის „ფაზისის“ აღდგენის თაობაზე. ამ მიზნით ხელმონწერათა შეგროვებაც დაიწყო ქალაქში, როგორია თქვენი აზრი ამ საკითხზე?**

მე ვიცნობ ამ სათაურით შედგენილ დოკუმენტს, რომელიც გაიგზავნა პრემიერ-მინისტრის სახელზე ჯერ კიდევ 2016 წელს და რომლის ინიციატორებია ფოთის მუნიციპალიტეტის სათათბირო და ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემია, გაცნობილი ვარ სხვა მასალებსაც, რომელიც პერიოდულად ქვეყნდება მედია საშუალებებით. მსმენია ამ იდეის ცალკეულ მომხრეთა გამონათქვამებიც. ზოგჯერ რატომღაც აგრესიულ და ვულგარულ ტონშიც წარმოთქმული.

განსხვავებული აზრი რატომ უნდა ინვევდეს გაღიზიანებას? მით უმეტეს, რომ ფოთის „გაფაზისებას“ „მრავალათასიანი“ მომხრე არ უჩანს.

### **რატომ ფიქრობთ ასე? რა გაქვთ მხედველობაში?**

მხედველობაში მაქვს ის ფაქტი, რომ ფოთისათვის სახელის შეცვლის და არა აღდგენის (რამეთუ ფოთს ფაზისი არასოდეს არ ერქვა) ინიციატორებმა, დახმარებისათვის „ყავარჯენი“ მოიშველიეს მერიის თანამშრომელთა სახით, რომლებმაც 200 ხელმონწერა შეაგროვეს ხვეწნა-მუდარით, კარდაკარ შემოვლით. ქალაქის მერმა კი დაუშვა სახელმწლიფო სამსახურში მყოფი პირების ჩარევა იმ საკითხში, რომელიც მათი საქმე არ არის. მე წავიკითხე პროფესორ თემურ ფაჩულიას წერილი, რომელიც თქვენ გაზეთში გამოქვეყნდა და სავსებით ვიზიარებ მის პოზიციას. მეც არ ვემხრობი ფოთის ფაზისად გადარქმევას.

### **ხომ არ დააკონკრეტებთ თქვენს მოსაზრებას?**

უწინარესად აღვნიშნავ, რომ ქალაქის სახელის შეცვლა განიხილება, როგორც ტოპონიმ „ფოთის“ ტოპონიმ „ფაზისით“ ჩანაცვლება ან ტოპონიმ „ფაზისის“ ტოპონიმ ფოთის დამატებად შემოტანა „ფოთი – ფაზისი“. საერთაშორისო პრაქტიკა მოწმობს, რომ ამ დროს მთავარია ცვლილე-

ბის მოტივაცია; **მოტივაციას არჩევენ პოლიტიკურს, ეროვნულს, ეკონომიკურს.** და მათ იყენებენ არა საკუთრივ ისტორიული პროცესების, არამედ ისტორიული პროცესების შედეგად დამდგარი მოცემულობის შესაფასებლად.

მოცემულობა კი ასეთია: ტოპონიმი ფოთი, მეგრულად ფუთი, VIII საუკუნეში ანუ 1300 წლის წინ გაჩნდა, სხვა წყაროებით XI საუკუნეში, ანუ 1000 წლის წინ. ზოგიერთი ავტორის ცნობით კი ფაზისზე ადრე და როგორც წარმოშობით ქართული დამკვიდრდა კიდევ. ეს ფაქტი უადრესად მნიშვნელოვანია.

ტოპონიმი „ფაზისი“ გაჩნდა V, არაუგვიანეს VI საუკუნის პირველ ნახევარში, როდესაც მილეთელმა ბერძნებმა ამ სახელწოდების ქალაქი დააარსეს, როგორც ემპორია, ბერძნული ძალის საყრდენი კოლხეთში. ტოპონიმი ფასისი, შემდგომ ფაზისი, ძველბერძნული ენისა და რომაელების გავლენით არის ნაწარმოები და ქართულ ენას არ უკავშირდება.

მაშასადამე დღეს ჩვენ გვაქვს თანამედროვე ქალაქად ჩამოყალიბებული ფოთი და ადგილობრივი ტოპონიმი ფოთი. არ გვაქვს ქალაქი ფასისი, ფაზისი უცხო ენებიდან ნაწარმოები ტოპონიმით ფასისი, ფაზისი. ამდენად, ეროვნული მოტივაცია ფოთის სასარგებლოდ მეტყველებს, ისევე, როგორც პოლიტიკური, რამეთუ მისი ჩანაცვლების მცდელობა მთელი 1300 წლის მანძილზე არ აღნიშნულა, მაშინაც კი, როდესაც საქართველოში დასახლებული პუნქტების სახელების შეცვლამ ბოლშევიკური მმართველობის პერიოდში მასობრივი ხასიათი მიიღო. საკმარისია გავიხსენოთ რაიონული ცენტრები: ცხაკაია, მახარაძე, ორჭონიკიძე, მაიაკოვსკი, წულუკიძე, სტალინირი, ლენინგორი. პროცესს პოლიტიკური მოტივაცია ედო საფუძვლად. ამავე და მასთან ერთად ეროვნული მოტივაციით ჩამოთვლილ ქალაქებს აღუდგათ ადგილობრივი, ადრევე დამკვიდრებული ტოპონიმები: სენაკი, ოზურგეთი, ხარაგაული, ბაღდათი, ხონი, ცხინვალი, ახალგორი.

ბუნებრივია, მხარდასაჭერია ადგილობრივი ტოპონიმი ფოთი და არ არის საჭირო მისი ჩანაცვლება გამქრალი ქალაქის სახელწოდებით. მით უმეტეს, რომ ფოთი არასოდეს განიხილებოდა ფაზისის არც ადგილმონაცვლედ, არც უფლებამონაცვლედ სუბიექტად.

ეკონომიკური თვალსაზრისითაც არ არის ეს ცვლილება გონივრული, ვინაიდან შესაცვლელი იქნება რუკები, საზღვაო რუკები, ფოთის მოსახლეობის და ფოთთან დაკავშირებული დაწესებულებების, ფირმების, ინსტიტუციების სარეგისტრაციო დოკუმენტები, ყველა სახის სატრანსპორ-

ტო ცნობარები, საგზაო ფირნიშები და სხვ. ეს კი სოლიდური ხარჯებია, რომელიც ბიუჯეტს დააწვება და საგრძნობლად შეამსუბუქებს გადამხდელთა ჯიბეებს, მათ შორის ფოთის „გაფაზისების“ „მრავალათასიან“ მხარდამჭერთა ჯიბეებსაც, რომლებსაც ეს არ უნდა დაავინყდეთ, თუკი ვინმე, თუნდაც ამ მოტივით არ გაიზიარებს მათ ინიციატივას.

### **თუ ხალხმა გადაწყვიტა ქალაქის სახელის შეცვლა, როგორც ქალაქის მერი აცხადებს, მაშინ როგორ იქნება საქმე?**

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად გეოგრაფიული ადგილის სახელის შეცვლის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილებას საქართველოს მთავრობა იღებს, რომლის წარდგინებას პარლამენტი განიხილავს, მანამდე კი საკითხი აპრობაციას გაივლის საკრებულოში, შემდეგ კი სახელმწიფო კომისიაში. ეს კი სულაც არ არის უბრალო ფორმალობა. „ხალხის“ მონაწილეობა კი საკითხის გადაწყვეტაში კანონით არ არის გათვალისწინებული. ანუ ამას არ ჭირდება პლებისციტის ან რეფერენდუმის ჩატარება. კარდაკარ სიარული გამოკითხვის მიზნით და შემდეგ სიების შედგენა საკითხის გადაწყვეტაში „ხალხის“ მონაწილეობას არ ნიშნავს. ეს ნიშნავს იმას, რომ ქალაქის მერი, ფაზისის საერო სამეცნიერო აკადემიის აკადემიკოსი შეუდგა ქალაქის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი სათათბიროსა და ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის წინაშე ნაკისრი ვალდებულების შესრულებას, რომელიც მის მიერ დაფიქსირებულია 2015 წლის 16 მარტის №1-08/550 და 2016 წლის 26 ივლისის №1-03/2207 მერიიდან გასული წერილებით და ფოთის მუნიციპალიტეტის სათათბიროს თავმჯდომარესთან, (რომელიც იმავდროულად ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტაც ბრძანდება) შეუდგა „ხალხის დარაზმვას“ ფოთის ფაზისად გადარქმევის იდეის გარშემო. „ხალხის მოთხოვნის“ ილუზიის შესაქმნელად, ასე ვთქვათ, თვალის ასახვევად. აქ უპრიანია ისიც ითქვას, რომ ამით იგი თავის საარჩევნო დაპირების შესრულებას ცდილობს.

### **რა გაქვთ მხედველობაში?**

მხედველობაში მაქვს ვიდეო რგოლი, რომელიც კარგა ხანს ტრიალებდა ინტერნეტ სივრცეში, სადაც „ვიღაც-ვიღაცები“ პირდებოდა ამომრჩევლებს „ლეგენდების გაცოცხლებას“ და ისიც გვაუწყა, რომ „ფაზისი

ხომ ხოხობს ნიშნავს“ (ციტატა მისია), ოღონდ დღემდე არ განუმარტავს, რომელ ენაზე ნიშნავს ფაზისი ხოხობს და რატომ არის ეს ქალაქ ფოთის სახელის შეცვლის საფუძველი, ან ფაზისი ხოხობს თუ ნიშნავს „ფაზისობა“ რაღაა „ხოხობობა“? რაც არ უნდა ითქვას, მნიშვნელობა მხოლოდ იმ კრიტერიუმებს აქვს, რაზეც ბემოთ ვისაუბრე და არა ამ კრიტერიუმებს აცდენილ განცხადებებს, მერის განცხადებების ჩათვლით, ისევე, როგორც მისი თანამოაზრე საბჭოთა თუ პოსტსაბჭოთა პერიოდის ყოფილი ფუნქციონერების პოზიციას, რომელიც მათ დაიკავეს სახელისუფლებო სტრუქტურებიდან წასვლის შემდეგ, გვთავაზობენ ფოთის გაიგივებას ფაზისთან და წარსულის ქართველი მეცნიერების, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეებისაგან განსხვავებით ფოთის სახელდების შესაცვლელად იწყეს გარჯა, ზოგიერთმა ფარულად, მაგრამ ყველამ ერთად აგრესიულად.

**რამდენადაც ცნობილია, „ფაზისის“ მომხრეებს მრავალი ისტორიული წყაროები მოყავთ არგუმენტებად.**

საქმეც მაგაშია, წყაროები ისტორიული კი არის, მაგრამ ამ შემთხვევაში დღის წესრიგისათვის მნიშვნელობა მხოლოდ ტოპონიმს, მის წარმომავლობას ენიჭება და არა იმას, თუ რას წერდა ფაზისის შესახებ სტრაბონი, რა ჩანაწერები დატოვა რომაელმა დიდმოხელე არიანემ, როგორ და რა მიზნით აღმოჩნდა კოლხეთში პომპეუსი, რას ასწავლიდნენ ფაზისის რიტორიკულ აკადემიაში და როდის რა ენაზე მეტყველებდნენ იქ. როდის ააშენეს არტემიდას ტაძარი, ვინ იყვნენ მითიური არგონავტები, ფაზისის დამაარსებელი ბერძენი თემისტაგორა და ა.შ.

ეს თემები დიდი ხანია ცნობილია და მათ გამო არავინ დავობს. სამეცნიერო დავის თემა შეიძლება იყოს ფაზისის ლოკალიზაციის საკითხი, მათ შორის აჭარაში მოღვაწე მკვლევარებთან, მაგრამ ეს არ შეიძლება არგუმენტად ჩაითვალოს ქალაქ ფოთის სახელის შესაცვლელად, არც გრგვინვა საჭირო იმის გამო, რომ სადღაც ვინმე განსხვავებულ აზრს გამოთქვამს ისეთ ბუნდოვან საკითხზე, როგორიც არის ფაზისის ლოკალიზაციის თემა. საერთოდაც, როდესაც ყოფილი ან მოქმედი ფუნქციონერი, არაპროფესიონალი, წმინდა ისტორიულ საკითხებში იჭრება, ფრთხილად უნდა იყოს, რომ იმ სპილოს არ დაემსგავსოს, რომელიც შემთხვევით საბაყლო ჯიხურში აღმოჩნდა.

## **პერიოდულად გაისმის, რომ კოლხეთის კვლევის საქმე ნაცარ- მიყრილია და ფოთის ფაზისად გადარქმევას ესეც უშლის ხელს. რას იტყობით ამაზე?**

ვიტყობი, რომ ეს არის უტაქტო, მოუზომავი და უმართებულო ნათქვამი. ჩვენი ქვეყნის ისტორიის, მათ შორის კოლხეთის ისტორიის კვლევა გრძელდება და არც შეწყვეტილა არასოდეს. თუმცა ქალაქ ფოთის ისტორიის კვლევას ყურადღება ნამდვილად აკლია, სხვაგვარად მისი „გაფაზისების“ საკითხი არავის მოუვიდოდა აზრად, არც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ცრუ საიუბილეო თარიღების აღნიშვნა მოხდებოდა, არც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ჰიდრომელიორაციული ტექნიკუმის, ყოფილი ტელეკომპანია „ფაზისის“, უშიშროების სამმართველოს შენობები, მიქიაშვილების სახლი აღმოჩნდებოდა სავალალო მდგომარეობაში, ისიც გვეცოდინებოდა, რომ სიტყვა „ფაზისი“ ფოთის სინამდვილეში პირველად მხოლოდ 1957 წელს გაჩნდა, როდესაც იგი ყოფილ ვოროშილოვის ქუჩას ეწოდა და ქალაქის „გაფაზისების“ ერთი შეხედვით უწყინარი პროცესი იქ იღებს სათავეს.

მომდევნო პერიოდში იყო ამავე სახელწოდების კატარღა ნავსადგურის ფლოტში, სასტუმრო და რესტორანი, მხატვრული კოლექტივი, ტელეკომპანია, იერარქიული საქალაქო „დღესასწაული“, სასტუმრო „აიეტი“, ლიმონათი „არგო“, სახალხო აკადემია. დღეს კი ეს პროცესი შორს წავიდა, სასურველია უფრო შორს არ წავიდეს. თუმცა ეს სხვა თემაა და სხვა დროისთვის გადავდეთ.

## **შეუწყობს თუ არა ხელს ტურიზმის განვითარებას ფოთის ფაზისად გადარქმევა?**

ფოთი იმ დღეს იქცევა ტურიზმის მექად, თუკი დაიჭერებენ, რომ აქაური კოლოებისაგან დაკბენილ ადამიანს კიბო არასოდეს არ შეეყრება. აი, მაშინ არც სასტუმროებს დაჭირდება სასწრაფოდ აშენება, არც ინფრასტრუქტურის განვითარება, არც ქალაქს სახელის შეცვლა. როგორც მწერალი იტყობდა „მთელი დუნია“ აქ მოიყრის თავს და ჩვენც რიგითი ფოთელები, ისევე როგორც „გულმხურვალე ფაზისელები“ გავმდიდრდებით და დიდხანს ბედნიერად ვიცხოვრებთ.

ირაკლი მონერელია  
24.07.2017



**„მოსაზრება (კონცეფცია) ქალაქ ფოთისთვის მისი  
ისტორიული სახელის – ფაზისის სახელდაზღის  
შესახებ“ და კომენტარი  
მასთან დაკავშირებით**

გემოხსენებული დოკუმენტი (შემოკლებით აქ და ქვემოთ „კონცეფცია“), განსახილველად და გადანყვეტილების მისაღებად გადაეგზავნა საქართველოს პრემიერ-მინისტრს. („კონცეფცია“ და თანმხლები დოკუმენტები 11 ფურცელზე თან ერთვის) „კონცეფციის“ ავტორები მიმოიხილავენ ანტიკური ფაზისის თაობაზე არსებულ ზოგიერთ ისტორიულ და მხატვრულ წყაროებს, უფრო გვიანდელი ხანისა და თანამედროვე მეცნიერული გამოკვლევების მასალებს. მოყავთ ისტორიული წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის ჩამონათვალი, რომელსაც თითქმის ორნახევარი გვერდი აქვს დათმობილი. მთლიანად „კონცეფცია“ შვიდნახევარ გვერდს მოიცავს.

ჩვენ „კონცეფციის“ შეფასებისაგან თავს შევიკავებთ, მაგრამ მისი მიმოხილვისა და ისტორიულ-ფაქტობრივ ცნობებზე დაყრდნობით შევეცდებით ჩვენი საზრისის ჩამოყალიბებას ქ. ფოთის სახელდებასთან დაკავშირებით.

პირველ რიგში ყურადღებას იპყრობს „კონცეფციის“ მეექვსე გვერდის ბოლო აბზაცი, სადაც სწერია: „ასევე, შემთხვევითობად არ უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ გასული საუკუნის მეორე ნახევარში სწორედ ფოთში (ფაზისში), სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უნმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით მსოფლიოში სახელგანთქმულმა ქართველმა მეცნიერებმა, აკადემიკოსებმა: ილია ვეკუამ, ალექსანდრე ბარამიძემ, ნიკოლოზ მუსხელიშვილმა, შალვა ნუცუბიძემ, აკაკი შანიძემ, ვიქტორ კუპრაძემ, ევგენი ხარაძემ, ანდრია აფაქიძემ, ცოტნე მირცხულავამ, ევგენი ფიფიამ, გიორგი ჯიბლაძემ და სხვებმა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გამსვლელ სესიებზე ფოთში, ქალაქის საზოგადოების მოთხოვნითა და მხარდაჭერით, ოფიციალურად აღადგინეს III-VIII საუკუნეების წარმატებით ფუნქციონირებადი ფაზისის (კოლხეთის) მეცნიერებათა აკადემიის საქმიანობა, რომელიც, საბედნიეროდ, დღესაც მოქმედებს და ბრუნავს თავისი სამოქმედო პროგრამით, წესდებითა და უფლება-მოვალეობებით“. (ციტატის დასასრული, სტილი დაცულია). გარდა იმისა, რომ ციტირებული ტექსტი სტილისტურად გაუმართავია, გადაცდომებსაც შეიცავს: გასული საუკუნის მეორე ნახევარში და დღესაც ქალაქი ფოთი ფოთად

ინოდება და ფრჩხილებში „ფაზისი“ მოსატანი არ არის, III-VIII საუკუნეებში ფუნქციონირებადი აკადემია – ფაზისის რიტორიკულ აკადემიად მოიხსენიება წყაროებში, „კოლხეთის“ გარეშე და არც „მეცნიერებათა აკადემია“ ერქვა. ისიც აღსანიშნავია, რომ აკადემიკოს ფიფიას სახელია ეგნატე და არა ევგენი. გასული საუკუნის მეორე ნახევარი საბჭოთა პერიოდსაც მოიცავს, როდესაც საქართველოში ფუნქციონირებად აკადემიას საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია ერქვა და არა „ეროვნული აკადემია“ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას ეროვნული 1991 წლის შემდგომ ეწოდა. ამ დროისათვის კი აკადემიკოსები: ვეკუა, მუსხელიშვილი, ნუსუბიძე, კუპრაძე, ფიფია, ჯიბლაძე გარდაცვლილნი იყვნენ. ილია მეორის აღსაყდრება 1977 წელს შედგა. ანუ საბჭოთა პერიოდში, რომელიც მხოლოდ 1991 წელს დასრულდა, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების დროს, კომუნისტური მმართველობის ვითარებაში გამსვლელი სესიების ჩატარებასთან, ანუ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ორანიზაციულ საქმიანობასთან ქართულ ეკლესიას არავითარი შეხება არ შეიძლება ჰქონოდა და არ ჰქონია.

მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, ან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამსვლელი სესიების ჩატარებას არ აფიქსირებს „კონცეფციის“ ავტორი გ. კუხალეიშვილიც მის ნაშრომში „მომავლის წარსული“, რომელიც 2014 წელს გამოიცა, სადაც ვრცლად არის წარმოდგენილი ქალაქ ფოთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების დოკუმენტურად დასაბუთებული მასალები, მათ შორის ბევრად ნაკლებმნიშვნელოვანიც. ამ სესიების ჩატარებას არ ადასტურებენ ფოთის მმართველობით სტრუქტურებში სხვადასხვა დროს მომუშავე ადამიანებიც.

გამოხატვის ტლანქ ფორმად გვესახება მსჯელობა „იმის თაობაზე, რომ გამსვლელი სესიები თითქოს იმართებოდა „ქალაქის საზოგადოების მოთხოვნითა და მხარდაჭერით“. წარმოდგენელია, რომ მეცნიერებათა აკადემიას ზეწოლის გავლენით ემოქმედა და რაიმე გადაწყვეტილება მიეღო.

ამავე დროს სრულიად გაუგებარია, როგორ აღადგენდა მეცნიერებათა აკადემია ანტიკურ ხანაში მოქმედ ფაზისის აკადემიას? რა ფორმატით? „კონცეფციაში“ ეს ახსნილი არ არის. ხსენებული სესიების ჩატარების რაიმე დამადასტურებელი დოკუმენტი „კონცეფციაში“ არ ფიგურირებს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ მეცნიერებათა აკადემიის არავითარ გამსვლელ სესიებს ფოთში ადგილი არ ჰქონია. ამავდროულად გაკვირვებას იწვევს ის გარემოება, რომ „კონცეფციის“ ავტორები, რომლებიც ასე გულმოდგინედ იღებენ თავს ანტიკური ხანის მკვლევართა ფუნქციას, რატომ აუარეს გვერდი ფაზი-

სის საერო-სამეცნიერო აკადემიის რეალურ წარმომავლობას, რომელიც გაცილებით ახლოს, სულ რაღაც 46 წლის წინ იღებს სათავეს და ამის ნაცვლად მითი შემოგვთავაზებს დაფუძნებაში. მეცნიერებათა აკადემიის მონაწილეობის შესახებ. რას ემსახურება სინამდვილეს აცდენილი ამ ინფორმაციის ტირაჟირება? (იხ. ცოტნიედილი, ტომი X (ნაწილი III, გვ. 204).

შეხსენებისათვის, 1971 წელს ქ. ფოთში მართლაც შეიქმნა ფაზისის სახალხო აკადემია „იყალთოს სახალხო აკადემიის“ ანალოგიურად. შეიქმნა იგი ფოთის პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროს დადგენილებით, მისი ხელმძღვანელობა (რექტორობა) კი ითავა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა გიორგი ჩიტაიამ, სპეციალობით ეთნოლოგმა, ფოთის მკვიდრმა. აკადემიის სწავლულ მდივნად კი პარტიის ქალაქკომის ერთ-ერთი პასუხისმგებელი მუშაკი დამტკიცდა პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებიდან. მსმენელებად დარეგისტრირდნენ წარმოება-დანესებულებათა ხელმძღვანელები, პედაგოგები, სხვადასხვა სპეციალობის ადამიანები, სულ 80-მდე ადამიანი, ანუ იმდენი, რამდენსაც იტევდა მეცადინეობისათვის გამოყოფილი დარბაზი. აკადემიის საქმიანობას წარმართავდა სამეცნიერო-პოპულარული ცოდნის გამავრცელებელი ორგანიზაცია, საზოგადოება „ცოდნა“, რომლის მივლინებით თვეში ერთჯერ ფოთში ჩამოდოდნენ ლექტორ-მომხსენებლები: სხვადასხვა სპეციალობის მეცნიერები, საზოგადო მოღვაწეები, ლიტერატურის, კულტურისა და განათლების სფეროს წარმომადგენლები, მსმენელთა გამოცხადების ორგანიზაციას, ლექტორთა დახვედრა-დაბინავებას უზრუნველყოფდა კომუნისტური პარტიის საქალაქო კომიტეტი. აკადემია საზოგადოებრივ საწყისებზე ფუნქციონირებდა.

1976 წელს გიორგი ჩიტაიას გადადგომის შემდეგ ფაზისის სახალხო აკადემიის რექტორად პროფესორი ილია ტაბაღუა დამტკიცდა, აკადემიამ კი ბინა სამხატვრო საგამოფენო დარბაზში დაიღო, რომელიც ქალაქის პარკში არსებულ შენობაში იყო განთავსებული.

კომუნისტური მმართველობის შეცვლისთანავე ფაზისის აკადემიამ ფუნქციონირება შეწყვიტა.

1996 წელს ქ. ფოთის მერის ნ. ნადარაიას ინიციატივით „ფაზისის სახალხო აკადემიის“ აღდგენა მოხდა. ილია ტაბაღუა ასაკის გამო გადადგა. შემუშავდა აკადემიის ახალი წესდება და სტრუქტურა. მის პრეზიდენტად ცოტნე მირცხულავა აირჩიეს, სწავლულ მდივნად კი მერიის კანცელარიის უფროსი თენგიზ ქოიავა.

იმავე წელს იუსტიციის სამინისტრომ რეგისტრაციაში გაატარა „ფაზისის სახალხო აკადემია“, რომლის პრეზიდენტი ისტორიკოსი ქალბატონი ჩაფიძე იყო.

2010 წლიდან, ცოტნე მირცხულავას გარდაცვალების შემდეგ „ფაზისის სახალხო აკადემიის“ პრეზიდენტად არჩეულია ნუგზარ ნადარაია.

ამჟამად აკადემია „ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიად“ იწოდება. მე-7 გვერდზე ვკითხულობთ: „კოლხეთისა და კერძოდ, ფაზის-ქალაქის ისტორიული წარსულის ფაქტებით დადგენილი ჭეშმარიტების ძიება-დადგენასა და დაცვას მიეძღვნა ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის 13 ნომბერს ჩატარებული სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც ფაზისობის დღესასწაულს მიეძღვნა“. (ციტატის დასასრული).

თუ ისტორიული წარსულის ფაქტებით ჭეშმარიტება დადგენილია, დამატებითი, „ძიება-დადგენა და დაცვა“, რატომ გახდა საჭირო? და მაინც, თუ საჭიროდ ჩაითვალა „ფაზისობის დღესასწაულს“ რატომ მიეძღვნა? რა მნიშვნელობა აქვს დღესასწაულისადმი მიძღვნას?

სხვა წყაროებით (იხ. „ცოტნეიდელი“ ტ. X. ნან. III, გვ. 177), ხსენებული სამეცნიერო კონფერენცია ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტის ნ. ნადარაიას 70 წლის იუბილეს მიეძღვნა. საიდანაც ირკვევა, რომ ხსენებულ სამეცნიერო-თეორიულ კონფერენციაში მონაწილეობდნენ ამ აკადემიის პრეზიდენტის წევრები, აკადემიკოსები: ირაკლი კაკულია – ე. ფოთის მერი და ალექსანდრე თოფურია – ფოთის საკრებულოს თავმჯდომარე. (იხ. „ცოტნეიდელი“, ტ. X, ნან. III, გვ. 178-179), რომლებიც „კონცეფციაში“ მოყვანილ კონფერენციის მონაწილეთა ჩამონათვალში მოხსენიებულნი არ არიან, მაშინ, როდესაც მოხსენიებულია სილოვან გვასალია – აკადემიის რიგითი წევრი.

ეს ორი ურთიერთწინააღმდეგობრივი ცნობა გარდა იმისა, რომ საშუალებას არ გვაძლევს წარმოდგენა ვიქონიოთ ჩატარებული კონფერენციის რეალურ ფორმატზე, შეუძლებელს ხდის იმის გარკვევას, თუ რამდენად აქტუალურია კონფერენციაზე განხილული თემა და მასში შემავალი საკითხები, რამ განაპირობა მისი წამოწევა და რაც არსებითია, რამდენად ფასეულია მისი შედეგები მეცნიერული თვალსაზრისით, ჩვენ მიერ კომენტირებული „კონცეფციის“ ეს ნაწილი უფრო კერძო ხასიათის ინფორმაციას წარმოადგენს, ამასთან არასრულს, და საკუთრივ „კონცეფციას“ დამატებლობას არ მატებს, უფრო პირიქით.

იმავე, გვერდზე, ბოლო აბზაცში სწერია, რომ (ციტატის დასაწყისი) „სახელწოდება ფაზისი, რომელიც თავის თავში აერთიანებს მნიშვნელოვან, სავაჭრო-ეკონომიკურ და საგანმანათლებლო ფუნქციებს, ასევე, მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ჩვენი ქვეყნის სულიერი და კულტურული განვითარების პროცესში“. (ციტატის დასასრული).

დაბეჭდვით შეიძლება ითქვას, რომ იგივე ფუნქციებს, იმავე მნიშვნელოვან როლს ამჟამინდელი ქალაქი – ფოთად წოდებული, ასევე, ასრულებს. ფოთისათვის სახელის შეცვლის არგუმენტად არ შეიძლება

მივიჩნით ქალაქის ცენტრში აგებული ტაძრისა და ცენტრალური ქუჩების არსებობა (გვ. 8). გაუგებარია „კონცეფციის“ ავტორების მსჯელობა ქალაქის განსაკუთრებულ მისიაზე, რა აქვთ მხედველობაში, განმარტებული არ არის, ხოლო რაც შეეხება ტაძარს, ქუჩებს და საერთოდ ქ. ფოთის გეგმარებას და სივრცითი მოწყობის საწყის, ამავდროულად მნიშვნელოვან ეტაპებს მთლიანად უკავშირდება ფოთის ქალაქის თავის თანამდებობაზე ნიკო ნიკოლაძის მოღვაწეობას და რაიმე მისიასთან ეს არ მოიაზრება.

ვერ გავიზიარებთ „კონცეფციის“ ავტორების მოსაზრებას, რომ „ქალაქისთვის მისი ისტორიული სახელის აღდგენა არის ჩვენი თანაქალაქელების არაერთი თაობის ოცნების ახდენა და საწინდარი ქვეყნის აღმშენებლობისა, წინსვლისა და საქართველოს გაბრწყინებისა“ (ციტატის დასასრული გვ. 8.). ჯერ ერთი, არაფრით არ არის დადასტურებული, რომ ეს არაერთი თაობის ოცნებაა, ასევე, ძნელი გასააზრებელია, როგორ შეიძლება ფოთის ფაზისად გადარქმევა იქცეს „ქვეყნის აღმშენებლობის, წინსვლისა და საქართველოს გაბრწყინების საწინდრად“. ეს უფრო ემოციური განცხადებაა და არა არგუმენტი.

„კონცეფცია“ შეიცავს გაუმართავ და ამდენად, გაუგებარ წინადადებებს: მაგ. „ქ. ფაზისის პრობლემასთან დაკავშირებით, არსებული მნიშვნელობა აქვს ამ ქალაქის სანავსადგურე ფუნქციის განსაზღვრის საკითხს. ქ. ფაზისის ასოცირდება, როგორც ნავმისადგომი – ზღვის ნაპირთან განლაგებული დასახლებული პუნქტი“ (ციტატის დასასრული გვ. 5).

„3000 წლის განმავლობაში არქეოლოგიური მასალები წარმოდგენილია ფრაგმენტულად, პალიასტომის ტბა (ნახატები) აეროდრომის ტერიტორია (ნაჭიხე)“ (ციტატის დასასრული გვ. 5).

ურთიერთწინააღმდეგობრივი და გაუმართავია ამავე, გვერდის მეექვსე აბზაცის საწყისი და ბოლო წინადადებები და გაუგებარია, რისთვის არის აქ მოტანილი, ისევე, როგორც ტიმ სევერინის მოგზაურობის ფაქტი (იხ. გვ. 6).

გადაჭარბებულად არის შეფასებული „ფაზისობის“ როლი, რომლის ჩატარება მთლიანად მოქმედი მერის ნება-სურვილზეა დამოკიდებული და მის ფორმატსაც იგი თავად განსაზღვრავს. „კონცეფციის“ ტექსტში გვხვდება თემას აცდენილი, ან არაჯეროვნად ფორმულირებული აზრები, მაგალითად, „ათასწლეულებს ითვლის ლეგენდა ფაზის-ქალაქის შესახებ“. (გვ. 1). „დედა მდინარეც“ (იქვე), „ფოთი-ფაზისის ადგილმდებარეობა ზუსტად ემთხვევა დღევანდელი ფოთის ადგილმდებარეობას“. (იქვე).

„ისტორიული ფაქტებით დადგენილი ჭეშმარიტების ძიება-დადგენა“. (გვ. 6). „წარსულის ფაქტებით დადგენილი ჭეშმარიტების ძიება-დადგენასა“... (გვ. 7). „ფოთი კვლავ იქცა მნიშვნელოვან სატრანსპორტო ნავ-



სადგურად“. (გვ. 6) უნდა იყოს „სატრანსპორტო კვანძად“. არასწორია მ. ბერძენიშვილი (გვ. 3) უნდა იყოს მ. ბერძენიშვილი.

ამრიგად, „კონცეფცია“ აგებულია ზოგად ინფორმაციულ მასალაზე, უფრო ემოციურია, ვიდრე არგუმენტირებული, არ არის სრულყოფილი: მთლიანად გამოტოვებულია ქალაქ ფოთის წარმოშობისა და თანამედროვე ქალაქად განვითარების პერიოდი, რაც „კონცეფციის“ ავტორების საკითხისადმი დაინტერესებულ და არა ობიექტურ მიდგომაზე მიანიშნებს. ამიტომ ზემომოყვანილ კომენტარებთან ერთად, დასმულ საკითხთან დაკავშირებით გთავაზობთ სხვა მოსაზრებას, კერძოდ:

ბერძენ-რომაელთა ავტორების ცნობათა შესწავლით, ნუმიზმატიკური და არქეოლოგიური მასალის გამოყენებით აღდგენილია ქალაქ ფაზისის ისტორია დაარსებიდან ბიზანტიური ხანის დასასრულამდე და მოცემულია ქართველი მკვლევარ-ისტორიკოსის მაქსიმე ბერძენიშვილის ნაშრომში „ქალაქ ფაზისის ისტორიისათვის“. ავტორი აღნიშნავს:

„ჩვენი მთავარი ამოცანა შესრულებულად არ ჩაითვლებოდა, თუ ჩვენი ქალაქის ისტორიის მიმოხილვას შევწყვეტდით შუა გზაზე და ფორმალური ნიშნის მიხედვით შემოვიფარგლებოდით ანტიკური დროით, თუმცა ფაზისი, როგორც ბერძნული ქალაქი, განაგრძობდა თავის არსებობას მომდევნო, ბიზანტიურ, ხანაშიც. ამიტომ მიზანშეწონილად დავინახეთ ფაზისის ისტორია მოგვეყვანა იმ მომენტამდე, როდესაც ის აღარ გვევლინება, როგორც ბერძნულ-ბიზანტიური ძალის საყრდენი ბაზისი კოლხეთში და, პირუკუ, შედის ქართული სახელმწიფოებრიობის საზღვრებში, როგორც მისი ორგანული ნაწილი. ამისდა მიუხედავად შრომაში გამოვიყენეთ ბიზანტიური დროის ცნობებიც“. (ციტატის დასასრული. მაქსიმე ბერძენიშვილი „ქალაქ ფაზისის ისტორიისათვის“, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 1969, გვ. 3).

ამავე მკვლევარის მიხედვით (იგივე, გვ. 121, §1, გვ. 123 §3) ფაზისი დაარსებულია V, არაუგვიანეს VI საუკუნის პირველ ნახევარში.

შემდგომში იგი განიხილავს ქალაქ ფაზისის თაობაზე არსებულ ისტორიულ ცნობებს და მოყავს ბერძნული წყარო, სადაც სწერია, რომ „786 წლის შემდეგ ფაზისი მოექცა აფხაზებისა, მერე კი ქართველებისა და მეგრელების ხელში. ამ დროიდან მოკიდებული მეგრელთა ბატონობა განუსაზღვრელი იყო, ხოლო 1725 წელს თურქები საბოლოოდ დაეუფლნენ ამ ქალაქს და იგი მათ ხელში ჰქონდათ 1828 წლამდე, როცა ის მოექცა რუსი გენერლის გესსეს ხელთ და ადრიანოპოლის ხელშეკრულებით რუსეთის ხელში გადავიდა“. (ციტატის დასასრული. იგივე, გვ. 188).

იქვე აღნიშნულია, რომ ფოთი პირველად იხსენიება XI საუკუნეში ძეგლში „გიორგი მთაწმინდელის ცხორება და მოქალაქეობაში“ თუმცა სხვა წყაროებით ტოპონიმი ფოთი უფრო ადრე, VIII საუკუნეშიც გვხვდება.

ინტერესმოკლებული არ იქნებოდა შევხებოდი საკუთრივ ქ. ფაზისის, შემდგომ კი ფოთის ლოკალიზაციის საკითხს.

ეს იმდენადაც არის საინტერესო, რომ დღემდე არ არის ცნობილი ქ. ფაზისის ადგილმდებარეობის რამდენადმე ზუსტი საზღვრები, თუმცა სხვადასხვა მკვლევარები მიიჩნევენ, რომ იგი უნდა მდებარეობდეს დღევანდელი ქალაქ ფოთიდან აღმოსავლეთით, რამეთუ იქ, სადაც დღეს ქალაქი ფოთია ანტიკურ ხანაში ხმელეთი არ არსებობდა და საფიქრებელია, რომ ეს ტერიტორია ზღვის უბეს წარმოადგენდა, რაც დასტურდება ჰიდროგეოლოგ ყავრიშვილის გამოკვლევებით, რომლის თანახმად მდინარე რიონს ყოველწლიურად ზღვაში 10 მილიონი კუბური მეტრი მყარი ნატანი შეჰქონდა და წლიურად ზღვის სანაპირო ზოლის ხმელეთის მატება ამ უბანზე ექვს მეტრს შეადგენდა. (ა.ბ. მონწერელია „კოლხეთის დაბლობის მელიორაცია და სასოფლო-სამეურნეო ათვისება“. რუსულ ენაზე მოსკოვი, 1974 წ. გვ. 8).

თურქების მიერ XVI საუკუნეში აშენებული ფოთის ციხე-სიმაგრე უკვე XX საუკუნეში ზღვის სანაპიროდან 2,5 კმ-ის დაშორებით აღმოჩნდა. ამ ციხე-სიმაგრის შემადგენელი კოშკი დღესაც არის შემორჩენილი თანამედროვე ფოთის ცენტრში (იგივე, გვ. 12).

მაშასადამე ფოთი, როგორც დასახლებული პუნქტი წარმოიქმნა და განვითარდა ქ. ფაზისის ადგილმდებარეობიდან დასავლეთით და საკმაოდ დაშორებით, იმდენად, რომ იგი ფაზისის ადგილმონაცვლედ არ მიიჩნეოდა.

სათქმელია ისიც, რომ ფოთს ფაზისთან არ აიგივებდნენ წინაპრებიც. მისი სახელის შეცვლის საკითხი არ დაუყენებიათ არც ქართველ მეცნიერებს, არც საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეებს.

ნიკო ნიკოლაძის დავალებით 1901 წელს შედგენილ ქალაქის განაშენიანების გეგმას, ასევე, ჰქვია „საპორტო ქალაქ ფოთის გეგმა“, რომელიც უმნიშვნელო კორექტირებით დღესაც აქტუალურია და ყოველი ახალი გენერალური გეგმის საფუძვლად რჩება.

ფოთისათვის სახელის შეცვლის საკითხი არც ბოლშევიკური მმართველობის პერიოდში დამდგარა, მაშინაც კი, როდესაც საქართველოში დასახლებული პუნქტების სახელების შეცვლამ მასობრივი ხასიათი მიიღო.

საკმარისია გავიხსენოთ რაიონული ცენტრები: ცხაკაია, გეგეჭკორი, მახარაძე, ორჯონიკიძე, მაიაკოვსკი, წულუკიძე, სტალინირი, ლენინგორი.

აღსანიშნავია, რომ ანტიკურ და უფრო გვიანდელ ხანაში ფაზისის გარდა საქართველოს ტერიტორიაზე არსებობდნენ დიოსკურია, პიტუნტი, არქეოპოლისი, კუტაია, მაგრამ არასოდეს არ დამდგარა საკითხი, რომ სახელი ჩანაცვლებოდა სოხუმს - დიოსკურია, ბიჭვინთას - პიტუნტი, სენაკს - არქეოპოლისი, ქუთაისს - კუტაია, აია, ან ქუთათისი.

ტოპონიმი ფოთი VIII საუკუნეში, ანუ 1300 წლის წინ გაჩნდა, (სხვა წყაროებით XI საუკუნეში, ანუ 1000 წლის წინ) და როგორც წარმოშობით ქართული, დამკვიდრდა კიდეც. მისი შეცვლის მცდელობას არც თურქების ბატონობის, არც შემდგომ, საქართველოს რუსეთის შემადგენლობაში შესვლის შემდეგ ჰქონია ადგილი. მეტიც, 1858 წლის 18 ნოემბერს სახელმწიფო აქტით ფოთი საპორტო ქალაქად გამოცხადდა. ნავსადგურის მშენებლობის გაშლამ, შემდგომ კი ამოქმედებამ საკუთრივ ფოთის ინფრასტრუქტურის შექმნა და თანამედროვე ქალაქად განვითარება განაპირობა.

ფოთის ნავსადგური ერთ-ერთი მსხვილი ნავსადგურია შავი ზღვის აუზში და არა მარტო საქართველოს, არამედ სამხრეთ კავკასიის კარიბჭეს, ევროპა-აზიის დამაკავშირებელ მნიშვნელოვან სატრანსპორტო კვანძს წარმოადგენს, რომელიც თავისი სახელდებით არა მარტო საქართველოს ორგანულ ნაწილად არის დამკვიდრებული, არამედ ასევე, ფართოდ არის ცნობილი მსოფლიოშიც.

არავითარი საფუძველი არ გვესახება საიმისოდ, რომ ფოთს სახელი შეეცვალოს, მით უმეტეს, ამისი არც პოლიტიკური და არც ეკონომიკური, ან რაიმე ეროვნული მოტივაცია არ მოიაზრება.

აქვე, ვერ საბუთდება, რომ დასახელება „ფაზისი“ რამენაირად უკავშირდება ქართულ ენას, არამედ ყველა ისტორიული და ლიტერატურული წყაროებით იგი ძველბერძნული ენისა და რომაელების გავლენით არის ნაწარმოები (მაქსიმე ბერძნიშვილი „ქ. ფაზისის ისტორიისათვის“, გამომც. „მეცნიერება“, თბ., 1969, გვ. 87).

ირაკლი მონერელია

## ქართული ფეხბურთის რაინდი

ქართული ფეხბურთი ყოველთვის იყო წარმოდგენილი მაღალი კლასის დაცვითი ხაზის ფეხბურთელებით.

გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან მოყოლებული არაერთი მათგანი შემორჩა ჩვენს მეხსიერებას. უწინარესად თავიანთი მაღალი ინდივიდუალური საშემსრულებლო ოსტატობით, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფეხბურთის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე გუნდის დაცვას მათ ენიჭებოდა ის როლი საბოლოო შედეგების გამო, როგორც დაკისრებული ჰქონდა წინა ხაზის ფეხბურთელებს. სტატისტიკაც ამას მეტყველებს: გატანილი გოლებიც ბევრი იყო და გაშვებულებიც. თბილისის „დინამოშიც“ იგივე სურათი გვქონდა.

თანამედროვე ფეხბურთი 70-იანი წლებიდან იწყებს დამკვიდრებას და სწორედ ამ პერიოდში გამოჩნდა თბილისის „დინამოში“ ალექსანდრე ჩივაძე და სხვადასხვა ამპლუაში „სინჯების“ შემდეგ ცენტრალური მცველის ადგილი დაიკავა. იგი გამოირჩეოდა რაინდული თვისებებით: შრომისმოყვარეობით, მიზანდასახულობით, შეუპოვრობით და კორექტულობით, რომელიც ორგანულად ერწყმოდა მის მიერ მოედნის ხედვას. მისი სახით „დინამოს“ ჰყავდა არამარტო უმაღლესი კლასის შემსრულებელი, არამედ მთლიანად დაცვითი ხაზის ორგანიზატორი და თანაგუნდელთა მოქმედების კოორდინატორი. ამის დასტურად საკმარისია გავიხსენოთ სსრ კავშირის ნაკრების მატჩი ბელგიის ნაკრებთან მსოფლიო ჩემპიონატზე ესპანეთში, რომელიც ალექსანდრე ჩივაძის გუნდმა 2:1 მოიგო. ამ მატჩს ალექსანდრე ჩივაძის ქრესტომატიას ვუნოდებდი.

იყო სხვა მრავალი დაუვინყარი თამაშები მისი მონაწილეობით და „დინამოს“ უდიდესი შედეგებით: სსრკ ჩემპიონობა 79-ში, სსრკ თასისა 80-ში და ევროპის თასების მფლობელთა თასის მოგება 81-ში.

ფაქტია და სავსებით კანონზომიერი, რომ ჩივაძე სსრკ ნაკრებისა და თბილისის „დინამოს“ უცვლელი კაპიტანი იყო. მის საფეხბურთო კარიერას ხანგრძლივს ვერ ვუნოდებ. მაგრამ მან მაინც ბევრი მოასწრო. იგი ფეხბურთის გრანდი და თანამედროვე ფეხბურთის თვალსაჩინო მესაძირკვლეა საქართველოში.

ირაკლი მონწერელია  
05.01.15

## **„რეზონანსს“ და „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებული სტატიების თაობაზე**

გაზეთ „რეზონანსის“ 1997 წლის 5 აგვისტოს ნომერში დაიბეჭდა საკმაოდ დიდი სტატია სათაურით: „საქართველოში მოსალოდნელია წარღვნა შავი ზღვიდან და პალიასტომის ტბიდან“, ე.ი. თითქმის ერთდროულად შავი ზღვიდან და პალიასტომის ტბიდან, ეს მუქარა მხოლოდ გაზეთ „რეზონანსის“ ფურცლებზე არსებობს. ცხადია, ეს მუქარა მკითხველმა მუქარად კი მიიღო, მაინც უკმაყოფილოდ დარჩა, რამეთუ მისთვის აუხსნელია ბევრი მომენტი, რაც უხვადაა სტატიაში. მართლაც, რა საჭირო იყო „წარღვნით“ ტორფისა და საპროპელის დამზადება. სინამდვილეში რა კავშირი იყო ერთმანეთთან ორგანული ანარჩენებისა და მოსახლეობის წარღვნით შეშინებას შორის? ეს იმ დროს, როცა ვითარება მნიშვნელოვნად არც არის საშიში. არც ზღვის ნაპირების დარღვევა და არც ეკოლოგიური კატასტროფა არ არის მოსალოდნელი. პალიასტომის ტბის ქვაბულის ნაპირების ჩაქცევის გამო ჩვენთვის ცნობილმა ჰიდროგეოლოგმა სიმონ ელერდამვილმა არა ერთი მნიშვნელოვანი გამოკვლევა ჩაატარა პალიასტომის ტბაში საპროპელის დაგროვებაზე და საბადოს ექსპლოატაციაზე. უკვე დიდი ხანია, რაც პალიასტომის ტბაში დაგროვდა დიდი რაოდენობით ზემოთაღნიშნული ანარჩენი, მალე ტბის ღრმული გაივსება და საჭიროა შევუდგეთ საბადოს სისტემურ დამუშავებას და ორგანული სასუქის დამზადებას, ასევე დავინყოთ ტორფის ჰუმატური სასუქების დამზადება.

შექმნილი ვითარების ანალიზმა იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ არ არსებობს არავითარი მტკიცება მოსალოდნელი წარღვნის შესახებ, არსებითად არც გამომწვევი მოტივები ვიცით მტკიცედ, რომ დავამყაროთ მიზეზობრივ-შედეგობრივი კავშირები და სწორი წარმოდგენა ვიქონიოთ მასზე.

კოლხეთში ბევრი ტორფი გვაქვს, საპროპელიც ბევრია, ასევე ბევრია გაუფორმებელი ორგანული ნარჩენები, რომლისთვისაც ვერ მოგვივლია, ორგანული სასუქები ვერ დაგვიმზადებია, რაზედაც დიდი მოთხოვნილებაა მიწათმოქმედებაში. ტორფნარებში ტორფის ფენის სისქე 6-დან 12 მეტრამდე მერყეობს. საჭიროა მისი ათვისება.

გაუგებარია, საიდან მოდის წარღვნის იდეა, რატომ გაჩნდნენ ორგანული ანარჩენები და წარღვნების შავი ზღვიდან გაჩენის მაგალითები.

ირაკლი მონერელია



## „საქართველოს რესპუბლიკა“

„საქართველოს რესპუბლიკის“ 2001 წლის 7 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნდა სტატია „რიონმა თუ აიწყვიტა, სანანებელი გაგვიხდება“. აღსანიშნავია, რომ საკითხი უაღრესად აქტუალურია, მელიორაციის და წყალთა მეურნეობის დეპარტამენტის თავმჯდომარის თენგიზ ჩიკვაიძის შეფასებები ზედმინევნით ზუსტად ასახავს წყალგამყოფი კვანძის ტექნიკურ მდგომარეობას, მის მნიშვნელობას არა მარტო ფოთისათვის, არამედ მთლიანად საქართველოსათვის.

ჩვენც, უწინარეს ყოვლისა, ხაზი უნდა გავუსვათ ამ უნიკალური ჰიდროტექნიკური ნაგებობების მრავალფუნქციურ დანიშნულებას. თუმცა, ამ შემთხვევაშიც პირველ რიგში შევჩერდებით მის როლზე ქალაქ ფოთისადმი მიმართებაში.

გასული საუკუნის ორმოციანი წლების ბოლოს ნათელი გახდა, რომ დიდი რიონის კალაპოტის გადაგდება (გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში) ფოთიდან ჩრდილოეთით, მართალია, ქალაქს ააცილა ამ მდინარის წყალდიდობის დამანგრეველი მოქმედება, მაგრამ ამავე დროს დაარღვია ეკოლოგიური წონასწორობა ქალაქის ფარგლებში მდინარე რიონის ზღვასთან შეერთების უბანზე, რასაც შედეგად მოყვა ზღვის წარეცხვითი მოქმედების გაძლიერება და ქ. ფოთის მჭიდროდ დასახლებული კუნძულის უბნის ვრცელი ტერიტორიის წარეცხვა, რამაც საშიშროება შეუქმნა ფოთის შუქურასა და მოსახლეობას.

წყალმარეგულირებელი ნაგებობის აშენება მიზნად ისახავდა ქალაქ ფოთში გამავალი ნარიონალის გაცოცხლებას და მისი მეშვეობით მყარი ნატანის ხარჯის გაზრდით სანაპირო ზოლის სტაბილიზაციის მიღწევას ქალაქის ფარგლებში ნავსადგურის სამხრეთი მოლიდან შუქურამდე, ანუ იმ სიტუაციის აღდგენას (ნაწილობრვ მაინც), რომელიც აქ იყო რიონის კალაპოტის შეცვლამდე.

მიუხედავად იმისა, რომ სამწუხაროდ ვერ მოხერხდა პროექტის სრულად რეალიზაცია, წყლის ის ხარჯებიც, რომელსაც დღეს აწვდის რიონის არხი სანაპირო ზოლს, უთუოდ ასრულებს მასტაბილიზებელ როლს და ამდენად მარეგულირებელ ნაგებობას გადამწყვეტი როლი ენიჭება.

ამდენად, წყალმარეგულირებელი ნაგებობა და მდინარე რიონის არხი, რომელიც ქალაქ ფოთში მოედინება და ამავე დროს ასრულებს სანიაღვრე წყლების აკუმულირებისა და წყალსადინარის ფუნქციასაც, წარმოადგენს როგორც მთლიანად ქალაქის, ასევე სანაპირო ზოლის მდგრადობის შენარჩუნების გადამწყვეტ ფაქტორს.

ამით იყო ნაკარნახევი ჩვენი გადაწყვეტილება, რომ სანაპირო ზოლის ზღვის წარეცხვითი მოქმედებისაგან დაცვის ღონისძიებების შერჩევისას ქალაქის ხელმძღვანელობამ პრიორიტეტულად ჩათვალა ქალაქში გამავალი არხის საპროექტო ჭრილში მოყვანისა და წყალმარეგულირებელი ნაგებობის კაპიტალურად შეკეთება, როგორც ერთიანი სამელიორაციო ღონისძიება.

როდესაც წყალმარეგულირებელი ნაგებობის მრავალფუნქციურ დანიშნულებაზე ვლაპარაკობთ, უნინარეს ყოვლისა ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ იგი საავტომობილო ხიდის ფუნქციასაც ასრულებს და ამ მხრივ უმთავრეს რგოლს წარმოადგენს იმ უმნიშვნელოვანეს საავტომობილო მაგისტრალზე, რომელიც აკავშირებს ქ. ფოთს, ფოთის ნავსადგურს მთლიანად სამხრეთ კავკასიასთან და დღევანდელი რეალიების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ მას „ტრასეკას“ ფუნქციონირებაში უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ნაგებობა უდიდეს დატვირთვებს განიცდის უკანასკნელი 7-8 წლის მანძილზე საავტომობილო გადაზიდვების ინტენსივობის გამო და ამის კვალობაზე, თუ რამდენად გაიზრდება მძიმე წონის (20-40 ტონა) ტვირთნაკადები, ეს დატვირთვები კიდევ უფრო გაიზრდება და, რა თქმა უნდა, მათგან გამომდინარე ნაგებობებისათვის უარყოფითი ზემოქმედებით.

წყალმარეგულირებელი ნაგებობა არ შეიძლება განვიხილოთ როგორც ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული ობიექტი. წყალგამყოფი კვანძი რთული ჰიდროტექნიკური სისტემაა და ისევე, როგორც ნებისმიერ სისტემას, მასაც სჭირდება მოვლა-პატრონობა. უკანასკნელად წყალმარეგულირებელი ნაგებობის წყალქვეშა ნაწილს სარემონტო სამუშაოები გასული საუკუნის 80-იან წლებში ჩაუტარდა.

განვლილი პერიოდის მანძილზე მასზე სისტემატურად წარმოებდა დაკვირვებები მეცნიერ-ჰიდროტექნიკოსებისა და სპეციალისტების მხრიდან, რომლებმაც საგანგაშო სიგნალები ჯერ კიდევ 1993-94 წლებში მოგვანოდეს. დღეს კი უკვე დაყოვნება შეიძლება ძალიან ძვირი დაგვიჯდეს.

სამწუხაროდ, მიუხედავად დიდი მცდელობისა, პრობლემის გადაწყვეტა ვერ მოხერხდა. ალბათ, დადგა დრო საკითხი განსახილველად დაისვას უფრო მაღალ სახელისუფლებო დონეზე.

გადაჭარბებულად ნათქვამი არც ის იქნება, რომ წყალმარეგულირებელი ნაგებობა ქართველ ჰიდროტექნიკოსთა საინჟინრო ამროვნების შედეგს წარმოადგენს და მას გადარჩენა სჭირდება.

ირაკლი მოწერელია

ბატონო ზურაბ,

მოგეხსენებათ, რომ პოსტსაბჭოური პერიოდი ქალაქისათვის ხასიათდებოდა იგივე პროცესებით. რომელიც დამახასიათებელი იყო მთლიანად ჩვენი ქვეყნისათვის. ერთი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფორმაციისა და მისთვის დამახასიათებელი ეკონომიკური სივრცის შეცვლამ სხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფორმაციით წარუშლელი, მძიმე კვალი დატოვა ქალაქის ცხოვრებაში.

1995 წლამდე ჩვენი ძალისხმევა მიმართული იყო იქითკენ, რომ შეგვენელებინა ეროვნული მეურნეობის ნგრევის, ფასეულობათა განიავებისა და დატაცების პროცესები, რამაც საშუალება მოგვცა შეგვენარჩუნებინა ყველა სამრეწველო საწარმოთა ძირითადი ტექნოლოგიური საბეჭები.

ამან თავის მხრივ განაპირობა ის გარემოება, რომ 1995-1996 წლებში აღინიშნებოდა სამრეწველო პროდუქციის მოცულობის ზრდა როგორც მძიმე, მსუბუქი, ასევე გადამამუშავებელი საწარმოების ხაზით 10-12% ფარგლებში.

ამავე პერიოდში სახელმწიფო პოლიტიკის შესაბამისად დაიწყო პრივატიზაციის პროცესი, რომელიც კანონიერ საფუძველზე წარიმართა გამწვავებების გარეშე. გამონაკლისს წარმოადგენს გემთსაშენი, რომლის მიმართ არ იქნა გაზიარებული მერიის წინადადება მისი სამხედრო უწყებისადმი დაქვემდებარების შესახებ, მოხდა მისი პრივატიზება, რომლის მართლზომიერება შემდგომში ეჭვის ქვეშ დადგა და საბოლოო შეფასება დღესაც არ არის მიცემული. ქართული ფლოტი კი ფაქტობრივად სარემონტო ბაზის გარეშე დარჩა.

ევრაზიის დერეფნის ფორმირების პროცესებმა, ნავსადგურის ტვირთბრუნვაში სტრუქტურულმა ცვლილებებმა ახალი რეალიების წინაშე დაგვაყენა, რომლებმაც მოითხოვა სამრეწველო წარმოების სფეროების გარდაქმნა და მომსახურების თვისობრივად ახალი დარგის შექმნა და განვითარება. საკონტეინერო გადაზიდვებმა ბიძგი მისცა სრულიად ახალი ტიპის სამეურნეო ორგანიზაციების ჩამოყალიბებას. სულ უკანასკნელი 5 წლის მანძილზე ტვირთმფლობელთა მომსახურების მიზნით 47 სააგენტო და საექსპედიტორო ორგანიზაცია შეიქმნა, რომლებშიც 450-ზე მეტი ადამიანია დასაქმებული.

აქციონირებული საწარმოებიდან პროფილის შეუცვლელად, გამართულად მუშაობა შეუძლია ჰიდრომანქანას, წისქვილქარხანას და ფოთიტორფს, რომლებსაც ხელეწიფება კონკურენტუნარიანი პროდუქციის

წარმოება და ეს ძირითადად იმიტომ, რომ მათი ტექნოლოგიური ხაზები და საწარმოო ბაზა ამის საშუალებას გვაძლევს. გამართულად მუშაობს პურის ქარხანა.

დღეისათვის ფოთში ფუნქციონირებს 19 პურსაცხობი, 6 ხილეული წყლების საამქრო, 7 ლითონის დამამუშავებელი მცირე საწარმო, ხე-ტყის დამუშავებისა და ბეტონის საწარმოები, „საზღვაო ტექსერვისის ფოთის ფილიალის გემთშემკეთებელი“, „წყალკანალი“, რომლებშიც დასაქმებულია 700-ზე მეტი მუშა-მოსამსახურე.

ნავსადგურის შესახებ დღეს არ გვიხდება მტკიცება იმისა, რომ ეს საწარმო დეპრესიას ვერ გადაურჩა, საკმარისია ითქვას, რომ 1993-1994 წლებში ტვირთბრუნვის მოცულობა 1 მილიონ 400 ათასამდე შემცირდა. შეიძლება ითქვას, რომ ნავსადგური „ტრასეკას“ პროექტის განხორციელებამ შეგვინარჩუნა.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ მენარმეთა და კომერციული საქმიანობით დაკავებული ადამიანებისათვის ნავსადგურთან მიმართებაში ოპტიმალური გარემოს შექმნა სჭირდება.

ჯერ კიდევ 1997 წელს გამოიცა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება N502 „საქართველოს საზღვაო ნავსადგურში გემის ეკიპაჟის მგზავრთა, მათი ბარგისა და ხელბარგის, ტრანსპორტის, ტვირთის რეგისტრაციის, სასაზღვრო მიგრაციული და საბაჟო კონტროლის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. მისი რეალიზაციის შედეგად საზღვარზე 19 მაკონტროლებელი ორგანიზაციიდან დარჩა 8. შემდგომმა პერიოდმა დაგვანახა, რომ ცალკეულმა რესპუბლიკურმა უწყებებმა მოახერხეს საბაჟო ზონაში თავიანთი სტრუქტურების ჩანერგვა, რაც განაპირობებს მომსახურების ხარჯების საგრძნობლად ზრდას და ახანგრძლივებს საბაჟო ფორმალობებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს ნებადართული თუ სხვა მოსაკრებლები წარიმართება შესაბამის უწყებათა და სამინისტროების სპეციალური შტაბებში ბიუჯეტის გვერდის ავლით. ეს სოლიდური თანხებია.

ნავსადგურის მწვავე პრობლემას წარმოადგენს დასავლეთი მოლი-სა და დამცავი ჯებირის მდგომარეობა, რომლებსაც 1992 წლის შემდეგ გამაგრებითი სამუშაოები არ ჩატარებია. ზღვა ამ უბანს ინტენსიურად რეცხავს და თუ არ იქნა მიღებული საგანგებო ზომები, სპეცალისტების აზრით, შეიძლება გამოუსწორებელი შედეგი მივიღოთ.

ფოთის ნავსადგური ადგილობრივი ბიუჯეტის ძირითადი შემავსებელია და იგი ვალდებულებებს ბიუჯეტის წინაშე პირნათლად ასრულებს დაწესებული ნორმატივების ფარგლებში. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს თანხები ქალაქის საჭიროებისათვის საკმარისი არ არის.

მოგვხსენებათ, რომ ჯერ კიდევ 1993-1995 წლებში „ტრასეკა“-ს პროექტის ფორმირების საწყის ეტაპზე შემუშავდა ყოველ ტონა გადამუშავე-

ბულ ტვირთზე მოსაკრებლის შემოღების წესი (ნიკოლაძისეული საფუთე გადასახადის) ანალოგიით. სამწუხაროდ, ეს მოსაკრებელი ვერ ამოქმედდა ნავსადგურის იმდროინდელი ხელმძღვანელობის წინააღმდეგობის, ხოლო მოგვიანებით, საკანონმდებლო ბაზის უქონლობის გამო.

მას შემდეგ ეს თემა პერიოდულად მწვავდება, სხვადასხვა რანგის პოლიტიკოსთა და ჩინოსანთა „რეპერტუარშიც“ პოულობს ასახვას მეტწილად, მერკანტილური მიზნებით. ყოველ შემთხვევაში, ქალაქში მოძალებული პრობლემები ადგილობრივ ბიუჯეტთან ნავსადგურის ვალდებულების პარამეტრების გადასინჯვას დღის წესრიგში აყენებს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ნავსადგურის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაშია მოსაყვანი, რაც უზრუნველყოფს ამ საწარმოს კლანური გავლენის სფეროდან გამოყვანას და რაც არანაკლებ მნიშვნელოვნად გვესახება, უნდა გადაწყდეს ნავსადგურის მენეჯმენტის საკითხი იმდგვარად, რომ საკუთრივ ქალაქ ფოთისა და ნავსადგურის ინტერესები ჰარმონიულად იყოს შეთავსებული.

მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ფოთის აეროპორტი, რომელიც ფაქტობრივად ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური მინიმალური უზრუნველყოფის გარეშე დარჩენილი და მხოლოდ რამოდენიმე ენთუზიასტის ძალისხმევა იცავს სრული გაჩანაგებისაგან.

განსაკუთრებულად უნდა ითქვას მეთევზეობის, გემთშეკეთების და გემთმშენებლობის შესახებ. მოგეხსენებათ, რომ საქართველოს გააჩნია მნიშვნელოვანი სანაპირო ზოლი თევზის რესურსების დიდი მარაგით: თევზჭერისა და გადამუშავების ტრადიციები, თევზსაჭერი ფლოტი, პროფესიონალი მეზღვაურები.

შავი ზღვის სანაპირო თევზჭერის მთავარი ობიექტია ქაფშია, რომლის რაოდენობა საქართველოს ნაპირებთან სეზონის (ნოემბერი-აპრილი) განმავლობაში 150 ათას ტონას შეადგენს. დასაშვები მოპოვება ამ თევზის პოპულაციის აღდგენისათვის ზიანის მიუყენებლად 90-100 ათასი ტონით განისაზღვრება.

1990 წლამდე შავი ზღვის ქაფშიის მოპოვებაში საქართველოს თევზჭერის ბონაში მონაწილეობდა მცირე სარეწაო თევზჭერის 150-ზე მეტი ერთეული, რომლებიც საქართველოს, რუსეთისა და უკრაინის ფლოტს წარმოადგენდნენ.

საბჭოთა ეკონომიკური სივრცის რღვევას შედეგად მოყვა საქართველოს თევზსაჭერი ფლოტის მთლიანად თევზის მრეწველობის დარგის სტაგნაცია და მოშლა, თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ თევზის მეურნეობის, როგორც დარგის დემონტაჟი უფრო ადრე 1988-1989 წლებში დაიწყო, როდესაც ქალაქ ფოთის იმდროინდელი ხელმძღვანელობის მხარდაჭერით ზღვისპირა ბულვარის კეთილმოწყო-



ბის მოტივით დანგრეულ იქნა უნიკალური 12 კამერიანი მაცივარი, დაიხურა თევზის მრეწველობის სასწავლო ინსტიტუტის ფილიალი ქალაქ ფოთში. მიღებული იქნა გადაწყვეტილება საოკეანო თევზსაჭერი ფლოტის სხვა რესპუბლიკაზე გადაცემისა და თევზის მრეწველობის მმართველობითი სტრუქტურის „საქთევზმრეწვის“ სრული რეორგანიზაციის შესახებ.

პროცესი გასულ ათწლეულში დასრულდა. მთლიანად ჩამოინერა და ჯართად გაიყიდა საოკეანო ფლოტი და მისი დამხმარე მცურავი საშუალებები. მოიშალა სანაპირო მომახურების ობიექტები. პრივატიზებულ და გასხვისებულ იქნა სანაპირო გადამამუშავებელი და სამეურნეო უზრუნველყოფის ობიექტები. მოიშალა სარემონტო ბაზა. დაიფანტა მაღალპროფესიონალი სპეციალისტები.

დღეის მდგომარეობით საქართველოს გააჩნია ორი ათეული თევზსაჭერი სეინერი, რომლებიც ბაზირებულია ფოთისა და ბათუმის ნავსადგურებში და რამდენიმე გემთმფლობელის საკუთრებას წარმოადგენს.

ფლოტი მორალურად და ტექნიკურად მეტად მოძველებულია, თევზის ძებნისა და მოპოვების თანამედროვე აღჭურვილობის გარეშე, ხშირად გამოიყენებიან სახელმწიფო რეგისტრის დოკუმენტაციის გარეშე, რაც საფრთხეს უქმნის როგორც მცურავ საშუალებებს, ასევე მის ეკოპაუებს.

მძიმე ვითარებაა თევზის მიმღებ-გადასამუშავებელ სანაპირო ობიექტებზე. ამ ობიექტების სიმცირე გამოიწვევს თევზის მოპოვების შემდგომ გაზრდას. არ არის საკმარისი სამაცივრო სიმძლავრეები, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ზემოხსენებული უნიკალური მაცივრის დანგრევის და ბათუმის თევზჭერის სამმართველოს საამქროების განადგურების შემდეგ დარგი ღრმა გაყინვის (-400) შესაძლებლობების გარეშე დარჩა, რომლის გარეშე წარმოუდგენელია თევზის მოპოვების ეფექტურად და უდანაკარგოდ წარმართვა. ისევე, როგორც თევზის გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარება საერთოდ.

ამდენად, თევზის მრეწველობის განვითარების მიზნით საჭიროა: ფლოტის განახლება, გამყინავი სიმძლავრეები 150 ტონამდე ტევადობით დღე-ღამეში, სამაცივრო ტევადობის გაზრდა 2 ათასი ტონით, ქაფშიისაგან წარმოებული პროდუქციის ნომენკლატურის კონსერვების, პრესერვის, შებოლილის, თევზის ცხიმის, ფქვილის განსაზღვრა და ეტაპობრივად გამოშვება. აუცილებელია საქართველოს ნაპირებთან თევზის მარაგის პროგნოზირების და თევზის საძებნი სამუშაოების ჩატარების ორგანიზება.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე ცხადია, რომ უახლოეს მომავალში საქართველო ვერ შეძლებს სეზონური რესურსის მთლიანად ათვისებას. ამდენად ჯარბი რაოდენობის თევზის მოპოვებაზე ნებართვა შეიძლება უცხო ქვეყნების სუბიექტებზეც გაიცეს.

არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით უნდა მომზადდეს და გა-

ფორმდეს ახალი შეთანხმებები თევზჭერის თაობაზე საქართველოსა და ამ ქვეყნებს შორის.

საზღვარგარეთის სუბიექტებისათვის, რომელნიც გამოთქვამენ სურვილს იმუშაონ საქართველოს თევზჭერის ზონაში, საჭიროა გათვალისწინებულ იქნას ლიცენზირების და კვოტების შედენის აუცილებლობა (საორიენტაციოდ, 1 ტონა - 50 აშშ დოლარი). რენჯის ნებართვის მიღებისათვის გადასახდელი თანხა უნდა შეადგენდეს ფაქტიურად მოპოვებული თევზის საფასურის 20%. გადაუდებლად მისაღებია „კანონი მეთევზეობის შესახებ“. შესაცვლელია აკრძალული ზონის პარამეტრები საქართველოს ტერიტორიული წყლების ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით და სუფსის ნავთობტერმინალის ტივტივას მიდამოებში. თევზის პოპულაციისა და მარაგების შენარჩუნების მიზნით უნდა აიკრძალოს 500 მეტრზე ზემოთ ქისა ბადეებით თევზჭერა. გადასაწყვეტია ფოთის პორტში თევზსაჭერი ფლოტის დგომის ადგილის გამოყოფის საკითხი და გადასასინჯია მომსახურების მოქმედი ტარიფები.

თევზსაჭერი ფლოტის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია გემთშეკეთების ორგანიზება.

გემთშეკეთებელი ბაზა და მისი ინფრასტრუქტურა უნდა უკავშირდებოდეს მცურავ დოკს და მის მეურნეობას. ამჟამად საქართველოში მხოლოდ ერთი მცურავი დოკია, მისი ტვირთამწეობა 500 ტონაა. განთავსებულია ფოთის პორტის აკვატორიაში და მისივე საკუთრებას წარმოადგენს.

გემთშეკეთების ორგანიზაციის ოპტიმალური ვარიანტია მისი მოწყობა გემთსაშენის ბაზაზე, რისთვისაც საჭირო იქნება მცურავი დოკის ბაზირება გემთსაშენში.

ფოთის გემთსაშენის N1 საამქროსა და საამქრო „ერას“ ბაზაზე უნდა შეიქმნას სამეურნეო ერთეული გემის კორპუსის კონსტრუქციების, მსხვილგაბარიტიანი დეტალებისა და კვანძების, ელექტროაღჭურვილობის სარემონტოდ.

გასათვალისწინებელია, რომ გემთსაშენი კერძო საკუთრებას წარმოადგენს. ამდენად, ზემოხსენებულ წინადადებათა რეალიზაცია ინტერესთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე უნდა მოხდეს.

გემთშეკეთების ორგანიზება ზემოხსენებული სქემით მნიშვნელოვანია არამართო თევზსაჭერი ფლოტის მოთხოვნათა უზრუნველსაყოფად, არამედ სხვა დანიშნულების გემების და რაც მთავარია, სამხედრო ხომალდების შესაკეთებლად, რისი ნახევარსაუკუნოვანი ტრადიცია და გამოცდილება გააჩნია ფოთის გემთსაშენს. რასაც დღეს შენარჩუნება სჭირდება.

გემთშენებლობის ოპტიმალური ვარიანტია მისი ორგანიზება ფოთის გემთსაშენში მე-16 საამქროს ბაზაზე, რომელსაც მოპოვებული აქვს საერთაშორისო სერთიფიკატი, რომლის თანახმად მას შეუძლია ფოლა-

დის, ალუმინის და მინაპლასტიკის მასალისაგან დააპროექტოს, ააშენოს და შეაკეთოს ნებისმიერი ტიპის მცურავი საშუალება. აღსანიშნავია, რომ ს.ს. „ფოთის გემთსაშენი“ პროექტირების სტადიაშია მცირე სეინერი, რომლის ათვისება არანაირ ტექნიკურ სირთულეს არ წარმოადგენს საწარმოსათვის.

მიზანშეწონილია ორგანიზებულ იქნას თევზსაჭერი კაპარტების მშენებლობა იმის მსგავსად, როგორც თურქეთშია. აგრეთვე ბოტების, ფელუგების და კატარღების წარმოება სანაპირო თევზჭერისათვის. ეს პროექტები ხასიათდება მცირე მასალტევადობით, შრომითი დანახარტებითა და მაკომპლექტებელი ნაკეთობების სიმცირით.

საერთოდ, გემთშეკეთებისა და გემთმშენებლობის რეანიმაცია დიდ სოციალურ და ეკონომიკურ სარგებელს მოუტანს ქვეყანას. იგი გამოიწვევს 2000-მდე ახალი სამუშაო ადგილის შექმნას. აგვაცილებს ამ დანიშნულებით დიდძალი ვალუტის არათუ გადინებას, არამედ თავად იქცევა ვალუტის შემოსვლის წყაროდ.

ზემოაღნიშნული პროექტის განხორციელების ერთ-ერთი მთავარი პრობლემა დაფინანსების პრობლემაა, რომლის გადასატრელადაც შეიძლება გამოყენებულ იქნას ავიაციაში აპრობირებული გზა, ანუ ეროვნული გემთმფლობელის კომპანიებისათვის გემების ლიზინგის სქემით მშენებლობის სქემის დანერგვა.

ამ სქემაში მნიშვნელოვანი როლი მიეკუთვნება სახელმწიფოს (ან სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით) მიერ დაფუძნებულ ლიზინგურ გემთმფლობელ კომპანიას, რომელიც საკმარისი დაფინანსების პირობებში, ქართული ბანკებიდან კრედიტის აღების ან პირდაპირი საბიუჯეტო დაფინანსების გზით შეუკვეთდა და დააფინანსებდა მცირეტონაჟიანი თევზსაჭერი გემების მშენებლობას ხელშეკრულებით ქართულ და უცხოურ თევზსარენ კომპანიებს, რომლებიც წინასწარ გასცემენ გარანტიას გემების დასაქმების შესახებ 2-3 წლით მაინც. საბიუჯეტო დაფინანსების შემთხვევაში შეიძლება ლიზინგის მიმღებმა მონაწილეობა მიიღოს გემის მშენებლობაში ღირებულების 20-30% დაფინანსების გზით.

ასეთი სახელმწიფო სალიზინგო კომპანიის არსებობა უზრუნველყოს არა მარტო თევზის მრეწველობის აღორძინებას, არამედ გემთმშენებლობის განვითარებასაც და ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო თევზსაჭერ კომპანიებს გემების შექენაში, რადგან მათ დამოუკიდებლად არა აქვთ გემების მშენებლობისა თუ შექენისათვის საჭირო თანხების მოზიდვის საშუალება.

ორიოდე სიტყვა ტურიზმის, სპორტისა და კურორტის შესახებ. მოგეხსენებათ, რომ ტურიზმის განვითარების დიდ შესაძლებლობას გვაძლევს კოლხეთის ეროვნული პარკი, რომელიც ბიომრავალფეროვნების უნიკალურ სისტემას წარმოადგენს. კურორტი მალთაყვა და აქვე არსებული

წყალსათხილამურო ბაზა. გარკვეული ფინანსური დანახარჯების შემდეგ, შეიძლება საერთაშორისო მნიშვნელობის დასვენებისა და გართობის ცენტრად იქცეს.

რაოდენ დასანანიცაა, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ფოთი არ ვითარდება.

მეტად სავალალო მდგომარეობაშია საქალაქო ინფრასტრუქტურა. განსაკუთრებით კი ქუჩები და ტროტუარები, რამდენიმე ცენტრალური ქუჩის გამოკლებით, არც ერთი ქუჩის საფარი დამაკმაყოფილებლად არ მიიჩნევა. უარეს მდგომარეობაშია ტროტუარები, რომლებიც ქალაქის მთელს ტერიტორიაზე, როგორც წესი, მოუნესრიგებელია, გაუვალაია.

მეტად სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს სანიაღვრე წყლები. ქალაქის სანიაღვრე კანალიზაციის სისტემას, რომლის საერთო სიგრძე 180 კმ-ს აღწევს, ხელმიშვებულ მდგომარეობაშია. კოვისპურული ნვიმების დროს ქალაქი მთლიანად იტბორება, ზიანდება საკარმიდამო ნაკვეთები, პირველი სართულები, მიწისქვეშა ელექტრო და კავშირგაბმულობის კომუნიკაციები.

ქალაქში ოცზე მეტი სხვადასხვა ფართის ხელოვნური ტბორია. ზვისპირა ზოლში დაჭაობებული მასივებია. იგივე მდგომარეობაა მსხვილი წყალსადინარების კაპარჯინისა და მალთაყვას სრუტის გასწვრივ, რომლებიც ანტისანიტარიისა და კოლონების მსხვილ კერებს წარმოადგენს და საგრძნობლად ამძიმებს ადამიანის საარსებო გარემოს.

ზღვა ინტენსიურად რეცხავს სანაპირო ზოლს ქალაქის მჭიდროდ დასახლებულ უბანსა და შუქურას სერიოზული საფრთხე ექმნებათ. ამას ემატება წყალმარეგულირებელი ნაგებობის მძიმე ტექნიკური მდგომარეობა და ქალაქში გამავალი არხის კალაპოტის მოუნესრიგების აუცილებლობა.

უკანასკნელ პერიოდში თავი იჩინა კიდევ ერთმა ეკოლოგიურმა პრობლემამ - ვიბრაციამ, რომელიც უკავშირდება მძიმეწონიან საავტომობილო გადაზიდვების გაჩენას, რამაც გამოიწვია ქალაქის ცალკეულ უბნებში საცხოვრებელი სახლების დაბზარვა, რაც არც თუ იშვიათად ქუჩების გადაკვეტვის, ექსცესების მიზეზი ხდება. პრობლემის შერბილების მიზნით საჭიროა სპეციალური საინჟინრო სამუშაოების ჩატარება, რაც დამატებითი თანხების მოძიებას საჭიროებს.

ამძაფრებს სიტუაციას ელექტროენერჯის სისტემატური და ხანგრძლივი დროით გამორთვები შემოდგომა-ზამთრის პერიოდში, რაც იწვევს ასევე ხანგრძლივ წყვეტილობას წყალმომარაგების საქმეში. ასეთ ვითარებაში არავითარი ღონისძიებები არ ხორციელდება ელექტრო და წყალმომარაგების ავტონომიური რეჟიმის შესაქმნელად. ქალაქის ელექტროქსელების მდგომარეობა შეფასებულია როგორც არადაამაკმაყოფილებელი, რომელიც ძირეულ რეაბილიტაციას საჭიროებს.

გადასაწყვეტია საკათედრო ტაძრის შენობის მისი კანონიერი მფლობელისათვის გადაცემისა და დრამატული თეატრის მშენებლობის საკითხი, რომელიც ვერ მოგვარდა დაუფინანსებლობის გამო და პერიოდულად ფრიად დასანანი ექსცესების მიზეზიც ხდება.

სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ის მცირე საბიუჯეტო სახსრებიც კი, რომელიც უნდა წარიმართოს ქალაქის ინფრასტრუქტურის უმწვავესი პრობლემების დასაძლევად, არცთუ იშვიათად იქსაქსება ისეთი პროექტების დასაფინანსებლად, რომელთა განხორციელება არ წარმოადგენს ობიექტურ აუცილებლობას. ასე, მაგალითად, 1996 წელს დაიწყო სასტუმროს მშენებლობა, რომელიც 1998 წელს შეწყდა (ამოყვანილია 4 სართული). 1997 წელს დამონტაჟდა 5 კმ. სიგრძის ტროლეიბუსის ხაზი, რომელსაც დემონტაჟი გაუკეთდა 1999 წელს. 2001-2002 წლებში 300 ათ. ლარი გადაირიცხა 108 მეგავატი სიმძლავრის თბოელექტროსადგურის დაპროექტებისათვის, 118 ათ. ლარი საბიუჯეტო ორგანიზაციების აუდიტისათვის, 76 ათ. ლარი ასფალტის შემცვლელი ნივთიერების შესაძენად. ყველა ეს ხარჯი ფუჭად გაღებული დარჩა. და ეს მხოლოდ ნაწილია საბიუჯეტო სახსრების არაეფექტურად და არამიმზობრივად განკარგვის მრავალ ფაქტებს შორის.

ამჟამად ჩვენი ძალისხმევა მიმართულია იქითკენ, რომ გავაჯანსაღოთ საბიუჯეტო მდგომარეობა და ამასთან დავაფინანსოთ ის ღონისძიებები, რომლებიც უკავშირდება სოციალურ სფეროს, კულტურას, ჯანმრთელობის დაცვას, განათლებას, სამოქალაქო ინფრასტრუქტურის განვითარებას.

2004 წლის 6 თვის მონაცემებით გარკვეული გადაჭარბებით შესრულდა ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტი. ბიუჯეტის გადაჭარბებით შესრულებამ საშუალება მოგვცა დაგვეწია ბანკში გახსნილი საკრედიტო ხაზი 500 ათ. აშშ დოლარიდან 120 ათ აშშ დოლარამდე 4 თვეში. პარალელურად ხდებოდა სხვა კრედიტორი ორგანიზაციების დავალიანების დაფარვა, მათ შორის მუნიციპალური განვითარების ფონდის კრედიტის დაფარვა 165 ათ. ლარის ოდენობით. სასამართლო გადანწყვეტილებებით გასაწევი ხარჯები 77,3 ათ. ლარით. დღეისათვის მობილიზებულია პედაგოგთა ხელფასებისათვის და საშვებულებო თანხები 600 ათ. ლარის ოდენობით. ბიუჯეტით გათვალისწინებული ყველა ორგანიზაცია სრულად არის დაფინანსებული.

მიმდინარეობს მოლაპარაკება მუნიციპალური განვითარების ფონდთან 1500 ათ. ლარის ოდენობით ინვესტიციების მისაღებად, რაც მთლიანად მოხმარდება ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარებას. პროგრამის თანადაფინანსებისათვის ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინებულია 300 ათ. ლარი.



მზადდება ქალაქის 4 უბნის განვითარების კონცეფცია, რისთვისაც ქალაქ ფოთის ბიუჯეტში გათვალისწინებულია 40 ათ. ლარი, აგრეთვე ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ გამოცხადებული ტენდერისათვის ქალაქ ფოთის განაშენიანების გეგმის შესაქმნელად თანადაფინანსების სახით გათვალისწინებულია 15 ათ. ლარი.

დამთავრდა ცენტრის უბნის ფეკალური კანალიზაციის აღდგენა-მშენებლობის სამუშაოები.

დასრულდა ქუჩების ორმული შეკეთებები, კაპიტალურად შეკეთდა ორი სატუმბი სადგური, პირველად ათი წლის მანძილზე მიმდინარეობს სანიაღვრე კანალიზაციის აღდგენის სამუშაოები მთელ ქალაქში. გრძელდება მოსამზადებელი სამუშაოები ქალაქის ქუჩების მოასფალტებისათვის, რაზეც ერთი მილიონი ლარი დაიხარჯება.

აღდგენილია ტროლეიბუსის მიმოსვლა. დასრულდა ცენტრალური საავადმყოფოს პირველი რიგის სარემონტო სამუშაოები. წლის ბოლოს მზად იქნება ახალი თეატრის პროექტი.

ფოთისათვის უმწვავეს პრობლემას წარმოადგენს სასმელი წყლით მომარაგება. ამჟამად მიმდინარეობს სამუშაოები მარტვილის რაიონიდან ახალი მაგისტრალის დასაპროექტებლად, რომლის სამშენებლო-სარემონტო ღირებულება 7 მილიონამდე ლარს შეადგენს. პროექტის განხორციელება საშუალებას მოგვცემს სასმელი წყალი ფოთში თვითდინებით მივიღოთ და ამასთან გარკვეულად მეზობელი რაიონებიც დავაკმაყოფილოთ. მიმდინარეობს ინვესტორის მოძიება.

საქართველოს მთავრობის დავალების შესაბამისად უახლოეს დღეებში დაიწყება მიწისმწოვი მანქანის აღდგენა, რომელიც გამოყენებული იქნება ქალაქში გამავალი არხის საპროექტო ნიშნულეებში მოყვანისა და წყალმარეგულირებელი ნაგებობების სარემონტო სამუშაოებში.

უახლოეს პერიოდში განახლდება მდ. კაპარჯინის ძველ კალაპოტზე დამბის მშენებლობა და ტყეპარჯის მიმდინარე ნაპირის გამაგრებითი ღონისძიებები, რაც საშუალებას მოგვცემს დავაშროთ ნამდინარევი და აღვადგინოთ ბუნებრივი პლაჟი მალთაყვის ხიდიდან გრიგოლეთამდე, რომლის ფართობი 20 ჰექტარს შეადგენს.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სოციალურ საკითხებს, მიმდინარე წელს შემუშავდა დასაქმების მუნიციპალური, ოთხი და მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური მხარდაჭერის პროგრამები, რისთვისაც ბიუჯეტში გათვალისწინებულია 80 ათ. ლარი.

განაგრძობს ფუნქციონირებას უზედამხედველო მოზარდთა რეაბილიტაციის ცენტრი, რომელმაც ქუჩის ცხოვრებას ჩამოაშორა, ნორმალური ცხოვრება და სწავლის პირობები შეუქმნა 14 არასრულწლოვანს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ერუდირებული მოსწავლე-ახალ-

გაზრდობის ნიჭის გამოვლენას, მათი სტიპენდიებითა და გრანტებით და-  
ჯილდოებას.

შემუშავებულია სკოლისა და სკოლამდელი დაწესებულებების პედა-  
გოგთა ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამა საერთო ღირებულებით  
50 ათ. ლარი, რაც უკვე განხორციელების სტადიაშია. აგრეთვე, ადგი-  
ლობრივი ბიუჯეტით ხდება პედაგოგთა ხელფასზე დანამატების გაცემა  
კატეგორიების მიხედვით, საშუალოდ 10 ლარის ოდენობით თითოეულ  
პედაგოგზე.

მიმდინარე წელს ჩატარდა კულტურული ღონისძიებები, რომლებიც  
მიეძღვნა 9 აპრილს დაღუპულთა, მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურ-  
დიას ხსოვნას, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს.

ქალაქ ფოთში წარმოდგენები გამართეს გრიბოედოვის სახელობის  
და ბათუმის თოჯინების თეატრებმა. 25-26 ივნისს ქალაქის შემოქმედე-  
ბითმა ინტელიგენციამ უმასპინძლა უკრაინისა და რუსეთის მწერალთა  
დიდ ჯგუფს. ქალაქს სტუმრობდა ამერიკის ფოლკლორული ანსამბლი  
„ვილიტ ჰარმონი“, რომელმაც ფოლკლორის ცენტრთან არსებულ ან-  
სამბლ „ფოთთან“ ერთად ქართულ ენაზე შეასრულა ხალხური სიმღე-  
რები და ცეკვები.

მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა და უახლოესი მომავლი-  
სათვის გათვალისწინებული პროგრამებისა, გვესახება, რომ ფოთის ბუ-  
ნებრივ-ისტორიული პირობებით განპირობებული და მეტწილად ამ პი-  
რობების გაუთვალისწინებლად წარსულში წარმოებულმა საქმიანობამ  
მეტად მძიმე მდგომარეობამდე მიიყვანა ქალაქის მთელი ინფრასტრუქ-  
ტურა. ფოთმა ვერ შეიძინა ტიპური ქალაქის იერსახე.

ფაქტია ისიც, რომ უკანასკნელ ათწლეულში ქალაქის ხელმძღვანე-  
ლობამ ვერ უზრუნველყო ფოთის განვითარების პრიორიტეტების გამოყო-  
ფა და პრობლემების დაძლევის პერსპექტიული პროგრამის შემუშავება,  
რის გამოც ამ პრობლემების გადაწყვეტა სხვადასხვა ღონისა და რანგის  
ჩინოსანთა პიროვნული ან ჯგუფური შეხედულებებისა და ნება-სურვილის  
დონეზე დარჩა. ამ გარემოებების გათვალისწინებით გვესახება, რომ უნ-  
და შეიქმნას ქალაქ ფოთის პრობლემების გადაწყვეტის მრავალწლიანი  
პროგრამა და შემუშავდეს მისი რეალიზაციის ისეთი მექანიზმი, რომელიც  
უზრუნველყოფს ამ პროგრამის აუცილებელ განხორციელებას.

ამ მიზნით ფოთის მაჟორიტარის რ. მელიას ინიციატივით საქართვე-  
ლოს პარლამენტში შექმნილია ექსპერტთა ჯგუფი, შესაბამისი პროექტის  
შესამუშავებლად, რომელიც საფუძვლად დაედება ქალაქის მდგრადი  
განვითარების გრძელვადიან პროგრამას.

პატივისცემით, ირაკლი მონწერელია

## „ოჭოფეს“ ანუ ივანე სოსოვიჩი უქია გიგი ხონელსა

როგორც იქნა!!! გიგი უგულავამ გარედან გამოიხურა ციხის კარები! გამოსვლისთანავე სააკაშვილიც მოიხსენია და ჯართში ჩაბარებულად გამოაცხადა.

ის დრო გამახსენდა, როდესაც გიგი ნაცმოძრაობის ახალგაზრდულ „კმარას“ ედგა სათავეში და მათ მიერვე შექმნილ ცნობილ პლაკატს უნიტაზიდან თავამოჩრილ პოლიტიკური ოპონენტების გამოსახულებით რომ ავრცელებდა კამოსავით საქართველოს ქალაქებსა და სოფლის ორღობეებში. ასე, რომ უნიტაზის პოლიტიკური დანიშნულებით გამოყენება არ იყო მისთვის, ისევე, როგორც მისი თანაპარტიელებისათვის უცხო რამ, მაგრამ ვერ გაიმეტა ყოფილი კეთილისმყოფელი. სააკაშვილი კი არ ჩარეცხა უნიტაზში, „უცხო ნივთიერებას“ კი არ შეურია, არამედ ფრიად ჰიგიენური ადგილი მიუჩინა – ჯართში გაამწესა. უნდა ვიფიქროთ, ჯართივით მეორადი მოხმარების პერსპექტივით. მორჩა რა სააკაშვილის „პოლიტიკურ დაბინავებას“, ქვეყანას შველა უნდაო ბრძანა და ბურჯად შეუდგა „ევროპულ საქართველოს“.

ამას წინათ, დიდი ზომის ბანერს მოვკარი თვალი მიხილ თამარაშვილის ქუჩაზე, ზედ ბატონი უგულავა იყო გამოსახული გაშვერილი ხელით და შორს, სივრცეში მიმართული მზერით.

შეცვლილიყო ბატონი გიგი, აღარ ჰქონდა ახალგაღვიძებული კაცის იერი, როგორც მაშინ, როდესაც სააკაშვილმა იგი სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის გუბერნატორად დანიშნა უგულავას იმდროინდელი გამონათქვამები და ის ინტერვიუც გამახსენდა, სადაც თქვა, რომ პირველი სიტყვა მის მიერ მეგრულ ენაზე წარმოთქმული იყო „ოჭოფეს“ და ეს არც არის გასაკვირი, იმ დროისათვის უგულავას საუფლოში, მათ შორის ფოთში, უმაღლესი რანგის ჩინოსანთა ოჭოფეს ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა, და რომ იგი ფიქრებში წასულ გუბერნატორს დასცდა სავსებით ბუნებრივია.

ფოთის საკრებულოში აღარ ისმოდა არც „ასლანბეგურა“ ასლან აბაშიძის „აღორიძინების“ ნარჩენებიდან და არც მოქკავშირული „ედუარდ ჩვენო“ დაშლილ-დანანწვერებული „მოქალაქეთა კავშირის“ თავგზაბნეული წარმომადგენლებისაგან. დროდადრო „პოლიტიკურ ძალთა კოალიცია“ (ჟღერს ხომ?) და „ვეფხისტყაველი გვიგენად“ წოდებული „პოლიტიკურ ძალთა“ სახედ ქცეული ასანიძე ფორმალურად თუ შეახსენებდნენ თავს საზოგადოებას ავყია განცხადებებით, რომლებიც ისევე არ შეეფერებოდა ნაციონალური მოძრაობის „რევოლუციურ“ რიტორიკას, როგორც კრიმინალური „შავლეგოს“.

ჯერ ვიდევ არ იყო შემდგარი ნაცმოდრაობის „პოლიტიკური ლიბრეტოს“ ხაჩიძისეული პრიმიტიული სადილინო „მიშა მაინც მაგარია“, მაგრამ ნაცმოდრაობის აგრესიული ფრაზეოლოგიითა და „ოჭოფეს-საქმიანობით“ დამფრთხალი ფოთის საკრებულოს „პოლიტიკურ ძალთა კოალიციის „მომავლისათვის“ ხმოსნებიჰ საკუთარი თავის მომავლისათვის სწრაფად იცვლიდნენ პოლიტიკურ ორიენტაციას განდაგანას მოტივებზე. კომიკური „კოალიციიდან“ ნაცმოდრაობის სერიოზულ ფერხულში გადაბარგების მიზნით.

აი, ასეთ ვითარებაში წარმოთქვა ბატონმა უგულავამ საეტაპო ფრაზა: „ვანოს ჯანსაღი ხედვა აქვს“, რითაც გვამცნო, რომ ფოთისათვის არათუ ახალი მერი შეარჩია, არამედ ნაციონალური მოძრაობაც „გააძლიერა“.

„ჯანსაღი ხედვა“ – არის ამ სიტყვათაწყობაში, როგორც იტყოდა პოეტი, რაღაც „ჯერ არნახული, ჯერ არ გაგონილი“, ისეთი რამ, რაც ადრე არ გვსმენია, როდესაც ადამიანების დასახასიათებლად ისეთ სიტყვებს იყენებდნენ, როგორიცაა „კომპეტენტური“, „ავტორიტეტული“, „საქმიანი“, „პრინციპული“, „განათლებული“, უნარიანი და ა.შ.

„ხედვა“ – ეს სიტყვა „ვარდების რევოლუციის“ „გუშაგებს“ შემოყვა ქართულ პოლიტიკურ-ბიუროკრატიულ ლექსიკაში და არის მასში რაღაც სამედიცინო შემადგენელი მით უმეტეს, როდესაც მიდგმად „ჯანსაღი“ ახლავს.

მეც ვიფიქრე, რა ჭირდა ვახტანგ ალანიას, რომელსაც არც თვალისჩინი აკლდა, არც ასტიგმატიზმი აწუხებდა, და არც სიელმე, მოსაუბრესაც ყოველთვის უსწორებდა თვალს ვანოსგან განსხვავებით და საერთოდ ოფთალმოლოგიურად სავსებით ჯანსაღად ითვლებოდა.

ჯანსაღი ხედვა“ უგულავას მიხედვით ნიშნავდა იმას, რომ მის მიერ შერჩეული ფუნქციონერის დანიშნულებაა მუდმივად შესციცინოს ზემდგომს თვალეში და „ხედვა“ არ გაექცეს გვერდზე, სხვა პოლიტიკური ბანაკისკენ. არც რაიმე დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების სურვილი არ უნდა გაუჩნდეს ვახტანგ ალანიასათვის, რომელმაც ერთი წლის განმავლობაში სრულიად დამოუკიდებლად, უგულავას დაუკითხავად პერსონალით დააკომპლექტა და სრულ წესრიგში მოიყვანა სატუმბი სადგურები, სანიაღვრე არხები, წყალგამყვანი გალერეა რიონის არხის მარცხენა ნაპირზე, დაიწყო წყალ-მარეგულირებელი ნაგებობის რეაბილიტაცია, მთლიანად აღადგინა ქალაქის ცენტრალური ნაწილის ფეკალური კანალიზაცია. მისი ძალისხმევით გადაწყდა და დაიწყო ელექტრომომარაგების დამატებითი ხაზის გამართვა. ქალაქის თეატრის შენობის, თვითღინებითი წყალმომარაგებისა და კუნძულის უბნის დეტალური დაგეგმარების დაპროექტება. განხორციელდა ჯან-

ტურიას ქუჩის რეკონსტრუქცია, თითქმის ორჯერ გაიზარდა საბიუჯეტო შემოსავლები. უგულავასთან შეთანხმების გარეშე მიიღო გადაწყვეტილება ნავსადგურზე უზურფრუქტით უსასყიდლოდ გადაცემული, მაგრამ აუთვისებელი 380 ჰა მიწის ქალქის ფონდში დაბრუნების შესახებ.

ქალაქისათვის სასარგებლო საქმიანობას კი ეწეოდა ვახტანგ ალანია, მაგრამ უგულავას „დიაგნოზით“ ხედვა არ ჰქონდა ჯანსაღი. არ შესციცინებდა თვალეში გიგის და როგორც იტყვიან მის დაუკითხავად დამთქნარებასაც ბედავდა. ამიტომაც ოჯოფეს.

სხვა საქმეა ვანო. პირველი რაც გააკეთა მერად გამწვანების შემდეგ მისივე სიტყვებით „დამნიოკებლები“, ანუ ალანიას დანიშნული მოხელეები დაითხოვა და წყალსამეურნეო საქმის პროექტირებისა და ექსპლუატაციის თვალსაჩინო სპეციალისტი გურამ ქანდარია უსამსახუროდ დატოვა. მის მიერ შექმნილი ქ. ფოთისათვის უაღრესად საჭირო საპროექტო ორგანიზაცია კი დაშალა.

დეტალური დაგეგმარებისა და გენგეგმის პროექტები თაროზე შემოდო, წინამორბედი მერის მიერ შექმნილი ჭარბი მილიონი კი, საახალწლო „ტაშფანდურს“, სანვავის შეძენას მოახმარა და პრემიებად დაურიგა საკრებულოს წევრებს (ხმოსნებს). ის 380 ჰა „აღნაგობის წესით“ დაუბრუნა ნავსადგურს თანაც „პროცენტებით“: იმ 380 ჰექტარს ქალაქის ფონდის ტერიტორიაც ზღვისპირა ბულვარით ზედ შეაყოლა, როგორც უბრძანეს „უფროსებმა“ ზუგდიდიდან და თბილისიდან. მერიაც დააკომპლექტა ფოთში ნაცმოძრაობის „თვალისა და ყურის“ (როგორც უწოდებდა საკუთარ თავს დ. შურღაია) მითითებების შესაბამისად. აქ შეიძლება ითქვას, რომ ვ. საღინაძემ წარსულში სხვათა „არაჯანსაღი ხედვების“ შედეგების ლიკვიდაცია დაასრულა და საკუთარი „ჯანსაღი ხედვით“ ქალაქზე გადაერთო.

ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ მისი მმართველობის პერიოდში ფოთში მოწესრიგდა ელექტრომომარაგება, წყალმომარაგება, გაიმართა გარე განათება, დაიწყო გაზიფიკირება, თეატრისა და ტაძრის მშენებლობა, მაგრამ ყველაფერი ეს განხორციელდა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ძალისხმევითა და დაფინანსებით, ისევე, როგორ მთელ ქვეყანაში, ასე, რომ ჩამოთვლილი პროექტები. ფოთის ხელმძღვანელთ აქტივში ვერ ჩაეთვლება.

რვა წელიწადი გაატარა ვანომ ფოთის მერისა და საკრებულოს თავმჯდომარის სავარძელში და ბევრი რამ მოასწრო. უფრო სწორად, ბევრი რამ გასაკეთებელი არ გააკეთა და უფრო მეტად აკეთა ის, რაც გასაკეთებელი არ იყო. მივყვით ფაქტებს.

მას შემდეგ, რაც ქუთაისში შინმოუსვლელთა მემორიალი დაანგრიეს, მის ადგილზე პარლამენტისთვის მშენებლობა წამოიწყო და ქუ-



თაისის განაპირა უბანში სპორტდარბაზი ააშენეს, საღინაძემ მსგავსად ამისა ფოთის მემორიალს, კულტურული მემკვიდრეობის ბრწყინვალე ძეგლს ტერიტორია ჩამოაჭრა და იქ საცურაო აუზის მშენებლობა წამოიწყო. მხოლოს იმიტომ, რომ ხელისუფლების მაღალ ჩინოსნებს მალ-თაყვამე გზავალით მისი „ნახელავი“ საცურაო აუზი ენახათ. მართალია მშენებლობა შეწყდა საქართველოში ხელისუფლების შეცვლის შედეგად, მაგრამ მემორიალის კუთვნილი ტერიტორია დღესაც აოხრებულია ისე, როგორც ვანომ დატოვა.

ამავე პერიოდში უგულავამ „ძეგლთა ამოძრავებას“ დაუდო სათავე. თბილისში თამარ მეფის ხიდთან კლდეზე მიჭაჭვული ამირანი მონყვიტა იქაურობას, შემდგომ კი დავით აღმაშენებელი გადაანაცვლა „ვარდების მოედნიდან“ დილომში და სახით დასავლეთისკენ მიმართა, ასე ვთქვათ „ხედვა გაუჭანსალა“ მეფის ქანდაკებას. ჩრდილოეთს განარიდა. გიგის არც ვანო ჩამორჩა. მისი „ჭანსალი ხედვა“ ავად მოხვდა ფოთის ცენტრში აღმართულ კოლხი დედის ძეგლს, ქალაქის უმნიშვნელოვანეს ღირსშესანიშნაობას, რომელიც სახით „საუბედუროდ“, ჩრდილოეთისაკენ იყო მიმართული, ანუ „პოლიტიკურად“ არასწორად ორიენტირებული. ქანდაკება მოისროლეს, კვარცხლბევი მოშალეს.

შემდგომ ამისა, არქიტექტურულ ძეგლებსაც მისდგა.

ჯერ გემთსაშენის კლუბის შენობა გაასხვისა, რომელიც მიანგრ-მონგრის და მიაგდეს და დღემდე ვერ მიაგნეს მყიდველ „ინკოგნიტო – მესაკუთრე ინვესტორს“. იგივე ბედი ეწია ფოთის მოამაგის XX საუკუნის გამოჩენილი მშენებლის ედმონდ ფრიკის მიერ ნიკო ნიკოლაძის მმართველობის პერიოდში აშენებულ მოდერნის სტილში შესრულებულ მნიშვნელოვან არქიტექტურულ ძეგლს ყოფილი უშიშროების სამმართველოს შენობას, რომელიც „ვისოლს“ უბოძა საკუთრებაში ფოთში სავაჭრო ცენტრის აშენების სანაცვლოდ. „ვისოლ-ინვესტორმა“ კი არც სავაჭრო ცენტრი ააშენა და არც ფრიკის შედეგს მოუარა, რომელიც გაიძარცვა და გაპარტახდა.

მოგვიანებით ვანო კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს ძეგლს დაეტაკა. რას უნდა დატაკებოდა ვანო? რა დარჩა ფოთში დასატაკებელი? რა და აგერ ყველაზე დიდი საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობა ყოფილი ჰიდრომელიორაციული ტექნიკუმის უნიკალური შენობა, კოლხეთის საუკუნოვანი ჭაობების დაშრობისა და ათვისების ნიშანსვეტი, რომელშიც 60 წლის განმავლობაში ფუნქციონირებდა ქართველ მელიორატორ-სპეციალისტების სკოლა. სამშენებლო საქმის დიდოსტატის, ფოთის მკვიდრის ივანე ლაღიძის პროექტით და მისივე ზედამხედველობით მკვიდრად ნაგები შენობა, რომელსაც სახურავიც გააჩნდა და კარ-ფანჯრებიც, სართულშუა გადახურვები, ღობე და

ჭიშკარიც. მანამ, სანამ ვანომ თავისი „ჯანსაღი ხედვა“ არ დაასო მას და თავის ახალ „პოლიტიკურ მოყურადე-მწყემსთან“ ბატონ ლემონ-ჯავასთან ერთად არ დააქცია ეს ეპოქალური მნიშვნელობის ძეგლი.

პოსტსალინადის პერიოდშიც, სამწუხაროდ ამ შენობისადმი ინტერესი არც ახალ ხელმძღვანელობას გამოუჩენია, როგორც ამბობენ „კომისიურად“ შეამონმეს და დასანგრევად მიიჩნიეს. ალბათ ტერიტორიის შემდგომი გაყიდვის მიზნით, თორემ დასანგრევი რა სჭირს. აგერ, თბილისში აღმაშენებლის და რუსთაველის პროსპექტებზე მრავალი ძველი შენობების ფასადები შეინარჩუნეს, ხოლო ინტერიერი განაახლეს.

„ორიგინალური კურიოზებიც“ არ იყო უცხო ვანოსათვის. ზუსტ თარიღს ვერ ვიხსენებ, მაგრამ მგონი იმ წელიწადს, როდესაც გიგიმ თბილისში „კომუნისტურ-საბჭოური“ ხანის გამოგონილი დღესასწაული “თბილისობა” ჩაატარა და თავიც დაამახსოვრა საზოგადოებას უზარმაზარ საწნახელში მხარზე ხელიხელგადაკიდული თითქოს ხორუმს ასრულებსო, რამდენიმე თანაგუნდელთან ერთად ლაღად და ენერგიულად რომ ჭყლეტდა ყურძენს, ქვეყნის პრეზიდენტმა ბათთა გაჭრა ფოთის ახალი წყალსადენის გახსნის ნიშნად. მაგრამ ფოთიდან გამგზავრებისთანავე წყალიც გაქრა „პოტიომკინის სოფელივით“ ვარგა ორი წლით. წყალსადენის თავკაცი ოჭოფეს. ვანო კი გადარჩა. ხედვა ჰქონდა ჯანსაღი და იმიტომ.

უგულავას გამოჩენამდე, როდესაც, უნდა ვიფიქროთ, რომ ვანოს ჯერ კიდევ ხედვა არ ჰქონდა მთლად ჯანსაღი, იგი არჩეული იყო ფოთის საკრებულოში საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ და მთელი სამი წლის განმავლობაში აქტიურად უჭერდა მხარს ფოთში თბოელექტროსადგურის მშენებლობას, მაგრამ როდესაც ამ საქმეში ფინანსური დარღვევები აღმოჩნდა, სასამართლო პროცესზე მერია დაზარალებულ მხარედ ცნო. ამ დროს იგი ქალაქის მერად აღზვევებული, „ჯანსაღი ხედვით“ იყო გამორჩეული და იმიტომ, საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე კი ოჭოფეს.

მართალია ვანომ კულტურული მემკვიდრეობის, გამოჩენილი ხეროთმოდღვრებისა და მოქანდაკეების შექმნილი ძეგლები კი დაანოკა ფოთში ისევე, როგორც გიგიმ თბილისში, მაგრამ სანაცვლოდ ფართო მოხმარების საქონელი და უსარგებლო საგნები აქცია ძეგლებად და ის დაგვიტოვა. მაგალითად, გიგიმ ველოსიპედს დაუდგა ძეგლი ვარდების მოედანზე და „ცხვრის კოჭებს“ ორთაჭალაში. ვანომ კი რკინის მილზე წამოასკუპული საათი ყვავილნარით მორთული ვაგზლის მოედნის მიმდებარედ, გზაჯვარედინზე ფოთში. ზარბაზნის ლულა ნიკოლაძის კომპთან. უცნობი ხელოსნების მიერ შექმნილი გაურკვეველი

წარმომავლობის ლომების ქანდაკებები ხიდის თავსა და ბოლოში. რაც განსაკუთრებით განაცვიფრებს ადამიანს, უცნობ ხომალდს ჩამონყვეტილი მის მიერ ძველად ქცეული ღუზაა. ღუზა ზედ ნიკო ნიკოლაძის ძველის პირდაპირ. მართალია მსოფლიოში ეს ერთად-ერთი „ღუზა – ძველი“ ვერ იქცა ტურისტების გრავიტაციის ცენტრად ფოთში, სადაც დღეს ისევე შეუძლებელია იხილოთ გემი, როგორც ვერ იხილავთ მას ხონსა და ჩხორონყუში, საიდანაც „ღუზა-ძველის“ იდეის ავტორები სარინაძე და ლემონჯავა გახლავან წარმოშობით, რომლებმაც, უნდა ვიფიქროთ, ფოთის ნავსადგურის ქალაქისაგან საიმედოდ და მკვიდრად გამოიჯანსაღეს, ზღვისა და გემის არდავიწყების ნიშნად დადგეს ის ღუზა იქ. ასე, რომ გემი ღუზით ინტერნეტსივრცეში იხილეთ, ღუზა-გემის გარეშე ფოთში, შუა ქუჩაში.

ღუზა ვანოს სიმპატიია. ერთი კი არა, ორი ღუზაა გამოსახული ფოთის გერბზე, გერბი კი ფოთის მერიისა და საკრებულოს ბლანკებზე არის აღბეჭდილი. სხვა საქმეა რატომ არის იგი იქ, რას ემსახურება?

ან რატომ არის გემის სამუხრუჭე სისტემის ნაწილი ფოთის გერბზე გამოსახული. ეს ხომ იგივეა, რომ ვანოს მშობლიურ ივანდიდის ცენტრში, იქაური კოლმეურნეობის ჩამონერლი ტრაქტორის სამუხრუჭე ბერკეტი დაიდგას „ძველად“ და შემდეგ იმავე სოფლის გერბზე აისახოს გაორმაგებული ოდენობით, ურმის ბორბლის ფონზე, როგორც წარსულისა და აწმყოს უწყვეტობის სიმბოლო.

„დაწიკვების“ მორიგმა ტალღამ გადაუარა ფოთს „გვიანდელი“ სალინაძის პერიოდში, რეფრენით: „აიღე ავტოფარეხი, თორემ „კოდალა“ მოვა. „კოდალა“ გუგავა არ არის, მხოლოდ ნგრევაზეა ორიენტირებული და ავტოფარეხის მფლობელის, ან სხვა მესაკუთრის ურჩობის შემთხვევაში ექსკლუზიურად ერთვებოდა საქმეში და ნაგებობისაგან ქვას ქვაზე არ ტოვებდა.

მართალია, ამ კამპანიის ინიციატორი სალინაძე არ იყო, მაგრამ არც მას და არც მის შემინებულ საკრებულოს წევრებს პროტესტი არ გამოუთქვამთ ამ ინიციატივის ფრიად საეჭვო, ვოლუნტარისტული მეთოდების გამო. ეს არც არის გასაკვირი. „ნაცმოდის“ თარგით დაკომპლექტებული ვანოს საკრებულო ხომ ერთსულოვნებით იყო გამორჩეული, ისეთი ერთსულოვნებით, როგორიც მხოლოდ სასაფლაოზეა შესაძლებელი.

ვანო სალინაძის საქმიანობა დაფასდა იმით, რომ ფოთის მერებს შორის პირველს მას ხვდა წილად აკადემიკოსის ტიტული. იგი ფაზისის საერო სახალხო აკადემიის ნამდვილ წევრად აირჩიეს, რამაც სტიმული მისცა მას გაეაქტიურებინა „დემოკრატიული ძიებანი“ და 2010 წლის 28 ოქტომბრის განკარგულებით თვითმმართველობის ორგანო-

ების კომპეტენციაში შემავალი საკითხებისა და წინადადებების მომზადების მიზნით საზოგადოებრივი სათათბირო შექმნა და ძირითადად ხსენებული აკადემიის აკადემიკოს-კოლეგებით დააკომპლექტა. თავისი მაგალითით ვანომ ახალი პროვინციალური ტრადიცია დაამკვიდრა ფოთში. ამიერიდან მერები და საკრებულოს თავმჯდომარეები მათ მიერ დაკავებული სავარძლების ხათრით, აკადემიის წევრებად აირჩევიან. დღეს მოქმედი ფოთის საკრებულოს თავმჯდომარე, მისი მოადგილე, სალინაძის შემდგომი მერები დღევანდელის ჩათვლით, ყველანი აკადემიკოსები არიან. თუმცა ძნელი სათქმელია რას ცვლის ეს გარემოება ჩინოსანთა მარგი ქმედების ამაღლების თვალსაზრისით. საზოგადოებრივი სათათბირო კი მოქმედებს: აკადემიკოსებს ამრავლებს, ქალაქის სახელის შეცვლასაც ცდილობს. სხვა მხრივ კი ხან ღობეს ედება, ხან ყორეს, ხანაც წყალს ნაყავს და კიდევ, მერისა და საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობებზე ვანო სალინაძის პერიოდში ფოთის საკრებულოს ორი თავმჯდომარე (მათ შორის ერთი მოქმედი) ოჭოფეს, ყოფილი მერი და მისი მოადგილე ოჭოფეს, ექიმების ჯგუფი და ცალკე ერთი ქალბატონი ექიმი ოჭოფეს, მშენებლები ოჭოფეს, ბიზნესში მომუშავე სამი პირი ოჭოფეს, ერთი პროფესორიც ოჭოფეს, რამდენიმე პოლიციელი ოჭოფეს, ორი პენსიონიერი ოჭოფეს... ეს რაც გამახსენდა. დაჭერები საზოგადოების ფართო ფენებს მოედო, ბატონმა სალინაძემ კი დამნიოკებლების იარლიყი სხვებს მიაკვრა ვარიერის დასაწყისში. საინტერესოა ამჟამად რა აზრისაა? და „ჯანსაღი ხედვა“ უგულავამ რომ მიანიჭა, ხომ არ შეცვლია?

როგორც არ უნდა იყოს, კარგია რომ ამჟამად ფოთთან დაკავშირებული ისტორიული მეხსიერების სალინაძისეული ხელყოფა შეწყვეტილია და იგი „ვანოს ფოთურ ესკიზებში“ დარჩა მხოლოდ, როგორც ავად მოსაგონარი, მავნე პრაქტიკა, რომლის შედეგები მაინც დასაძლევია დღეს.

ირაკლი მონერელია  
09.03.18

## როგორი ნავსადგური გვინდა

- ბატონო ირაკლი, ნავსადგური და მისი მოწყობის პრობლემები მთელი ქვეყნის ყურადღების ცენტრშია, თქვენი აზრი ამასთან დაკავშირებით.

- ქალაქ ფოთის მერიამ თავისი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი გამოხატა 1998 წლის მაისში, მას შემდეგ, რაც განსახილველად გადმოგვიგზავნეს საქართველოს პრეზიდენტის პროექტი „საქართველოს ნავსადგურების შესახებ“, სადაც შეტანილ იყო წინადადება ნავსადგურის სახაზინო საწარმოდ დაფუძნების შესახებ. აქვე მოვითან ჩვენი შენიშვნებისა და წინადადებების ტექსტს, როელსაც ხელს აწერს ქალაქის მერი. „საქართველოს საზღვაო კოდექსის 71-ე მუხლის თანახმად უნდა შეიქმნას ნავსადგურის საზღვაო ადმინისტრაცია, რომელიც დაეჭვემდებარება საქართველოს საზღვაო ადმინისტრაციას და განისაზღვროს მისი უფლება-მოვალეობანი ამავე კოდექსის 76-ე მუხლის შესაბამისად. ამის შემდგომ საზღვაო ნავსადგურის იმ ნაწილს, რომელიც სამეწარმეო საქმიანობას ეწევა (ოპერატორი) განესაზღვროს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა „მეწარმეთა შესახებ“ კანონის თანახმად. ამ კანონის 2-4 მუხლი ითვალისწინებს, რომ საწარმო, გარდა კოოპერატივებისა, რომელშიც 50-ზე მეტი პარტნიორია ან 500-ზე მეტი თანამშრომელი, უნდა დაფუძნდეს მხოლოდ სააქციო საზოგადოების ფორმით. დღეს ფოთის საზღვაო ნავსადგურის თანამშრომელთა რაოდენობა 2500-ს შეადგენს.

გარდა იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ნავსადგურის სახაზინო საწარმოდ დაფუძნებას, პროექტით გათვალისწინებული ფორმით მის დაფუძნებას აქვს რიგი მხარეები, კერძოდ სახელმწიფო სახაზინო საწარმოები კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ თავისი განცალკევებული წონებით, თუ კრედიტორის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად საწარმოს ქონება არ არის საკმარისი, მაშინ მისი მოთხოვნები კმაყოფილდება სახელმწიფო ან ადგილობრივი მმართველოს ორგანოების მიერ (რომლის მიერაც არის დაფუძნებული). ამ შემთხვევაში - სახელმწიფოს მიერ, კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების ძირითადი წყარო არის ხაზინა, საბიუჯეტო სახსრები. სახელმწიფო ხაზინისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება ისეთი მსხვილი საწარმოს ვალდებულებებისათვის, როგორც ნავსადგურია, არ არის მიზანშეწონილი. რაც შეეხება სააქციო საზოგადოებას, განსხვავები სახაზინო საწარმოსაგან, მისი დაფუძნებისას ყოველი აქცია წარმოშობს წევრობის დამოუკიდებელ უფლებას და ამდენად სააქციო საზოგადოების მართვაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ აქციონერები.

ამ შემთხვევაში საქართველოს კანონის „სახელმწიფო პრივატიზების შესახებ“ მე-5 მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად საწარმოს სააქციო



საზოგადოებად დაფუძნების მომენტისათვის მუშაკებს უსასყიდლოდ ერთდროულად გადაეცემათ მთლიანი სანესდებო კაპიტალის 10%-მდე აქციები, მაგრამ არაუმეტეს საქართველოში არსებული მინიმალური ხელფასების ასმაგი ოდენობისა, ერთ მუშაკზე გაანგარიშებით. ამასთან ეს შეღავათები ვრცელდება იმ მუშაკებზე, რომლებისთვისაც სანარმო წარმოადგენს ძირითად სამუშაო ადგილს. იმ პირებს, რომლებსაც მოქმედი კანონმდებლობით უფლება აქვთ დაბრუნდნენ ამ სანარმოში, პენსიონრებს, რომლებიც პენსიაზე გავიდნენ ამ სანარმოდან არანაკლებ 5 წლის მუშაობის შემდეგ.

აგრეთვე იმ პირებს, რომლებიც ამ სანარმოს სააქციო საზოგადოებად დაფუძნებამდე 1 წლით ადრე შეამცირეს და რეგისტრირებული არიან როგორც უმუშევრები, საერთაშორისო ორგანიზაცია (აშშ USAID თავის წარმოდგენილ პროექტში ითვალისწინებს ნავსადგურის სააქციო საზოგადოებად დაფუძნებას. ვინაიდან იგი თავისი ბუნებით მოქნილი ფორმა ინვესტიციების მოსაზიდად. ინვესტიცია ნიშნავს დიდ შესაძლებლობებს ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარებაში. ყოველივე ეს შეესაბამება ქ. ფოთის ინტერესებს.

ფოთის ნავსადგურის სააქციო საზოგადოებად დაფუძნებისათვის გატარდა დიდი მოსამზადებელი სამუშაოები, რასაც ადასტურებს ტრანსპორტის სამინისტროს 1997 წლის 30 მაისის კოლეგიის სხდომის გადანყვეტილება. უფრო ადრე 1994 წელს ნავსადგური გატარდა რეგისტრაციაში როგორც სააქციო საზოგადოება (ქ. ფოთის მერის 11 აპრილის N163 განკარგულება) თუმცა ფაქტობრივი აქციონიორება არ მომხდარა.

საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 17 აგვისტოს N541 ბრძანებულების მე-15 მუხლით დაევალა საქართველოს საგარეო ურთიერთობათა სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, ტრანსპორტის სამინისტროს ხელი შეუწყონ ნავსადგურის გარდაქმნის გზით შექმნილ სააქციო საზოგადოებებს მათი განვითარებისათვის საჭირო სახსრების და პოტენციური ინვესტორების მოზიდვისათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია ჩვენი შენიშვნები პრეზიდენტის ბრძანებულების პროექტში და მისი 1 და მე-2-ე ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. „საქართველოს ტრანსპორტის სამინისტრომ (მ. ადგიმვილი) და საქართველოს საზღვაო ადმინისტრაციამ (დ. ცინცაძე) ერთი თვის ვადაში უზრუნველყონ ფოთის ნავსადგურის საზღვაო ადმინისტრაციის შექმნა, საქართველოს საზღვაო კოდექსის შესაბამისად“.

2. „საქართველოს ტრანსპორტის სამინისტრომ (მ. ადგიმვილი) და სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ (ა.

სილაგაძე) ერთ თვეში უზრუნველყონ ფოთის ნავსადგურის სააქციო საზოგადოებად რეგისტრაციის პროცესის დასრულება, „მენარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად“.

ამრიგად, როგორც ვხედავთ ჩვენი პოზიცია მთლიანად ეფუძნება მოქმედ კანონმდებლობას, რომელიც ციტირებულია ჩვენს პასუხში და დაინტერესებულ მკითხველს სრულ წარმოდგენას აძლევს იმ უპირატესობებზე, რომელსაც შეიცავს სააქციო საზოგადოება, როგორც ცალკეული ინდივიდისათვის, ასევე საწარმოს (სატრანსპორტო ორგანიზაციის) სასარგებლოდ.

**- ბატონო ირაკლი, შემდეგ რა მოხდა?**

- შემდეგ მოხდა ის, რომ წინადადება სახაზინო საწარმო ნავსადგურის დაფუძნების თაობაზე არ გავიდა და სააქციო საზოგადოებად დაფუძნების მოწინააღმდეგეებმა 1998 წლის ივნისში მოახერხეს ზემოხსენებული კანონის „მენარმეთა შესახებ“ 2-4 მუხლში ცვლილებების შეტანა და დღევანდელი რედაქციით კანონი სავალდებულოდ არ თვლის რომელიმე საწარმოს სააქციო საზოგადოებად დაფუძნებას არც მაშინ, არც დღეს, ვისაც ოდნავი შეხება ჰქონია ნავსადგურის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის განსაზღვრის საკითხთან, ეჭვი არ შეპარვია იმაში, რომ ხსენებული ცვლილება სპეციალურად, მიზანმიმართულად შეიტანეს კანონში, ნავსადგურის გამო.

**- ამბობენ, ეს იმიტომ გაკეთდა, რომ ნავსადგურის ქონება დაცული იყოს გაყიდვისაგან.**

- ეს ასე არ არის, ეს აზრი გაავრცელეს აქციონერების მოწინააღმდეგეებმა, თავიანთი ჭეშმარიტი მისწრაფებების შესანიღბად და იმის მიუხედავად, რომ ფართო საზოგადოებრიობა მოქმედ კანონმდებლობას არ იცნობს და საბჭოური მენტალიტეტით ენდობა იმას, რასაც „უფროსები“ ამბობენ.

**- ხომ არ დააკონკრეტებდით თქვენს აზრს?**

- დაინტერესებულ მკითხველს ვურჩევდი გაეცნოს საზღვაო კოდექსის 76-ე მუხლს, რომლის მიხედვით არ „იყიდება“ ის, რაც გაყიდვას არ ექვემდებარება. ესაა მოლი, დამცავი ჯებირი, გემმისადგომები, აკვატორია, ნავსადგურის ფლოტი, მაშუქები, კავშირგაბმულობის სისტემა და კიდევ ბევრი რამ. ყოველივე ეს სახელმწიფო ხელში რჩება და მის პატრონობას სახელმწიფო კისრულობს ნავსადგურის საზღვაო ადმინისტრაციის მეშვეობით. კანონში ასეა.

**- იქნებ გვითხრათ, 26 მილიონად ამერიკელებმა რა ქონება შეაფასეს?**

- 26 მილიონად შეაფასეს ნავსადგურის ქონების ის ნაწილი, რომელიც პრივატიზაციას ექვემდებარება: სანყობები, მცირე და დიდი მექა-

ნიზაცია, ავტომეურნეობა და ზოგი სხვა. ქონება, რომელსაც ტექნიკური დონის დღევანდელი გადასახედიდან „ხარა-ხურა“ შეიძლება ვუწოდოთ. ნურც ის დაგვაზინყდება, რომ ამერიკელებს დეკრეტი არ გამოუციათ გინდა თუ არა 26 მილიონად შეაფასეთო საწესდებო კაპიტალი. ეს მათი შეფასება კონკრეტული ინვესტორის მოსაზრებას ეფუძნებოდა და მისი გადახედვა თუნდაც სხვა ასპექტშიც არც ახლა არის გვიან.

**- ბატონო ირაკლი, მაშ რატომ დაინუნეს აშშ USAID-ის პროექტი და რატომ გადანყვიტეს ნავსადგურის ინსტიტუციონალური მოწყობის გზით წასვლა?**

- მე გახლდით საპარლამენტო მოსმენაზე, რომლის წინაშე წარსდგნენ მოხსენებით ამერიკული პროექტის ავტორები, და უნდა გითხრათ, რომ არც ერთ ორატორს იგი არ დაუნუნებია. რადგანაც ამერიკელების პროექტით უნდა მომხდარიყო მართვის უფლების გასხვისება 30 წლით, რაც არ ითვალისწინებდა ქონების გაყიდვას, ამდენად პროექტი არსებითად მოიწონეს, მაგრამ მოგვიანებით ამერიკული პროექტი მიუღებელი აღმოჩნდა იმათთვის, ვინც ნავსადგურის სააქციო საზოგადოებად დაფუძნების მოწინააღმდეგეა, ამოტომაც შემოუარეს საკითხს სხვა მხრიდან; თუმცა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შერჩევას მაინც ვერსად გავეცევით, ვერანაირი ინსტიტუციონალური მოწყობა ვერ გადანყვიტეს საკუთრების საკითხს, აკი ფაქტიც სახეზეა, როცა ინსტიტუციონალური მოწყობის ფარგლებში განიზრახეს ნავსადგურის საზღვაო ადმინისტრაციის კერძო სამართლის სუბიექტად ჩამოყალიბება, იმთავითვე შევიდნენ წინააღმდეგობაში მოქმედ კანონმდებლობასთან. შეეცადნენ საზღვაო კოდექსში ცვლილებების შეტანას და, რამდენადაც დაუჭერებლად უნდა გვეჩვენოს ამ საკითხის ერთ-ერთ ინიციატორად ფოთის მაჟორიტარი დეპუტატი პეტრე ბერაია მოგვევლინა. შედეგად მიიღეს სკანდალი.

ეს თემა ვრცლად გაშუქდა „სახალხო გაზეთში“ (9-15 თებერვალი N174), ფოთის საკრებულოს სხდომაზე და უფრო დაწვრილებით ამაზე აღარ შევჩერდები. დავძენ მხოლოდ, რომ ყველა რანგის ჩინოსნის მოქმედება, რომელიც მიმართულია მოქმედი კანონმდებლობის შესაცვლელად მისთვის სასარგებლო სქემებზე მორგების მიზნით, ამასთანავე მალულად, ქვეტექსტებით, შინაურ ურთიერთობებზე დაყრდნობით და საბოლოო ჯამში ჯგუფური ინტერესების დაკმაყოფილებისათვის, უცილობლად გამოიწვევს შესაბამისად მწვავე რეაქციას საზოგადოებაში. სააქციო საზოგადოებად დაფუძნების მოწინააღმდეგეები კარგად უნდა ჩაუფიქრდნენ იმას, რომ ამით ხელყოფენ ნავსადგურის პერსონალის (და არა მარტო პერსონალის) კანონით მინიჭებულ უფლებებს.

**- თქვენ ხშირად ახსენებთ მოწინააღმდეგეებს, ვინ არიან და სად არიან ისინი?**

- სადღა არ არიან, ზოგიერთ სამინისტროში, პარლამენტში, ნავსადგურში, ნავსადგურის გარშემო „მოფუსფუსე“ სტრუქტურებში. „სახალხო გაზეთის“ რედაქტორი ასახელებს ვინმე ბატონ „ა“-ს, მე დავამატებდი და ვიტყვოდი რომ ეს არის ბატონი „ა-ე“ თუ „პოლემიკედესის“ საზომით მივუდგებით ნელ-ნელა ამ სახელის გაშიფვრაც შეიძლება.

**- ხომ არ თვლით, რომ ნავსადგურის საკითხში ბევრი ხალხია ჩარეული?**

ამას წინათ მერიაში გამართულ თათბირზე, რომელსაც მიხეილ მაჭავარიანი ესწრებოდა, ბატონმა პეტრე ბერაიამ მოითხოვა, რომ საკითხი სპეციალისტებმა გადაწყვიტონ.

- მოითხოვა და კატეგორიულადაც, განყრომით (მთლად პატიაშვილის სტილში), თანაც ფოთელების საყურადღებოდ, თუმცა არ დაუკონკრეტებია რა სპეციალისტები ჰყავდა მხედველობაში, საკითხი რაშიც ენერგიულად ჩაერია საკრებულო აღმოჩნდა, რომ სავსებით კომპეტენტურადაც ჩაერია.

**- იმავე შეხვედრაზე და სხვა დროსაც პარლამენტარმა პეტრე ბერაიამ აღნიშნა, რომ ნავსადგურის უფროსი დანიშნოს პრეზიდენტმა, თქვენი აზრი?**

- საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა გამორიცხავს მათ საქმიანობაში პრეზიდენტის ჩარევას, თუ ნავსადგურის დღევანდელი უფროსი პრეზიდენტმა დანიშნა, ეს იმიტომ მოხდა, რომ ნავსადგურს არ გააჩნია კანონმდებლობით გათვალისწინებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა და არა იმიტომ, რომ ეს კარგია და ასე უნდა იყოს მუდამ. ჩემი აზრით, ფოთის მაჟორიტარი დეპუტატის გამონათქვამი ან წარსულზე ნოსტალგიის გამოძახილია (როცა არსებობდა ნომენკლატურა და კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, რუბეროიდის ქარხნის დირექტორს თუ ნავსადგურის უფროსს ყველას ცვ ნიშნავდა), ან იქნებ ჩაფიქრებული აქვს რაღაც საკანონმდებლო აქტის შექმნა, რომელიც ასეთი უფლებებით პრეზიდენტს აღჭურვავს.

**- იმავე თათბირზე და უფრო ადრეც ბატონმა პ. ბერაიამ აღნიშნა, რომ იგი ტანდემში მოქმედებდა ი. ზოდელავასთან, თქვენს მიერ ციტირებული დოკუმენტი კი იმაზე მეტყველებს, რომ ნავსადგურის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის თაობაზე მათ საპირისპირო აზრი ჰქონდათ.**

- ასე გამოდის, რამეთუ ტანდემი ნიშნავს ერთი გუნდის ორი მოთამაშის ერთ ხაზზე მოქმედებას, ამ საკითხში კი სხვაგვარად არის საქმე. ჩვენი მაჟორიტარისათვის მოახლოებული არჩევნების ფონზე მომგებიანი არის საკუთარი თავი მოიაზროს გამარჯვებულის (ი. ზოდელავას) მარხილში და ეს აზრი საჯაროდ დააფიქსიროს. აბა ი. ზოდელავა ნ. ნადარა-

იასავით მეორეხარისხოვან თანამდებობაზე რომ გადაეყვანათ, საეჭვოა პ. ბერაიას მასთან ურთიერთობის დასახასიათებლად სპორტული ტერმინი ტანდემი გახსენებოდა.

**- პრესაში გაჩნდა კრიტიკული შენიშვნები, ნავსადგურის მოწყობის თაობაზე, საკრებულოს წევრების ა. სმირბასთან ურთიერთობის შესახებ. რას იტყვით ამის თაობაზე?**

- მართალი გითხრათ არ ვიცი ვინ ვისთან იყო და საერთოდ იყო თუ არა, მაგრამ გამოცდილების გასაცნობად დღეს უფრო შორსაც დადიან (მაგალითად განათლების ყოფილმა მინისტრმა ამ მიზნით ჩილე და ახალი ზელანდია მოიარა) ა. სმირბას პირადად არ ვიცნობ, მაგრამ ვიცი, რომ იგი ქ. ბათუმის მერი და ბათუმის ნავსადგურის უფროსია. რატომ უნდა იყოს მასთან ურთიერთობა განგაშის ბარების ჩამორეკვის საბაბი.

**- თქვენთვის ალბათ ცნობილია, რომ ნავსადგურელთა მიმართვაში ქვეყნის პრეზიდენტისადმი, სწერია, რომ ნავსადგური სახელმწიფო საკუთრებაა და მის პრივატიზებაზე საუბარიც ვი, არა მხოლოდ უკანონობაა, უმეცრების და უზნეობის გამოვლინებაა. როგორი იქნება თქვენი კომენტარი?**

- საკმაოდ არაკორექტული და მცდარი ფორმულირებაა, როდესაც ღია წერილის ადრესატი ქვეყნის პირველი პირია, ხოლო ხელმომწერი „კოლექტივი“ ტონის შერჩევას მეტი დაკვირვება უნდა. ემოციურობა და გაღიზიანება არ შეეხება ასეთ დოკუმენტს. მე ისევ გავიმეორებ, რომ „კანონი სახელმწიფო პრივატიზების შესახებ“ ნავსადგურის მიმართ პრივატიზაციის აკრძალვას არ ითვალისწინებს. დღესდღეობით ასეა. ამდენად, პრივატიზებაზე საუბარი კანონიერიც არის და მწიფობრივად გამართლებული. სხვათაშორის, არც ის უნდა დაგვაზიწყდეს, რომ ნავსადგურის პრივატიზაციაზე საუბარს დასაბამი ქვეყნის პრეზიდენტმა მისცა, ჯერ კიდევ აშშ-ში ვიზიტის დროს, რასაც შედეგად USAID-ის პროექტი მოყვა, რომელიც ნავსადგურის მართვის უფლების პრივატიზაციას, ანუ გასხვისებას ითვალისწინებს და არა ქონების გაყიდვას. ნავსადგურელთა წერილიც ნავსადგურის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ძიების პროცესის შემადგენელი ფრაგმენტია, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ემოციები დაცხრება და სწორი გადაწყვეტილებაც მოიძებნება.

**- გამაღობთ საინტერესო საუბრისათვის.**

ესაუბრა დალი თორდინავა  
გაზეთი "ფოთის უწყებანი"- (27 მარტი -1999 წელი)



## ქალაქში გასათარჯებელ სამედიცინო და ნაპირდაცვით გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ

ექვსი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ქალაქში შეწყდა სამედიცინო-ციო, ნაპირდაცვითი ღონისძიებები. არსებული სამედიცინო და ნაპირდაცვითი სისტემები მოუვლელობის გამო მწყობრიდან გამოვიდა, სამოქალაქო ომის პერიოდში კი საგრძნობლად გაიძარცვა.

ასე, მაგალითად მთლიანად მოიშალა ქალაქში გამავალი პულპმდენი და მძლავრი გადამტუმბავი აგრეგატები, რასაც შედეგად მოჰყვა ის, რომ ზღვის სანაპირო ზოლის ინტენსიური რეცხვის უბანზე ციტრუსების მეურნეობიდან სამხრეთ მოლამდე შეწყდა პლაჟნარმომქმნელი მასის მიწოდება, დაირღვა ბუნებრივი ბალანსი და ადრე შექმნილი პლაჟი ზღვამ მთლიანად წარეცხა. 1996-1997 წლებში შტორმული ამინდის დროს კი ალაგ-ალაგ დაანგრია დამცავი ბეტონის ჯებირი და ტროტუარი.

როგორც ცნობილია, ქალაქის შემოსასვლელთან საომარი მოქმედებების შედეგად დაზიანდა წყალგამყოფი კვანძი, მოიშალა რაბების ამწევი მექანიზმები და იგი ფაქტობრივად ავარიულ რეჟიმში მუშაობდა, რაც იმას გულისხმობს, რომ მდინარე რიონის ძირითადი ნაკადი მთლიანად მიედინებოდა ყულევისაკენ ქალაქში გამავალი ტოტი კი ღებულობდა შემცირებულ ხარჯებს, რამაც გამოიწვია ამ ტოტის მნიშვნელოვანი მოლამვა და შეამცირა შექურასთან ზღვის შესართავთან ნატანის მიწოდება. დინების სიჩქარის შემცირების გამო, ზღვის მოქმედების შედეგად გაისილა რიონის არხის მაცხენა ტოტი, რომელიც შემდგომში დაჭაობდა და ანტისანიტარულ კერას წარმოადგენს. ამჟამად ქალაქში გამავალი ტოტი არ შეესაბამება საპროექტო სიმძლავრეს და ნაცვლად 360-400 კუბ.მ./წამში ძლივს ატარებს 250 კუბ.მ.-ს.

დღეისათვის წყალგამყოფი კვანძი აღდგენილია, რაც შესაძლებელს ხდის ქალაქში გამავალი რიონის ტოტის საპროექტო პროფილში მოყვანას.

მდინარე ვაპარტინამ გაიკეთა ახალი კალაპოტი ზღვასთან შეერთების უბანზე და ინტენსიურად რეცხავს მალთაყვის ფიჭვნარს საკურორტო ზოლში, ემუქრება წარეცხვით ფოთი-ბათუმის საავტომობილო გზას, ორი კილომეტრის მანძილზე მიუვალი გახდა ზღვის სანაპირო ზოლი და დაარღვია არსებული ლანდშაფტი.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ კოკისპირული და ხანგრძლივი წვიმების დროს ზაფხულსა და შემოდგომით ქალაქის კუნძულის უბნის დიდი ნაწილი იტბორება და სერიოზულ ზიანს აყენებს მოსახლეობას.

ამის მიზეზი არის სანიაღვრე კანალიზაციის დაპროექტებისას დაშვებული შეცდომები, არ არის გათვალისწინებული ატმოსფერული ნალექების ინტენსივობის ფაქტორი, არ არის გადანყვეტილი სანიაღვრო კანალიზაციის ზღვასთან მიერთების უბანზე სამხრეთ მოლთან ნებისმიერ ამინდში მისი გარანტირებულად ჩაშვება ზღვაში.

როგორც ცნობილია, ფეკალური კანალიზაციის მშენებლობა დაუმთავრებელი დარჩა, ამის გამო ქალაქის ცენტრალური უბნის ერთი ნაწილი არ არის უზრუნველყოფილი ფეკალური წყლების გაყვანით, რის გამოც იგი იღვრება ქუჩებსა და ეზოებში და ქმნის ანტისანიტარიის მუდმივ კერებს.

დღევანდელი სხდომისათვის საკითხის მომზადებას წინ უძღვოდა კონსულტაციები „საქწყალპროექტის“ (დირექტორი გ. ფალავანდიშვილი), „საქნაპირდაცვის“ (უფროსი ვ. საყვარელიძე), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წყალთა მეურნეობისა და საინჟინრო ეკოლოგიის ინსტიტუტის (დირექტორი ც. მირცხულავა), ფოთიქალაქპროექტის (დირექტორი გ. ქანდარაია), კოლხეთმშენის (უფროსი გ. ხაინდარავა), ნავსადგურის (უფროსი ვ. გეგიძე), „საქწყალექსპლუატაციის“ სპეციალისტებთან, მსოფლიო ბანკის მისიის წარმომადგენლებთან. პროექტმა აპრობაცია გაიარა მელიორაციის საკითხთა საქალაქო კომისიაზე.

მიჩნეულია, რომ წარმოდგენილი საკითხები ქ. ფოთის პრობლემური საკითხების უმწვავესთა რიგს განეკუთვნებიან და გადაუდებელ გადანყვეტას საჭიროებენ.

ამასთან აღსანიშნავია, რომ ქალაქში გამავალი პულპმდენისა და გადატუმბავი აგრეგატების აღდგენა დიდძალ მატერიალურ და ფინანსურ დანახარჯებს მოითხოვს. წინასწარი გაანგარიშებით მთელი სისტემის რეაბილიტაციას დაჭირდება 3 მილიონამდე ლარი, ხოლო ასამუშავებლად არანაკლებ 3 მეგავატი ელექტროენერგია საათში. საკითხი „საქნაპირდაცვის“ ხელმძღვანელობის მიერ დაყენებულია ქვეყნის ხელმძღვანელობის წინაშე მისი ცენტრალური ბიუჯეტიდან დაფინანსების მიზნით.

ასეთ ვითარებაში ერთადერთ აუცილებელ ღონისძიებად, რომელიც შესაძლებელს გახდის ნაპირწარმომქმნელი პროცესების გაძლიერე-

ბას და ზღვის სანაპიროს წარეცხვისაგან დაცვას წარმოადგენს ქალაქში გამავალი მდინარე რიონის ტოტის (არხის) წყალგამყოფი კვანძიდან ზღვამდე საპროექტო პროფილში მოყვანა იმ ვარაუდით, რომ მისმა კალაპოტმა შეძლოს წამში 360 კუბური მეტრი წყლის ხარჯის გატარება, რაც უზრუნველყოფს სანაპირო ზოლის ზღვის წარეცხვით მოქმედების მინიმუმამდე დაყვანას. ამასთან უნდა გაინჰინდოს არხის მარცხენა ტოტი და აღსდგეს ნიკოლაძის კუნძული. „ფოთიქალაქპროექტის“ შეფასებით-საპროექტო დოკუმენტაციის შედგენას სჭირდება 14 ათასი ლარი, ხოლო ამონმენდა-დადრმავეების სამუშაოთა შესრულებას - 850-950 ათასი ლარი. იმის გათვალისწინებით, რომ დიდი კუნძულის უბანში ნაპირგამაგრების სამუშაოთა წარმოება პირდაპირ უკავშირდება ნავსადგურის რეკონსტრუქციის სამუშაოებს, ამ საწარმოს ხელმძღვანელობა კისრულობს რიონის საპროექტო ნიშნულებში მოყვანისა და სანაპიროს დანგრეული უბნის აღდგენის სამუშაოების დაფინანსებას.

საპროექტო დოკუმენტაციის შედგენას დააფინანსებს „საქწყალმშენი“ (გ. დოლუა), ბიუჯეტის წილობრივი მონაწილეობით.

მდინარე კაპარჯინას წარეცხვითი მოქმედების აღსაკვეთად მალთაყვის უბანში მიჩნეულია მისი ახალი კალაპოტის გადაკვეთა ქვაყრილის ზღუდარით და ზღვასთან შემაერთებელი ძველი კალაპოტის სრულყოფილად აღდგენა. ამ სამუშაოს პროექტი და ხარჯთაღრიცხვა შედგენილია „ფოთიქალაქპროექტის“ მიერ. მშენებლობის ღირებულება 131 ათას ლარს შეადგენს, მისი დაწყება გათვალისწინებული იყო 1997 წლის ბიუჯეტის გეგმით.

სანიაღვრე კანალიზაციის დაპროექტების დროს დაშვებული შეცდომების აღმოფხვრის მიზნით „ფოთიქალაქპროექტმა“ უნდა მოახდინოს მისი კორექტირება. მეორე მხრივ მიმდინარე წელსვე უნდა გადაწყდეს დიდი კუნძულის უბანში სანიაღვრე კანალიზაციის არხის შეერთება ზღვასთან იმ ვარაუდით, რომ პიკის პერიოდში უზრუნველყოს წყლების ჩაშვება ზღვაში. ღონისძიება ითვალისწინებს ლითონის მილით წყლის ზღვაში ჩაშვებას, რაც არ არის დაკავშირებული დიდ ფინანსურ დანახარჯებთან და ამ თანხას გაიღებს ნავსადგური, სამუშაოს კი ასრულებს „კოლხეთმშენი“.

ფეკალური კანალიზაციის მშენებლობას თავის დროზე აწარმოებდა „კოლხეთმშენი“, საპროექტო დოკუმენტაციაც მას გააჩნია. N1 ჭის

მშენებლობა და მისი ჩართვა ერთიან სისტემაში გამორიცხავს ქალაქის ცენტრის მჭიდროდ დასახლებულ ნაწილში ფეკალური მასის დაღვრებს, მოგვცემს იმის საშუალებას, რომ ქალაქის ცენტრის საცხოვრებელი ფონდი მთლიანად ჩაერთოს მასში. ეს სამუშაოები ფინანსდება საბიუჯეტო სახსრებით. აშკარად არსებობს რეალური შესაძლებლობა ამ მშენებლობის მსოფლიო ბანკის კრედიტით დაფინანსებისა, რაზედაც უნდა იქნას აღებული აქცენტი.

ზემოაღნიშნული სამელიორაციო და ნაპირდაცვითი ღონისძიებების გატარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მის კვალიფიცირებულად გადანიჭვებაზე, სამუშაოთა სწორ ორგანიზაციასა და ხარისხოვნად შესრულებაზე, რაზეც პასუხისმგებლობა ეკისრებათ როგორც უშუალოდ შემსრულებელ ორგანიზაციებს, ასევე ერთიან დამკვეთსაც. იმის გათვალისწინებით, რომ ეს სამუშაოები სპეციალიზირებულ სამშენებლო ორგანიზაციების ძალისხმევას საჭიროებენ, მათი შესრულებაც სწორედ ამ ორგანიზაციებს ეკისრება. დასახული ღონისძიებების დროულად გატარება მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ქალაქში ეკოლოგიურ და მთლიანად მელიორაციულ ვითარებას, შექმნის სოციალურ წინამძღვრებს ამ სამუშაოთა შემდგომი ეტაპის განსახრციელებლად.

01.07.97.

## სანიადვრე კანალიზაციის ექსპლუატაციის სრულყოფისა და ქალაქში მელიორაციული ვითარების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

ქალაქ ფოთის ტერიტორია და მისი შემოგარენი მელიორაციული თვალსაზრისით ურთულეს და უმძიმეს რეგიონს წარმოადგენს, რომელსაც ქვეყნის მასშტაბით ანალოგი არ მოეპოვება.

არსებული მდგომარეობა ძირითადად განპირობებულია ქალაქის ბუნებრივ-გეოგრაფიული ფაქტორებით, კერძოდ, ტერიტორიის უწრეტი, ვაკე რელიეფით, გრუნტის წყლს სიახლოვით ნიადაგის ზედაპირთან, დაბალი ჰიდრომეტრიული ნიშნულებით, არამდგრადი ნიადაგ-გრუნტებით, უხვი, მაღალი ინტენსივობის ნალექებით, დასავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთის მიმართულების ძლიერი ქარებითა და თანმხლები შტორმული პროცესებით. უკიდურესად დაძაბულ მელიორაციულ ვითარებას კიდევ უფრო ამძიმებს ზოგიერთი ანტროპოგენური ზემოქმედებები გარემოზე.

ქალაქის ტერიტორიიდან მოსული ატმოსფერული ნალექების გავლენას ემსახურება ძირითადად ღია ნაწილობრივ, დახურული არხთა სანიადვრე კანალიზაცია, რომლის საერთო სიგრძე 160 კმ-ს შეადგენს და მოქმედებს მექანიკური წყალსატუმბი დანადგარების მეშვეობით.

სანიადვრე კანალიზაციის დანიშნულებაა დაიცვას დასახლებული უბნები დატბორვისაგან, სისტემამ უნდა უზრუნველყოს ატმოსფერული წყლების შეგროვება არხებში და მისი გადინება წყალმიმღებამდე ისე, რომ გამორიცხული იყოს ქალაქის უბნების დატბორვა. სანიადვრე კანალიზაციის განტვირთვა უნდა მოხდეს დროის მოკლე მონაკვეთში ნალექების მოსვლის შემდეგ. სანიადვრო წყლების დაბინძურებამ არ უნდა გამოიწვიოს ნეგატიური ზემოქმედება მდინარეებსა და ზღვაზე.

ქალაქის სანიადვრე კანალიზაცია ნალექიან პერიოდში, განსაკუთრებით ზაფხულსა და შემოდგომით, რომლებიც ხასიათდება ნალექების მაღალი ინტენსივობით, ვერ უზრუნველყოფს მოსული ნალექების დროულად გაყვანას ქალაქის ტერიტორიიდან, რაც იწვევს ქუჩების, დასახლებული პუნქტების, საცხოვრებელი სახლების სარდაფებისა და პირველი სართულების დატბორვას, რითაც მნიშვნელოვან ზიანს აყენებს მოსახლეობას, კავშირგაბმულობას, ენერგოსისტემის კომუნიკაციებს, წყალმომარაგების სისტემას, ფეკალურ კანალიზაციას; მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმდება იმ პერიოდში როდესაც კოკისპირულ წვიმებს თან ერთვის დასავლეთის, სამხრეთ დასავლეთის ქარები, რომლებიც განაპირობებენ ზღვის დონის აწევას, რაც საერთოდ შეუძლებელს ხდის წყლის მიღებას დამშრობი ქსელიდან, რაც იწვევს ხანგრძლივი დროით ტერიტორიის დატბორვას.



მთლიანად სანიაღვრე კანალიზაცია ხელმიშვებულ მდგომარეობაშია. კოლექტორები და წყალშემკრები არხები, ხიდბოგირები, ზოგიერთი მსხვილი წყალსადინარი (მალთაყვას სრუტე) და მათზე განლაგებული ნაგებობები არავის ბალანსზე არ ირიცხება. (მართო ბეტონით მოპირკეთებული ქსელის საბალანსო ღირებულება ხუთ მილიონ ლარზე მეტს შეადგენს). და მოვლა--პატრონობის გარეშე არის დარჩენილი. არხები ხშირად ამოვსებულია ნატანითა და მყარი ნარჩენებით, მენაშენეთა მიერ მიტოვებული ინერტული მასალებით სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნაგვით. ბეტონის ფილები და ელემენტები დამსხვრეულია ან ჩაფლულია გრუნტში, სისტემა ხშირად გარღვეულია წყალსადენის მილებით და გადასასვლელებით.

ზოგიერთ ქუჩებსა და გზებზე სართოდ არ არსებობს არხების სისტემა (დავით აღმაშენებლის პროსპექტი). წვიმის წყალი გროვდება ტროტუარებსა და ქუჩების კუთხეებთან, სადაც წყალი დგება მანამ, სანამ არ აორთქლდება, ან არ შეინოვება გრუნტში.

დამატებით პრობლემებს ქმნიან ის საცხოვრებელი უბნები, რომლებიც უზრუნველყოფილნი არიან სასმელი წყლით, მაგრამ არ არიან მიერთებულნი ფეკალური კანალიზაციის სისტემასთან. ასეთი სიტუაციის გამო საყოფაცხოვრებო წყლები პირდაპირ ჩაედინება მდინარეებსა და ზღვაში ყოველგვარი გადამუშავებისა და განმუხდის გარეშე (ასეთი ვითარებაა ყოფილი სამხრეთი ტოტის ადგილზე არსებულ არხებზე და მიმდებარე ტერიტორიაზე).

სერიოზული პრობლემებია სანიაღვრე კანალიზაციის დახურულ სისტემაშიც. დახურული ქსელი არ იწმინდება, მათი გამტარუნარიანობა საგრძნობლად არის შემღუდული, ცალკეულ შემთხვევებში კი ადგილი აქვს სრულ დახშობასაც. ასეთი მდგომარეობა აღინიშნება აკაკის ქუჩაზე, რკალზე და განსაკუთრებით ლოლუას ქუჩასა და სამეგრელოს მოედანზე. სავალალო მდგომარეობაშია ქსელის წყალმიღები ჭები, რომელთა რაოდენობა 90-ს აღწევს. მეტწილად მათ არ გააჩნიათ ცხაურები, ჩამტვრეულია და ნაგავსაყრელად არის ქცეული, რის გამო საკმაოდ დიდი ნაწილი ძირეულ რეკონსტრუქციას საჭიროებს (მაგალითად, გიორგი ჭანტურიას ქუჩაზე).

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სანიაღვრე კანალიზაციის პროექტირებისას დაშვებულია შეცდომა, რაც მდგომარეობს იმაში, არ იქნა გათვალისწინებული ფოთისათვის დამახასიათებელი მოსული ნალექების მაღალი ინტენსივობის ფაქტორი, რომელიც განაპირობებს ისეთი ექსტრემალური პირობების შექმნას, რომ სანიაღვრე ქსელის გაბარიტები არხების იდეალური მდგომარეობის დროსაც კი ვერ უძლებენ მოსული ნალექების დროულად გაყვანას ქალაქის ტერიტორიიდან. ასეთ ვითარებაში სატუმბი სადგურების წარმადობა გაცილებით მეტია, ვიდრე არხთა სისტემაში წყლის მოღინების სიჩქარე და ამ მიზეზით სიტუაციის განტვირთვას ვერც ისინი უზრუნველყოფენ.

ქალაქის ტერიტორიიდან სანიაღვრე წყლების დროულად გაყვანა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სატუმბო სადგურების გამართულ მდგომარეობაზე. ელექტროენერჯის გამორთვის პირობებში მათი მოქმედების ეფექტზე საუბარი ზედმეტია. არც ერთ სადგურს ოთხიდან არ გააჩნია ავტონომიური ელექტრომომარაგება.

მთლიანად სანიაღვრე კანალიზაცია არაღამაკმაყოფილებლად მუშაობს. ამის შედეგად იტბორება ქალაქის ყველა უბანი. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა იქმნება ლოლუას, გიორგი ჭანტურიას, ნინოშვილის, აკაკის, ლიეპაიას, მიქაბერიძის, ლაგრანჟეს, რეკვავას ქუჩებსა და 9 აპრილის ხეივანში. მალთაყვაში კი ხელოვნურმა სრუტემ კალაპოტი შეიცვალა და წყალმა 20 ჰექტარი პლაჟი წარეცხა.

სანიაღვრე კანალიზაციის მოვლა-პატრონობის არსებულმა პრაქტიკამ, როდესაც სისტემის ექსპლუატაციის სამუშაოები ევალუბათ (ისიც შემთხვევიდან შემთხვევამდე), ცალკეულ სამეურნეო ორგანიზაციებს და მოსახლეობას - შედეგი არ მოგვცა, ძირითადად შესასრულებელი სამუშაოების სპეციფიურობის, დიდი მოცულობის, შრომა-ტევადობის და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აუცილებელი სისტემურობის დაუცველობის გამო.

ქალაქის ღია და დახურული სანიაღვრე არხების საერთო სიგრძე, რომლებიც მოითხოვენ სისტემატურ განმენდას და რომელშიც წვიმის წყალი თვითდინებით მიედინება 41548 მეტრს შეადგენს. აქედან 11500 მეტრი მოითხოვს ყოველთვიურ, 29988 მეტრი კი სამ თვეში ერთხელ განმენდას. მართო ყოველთვიურად გასანმენდ არხთა ქსელში დალექილი მასის მოცულობა 578 კუბ.მ. შეადგენს.

მართო ნაბადის უბნის სანიაღვრე კანალიზაციის წესრიგში მოყვანას და მის შენარჩუნებას 2-3 წლიანი საექსპლუატაციო ციკლით ნიდერლანდების ფირმა „არკადისის“ გაანგარიშებით სჭირდება 37 ათასამდე ლარი.

ქალაქის სამელიორაციო ქსელის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია მდინარე კაპარჯინა, რომელიც ასევე ხელმიშვებულ მდგომარეობაშია, რის გამო მისი კალაპოტი პერიოდულად იცვლის მიმართულებას და სერიოზულ პრობლემებს ქმნის ზღვასთან შეერთების უბანზე, რომელთა თავიდან აცილება სავსებით შესაძლებელია დროული და კომპეტენტური ჩარევის შემთხვევაში, რომელსაც ამჟამად არავინ არ ეწევა.

სისტემურ ყურადღებას საჭიროებს ქალაქში გამავალი რიონის არხი, რომლის კალაპოტს ასევე სჭირდება მონესრიგება და სისტემატური ნმენდა, მის მიმდებარე ტერიტორიაზე კი - დაშრობითი ღონისძიებების ჩატარება.

სავალალო მდგომარეობაშია საქალაქო პლაჟის ზოლი მალთაყვაში, რომლის დიდი ნაწილი დაჭაობების სტადიაშია. მცირე ნალექების დროსაც კი იტბორება, აძნელებს ზღვამდე მისვლას და აუცილებლად საჭიროებს მელიორაციას.

ქალაქის ტერიტორიაზე ოცამდე სხვადასხვა ფართის გუბურაა, რომლებიც არ არის სამეურნეო ბალანსზე აღრიცხული, არ გამოიყენება სამეურნეო დანიშნულებით და ზოგი ანტისანიტარიის კერასაც წარმოადგენს.

ამრიგად, ქალაქის სანიაღვრე კანალიზაციის მდგომარეობა, მისი სიგრძე, სპეციფიურობა, რთული სქემატური მონაცვობა, ექსპლუატაციის დღემდე არსებული პრაქტიკის უვარგისობა, აგრეთვე მთლიანად ქალაქის მძიმე მელოორაციული ვითარება მოითხოვს საკითხისადმი თვისობრივად ახლებურ მიდგომას, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს ქალაქის სანიაღვრე კანალიზაციის ერთი სისტემის ექსპლუატაციის უწყვეტი ციკლით წარმართვას, მის საიმედოობას, ამავე დროს ექსპლუატაციას გაუწევს ქალაქის ტერიტორიაზე არსებულ ყველა ხელოვნურ წყლსატევსა და წყალსადინარებს, სისტემატურად იმუშავებს ქალაქის მელოორაციული პრობლემების გადანწყვეტაზე.

ამ მიზნით მიზანშეწონილია შეიქმნას მერიის სპეციალიზებული სამსახური „ფოთიქალაქმელოორაცია“.

ირაკლი მონერელია

21.03.91.

## საქმეს მართლაც, სანანებლად ნუ გავიხდით

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 2001 წლის 7 სექტემბრის გამოქვეყნებული მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დეპარტამენტის თავმჯდომარის თენგიზ ჩიკვაიძის ინტერვიუში როლანდ ბასილაშვილთან, „რიონმა თუ აინყვიტა, სანანებელი გაგვიხდება“, გაშუქებული საკითხები უაღრესად აქტუალურია და ზედმინევით ზუსტად ასახავს წყალგამყოფი კვანძის დღევანდელ ტექნიკურ მდგომარეობას, მის მნიშვნელობას არა მარტო ფოთისთვის, არამედ მთლიანი საქართველოსათვის. ჩვენს, უნი-ნარეს ყოვლისა, ხაზი უნდა გავუსვათ ამ უნიკალური ნაგებობის მრავალ-ფუნქციურ დანიშნულებას. თუმცა, ამ შემთხვევაშიც, პირველ რიგში, შევ-ჩერდებით მის როლზე ქალაქ ფოთისადმი მიმართებაში.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ უკვე გასული საუკუნის ორმოცი-ანი წლების ბოლოს ნათელი გახდა, რომ დიდი რიონის კალაპოტის გადაგდება (გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში) ფოთიდან ჩრდი-ლოეთით, მართალია ქალაქს ააცილა ამ მდინარის წყალდიდობის და-მანგრეველი მოქმედება, მაგრამ ამავე დროს, დაარღვია ეკოლოგიური წონასწორობა ქალაქის ფარგლებში მდინარე რიონის ზღვასთან შეერ-თების უბანზე, რასაც შედეგად მოჰყვა ზღვის ნარეცხვითი მოქმედე-ბის გაძლიერება და ფოთის მჭიდროდ დასახლებული კუნძულის უბნის ვრცელი ტერიტორიის ნარეცხვა, რამაც საშიშროება შეუქმნა ფოთის შუქურასა და მოსახლეობას.

წყალმარეგულირებელი ნაგებობის აშენება მიზნად ისახავდა ქალაქ ფოთში გამავალი ნარიონალის გაცოცხლებას, და მისი მეშვეობით მყარი ნატანის ხარჯის გაზრდით სანაპირო ზოლის სტაბილიზაციის მიღწევას ქა-ლაქის ფარგლებში, ნავსადგურის სამხრეთი ზოლიდან - შუქურამდე, ანუ იმ სიტუაციის აღდგენას (ნაწილობრივ მაინც), რომელიც აქ იყო რიონის კალა-პოტის შეცვლამდე.

მიუხედავად იმისა, რომ სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა პროექტის სრუ-ლად რეალიზაცია, წყლის ის ხარჯებიც, რომელსაც დღეს აწვდის რიონის არხი სანაპირო ზოლს, უთუოდ ასრულებს მასტაბილიზებელ როლს და ამ-დენად, მარეგულირებელ ნაგებობას გადამწყვეტი როლი ენიჭება.

აქედან ცხადია, წყალმარეგულირებელი ნაგებობა და მდინარე რი-ონის არხი, რომელიც ქ. ფოთში მოედინება და ამავე დროს ასრულებს

სანიაღვრე წყლების აკუმულირებისა და წყალსადინარის ფუნქციასაც, წარმოადგენს როგორც ქალაქის, ასევე სანაპირო ზოლის მდგრადობის შენარჩუნების გადამწყვეტ ფაქტორს.

ამით იყო ნაკარნაევი ჩვენი გადანყვეტილება, რომ სანაპირო ზოლის წარეცხვითი მოქმედებისაგან დაცვის ღონისძიებების შერჩევასაც ქალაქის ხელმძღვანელობამ პრიორიტეტულად ჩათვალა ქალაქში გამავალი არხის საპროექტო ჭრილში მოყვანისა და წყალმარეგულირებელი ნაგებობის კაპიტალურად შეკეთება, როგორც ერთიანი სამელორაციო ღონისძიება.

როდესაც წყალმარეგულირებელი ნაგებობის მრავალფუნქციურ და-ნიშნულებაზე ვლაპარაკობთ, უნინარეს ყოვლისა, ხაზი უნდა გავსვას იმ გარემოებასაც, რომ იგი საავტომობილო ხიდის ფუნქციასაც ასრულებს და ამ მხრივ უმთავრეს რგოლს წარმოადგენს იმ უმნიშვნელოვანეს მაგისტრალზე, რომელიც აკავშირებს ქალაქ ფოთს, ფოთის ნავსადგურს მთლიანად სამხრეთ კავკასიასთან და დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ მას ტრასეკას ფუნქციონირებაში უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება.

არც ის უნდა დაგვაკინცდეს, რომ ნაგებობა უდიდეს დატვირთვას განიცდის უკანასკნელი 7-8 წლის მანძილზე საავტომობილო გადაზიდვების ინტენსივობის გამო და იმის კვალობაზე, თუ რამდენად გაიზრდება მძიმე წონის (20-40 ტონა) ტვრთნაკადები, ეს დატვირთვები კიდევ უფრო გაიზრდება, რა თქმა უნდა, მათგან გამომდინარე, ნაგებობისათვის უარყოფითი ზემოქმედებით.

წყალმარეგულირებელი ნაგებობა არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული ობიექტი. წყალგამყოფი კვანძი რთული ჰიდროტექნიკური სისტემაა და ისევე, როგორც ნებისმიერ სისტემას, მასაც სჭირდება მოვლა-პატრონობა. უკანასკნელად წყალმარეგულირებელი ნაგებობის წყალქვეშა ნაწილს სარემონტო სამუშაოები მხოლოდ გასული საუკუნის 80-იან წლებში ჩაუტარდა. განვლილი პერიდის მანძილზე მასზე სისტემატურად წარმოებდა დაკვირვებები მეცნიერ-ჰიდროტექნიკოსებისა და სპეციალისტების მხრიდან, რომლებმაც საგანგაშო სიგნალები ჯერ კიდევ 1993-94 წლებში მოგვანოდეს. დღეს კი უკვე დაყოვნება ძალიან ძვირი დაგვიჯდეს, რაც კარგად არის ხაზგასმული აღნიშნულ ინტერვიუში.



სამწუხაროდ, დღემდე, მიუხედავად დიდი მცდელობისა, პრობლემის გადამწყვეტა ვერა და ვერ მოხერხდა. ალბათ, დადგა დრო, რომ საკითხი უშუალოდ პრეზიდენტმა განიხილოს და პირადად კონტროლზე აიყვანოს წყალგამყოფის სარემონტო და აღდგენითი სამუშაოების მიმდინარეობა.

გადაჭარბებულად ნათქვამი არც ის იქნება, რომ წყალმარეგულირებელი ნაგებობა ქართველ ჰიდროტექნიკოსთა საინჟინრო ამროვნების შედეგს წარმოადგენს და მას გადარჩენა სჭირდება, რაც აქამდეც უნდა გაგვეკეთებინა. საქმეს, მართლაც, სანანებლად ნუ გავიხდით. ყველამ გავაკეთოთ ვისაც რა გვევალება.

ირაკლი მოწერელია  
ქალაქ ფოთის მერის მოადგილე

## **„მე არ ვემხრობი ფოთის ფაზისად გადარქმევას“...**

ამ ბოლო დროს ფოთელთა გარკვეულ წრეებში აქტუალობა შეიძინა ფოთის ფაზისად „გადაკეთების“ იდეამ, რასაც მხარს უჭერს ფოთის საზოგადოების ერთი ნაწილი, მეორე კი კატეგორიულად წინააღმდეგია. მოწინააღმდეგეთა რიცხვს განეკუთვნება ირაკლი მონწერელია, ფოთის ყოფილი ვიცე-მერი, რომელიც, საკმაოდ გარკვეულია ამ საკითხში. მას არაერთგზის გამოუთქვამს თავისი მოსაზრება ამ თემაზე. გაზეთის ამ ნომერში სიამოვნებით დაგვთანხმდა ინტერვიუზე:

**- ბატონო ირაკლი, ამ ბოლოს დროს გააქტიურდა ფოთისათვის სახელის გადარქმევის საკითხი, ანუ დაუბრუნდეს ისტორიული სახელი „ფაზისი“. ამ მიზნით ხელმოწერების შეგროვებაც კი დაიწყო ქალაქში, როგორია თქვენი აზრი ამ საკითხზე.**

- მე ვიცნობ ამ სათაურით შედგენილ დოკუმენტს, რომელიც გაიგზავნა პრემიერ-მინისტრის სახელზე ჯერ კიდევ 2016 წელს და რომლის ინიციატორები არიან ფოთის მუნიციპალიტეტის სათათბირო და ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემია. ვიცნობ სხვა მასალებსაც, რომელიც პერიოდულად ქვეყნდება მედიასაშუალებებით. ამ იდეის ცალკეული მომხრეები ბოგჯერ, რატომღაც, აგრესიულ და ვულგარულ გამონათვამებსაც კი იყენებენ მოწინააღმდეგეთა მიმართ. განსხვავებული აზრი რატომ უნდა იწვევდეს გაღიზიანებას, ჩემთვის გაურკვეველია, მით უმეტეს, რომ ფოთის „გაფაზისებას“ მრავალათასიანი მომხრე ნამდვილად არ ჰყავს.

**- რა გაქვთ მხედველობაში?**

- მხედველობაში მაქვს ის ფაქტი, რომ ფოთისათვის სახელის შეცვლის და არა აღდგენის, რადგან ფოთს ფაზისი არასოდეს რქმევია, ინიციატორებმა დახმარებისათვის ყავარჯენი მოიშველიეს მერიის თანამშრომელთა სახით, რომლებმაც 200 ხელმოწერა შეაგროვეს ხვეწნა-მუდართით, კარდაკარ შემოვლით. ქალაქის მერმა კი დაუშვა, რომ საჯარო მოსამსახურეები ჩარეულიყვნენ ამ საკითხში, რაც მათი საქმე ნამდვილად არ არის. მე წავიკითხე პროფესორ თემურ ფაჩულიას წერილი, რომელიც თქვენს გაზეთში გამოქვეყნდა და სავსებით ვიზიარებ მის პოზიციას. მეც არ ვემხრობი ფოთის ფაზისად გადარქმევას.

**- ხომ არ დააკონკრეტებთ თქვენს მოსაზრებას?**

- უწინარესად აღვნიშნავ, რომ ქალაქის სახელის შეცვლა განიხილე-

ბა როგორც ტოპონიმ „ფოთის“ ტოპონიმ „ფაზისით“ ჩანაცვლება ან ტოპონიმ „ფაზისის“ ფოთის დამატებად შემოტანა „ფოთი - ფაზისი“. საერთაშორისო პრაქტიკა მოწმობს, რომ მთავარია ცვლილების მოტივაცია; მოტივაციას არჩევენ პოლიტიკურს, ეროვნულს, ეკონომიკურს და მათ იყენებენ არა საკუთრივ ისტორიული პროცესების, არამედ ისტორიული პროცესების შედეგად დამდგარი მოცემულობის შესაფასებლად.

მოცემულობა კი ასეთია: ტოპონიმი ფოთი მეგრულად ფუთი, VIII საუკუნეში ანუ 1300 წლის წინ გაჩნდა, სხვა წყაროებით XI საუკუნეში, ანუ 1000 წლის წინ. ზოგიერთი ავტორის ცნობით კი, ფაზისზე ადრე და როგორც წარმოშობით ქართული სახელი, დაიმკვიდრა კიდეც. ეს ფაქტი უადრესად მნიშვნელოვანია.

ტოპონიმი ფაზისი გაჩნდა V, არაუგვიანეს VI საუკუნის პირველ ნახევარში, როდესაც მიღებულმა ბერძნებმა ამ სახელწოდების ქალაქი დააარსეს, როგორც ეპორია, ბერძნული ძალის საყრდენი კოლხეთში. ტოპონიმი ფასისი, შემდგომ ფაზისი, ძვლებერძნული ენისა და რომაელების გავლენით არის ნაწარმოები და ქართულ ენას არ უკავშირდება.

მაშასადამე, დღეს ჩვენ გვაქვს თანამედროვე ქალაქად ჩამოყალიბებული ფოთი და ადგილობრივი ტოპონიმი ფოთი. არ გვაქვს ქალაქი ფასისი, ფაზისი უცხო ენებიდან ნაწარმოები ტოპონიმით ფასისი, ფაზისი. ამრიგად, ეროვნული მოტივაცია ფოთის სასარგებლოდ მეტყველებს ისევე, როგორც პოლიტიკური, რადგან მისი ჩანაცვლების მცდელობა მთელი 1300 წლის განმავლობაში არ აღნიშნულა. მაშინაც კი, როდესაც საქართველოში დასახლებული პუნქტების სახელების შეცვლამ ბოლშევიკური მმართველობის პერიოდში მასობრივი ხასიათი მიიღო. საკმარისია, გავიხსენოთ რაიონული ცენტრები: ცხაკაია, მახარაძე, ორჯონიკიძე, მაიაკოვსკი, წულუკიძე, სტალინირი, ლენინგორი. პროცესს პოლიტიკური მოტივაცია ედო საფუძვლად. ამავე და მასთან ერთად ეროვნული მოტივაციით ჩამოთვლილ ქალაქებს აღუდგათ ადგილობრივი, ადრევე დამკვიდრებული ტოპონიმები: სენაკი, ოზურგეთი, ხარაგაული, ბაღდათი, ხონი, ცხინვალი, ახალგორი.

ბუნებრივია, მხარდასაჭერია ადგილობრივი ტოპონიმი ფოთი და არ არის საჭირო ჩანაცვლება გამქრალი ქალაქის სახელწოდებით. მით უმეტეს, რომ ფოთი არასოდეს განიხილბოდა ფაზისის არც ადგილმონაცვლედ, არც უფლებამონაცვლე სუბიექტად.

ეკონომიკური თვალსაზრისითაც არ არის ეს ცვლილება გონივრული, ვინაიდან შესაცვლელი იქნება რუკები საზღვაო რუკები, ფოთის მოსახლეობის და ფოთთან დაკავშირებული დაწესებულებების, ფირმების, ინსტიტუციების სარეგისტრაციო დოკუმენტები, ყველა სახის სატრანსპორტო ცნობარები, საგზაო ფირნიშები და სხვა. ეს კი სოლიდური ხარჯებია, რომელიც ბიუჯეტს დაანვება და საგრძნობლად შეამსუბუქებს გადამხდელთა ჯიბეებს, მათ შორის ფოთის „გაფაზისების“ „მრავალათასიან“ მხარდამჭერთა ჯიბეებსაც, რომლებსაც ეს არ უნდა დაავინყდეთ, თუკი ვინმე, თუნდაც ამ მოტივით, არ გაიაზრებს მათ ინიციატივას.

**- თუ ხალხმა გადანყვითა ქალაქის სახელის შეცვლა, როგორც ამას ქალაქის მერი აცხადებს, მაშინ რა მოხდება?**

- საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, გეოგრაფიული ადგილის სახელის შეცვლის თაობაზე საბოლოო გადანყვეტილებას საქართველოს მთავრობა იღებს, რომლის წარდგინებას პარლამენტი განიხილავს. მანამდე კი, საკითხი აპრობაციას გაივლის საკრებულოში, შემდეგ კი სახელმწიფო კომისიაში. ეს კი სულაც არ არის უბრალო ფორმალობა. „ხალხის“ მონაწილეობა კი საკითხის გადანყვეტაში კანონით არ არის გათვალისწინებული, ანუ ამას არ სჭირდება პლებისციტის ან რეფერენდუმის ჩატარება. კარდაკარ სიარული გამოკითხვის მიზნით და შემდეგ სიების შედგენა საკითხის გადანყვეტაში „ხალხის“ მონაწილეობას არ ნიშნავს. ეს ნიშნავს იმას, რომ ქალაქის მერი, ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის აკადემიკოსი ი. კაკულია შეუდგა ქალაქის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი სათათბიროსა და ფაზისის სამეცნიერო აკადემიის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, რომელიც დაფიქსირებულია 2015 წლის 16 მარტის N1-08/550 და 2016 წლის 26 ივლისის N1-03/2207 მერიიდან გასული წერილებით და თავის ასაკოვან თანამოაზრესთან ერთად შეუდგა „ხალხის დარაზმვას“ ფოთის ფაზისად გადარქმევის იდეის გარშემო. „ხალხის მოთხოვნის“ ილუზიის შესაქმნელად, ასე ვთქვათ, თვალის ასახვევად. აქ უპრიანია ისიც ითქვას, რომ ამითი იგი თავის საარჩევნო დაპირების შესრულებას ცდილობს.

**- რა გაქვთ მხედველობაში?**

- მხედველობაში მაქვს ვიდევ რგოლი, რომელიც კარგა ხანს ტრიალეზდა ინტერნეტ სივრცეში, სადაც ბატონი ი. კაკულია პირდებოდა ამომრჩევლებს, „ლეგენდის გაცოცხლებას“ და გვაუწყა - „ფაზისი ხომ

ხოხობს ნიშნავს“ (ციტატა მისია). ოღონდ დღემდე არ განუმარტავს, რომელ ენაზე ნიშნავს ფაზისი ხოხობს და რატომ არის ეს ქალაქ ფოთის სახელის შეცვლის საფუძველი, ან ფაზისი ხოხობს თუ ნიშნავს, „ფაზისობა“ რაღაა - „ხოხობობა“? რაც არ უნდა ითქვას, მნიშვნელობა მხოლოდ იმ კრიტერიუმს აქვს, რაზეც ზემოთ ვისაუბრე და არა იმ კრიტერიუმებს აცდენილ განცხადებებს, მერის განცხადებების ჩათვლით, ისევე როგორც ყოფილი ფუნქციონერების პოზიციას, რომელიც მათ დაიკავეს სახელისუფლებო სტრუქტურებიდან წასვლის შემდეგ. გვთავაზობენ ფოთის გაიგივებას ფაზისთან და წარსულის ქართველის მეცნიერების, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეებისაგან განსხვავებით, ფოთის სახელდების შესაცვლელად იწყეს გარჯა, ზოგმა ფარულად, მაგრამ ყველამ ერთად აგრესიულად.

**- რამდენადაც ცნობილია, „ფაზისის“ მომხრეებს მრავალი ისტორიული წყარო მოყავთ არგუმენტად...**

- საქმეც მაგაშია, წყაროები ისტორიული კი არის, მაგრამ ამ შემთხვევაში დღის წესრიგისათვის მნიშვნელობა მხოლოდ ტოპონიმს, მის წარმომავლობას ენიჭება და არა იმას, თუ რას წერდა ფაზისის შესახებ სტრაბონი, რა ჩანანერები დატოვა რომაელმა დიდმოხელე არიანემ, როგორ და რა მიზნით აღმოჩნდა კოლხეთში პომპეუსი, რას ასწავლიდნენ ფაზისის რიტორიკულ აკადემიაში და როდის და რა ენაზე მეტყველებდნენ იქ. როდის ააშენეს არტემიდას ტაძარი, ვინ იყვნენ მითიური არგონავტები, ფაზისის დამაარსებელი ბერძენი თემისტაგორა და ა.შ.

ეს თემები დიდი ხანია ცნობილია და მათ გამო არავინ დავობს. სამეცნიერო დავის თემა შეიძლება იყოს ფაზისის ლოკალიზაციის საკითხი, მათ შორის აჭარაში მოღვაწე მკვლევარებთან, მაგრამ ეს არ შეიძლება არგუმენტად ჩაითვალოს ქალაქ ფოთის სახელის შესაცვლელად. არც გრგვინვაა საჭირო იმის გამო, რომ სადღაც ვიღაც განსხვავებულ აზრს გამოთქვამს ისეთ ბუნდოვან საკითხზე, როგორიცაა ფაზისის ლოკალიზაციის თემა, საერთოდაც, როდესაც ყოფილი ან მოქმედი ფუნქციონერი, არაპროფესიონალი, წმინდა ისტორიულ საკითხებში იჭრება, - ფრთხილად უნდა იყოს, რომ იმ სპილოს არ დაემსგავსოს, რომელიც შემთხვევით საბაყლო ჯიხურში აღმოჩნდა.

**- პერიოდულად გაისმის, რომ კოლხეთის კვლევის საქმე ნაცარმიყრილია და ფოთის ფაზისად გადარქმევას ესეც უშლის ხელს, რას იტყვით ამაზე?**

- ვიტყვი, რომ ეს არის უტაქტო, მოუზომავი და უმართებულო ნათქვამი. ჩვენი ქვეყნის ისტორიის, მათ შორის კოლხეთის ისტორიის კვლევა გრძელდება და არც შეწყვეტილა არასოდეს. თუმცა, ქალაქ ფოთის ისტორიის კვლევას ყურადღება ნამდვილად აკლია, სხვაგვარად მისი



„გაფაზისების“ საკითხი არავის მოუვიდოდა აზრად, არც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ცრუ საიუბილეო თარიღების აღნიშვნა მოხდებოდა, არ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები - ჰიდრომელიორაციული ტექნიკუმის, ყოფილი ტელეკომპანია „ფაზისის“, უშიშროების სამმართველოს შენობები და მიქიაშვილების სახლი აღმოჩნდებოდა სავალალო მდგომარეობაში. ისიც გვეცოდინებოდა, რომ სიტყვა ფაზისი ფოთის სინამდვილეში პირველად მხოლოდ 1957 წელს გაჩნდა, როდესაც იგი ყოფილ ვოროშილოვის ქუჩას ეწოდა და ქალაქის „გაფაზისების“ ერთი შეხედვით უწყინარი პროცესი აქედან იღებს სათავეს.

მომდევნო პერიოდში იყო ამავე სახელწოდების კატარღა ნავსადგურის ფლოტში, სასტუმრო და რესტორანი, მხატვრული კოლექტივი, ტელეკომპანია, იერარქიული საქალაქო „დღესასწაული“, სასტუმრო „აიეტი“, ლიმონათი „არგო“, სახალხო აკადემია, დღეს კი ეს პროცესი შორს წავიდა. სასურველია, უფრო შორს არ წავიდეს. თუმცა, ეს სხვა თემაა და სხვა დროისთვის გადავდოთ.

**- შეუწყობს თუ არა ხელს ტურიზმის განვითარებას ფოთის ფაზისად გადარქმევა?**

- ფოთი იმ დღეს იქცევა ტურიზმის მექად, თუკი დაიჭერებენ, რომ აქაური კოლოებისაგან დაკბენილ ადამიანს კიბო არასოდეს არ შეეყრება. აი, მაშინ, არც სასტუმროებს დაჭირდება სასწრაფოდ აშენება, არც ინფრასტრუქტურის განვითარება, არც ქალაქის სახელის შეცვლა. მწერალი იტყოდა „მთლი დუნია“ აქ მოიყრის თავს და ჩვენს რიგითი ფოთელები „გულმხურვალედ ფაზისელები“ გავმდიდრდებით და დიდხანს ბედნიერად ვიცხოვრებთ.

ირაკლი მონერელია

## ფოთის ეკოლოგიურ-მელიორაციული მდგომარეობის შესახებ

ქ. ფოთი და მისი შემოგარენი ბუნებრივ-გეოგრაფიული და ეკოლოგიურ-მელიორაციული თვალსაზრისით მეტად მძიმე და რთული რეგიონია საქართველოში.

ეს მდგომარეობა განპირობებულია ტერიტორიის დაბალი ჰიფსომეტრიული ნიშნულებით, უნრეტი ვაკე-რელიეფით, გრუნტის წყლების სიახლოვით ნიადაგის ზედაპირთან, მაღალი ინტენსივობის დელტამური ხასიათის ნალექებით და ანტროპოგენური ფაქტორებით.

ანტროპოგენური ზემოქმედების შედეგად (ოცდაათ წლებში) შეიცვალა მდინარეების რიონისა და კაპარჯინას რეჟიმები, რამაც გამოიწვია ქალაქისა და მისი შემოგარენის ცალკეულ უბნებზე ეკოლოგიური წონასწორობის სერიოზული დარღვევები, ზღვისმიერი ეროზიის გაძლიერება და ზღვისპირა ზოლის დეგრადაცია რიონი-სუფსის დინამიურ ქვესისტემაში, რაც დღესაც გრძელდება.

გადაუდებელ გადანყვეტას ითხოვს პალიასტომის პრობლემა, რომლის ჰიდრობიოლოგიური, ჰიდროქიმიური, და თერმული რეჟიმები დარღვეულია და ეს უნიკალური წყალსატევი კატასტროფის წინაშე დგას.

პალიასტომის ტბისა და მიმდებარე ტერიტორიის ეროვნული პარკის შემადგენლობაში მოქცევა და საქართველოს რამსარის საერთაშორისო კონვენციასთან შეერთება დღის წესრიგში აყენებს ამ ლანდშაფტის დაცვისა და შენარჩუნებისათვის სისტემის შესაქმნელად მუშაობის გაძლიერების აუცილებლობას.

1929 წლამდე მდინარე რიონი ზღვას ახლანდელი ქალაქ ფოთის საზღვრებში ერთვოდა - სამხრეთ ტოტით შუქურასთან, ჩრდილოეთის ტოტით - ნავსადგურის სამხრეთ მოლის ძირთან, განტოტვა ხდებოდა რკინიგზის სადგურთან არსებულ ხიდთან და ქალაქის ამ ნაწილს ამიტომაც ეწოდებოდა „დიდი კუნძული“, სამხრეთ ტოტი ზღვასთან შეერთების უბანზე ქმნიდა მცირე დელტას და იქაც წარმოშვა პატარა კუნძული (3-4 ჰა ფართობით), რომელიც დღესაც ნიკოლაძის კუნძულად არის ცნობილი. წყალდიდობის დროს პერიოდულად რიონი გადადიოდა ნაპირებიდან და ტბორავდა ქალაქს, ნაწილობრივ მისი წყლები ჩაედინებოდა კაპარჯინაში და ეს მდინარეც ახდენდა ახლომდებარე ტერიტორიების დატბორვას.

წყალდიდობისაგან ქალაქის დაცვის მიზნით მდინარე რიონს 1929-1930 წლებში შეუცვალეს კალაპოტი და მთლიანად გადააგდეს ჩრდილოეთით, სადაც იგი დღესაც ერთვის ზღვას.

ქალაქში დარჩენილმა ნარიონალმა დაჭაობება, ხოლო „დიდი კუნძულის“ უბანში შუქურიდან სამხრეთ მოლამდე და შუქურიდან სამხრეთ-ციტრუსების მეურნეობის მიმდებარე ვრცელი ტერიტორია მოექცა ზღვის-მიერი ეროზიის ინტენსიური პროცესის ქვეშ.

50-იან წლებში ამ პროცესების შეკავების მიზნით დაიწყეს ტალღმტეხების მშენებლობა მთელ ზღვისპირა ზოლზე ციტრუსების მეურნეობიდან სამხრეთ მოლამდე სულ 2,5 კილომეტრის მანძილზე. ტალღმტეხები ეწყობოდა ერთმანეთისაგან 200-250 მეტრის დაშორებით მეტალის მპუნტების პარალელურ წყებათა შორის ფლეთილი ქვების ჩაყრით.

პარალელურად ამოიწმინდა ნარიონალი, ქალაქიდან მე-7 კილომეტრზე აშენდა წყალგამყოფი კვანძი, იმ ვარაუდით, რომ მისი მეშვეობით ქალაქში გამავალი ტოტით გაეტარებინათ წყლის ის ხარჯები, რომლებიც დააბალანსებენ სანაპირო ზოლიდან წარეცხილ რაოდენობას. ეს ღონისძიებები არაეფექტური გამოდგა, მტეხები ზღვის მოქმედების შედეგად დაინგრა.

80-იან წლებში განხორციელდა ახალი იდეა. „საქნაპირდაცვის“ მიერ მოენყო პულსადენი 8,5 კილომეტრის მანძილზე სამი გადამტუმბავი სადგურით, რომლის მეშვეობით მდინარე რიონის კალაპოტიდან მექანიკური გადატუმბვით სანაპირო ზოლს შუქურადან სამხრეთ მოლამდე ყოველწლიურად სისტემატურად მიეწოდებოდა პლაჟნარმომქმნელი მასალის ის რაოდენობა, რომელმაც პრაქტიკულად უზრუნველყო სანაპირო ზოლის მდგრადობა და ამ უბანზე შექმნა კიდევ 100-200 მეტრის პლაჟი. სამოქალაქო ომის პერიოდში 1992-93 წლებში დაუფინანსებლობისა და უპატრონობის გამო ეს სისტემა მთლიანად მოიშალა, მიწისმწოვი გადამტუმბავი სადგურები გაპარტახდა და მისი აღდგენა დიდ ფულად სახსრებს საჭიროებს. მთელი სისტემა მუშაობდა ელექტროენერგიაზე და მისი საექსპლუატაციო ხარჯები საკმაოდ მაღალი იყო. (მარტო გაშვების დროს იგი მოიხმარდა 3 მეგავატ ელექტროენერგიას).

ამ სისტემის ამოქმედების შემდეგ მოხდა ქალაქის აეროპორტის (რომლის მიმდებარე ტერიტორიაზე განლაგებული იყო შუალედური გადამტუმბავი მიწისმწოვი ნაწილის დაწევა ახალი აეროვაგზლის შენობის ბაფთისებურ საძირკველზე ნაგები კედლების დაბზარვა, რის გამოც შენობა

ავარიულად ცნეს და იგი დაიხურა. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ზემოხსენებული ტერიტორია აგებულია ტოფნარევისა და დენადი ქვიშებისაგან არ არის გამორიცხული პულსადენის მავნე გავლენა ამ ტერიტორიაზე.

სისტემის უარყოფით მხარედ შეიძლება მივიჩნიოთ ის გარემოებაც, რომ პლაუნარმომქმნელი მასის მოპოვება ხდებოდა უშუალოდ რიონის კალაპოტიდან, რის შედეგად მის ფსკერზე ჩნდებოდა ქვაბულები, რომლებიც ასრულებდნენ მდინარის ნატანის დამჭერის როლს, რაც გავლენას ახდენდა პლაუნარმომქმნელი მასალის ბალანსზე ზღვასთან შეერთების უბანზე და სავარაუდოა, რომ ცვლილებები (არათუ სასიკეთო) შეჰქონდა საკუთრივ რიონის ჰიდროლოგიურ რეჟიმში.

ცალკე საკითხია მდინარე რიონის პრობლემები დინების ქვედა წელში. ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის სხვა სახის ანტროპოგენური ფაქტორების შედეგად რიონის რეჟიმი შეიცვალა. მდინარე დაუძღურდა, დაკარგა სიჩქარე, კალაპოტში გაჩნდა უამრავი კუნძულები, რომლებიც ხშირად განაპირობებდნენ მდინარის შეანდრირებას, რის შედეგად ირეცხება ნაყოფიერი მიწები. ეს გარემოება მწვავედ აყენებს რიონის კალაპოტის მონესრიგების აუცილებლობას.

ზემოხსენებული სისტემის მეშვეობით ქალაქ ფოთის სანაპირო ზოლის მდგრადობის უზრუნველყოფა პლაუნარმომქმნელი მასალის რეგულირების გზით უალტერნატივოდ არ უნდა მივიჩნიოთ.

პრაქტიკა გვკარგახობს, რომ მას ალტერნატივა აქვს ეს არის ფოთის ნავსადგურის აკვატორიის მოლისა და დამცავი ჯებირის ერთობლიობა, აგებული ასი წლის წინათ.

ისმის კითხვა, რატომ არ შეიძლება ხსენებული მოლის ანალოგიით იგივე პრინციპებით აიგოს დამცავი ჰიდროტექნიკური ნაგებობა შუქურადან ვიდრე სამხრეთ მოლამდე სანაპირო ზოლის პარალელურად ნაპირიდან მოცილებით ზღვაში, დაბალ იზობატებზე დასმით. შეიძლება სხვა, მსოფლიო პრაქტიკაში ცნობილი ნაპირდამცავი ღონისძიებების მოძიებაც.

სხვათა შორის, მთელი ტერიტორია შუქურადან ნავსადგურის ამჟამინდელი დასავლეთის მოლის ჩათვლით მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტროს (ა. მირიანაშვილი) მონაცემებით მიჩნეულია ქარის ელექტროსადგურების განთავსების იდეალურ ზონად. მოლის პერიმეტრზე ქარის გენერატორების (600 კვტ სიმძლავრის) განლაგებით ამთავითვე შეგვიძლია 6 მეგავატი ელექტროენერგია მივიღოთ, ხოლო თუ ენერგო-

გენერატორებს განვალაგებთ თუნდაც ერთ მწკრივად სანაპირო ზოლის პარალელურად შექურამდე, შესაძლებელბეღელია მივიღოთ ჯამში 12-15 მეგავატი. ეს კი 4-5 ჯერ აღემატება ნავსადგურის დღევანდელ მოთხოვნილებას და ქალაქის მოთხოვნილების თითქმის ნახევარს შეადგენს.

ამრიგად, დამცავი ზოლის აგების შექურა- სამხრეთი მოლის ფუძის მიმართულებით შესაძლებელია მივიღოთ ახალი აკვატორიაც, რომელიც სავსებით გამოდგება მცირე ზომის ფლოტის ბაზირებისათვის და შევქმნათ სერიოზული წინამძღვრები ქარის ენერჯიაზე მომუშავე მძლავრი გენერატორების განთავსებისათვის.

„დიდი კუნძულის“ სანაპირო ზოლის მდგრადობის გაძლიერების მიზნით აუცილებელია ქალაქში გამავალი მდინარე რიონის არხის (წყალგამყოფ კვანძიდან ზღვამდე 8,5 კმ სიგრძით) ამონწმენდა-დადრმავება, საპროექტო პროფილში მოყვანა იმ ანგარიშით, რომ რომ მისმა კალაპოტმა შეძლოს წამში 360 კუბ.მ. წყლის ხარჯის გატარება, რაც უზრუნველყოფს სანაპირო ზოლის ზღვის წარეცხვითი მოქმედების მინიმუმამდე დაყვანას. ამ სამუშაოების შესრულება შეიძლება მინის მწოვი მანქანების მეშვეობით და წინასწარი შეფასებებით იგი დაჯდება 850-950 ათასი ლარი.

30-იან წლებში განხორციელებული სამელიორაციო ღონისძიებების შედეგად ლანჩხუთის რაიონში გაყვანილი იქნა მთის წინა არხი და მთელი ჩამონადენი წყლები, რომლებიც ადრე კვებავდნენ პალიასტომის ტბას, ამ არხის მეშვეობით ჩაუშვეს მდინარე სუფსაში, რომელიც ერთვის შავ ზღვას. მეორე მხრივ ტორფის მოპოვების (რომელიც თითქმის 50 წლის მანძილზე უსისტემოდ წარმოებდა) შედეგად მოხდა პალიასტომის ტბის სარკის ზედაპირის ზრდა. მდინარე კაპარჭინამ, რომელიც სათავეს იღებს პალიასტომში, წყლის დეფიციტის გამო დაკარგა გადინების უნარი, სათავე დაჭაობდა და იგივე პროცესები მიმდინარეობს მთლიანად მდინარეში. იგი სათავიდან მალთაყვამდე 6-7 კილომეტრის მანძილზე დასილულია, ძლიერ დანაგვიანებულია და ანტისანიტარიის კერას წარმოადგენს. აუცილებელია ამ მდინარის გაცოცხლება, კალაპოტის განწმენდა, პროფილში მოყვანა და მკვებავი წყაროს მოძიება. ასეთად მიჩნეულია მდინარე რიონი. „საქწყალპროექტის“ სპეციალისტების აზრით მდინარე კაპარჭინა რიონს უნდა შეუერთდეს არხით, ხოლო მდინარეების შეერთების ადგილზე უნდა აშენდეს წყალგამყოფი ნაგებობა.



წინასწარი შეფასებით საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა და მშენებლობის ღირებულება 550-650 ათასი ლარის ოდენობით განისაზღვრება.

გადასაწყვეტია მალთაყვას არხის საკითხი ზღვასთან შეერთების უბანზე, სადაც მან ბოლო 15 წლის მნძილზე გაიკეთა ახალი კალაპოტი და ინტენსიურად რეცხავს მალთაყვის ფიჭვნარს საკურორტო ზოლში ორი კილომეტრის მანძილზე და წარეცხვით ემუქრება ფოთი-ბათუმის საავტომობილო გზას, მიუვალი გახდა ზღვის სანაპირო ზოლი ამ მონაკვეთზე. ამჟამად აუცილებელია ამ კალაპოტის გადაკეტვა ქვაყრილის ზედაპირით და ზღვასთან შემაერთებელი ძველი კალაპოტის სრულად აღდგენა. ამ ღონისძიების პროექტი არსებობს. მშენებლობის ღირებულება 131 ათასი ლარია.

აქვე აღვნიშნავთ, რომ კაპარჭინის შეერთება ზღვასთან მალთაყვის უბანში 30-იან წლებში გაჭრილი ხელოვნური სრუტის მეშვეობით შეიძლება განვიხილოთ როგორც დროებითი ღონისძიება. არ არის გამორიცხული, რომ პერსპექტივაში ეს მდინარე დაუბრუნოთ მის ძველ კალაპოტს, რომელიც მდებარეობს საავტომობილო გზის მალთაყვა-გრიგოლეთის მონაკვეთის მარცხენა მხარეს და ზღვას ერთვოდა სოფელ გრიგოლეთთან ამჟამინდელი შესართავიდან 2,5 კილომეტრით სამხრეთით.

რაც შეეხება პალისტომის ტბას, პირველ რიგში უნდა გადაწყდეს მისი სტატუსი, თუ წყალსატევი ეროვნული პარკის შემადგენელ ნაწილად დარჩება, მის შემოგარენში უნდა შეწყდეს ტორფის მოპოვება მთლიანად, მთელ პერიმეტრზე და უნდა გაინმინდოს მისი ფსკერი გახრწნილი და ნახევრად გახრწნილი ორგანული მასისასაგან, რამეთუ ბოლო 50 წლის განმავლობაში ტბის სიღრმე 1-1,5 მეტრით შემცირდა. საჭირო იქნება სხვა ღონისძიებების გატარება წყალსატევის რეჟიმის გაუმჯობესების მიზნით და ალბათ, არ იქნება აუცილებელი მისი გამტკნარების ღონისძიებათა განხორციელება.

ქალაქ ფოთსა და მის შემოგარენში შექმნილი რთული ეკოლოგიურ-მელიორაციული ვითარება და პრობლემის მრავალ ასპექტიანობა და სიმწვავე გვაფიქრებინებს, რომ ამ პრობლემისადმი მიდგომაც განსაკუთრებული და ფრთხილი უნდა იყოს. ამავე დროს გადაუდებლივ გადასაწყვეტია.

ირაკლი მონერელია,  
ქალაქ ფოთის ვიცე-მერი  
25.08.97

## პასუხი №

ამას წინათ გადმომცეს, რომ საშა წულაიამ შემახსენა თავი. უბრძანებია, მოგელი ტყეებუჩავას დაპატიმრება ირაკლი მონწერელიას ბრალიათ.

ბევრი რომ არ ვილაპარაკო, ვურჩევ საშა წულაიას კიდევ ერთხელ წაიკითხოს თავისი მეგობრის დარჯანიას ჩემდამი მიძღვნილი სალანძღავი ინტერვიუს ის ადგილი, სადაც იგი მადლობას უხდის პროკურატურას იმის გამო, რომ მან ობიექტურად გამოიძია თბოელექტროსადგურის საკითხი და მას და ტყეებუჩავასაც ყველა ბრალდება მოუხსნა.

მას შემდეგ წელიწადზე მეტი გავიდა, ფოთიდან მე თითქმის ორი წლის წინ წავედი, ხოლო როცა მოგელი ტყეებუჩავა დააპატიმრეს, არა მარტო ფოთიდან, საქართველოდანაც ძალიან შორს ვიმყოფებოდი.

მინდა მივაპყრო საშა წულაიას „იურიდიული ყურადღება“ იმ გარემოებასაც, რომ ყველა ჩინოსანი (მათ შორის ტყეებუჩავაც) პატიმრობაში აიყვანეს არა იმიტომ, რომ მათ კანონსაწინააღმდეგო ქმედება ჩაიდინეს აპრიორი, არამედ იმიტომ, რომ თავიანთი ხელმოწერით „დაამშვენეს“ ის დოკუმენტები, რომლებმაც კითხვები გაუჩინა იმათ, ვისაც საბიუჯეტო თანხების კონტროლი ევალება და ამ კითხვებზე მიღებული პასუხების მიხედვით შეფასდა ქმედებები სამართლებრივად. ეს ერთი, მეორე მხრივ, პირი, ვინც ხელს აწერს დოკუმენტს, პირადად არის პასუხისმგებელი იმაზე, რაც მისი ხელმოწერის ზემოთ სწერია. დავიჯერო, ეს ელემენტარული საკითხები არ იცის იურისტმა საშა წულაიამ? და თუ იცის, მაშინ რა კავშირი აქვს ყოველივე ამასთან ირაკლი მონწერელიას? საშა წულაიას რაიმე ცნობა ხომ არ აღმოუჩენია, რომ თბოსადგურის იდეა მეკუთვნის? თუ ხელშეკრულების ტექსტია ჩემი შედგენილი, ან იქნებ საწერი კალამი შევაჩეჩე მოგელის და ვაიძულე ხელი მოეწერა ამ დოკუმენტზე?

ისიც საკითხავია, ტყეებუჩავას საბრალდებო დასკვნის ან გამოძიების დასკვნის ან გამოძიების რომელ გვერდზე მიაკვლია საშა წულაიამ ირაკლი მონწერელიას „კვალს“? რა ბრალს მდებს?

ისე, ბრალეულობაზე რომ მიდგეს საქმე, თვითონ საშა წულაია რას უყურებდა? ყველა ხელშეკრულება მასთან იყრიდა თავს და თავად იყო მოვალე დოკუმენტი ისე გაემართა, როგორც კანონი ითხოვდა.

სადაო არც ის უნდა იყოს, რომ ეს მის, როგორც მერიის იურიდიული სამსახურის უფროსის, პირდაპირ სამსახურეობრივ მოვალეობას წარმოადგენდა და სასამართლო სხდომაზე თუ დისკომფორტი შეექმნა, ესეც თავის თავს დააბრალოს.

ნათქვამია, ჩამოხრჩობილის სახლში ბანარზე არ ლაპარაკობენო.

ნამილიციონარი, ნაპროკურორალი, ნამოსამართლევი კაცი (მათ შორის საშა ნულაიაც), რომელსაც თავად აქვს მიღებული გადანყვეტილებები მავანსა და მავანის ციხეში გასამწესებლად, თავს უნდა იკავებდეს მსგავსი ბრალდებების სხვებისადმი წაყენებაში, მით უმეტეს, რომ ბევრს ისიც ახსოვს, როგორ ტრაბახობდა ალანიას ხელმონერილი ხელშეკრულება მე მივეცი პროკურატურას და დავაჭერინეო. (შევახსენებ, რომ ის ხელშეკრულება მის მიერ იყო ვიზირებული).

სულ ვფიქრობდი, ვინ გადარია წალენჯიხელი ქანთარია, ხობელი პაჭკორია და ჭალადიდელი დარჯანია, რომ მლანძღეს და მთათხეს ყველა ბრუნვაში ციხიდან გამოსვლისთანავე და აგერ არ შემრჩა ხელში ფოთელი ნულაია? მე რომ ჩემი კეთილმსურველი მეგონა...

მე ისიც მითხრეს, თურმე რომან მელიას სიდედრის გასვენებაში უნდოდა მოსვლა; მაგრამ როცა გაუგია ირაკლი მონწერელია იქნებაო იქ, თავი შეუკავებია.

რა პრობლემაა? მომავალში თუ სადმე გადამეყრება, თვალი ამარიდოს. ამაზე ადვილი რა არის?

ირაკლი მონწერელია

18.07.06

## ფოთის ნავსადგურის №12 გემმისადგომაზე საკონტეინერო ტერმინალის მშენებლობის შესახებ

საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ნავსადგურის განვითარების გეგმის შესაბამისად გათვალისწინებულია საკონტეინერო ტერმინალის მოწყობა მე-12-ე გემმისადგომზე. (საგზაო ვაგზალთან და იახტკლუბთან მიმდებარე ტერიტორიაზე).

პროექტის დაფინანსებას კისრულობს ამერიკული ფირმა „სი-ლენდი“ და ქართული ფირმა „კავტრექსი“, რისთვისაც ითვალისწინებენ 25 მილიონი დოლარის გამოყოფას 25 წლის ვადით.

საკონტეინერო ტერმინალის მშენებლობის პროექტით უნდა მოხდეს გემმისადგომის გაფართოება აკვატორიის ხარჯზე, რის შედეგად აკვატორია შემცირდება 2,5 ჰაით. (მხედველობაშია მისაღები, რომ ხორბლის ტერმინალის მშენებლობისას აკვატორიას 3,2 ჰა აკლდება).

პროექტის მეორე უარყოფით მხარედ მივიჩნევდი იმასაც, რომ იგი არ ითვალისწინებს ახალი საზღვაო ვაგზლის მშენებლობას.

თავის დროზე, როდესაც მიმდინარეობდა ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების შედგენა ქალაქის ხელმძღვანელობის მიერ წამოყენებული იყო პირობა, ახალი საზღვაო ვაგზლის მშენებლობის აუცილებლობის შესახებ, რისთვისაც მიჩნეული იყო ადგილი სამხრეთი მოლის დასაწყისში წისქვილ-ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე, დღეს ეს საკითხი საერთოდ არ მოიხსენიება.

ხსენებული პროექტის მიხედვით ნიკო ნიკოლაძის ძეგლი ექცევა ნავსადგურის საწარმოო ტერიტორიის ფარგლებში და მისი გადატანა აუცილებელია.

პროექტის ავტორები გემმისადგომის გადაცემას ითხოვენ იჯარით 25 წლის ვადით. მათი წინადადებებით მოგების 50 პროცენტი უნდა დარჩეს ინვესტორს (სი-ლენდს), 50 პროცენტი კი „კავტრექსს“. ისეთ ვითარებაში, როდესაც გემმისადგომი და საზღვაო ვაგზალი ნავსადგურის საკუთრებას წარმოადგენს, მისი მონაწილეობის მხოლოდ საიჯარო გადასახადის მიღებით შემოფარგვლა სამართლიანად არ შეიძლება მივიჩნიოთ.

საზღვაო ვაგზლის მშენებლობის და ნიკო ნიკოლაძის ძეგლის გადატანის საკითხის მოუგვარებლობამ შეიძლება სერიოზული დაძაბულობა და უკმაყოფილება გამოიწვიოს ქალაქის მოსახლეობაში. თუ საზღვაო ვაგზლის მშენებლობა საკონტეინერო ტერმინალის მშენებლობის პარალელურად მაინც უნდა განხორციელდეს, ძეგლის გადატანა მშენებლობის დაწყებამდე უნდა მოხდეს. ეს პოლიტიკური და მორალური თვალსაზრისითაც აუცილებელია.

წინასწარი შეფასებით საზღვაო ვაგზის მშენებლობა ეღირება 22 მილიონი დოლარი, ნიკო ნიკოლაძის ძეგლის გადატანა 360 ათასი დოლარია.

პროექტის ავტორები კისრულობენ ძეგლის გადატანისა და სკვერის შეფასების ხარჯებს, აუცილებლად მივიჩნევდი საზღვაო ვაგზის მშენებლობის ხარჯების გათვალისწინებასაც, ვინაიდან შემოთავაზებული პროექტის განხორციელების შემთხვევაში ქალაქი კარგავს ერთ-ერთ კეთილმოწყობილ უბანს და სანაცვლოდ არ ღებულობს არაფერს.

მე-12-ე გემმისადგომის იჯარით გაცემის თაობაზე ინფორმაციამ უკვე გაჟონა და უკმაყოფილო განწყობილებებიც უკვე შეიმჩნევა ნავსადგურში. ამას თავისი ახსნაც აქვს. ნავსადგურის ხელმძღვანელობა, როგორც წესი, გადანყვეტილებას, პროექტებს ამზადებს მალულად, შრომით კოლექტივში ყოველგვარი განხილვის, მოთათბირებისა და წინასწარი განმარტებითი მუშაობის უგულვებელყოფით, ამდენად ეს გადანყვეტილებები, პროექტები აღიქმება, როგორც ჯგუფური ინტერესების გამოხატულება და არა სახელმწიფოებრივად მიზანშეწონილი ღონისძიებები. ამდენად. განსახელმწიფოებრიობის ყველა ნაბიჯს, მათ შორის მომსახურების სფეროშიც ფოთის ნავსადგურში დიდი სიფრთხილით უნდა მივუდგეთ.

აქვე აღვნიშნავ, რომ ნავსადგურის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების გეგმის შედგენისას დაშვებულია არსებითი ნაკლოვანებანი.

1. არ არის გათვალისწინებული მეთევზეთა ფლოტის ბაზირების საკითხი.

2. არ არის გათვალისწინებული სამხედრო ნავსადგურის საკითხები, უფრო მეტი, სამხედრო-საზღვაო ფლოტის ბაზირების აკვატორია და მიმდებარე ტერიტორია გამიზნულია სულ სხვა დანიშნულებით. ისე, რომ ამის შესახებ სამხედრო უწყებას არც კითხეს.

3. არ არის გარკვეული გემთსაშენის საკითხი.

ყველა ამ საკითხზე ქალაქის ხელმძღვანელობამ, სამხედრო უწყებამ არაერთხელ მიაპყრო საპროექტო ორგანიზაციის და ნავსადგურის ხელმძღვანელობის ყურადღება, მაგრამ სამწუხაროდ, ეს შენიშვნები არ იქნა მხედველობაში მიღებული.

საფიქრებელია, რომ ნავსადგურის განვითარების პროექტის არასრულყოფილობის გამო ადგილი აქვს მის იგნორირებას. ასე, მაგალითად, სამხედროების ნავთობბაზის მშენებლობა (რომელსაც „დროებითი“ დაარქვეს), ახორციელებდნენ არა იქ, სადაც გათვალისწინებული იყო საკონსიგნაციო საწყობების, სასაწყობო მეურნეობის მოწყობა.

ამჟამად ეს გარემოება ხელის შემშლელ ფაქტორად იქცა არსებული საკონტინერო ტერმინალის გასაფართოებლად, თუმცა მისი განხილვა



შემოთავაზებულის ალტერნატიულ ვარიანტად, ჩემი აზრით, ყურადღებას იმსახურებს.

ეს მაგალითი იმის გამო მოვიხსენიე, რომ ტექნიკურ-ეკონომიკური გეგმიდან გადახვევის პრეცედენტი უკვე დაშვებულია (საპროექტო ორგანიზაციის თანხმობით). ამდენად, არგუმენტად იმის მოშველიება, რომ საკონტინენტო ტერმინალი მაინც და მაინც მე-12-ე გემმისადგომზე უნდა მოეწყოს, არ მიმაჩნია დამაჯერებლად. აუცილებელია სხვა ვარიანტის მოძებნა, თუ არ მოგვარდა ახალი ვაგზლის მშენებლობის საკითხი.

ზემოთქმულიდან გამომდინარე:

1. ფოთის ნავსადგურში ამერიკული კომპანია „სი-ლენდის“ ინვესტიციის გამოყენების მიზნით მუშაობა უნდა გაგრძელდეს.

2. სასწრაფოდ უნდა გადამუშავდეს ნავსადგურის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება სამხედრო-საზღვაო გამოსაშენისა და საოკეანო თევზჭერის სამმართველოს ინტერესების გათვალისწინებით.

3. ფოთის ნავსადგურში ინვესტიციების განთავსების პირობები და ფორმები უნდა განისაზღვროს იმ მარეგლამინტირებელ მოთხოვნათა გათვალისწინებით, რომელიც ჩამოყალიბებულია „საქართველოს საზღვაო დარგის განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 17 აგვისტოს ბრძანებულებაში და განსახილველად წარედგინოს საქართველოს მთავრობას.

ირაკლი მონერელია

ფოთის ვიცე-მერი

03.08.96

## რამდენიც არ უნდა იტიპტიპო, სკამი არავის შეჩვენა...

წავიკითხე თეა აბსარიძის ინტერვიუ თემურ წურწუმისათან. მისთვის ჩვეული რიტორიკა ყველაფერსა და არაფერზე, პრეტენზია ჭეშმარიტებაზე უმაღლეს ინსტანციაში, ცოტა სიმართლე, მეტი ტყუილიც, დემაგოგია, თავის მოკატუნებაც, კეკლუცობაც, კომიზმიც, არაკომპეტენტურობაც, მაგრამ ეს, ასე ვთქვათ ჩემი პირადი შთაბეჭდილებებია და ამჟამად გარკვეულ მიზეზთა გამო ვრცელი კომენტარებისაგან თავს შევიკავებ, შევხები მხოლოდ რესპონდენტის „მონოლოგის“ ბოლო ნაწილს. „მონოლოგს“ იმიტომ ვამბობ, რომ რაზეც იქ საუბრობს ბატონი თემური, ჟურნალისტს საერთოდ არ უკითხავს მისთვის, როგორც ჩანს პატივცემულ საკრებულოს თავმჯდომარეს მეტისმეტად აწუხებს, საზოგადოება „სტალინთან“ კონტექსტში რომ მოიხსენიებენ გაგვიზიარა ის, რაც შიგან დაუგროვდა.

ახსენებს რა სტალინს, ბატონი თემური აღნიშნავს, რომ „ადამიანის უფლებაა იქონიოს თავისი დამოკიდებულება ნებისმიერი ისტორიული პიროვნების მიმართ“. არც არავინ მიიჩნევს ამას სადაოდ. ზოგს სტალინი მოსწონს, ზოგს ნაპოლეონი, ზოგს კი კაგანოვიჩი ან ბერია, როგორც იტყვიან გემოვნების საკითხია. მაგრამ, როდესაც რომელიმე ისტორიული პოლიტიკური ფიგურის, მით უმეტეს სტალინის სახელობის საზოგადოებასა და მის წევრობაზე საუბარი, აქ უკვე პოლიტიკური ამროვნების მიმდინარეობაზე და მის თანაზიარობაზე საუბარი. ეს კი არ არის იგივე, რაც სტალინისადმი კერძო პირის დამოკიდებულება. სწორედ ამის გამო უკვირებენ პერიოდულად ბატონ თ. წურწუმისა და არა სტალიონისადმი სიმპატიებისათვის, რომელსაც სხვათა შორის, ქართველთა აბსოლუტური უმრავლესობა იჩენს მისი პიროვნებისადმი.

როგორი მენტალიტეტი უნდა ჰქონდეს ვაცს, რომ XXI საუკუნის მიჯნაზე, გლობალურად მიმდინარე დემოკრატიული პროცესების ფონზე შესაძლებლად ჩათვალოს მოეჭიღო გაბითურებული კომუნისტური იდეოლოგიის უმთავრესი ფუძემდებლის სახელს ამოფარებულ პოლიტიკურ ორგანიზაციას? არ უნდა უკვირდეს ბატონ თემურს, რომ ამას პერიოდულად შეახსენებენ. (მით უმეტეს, რომ არცთუ იშვიათად თავად იძლევა საფუძველს). და არა თვით ფაქტის გამო.

იქვე ვკითხულობთ: ...„დამფუძნებელ კრებაზე, ონიანის წინადადებით, ტერმინს „სტალინურს“ მიენიჭა „კომუნისტური“, რაზეც მე იმწამსვე განვაცხადე, პროტესტი და ვთქვი, რომ ეს არ შედიოდა მათ პირვანდელ წინადადებაში და არც დამიჭერია კავშირი ამ საზოგადოებასთან“. ვიტყვი, რომ ის უკვე კომიზმია. რაზე დაობენ? ვითომ რა განსხვავებაა

„სტალინურ-კომუნისტურსა“ თუ „სტალინს“ შორის? ხრუშჩოვმა ვერ მოგლიჯა „სტალინურს“ „კომუნისტური“ და თემური წურწუმის ნეტარაში დაჭირდა ეს თეორიული წიაღსვლები მარქსიზმ-ლენინიზმის დამკვიდრებულ დოგმებში XX საუკუნის დასასრულს?

ყველაზე საინტერესო კი ჩემთვის ის არის, რომ, როგორც თემური ბრძანებს, მთელ ამ ოთურმას საზოგადოება „სტალინს“ შექმნასთან დაკავშირებით ჩემს კაბინეტში ჰქონია ადგილი და თურმე ყველივე ამას მეც ვესწრებოდი. ერთ-ერთ დამსწრედ კი რომან გვენცაძეს ასახელებს, რა შეიძლება ამაზე ითქვას? არავითარი საზოგადოების დამფუძნებელი კრება ჩემს კაბინეტში ჩემი მონაწილეობით არ ჩატარებულა. რომან გვენცაძეს 20 წელია სალაპარაკოდ არ შევხვედრივარ. როგორც მსმენია, დამფუძნებელი კრება ფოთში ჩატარდა (სად - არ ვიცი) და საზოგადოება „სტალინის“ თავმჯდომარედ აირჩიეს ბატონი თ. წურწუმი.

ისე, რა გაუჭირვეს ამ კაცს საქმე სტალინით? თუ ამბობს არ ვარო მისი სახელობის საზოგადოების წევრი, მაშასადამე არ არის. გამოსულა. თუმცა ბელადის შემოქმედებასა და სულიერ მემკვიდრეობასთან შეხებას არც თემურისთვის ჩაუვლია უკვალოდ თუ არა და მკითხველმა თავად განსაჯოს.

დიდი ხნის წინათ იოსებ სტალინმა მთელი საბჭოეთის კომუნისტების ნაღები მოსკოვს იხმო და ყრილობა ჩაატარა, რიგით მე-17-ე.

ყრილობის დაწყებამდე საარჩევნო ბიულეტენები თავად მონიშნა. კომუნისტების ფორუმის დახურვის შემდეგ გახსნა ჩუმად, თავისთვის და . . . იმთავითვე დაადგინა ვინ მისცა ხმა მას და ვინ კიდევ მის ნაცვლად სხვას.

შედეგი: 37-ში დიდმა ბელადმა ზოგი სხვაგვარად მოაზროვნე გაუუჟა და ზოგიც თეთრი დათვების სამფლობელოს მახლობლად დაასახლა. შორეულ ჩრდილოეთში, რა თქმა უნდა.

ეს ასე იყო.

ამ ამბიდან დიდი ხნის შემდეგ, ამა წლის 17 ივლისს ფოთის საკრებულოს თავმჯდომარემ თ. წურწუმიამ იხმო ფოთელი ხმოსნები და სესია ჩაატარა, რიგით მე-3-ე.

კენჭისყრის შედეგების გამოცხადებისა და სხდომის დახურვის შემდეგ რაღაც არ მოეწონა, გახსნა ბიულეტენები, გამოაცხადა გაყალბებულად და ჩაატარა სასწრაფოდ ახალი კენჭისყრა.

მედეგი: არასასურველი კანდიდატი „არ შეუშვა“ ფოთის მთავრობაში. სტალინი ბოლშევიკური პარტიის წევრი იყო, მაგრამ სად ისწავლა ბიულეტენებში ჩაჭყეტვა ამაზე ისტორია სდუმს.

წურწუმია პოლიტიკური გაერთიანება „სტალინის“ წევრი იყო და სავარაუდოა, რომ ფარული კენჭისყრის ოქმებში ფათური ნამდვილად სტალინისაგან ისწავლა.

სტალინი ერთ ხელისუფლებას ემსახურა და 30 წლის განმავლობაში მყარად იდგა პოლიტიკურ ოლიმპზე.

ბატონმა თემურ წურწუმამ რამდენიმე ხელისუფლებასთან ითანამშრომლა და როგორც თავად ბრძანებს, ტივტივებს ზედაპირზე, აგერ ათი წელია უკვე ტივტივებს და ტივტივებს...

სტალინმა დიდი გზა განვლო თბილისის სასულიერო სემინარიიდან კრემლამდე.

წურწუმამ უფრო პატარა: - ფოთის ეპარქიის მდივობიდან ფოთის საკრებულომდე.

პო-და მეც ვფიქრობ: იოსებ ჯუღაშვილი სასულიერო სემინარიაში რომ დარჩენილიყო, ხომ გადაურჩებოდნენ გაუუჟვას ის უბედურები 37-ში.

ახლა, წურწუმია რომ დარჩენილიყო ეპარქიაში მდივანად? ქუთაისის საოლქო სასამართლოში სირბილს ხომ ავცდებოდით მეც და ისიც. ფოთსაც მთავრობა ეყოლებოდა უკვე. თუმცა, ეს უკვე ფანტაზიის სფეროდანაა.

ბრეჟნევიმა დაგვიტოვა მაქსიმა: „კრიტიკა შოკოლადი არ არის, რომ გიყვარდეს“-ო. ვინც ხსენებულ ინტერვიუს ნაიკითხავს, დამერწმუნება, რომ ამ მხრივ ბატონ თემურ წურწუმას ბრეჟნევისაგან განსხვავებული გემოვნება ჰქონია. მეც ვენდე და ამიტომ შევთავაზებ ზემოხსენებული. სათაურადაც მისი სიტყვები გამოვიყენე.

ირაკლი მონერელია

30.08.02

## გაზეთ „ფოთის მოამბის“ რედაქტორს ქალბატონ დალი ეზრაიძეს

ქალბატონო დალი,

თქვენი გაზეთის 2004 წლის 09-12 ივლისის ნომერში გამოქვეყნდა პუბლიკაცია „42 წლის ასანიძეს დღემდე მამა არჩენს“, სადაც მოყვანილია ასანიძის სიტყვები „ჩემი ვაჟიშვილი პირველი სკოლიდან, როდესაც მესამე კლასში სწავლობდა, იმიტომ გარიცხეს, რომ თურმე მოლატის შვილი იყო, ეს მოწინაველია სიტყვებია“. (ციტატის დასასრული).

ჩემთვის ცნობილი არ არის ვის უღალატა ასანიძემ (ან საერთოდ უღალატა თუ არა). მაგრამ მისი შვილი სკოლიდან რომ არავის გაურიცხია - ეს დადგენილი ფაქტია, რასაც ამ სკოლის დირექტორის მიერ გაცემული ცნობა ადასტურებს (თან ერთვის). ამდენად, ასანიძის შვილის არშემდგარ გარიცხვას კომენტარს მე ვერანაირად ვერ გავუკეთებდი, ან როგორ უნდა გამეკეთებინა, როდესაც არათუ შვილზე, თავად ასანიძის ასავალ-დასავალზეც კი წარმოდგენა არ მქონია 2002 წლამდე. ანუ იმ დრომდე, ვიდრე მან ჩემი განმკითხავის მისია არ იკისრა და მას აქეთ არ მაკლებს „მზრუნველ“ ყურადღებას. რაღას აღარ მიკვირნებს. სულ ერთსა და იგივეს: რაც არ მითქვამს, არ ჩამიდენია, რაც აზრად არ გამივლია.

ორი წელია ეს კაცი რისხვის ზარებს მატეხავს ტრიბუნიდან, ტელევიზიით, გაზეთის მეშვეობით. სულ ბრაზობს, იმუქრება . . . ყოველივე ამის გამო ჩემს ღირსებას არაფერი დაკლებია. საკითხავი ის არის რა შეემატა მისას.

ახლა კიდევ მცირეწლოვანი შვილის გარიცხვაც შეთხზა მხოლოდ იმიტომ, რომ აქაც „როლი“ დაეკისრებინა ჩემთვის.

ვერ გავიგე რას ხლართავს ასანიძე, რას გადამეკიდა, თითქოს მე ვუძლიდი ხელს „აღორძინების“ შეხმატკბილებულ გუნდში გოგითის ხელმძღვანელობითა და ქანთარიას „მოქვაპირული“ აკომპანიმენტის თანხლებით „ასლანბეგურას“ რომ აგუგუნებდა წალენჯიხური აქცენტით და ავსებდა ქალაქს ფუჭსიტყვაობის ჟრიაშულით. ან კიდევ, თბილისში შევარდნაძის ხელისუფლების გასამაგრებელ შემოდგომის ხორუმში ასფალტს რომ ტკეპნიდა ჯიუტად პარლამენტის წინ, ისიც მე ვურჩიე? ახლა რომ ეპოტინება ნოემბრის ვარდებს თავგამოდებით და საეჭვო გულმოდგინებით ძერწავს „ხალხის მტრებს“ არ ერჩივნა ასფალტის კოლექტიურად ტკეპნას დროზე შეესრულებინა „განდაგანა სოლო“ რევოლუციურ მოტივებზე და ზღვა ვარდებით სავსე თბილისში ერთისთვის მაინც გამოეკრა ხელი. კიდევ პარგი რომ ვერ გამოკრა, თორემ მთლად ცუდად იქნებოდა ჩემი საქმე. თუმცა, რომ ვერ შეწვდა ნოემბრის ვარდს არც ის არის ჩემი ბრალი.

ირაკლი მონწერელია

28.07.04



## ლენინი რომორ არ მახსოვს!

ერთი ხმოსანიც გამახსენდა. აქაური, ფოთელი, მისი იდეებისა რა მოგახსენოთ და ლექსიკით, გამონათქვამებით, მიმიკითაც კი ისე ჰგავს მსოფლიო პროლეტარიატის ბელადს, რომ არც კეპი ჭირდება თავზე და თხანვერი ნიკაპზე. მისი შემყურე, აბა რა დამავინყებს ლენინს!

- „დახვრიტეთ!“, „ჩამოახვრიეთ!“, „გააციმბირეთ“, „ინტელიგენცია მძ...რი“ უკიჟინებდა თანამედროვეთ დიდი ბელადი.

- „ლიკვიდაცია გაუკეთეთ!“, „ეკზეკუცია ჩააყენეთ!“, „დასაჭერია!“, „ჩამოვაპანღურებ!“, „მინდა ვცემო!“, „გააგდეთ!“, „გ..... არ მიჭამია“ - ეხმიანება მას პროვინციელი ხმოსანი, ჩვენი თანამედროვე.

ხედავთ, რამდენი აქვთ საერთო მასებთან მიმართებაში, მხოლოდ ადამის მოდემის დეფეკაციური მასის დანიშნულებისადმი ავლენენ განსხვავებულ მიდგომას. ბელადი უფრო მასშტაბურია და „მასით“ ინტელიგენცია „მოკაზმა“ ერთიანად. ხმოსანი კი უფრო „მოკრძალებულია“ და ღამის ქოთნის შიგთავსს... ლოკალურად, კულინარული ღირებულების ასპექტში განიხილავს. ისე ამბობს არ დამიჭამნიკებიაო, თითქოს ვინმე ლენინის მეგობრის, ამხანაგ კამოს „გამოცდილების გაზიარებას“ ავალდებულებდეს.

სხვა მხრივ, ფრთხილი ვაცი იყო ლენინი, ფრიად ანგარიშიანი. მომენტის გრძნობა ჰქონდა და პოლიტიკურ არენაზეც დროულად იცოდა გამოსვლა, ამიტომაც იყო, რომ 1917 წლის ნოემბერში უზარმაზარი იმპერიის მართვის სადავეებიც კი იგდო ხელთ. 47 წლის ასაკში.

რა ვუთხრათ აბა, ლენინური ფრაზეოლოგიით ნასაზრდოებ ხმოსანს შეუფერებელ დროს და შეუფერებელ ადგილზე სხვის დაკრულზე რომ იცეკვა ხორუმი საკუთარი ფეხებით და ძლივს გამოასწრო ვარდების ცვენას რევოლუციური თბილისიდან.

იგივე სიტუაციაში ლენინი იცით რას იზამდა? ხორუმს სხვისი ფეხებით იცეკვებდა! არც ლენინური ტიპის ასლანს გაეკარებოდა გაბითურებული პარტიის საარჩევნო სიაში ნომრის მისაღებად. 42 წლის ასაკში. პოლიტიკა იცოდა და იმიტომ!

მახსოვს ლენინი, როგორ არ მახსოვს, „ლენინოვიჩების“ „იჩებსაც“ ვხედავ გარშემო და მათი შემყურეს ფრანგების იმპერატორის გამონათქვამი მახსენდება: „დიადიდან სასაცილომდე ერთი ნაბიჯია მხოლოდ“.

ირაკლი მონწერელია

06.09.04

## პასუხი №

გადავშალე „ფოთის მოამბის“ N27 და შევიტყვე, რომ ამჯერად ჩემთვის დევი გვალთამ მოიცალა. ნავსადგურის უფროსის მოადგილედ რომ მუშაობს იმან.

მოიცალა და მერე როგორ მოიცალა! კომენტარი გაუკეთა ფოთის მთავრობის დადგენილებას ისე, რომ ეს დადგენილება თვალად არ უნახავს, არ წაუკითხია. დადგენილების პროექტი რა არის და მის განხილვაშიც მონაწილეობა არ მიუღია არც მთავრობის სხდომას დასწრებითა. მსჯელობასაც კი მინის საკითხთან დაკავშირებით „მიზანმიმართულ პროვოკაციას და დადგმულ სპექტაკლს უწოდებს, მთავარ როლში ირაკლი მონერელია გამოჰყავს და ნავსადგურის მისამართით მინასთან დაკავშირებულ ბრალდებებს თითოიდან გამონოვილს უწოდებს“ ვკითხულობთ პუბლიკაციაში.

თავიდანვე სიცხადე რომ შევითანოთ, დაინტერესებულ მკითხველს ვაუწყებ, რომ ქალაქის მთავრობამ განიხილა საკითხი „ფოთის საზღვაო ნავსადგურისათვის უსაყიდლო უზუფრუქტით სარგებლობაში გადაცემული მინის ფართობის შესახებ“ და მიიღო შესაბამისი დადგენილება. განხილვის თემა მთლიანად მთავრობის კომპეტენციის საგანია. უფრო მეტიც, მთავრობა მოვალეა გადაამოწმოს საკუთარი გადანყვეტილებები და ცვლილებებიც შეიტანოს, თუ საამისო საფუძველი არსებობს. მინების გადაცემა, გასხვისება რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივი აღმასრულებელი ხელისუფლების პრიმატს ამ პროცესში. შევახსენებ დევი გვალთას, რომ თავის დროზე ის 380 ჰექტარი ნავსადგურს, სწორედ მერიისა და საკრებულოს გამოცემული დოკუმენტების საფუძველზე გამოეყო, ანუ კანონით დადგენილი წესით. შემდეგ კი გაფორმდა ხელშეკრულება უზუფრუქტით გადაცემის თაობაზე, რომელსაც ხელს აწერენ ქალაქის მერი და ნავსადგურის უფროსი. მას შემდეგ გავიდა ოთხი წელი და აღმოჩნდა, რომ ნავსადგურმა დაარღვია ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები და იგივე ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებებით ქალაქის მთავრობამ ხელშეკრულება შეწყვიტა. მიზეზი კი ხელშეკრულების შეწყვეტისა ის არის, რომ ამ ფართობზე ხეები გაიჩეხა, მიწა გაზიდეს და ტერიტორია დააჭაობეს (თუმცა ესეც სერიოზული არგუმენტია ხელშეკრულების მოსაშლელად), არამედ ის, რომ ტერიტორია ნავსადგურმა არ გამოიყენა იმ პირდაპირი დანიშნულებით, რისთვისაც იგი გამოეყო, ანუ როგორც ყველა დოკუმენტშია აღნიშნული, ეს ტერიტორია გამოეყო ნავსადგურს „ექსტენსიური განვითარებისათვის“, ისე როგორც საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული გენერალური გეგმით იყო გათვალისწინებული, იმ გეგმით, რომლის შესადგენად თავის დროზე ნავსადგურმა სოლი-

დური თანხა გადაიხადა, როგორც ამბობენ 1 მილიონი დოლარი. ბატონმა დევამ კი უკეთეს დრომდე თაროზე შემოდო და ნავსადგური „ინტენსიური განვითარების“ გზით წაიყვანა, რა თქმა უნდა დამკვეთთან ერთად, ანუ უფრო „მდაბიური“ ენით რომ ვთქვათ ნავთობის ტერმინალი.

უკაცრავად, ნავთობის რეზერვუარები იქ კი არ განათავსა, რისთვისაც მიწა გამოეყო, არამედ სულ სხვაგან, სადაც ადგილი იყო. მეორე სანარმოო რაიონში; როდესაც მენაშენე გამოყოფილ მიწას არ ითვისებს (არავითარი მშენებლობა არ აქვს იაპონელი ინვესტორების მიზნით იქნება თუ კიდევ სხვების) მიწა უნდა დაუბრუნდეს ქალაქის მიწის ფონდს. საკითხი ისაა, სად დაინახა დევი გვალამი მიზანმიმართული „პროვოკაცია“ ან კიდევ „სპექტაკლი“? მისმა კოლეგა ქალბატონმა კი „შოუ“? თუ უცხო სიტყვების მნიშვნელობა არ ვიცით, ხანდახან შესაბამის ლექსიკონში ჩავიხედოთ, ისიც გავარკვიოთ რა განსხვავებაა „ინტენსიურსა“ და „ექსტენსიურს“ შორის და მაშინ უფრო მშვიდად აღიქვამთ სხვების პოზიციასაც. თუ ქალაქის ხელმძღვანელობა მცდარ ნაბიჯს დგამს, სულაც არ არის სავალდებულო დამამცირებელი ეპითეტების და იარლიყების მიწებება. ამით ჩვენ არაფერი გვაკლდება, ისევე როგორც არაფერი არ გემატებათ თქვენ.

ორიოდე სიტყვა ჩემი „როლის“ შესახებ. საკითხის მომზადებასთან საერთო არაფერი მქონია, არც დავალება გამიცია მის მოსამზადებლად. თუმცა ეს არ არის მთავარი. ეს ისე, ცნობისათვის. მაგრამ ჩემგანაც რომ მომდინარეობდეს მერე რა? მე სახელმწიფო მოხელე ვარ და ხელფასს იმისათვის მიხდიან, რომ ჩემი სამსახურეობრივი უფლებამოსილების ფარგლებში ვიმოქმედო. დევის მიწა ვკითხო, ნავსადგურის უფროსის მოადგილეს, რა არის ამაში ცუდი?

სიტყვამ მოიტანა და რამდენიმე კითხვა გამოჩნდა ამჯერად დევი ინჟინერთან. დიდი ბოდიშის მოხდით, რა თქმა უნდა „მიზანმიმართულ რაღაცაში“ თუ არ ჩამითვლიან ნავსადგურის ბეტონის ღობის მიღმა. ამ ათიოდე წლის წინ მე-15-ე გემმისადგომთან წისქვილქარხნის გვერდით ხიმინჯები რომ ჩაარჭვეთ სულ 18 მეტრიანები 58 ცალი და ნიკოლაძის დროინდელ აკვატორიას 0,4 ჰა წყლის სარკე „ჩამოაჭერით“ ეს რისთვის გაკეთდა? იქაურ წყალქვეშეთს „ბეტონის ხიმინჯების ტყე“ რაში ჭირდებოდა? ესეც ნავსადგურის განვითარების ეტაპია, თუ მორიგი ზღაპარი განვითარების შესახებ? ჰო-და თავი რომ ზღაპარში წარმოვიდგინოთ 18 მეტრიან ხიმინჯს 58 ცალს ორი-სამი ზღაპრული დევი (დევს გააჩნია) 2-3 დღეში ჩაარჭობდა სულ მექთად და რა თქმა უნდა ფუჭად. საკითხავი ის არის, იგივე საქმეში რამდენი გადაიხადა ინჟინერმა დევამ.

მითხრეს, რომ იქვე ხორბლის საცავის აშენებას აპირებთ, არ არის ურიგო საქმე, მაგრამ მე-14 გემმისადგომთან აკვატორიის მო-

რიგი „სეკვესტრის“ გარეშე არ შეიძლება? მით უმეტეს მაშინ, როდესაც „სეკვესტრიც“ და ხიმინჯების დარტობა ცუდად გაქვს კაცს დაცდილი.

ერთიჯ ვიკითხოთ, სად დაივანა ნავსადგურის „ექსტენსიური“ განვითარების გეგმამ და მისმა თანმხლებმა დიდმა მაკეტმა, რომელსაც დევი-ინჟინერი ასე გულდასმით აცნობდა ხან ირანელ მაღალჩინოსნებს, ხან შავი ზღვის აუზის ქვეყნების წარმომადგენლებს და ხან კიდევ სულაც წალენჯიხიდან და ჩოხატაურიდან ჩამობრძანებულ სტუმრებს და თუ მაინც ნიკოლაძის დროინდელ 29 ჰექტარზე განვითარებდით ნავსადგურს, 380 ჰექტარი რაღად გვინდა?

საერთოდ არ ვარგა გამოთქმა „ხელისუფლება ნავსადგურის წინააღმდეგ“. როგორ შეიძლება „ხელისუფლება ნავსადგურის წინააღმდეგ“? ან ვთქვათ, ხელისუფლება ტრიკოტაჟის ფაბრიკის, ან კიდევ რუბეროიდის ქარხნის წინააღმდეგ? თუმცა ამ გამოთქმის მიღმა იკითხება ამბიციაც, დემაგოგიაც, განსაკუთრებულობის ხაზგასმა.

არავის მოქმედებას არ მინდა მივაკერო იარლიყები ან რაიმე ეპითეტები ვუძღვნა, მაგრამ დევი ფოთელს, ნავსადგურის უფროსის მოადგილესა და ინჟინერს მინდა ვუთხრა, რომ მე უფრო მომეწონებოდა ნავსადგური რომ ექსტენსიურად განვითარებულიყო და ის 380 ჰექტარი გავერანებას აცდენოდა. მის ადგილას კი ახალი სამუშაო ადგილები გაჩენილიყო, არც ის არის მოსაწონი, რომ ნავსადგურის ინტენსიური განვითარების მიუხედავად მთელ ტერიტორიაზე საეჭვო წარმომავლობის მტვრის ისეთი ბუდე დგას, რომ დარწმუნებული ვარ დევის ცხვირწინ რომ იყოს, ამდენ ხანს რაღაცას მოუხერხებდა არც ის იყო მოსაწონი ამ პრობლემას თბილისელი რეჟისორების მონაწილეობით თავყრილობა რომ მიუძღვნა. რაზე შევიკრიბეთ ბჭობად? მტვერი რომ მავნეა და შემანუხებელი ნაცარქექიასა და დევის ურთიერთობიდან მაინც არ გაგახსენდათ არავის ჩემო დევი? კიბოს თუ არ აჩენს მტვერი, მერე რა? ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ მას სამკურნალო თვისებები გააჩნია, ნავსადგურული წარმომლობის რომ არის იმიტომ.

თავს რომ იწონებთ გაზეთის თანამშრომელთან ინტერვიუში თუ რის გაკეთებას აპირებთ 380 ჰექტარზე და უკვე რა გაგიკეთებიათ, ცნობილ პერსონაჟებს მაგონებ „არაჩვეულებრივი გამოფენიდან“. ერთი დიდი მარმარილოს ლოდის შემყურე რომ იძახოდნენ: „მე ამისგან გავაკეთებ...“! მაგრამ თუ ამდენის შემძლე იყავი მისასვლელი გზა ვერ მოაწესრიგე ნავსადგურის ჭიმკრამდე? ჯავახიშვილის ქუჩა რომ ჰქვია ის? მართალია ნავსადგურის ღობის გარეთაა იგი, მაგრამ მაინც შენი ქალაქია, ან კიდევ სასტუმრო „ფაზისის“ შენობა. ისიც ღობის გარეთაა (მაგრამ თქვენია) და რატომ არის ასე გაპარტახებული?

ან იმაზე არ გიფიქრია, ყოველი კოკისპირული წვიმის დროს ამ შემთხვევისათვის შემონახულ აგურებზე სკუპ-სკუპის გარეშე საკუთარი ეზოს ტიპკრამდე რომ ვერ მიდიხარ? ესეც იმიტომ არის, რომ ადგილობრივ ბიუჯეტში ნავსადგურის შენატანები საკმარისი არ არის, თუმცა ეს უკვე სხვა თემაა, უფრო ვრცელი და მნიშვნელოვანი.

საერთოდ, რა გრჯიდა ამხელა კომენტარი რომ უძღვენი მთავრობის დადგენილებას, რომელიც არც წაგიკითხავს. ხომ შეიძლება სხვასაც გააჩნდეს საკუთარი აზრი თუნდაც ფუჭად ჩარჭობილი ხიმინჯების თაობაზე, რომელთა გადამისამართება (წარმოსახვაში მაინც) დღესაც არ არის გვიან, მაგრამ არც სავალდებულოა ყველა მოსაზრება პრესით გავახმაუროთ.

ირაკლი მონერელია



## აგაჭიკჭიკის თუ „გალოჯ“?

გასულ კვირას ჩვენი გაზეთის რედაქციამ მიიღო ყოფილი ვიცე-მერის, ირაკლი მონწერელიას ღია წერილი ფოთის ყოფილი მერის, ბატონი გია დარჯანიას ინტერვიუს თაობაზე, რომელიც ამა წლის 8-14 თებერვალს დაიბეჭდა გაზეთ „მთავარი სამეგრელოში“. გთავაზობთ აღნიშნულ წერილს ყოველგვარი კომენტარისა და შემოკლების გარეშე. საავტორო უფლებები და სტილი მთლიანად არის დაცული.

ქ. ფოთის ყოფილი მერის გია დარჯანიას ინტერვიუს თაობაზე.

გაზეთ „მთავარი სამეგრელოში“ N21, 8-14 თებერვალი, 2005 „მონწერელიას არ დამტკიცებაც გასაკვირია, ვინაიდან მას, როგორც საქმის პროფესიონალს ისე ვიცნობ და საბიუჯეტო ფისკალურ პოლიტიკასთან მას შეხება საერთოდ არ ჰქონდა“.

გ. დარჯანია. „გაზეთი ფოთი“ N28 2002 წ. აგვისტო.

ჩემი წერილის ეპიგრაფად დარჯანიას გამონათქვამი შემთხვევით არ მომიყვანია. ეს იმას ნიშნავს, რომ ერთის მხრივ მეხსიერების დაქვეითებას არ ვუჩივი, მეორეს მხრივ კი დარჯანიასგან განსხვავებით ნაჩქარევად არც აზრებს ვიცვლი.

დარჯანიამ თავისი ემოციური ინტერვიუთი, ჩემს მიმართ დაშვებული გამოხდომებით საკმაო რთული ამოცანის წინაშე დამაყენა. იმიტომ კი არა, რომ მათზე პასუხი არ გამაჩნია, არამედ იმიტომ, რომ მთელი ამ ბრალდებების ზედახორა არათუ საფუძველს მოკლებულია, არამედ თავისი ხასიათით აბსურდულია. სწორედ აბსურდის კომენტირებაა ძნელი. მიუხედავად ამისა საჭიროა. დარჯანია, რომელმაც კარგად იცის, რომ გამოძიების მასალები მიუწვდომელია, გთავაზობს თავისი მძიმე თავგადასავლის ვერსიას მისთვის ხელსაყრელი ინტერპრეტაციით და წარმოადგენს მას, როგორც გაუგებრობისა და ხრიკების შედეგს, რომელიც მას „მოუწყვეს“. რა თქმა უნდა, ეს მთლად ასე არ არის. არც მე ვაპირებ მასთან პოლემიკას და უხერხული კითხვების დასმას, ამიტომ შევეცდები არ გავცდე ინტერვიუში გამოთქმულ ბრალდებებსა და პრეტენზიებს...

1. დარჯანია აღნიშნავს, რომ მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე კონტროლის პალატის აქტის საფუძველზე აღიძრა. რომელიც მერიის საფინანსო საქმიანობის შემწეობის შედეგებზე 2002 წელს დაინერა. ამ აქტის შედგენასთან მე არათუ შეხება არ მქონია, იგი დღემდე თვალადაც არ მინახავს. როდესაც ეს აქტი პროკურატურამ მოითხვა, ის მერიაში არ აღმოჩნდა. მაშასადამე, დარჯანიას მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის საფუძველთან მე არავითარი შეხება არ მქონია.

2. როგორც დარჯანია ამბობს, კონტროლის პალატის აქტი „იმდენად მძიმე“ არ იყო, რამდენადაც ფოთის ხელმძღვანელობის მიერ გაგზავნილი წერილები. ამ განცხადებას აკეთებს ქალაქის ყოფილი ხელმძღვანელი? ქვეყნის უმაღლესი მაკონტროლებელი ორგანოს - კონტროლის პალატის აქტის საფუძველზე დაუკავებიათ და ის კი იძახის „იმდენად მძიმე“ არ იყო. დარჯანიას შევახსენებ, რომ კონტროლის პალატის აქტი წარმოადგენს სახელმწიფო დანესებულებების (ამ შემთხვევაში მერიის) საფინანსო საქმიანობის დოკუმენტების რევიზიის შედეგს, ეს შედეგები კი, როგორც ჩანს „იმდენად მძიმე“ იყო, რომ მიუხედავად იმისა, რომ აქტი ორი წლის წინანდელ მოვლენებს ეხებოდა, დარჯანია მაინც დააკავეს. ასე, რომ არანაირი „უფრო მძიმე“ წერილი მერიიდან გაგზავნილი არ ყოფილა და არც შეიძლება ყოფილიყო, რაშიც მე მდებს ბრალს დარჯანია. ცალსახად და კატეგორიულად ვაცხადებ, რომ მე არავითარი წერილით არ მიმიმართავს პროკურატურისადმი დარჯანიას რაიმე ქმედების თაობაზე და არცერთი მისი განკარგულების რევიზია არ მომითხოვია! იყო რამდენიმე შემთხვევა, როდესაც პროკურატურამ მომართვის საფუძველზე მოითხოვა სხვადასხვა დოკუმენტების ასლები, რომელიც მას ეგზავნებოდა კიდევაც არსებული წესის შესაბამისად. თანმხლებ წერილს კი ხელს აწერდა მერი ან მისი არყოფნის შემთხვევაში რომელიმე მისი მოადგილე, მათ შორის მეც. მერედა რა არის ამაში საძრახისი ან უკანონო, შეჩვენებას რომ მითვლის დარჯანია? ისიც უნდა ითქვას, რომ პროკურატურას არცერთი ჩვენს მიერ გადაგზავნილი დოკუმენტის პირველი ეგზემპლარი არ ამოუღია, ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ დარჯანიასაგან განსხვავებით გამოძიებას სწორედ ეს დოკუმენტები არ მიუჩინევია „იმდენად მძიმედ“. დარჯანიამ ისიც კი არ იცის, რომ გამოძიება არასოდეს არ ამღავნებს იმათ სახელებს, ვინც გამოძიებასთან თანამშრომლობს. და სწორედ ის მასალები იყო „არც ისე მძიმე“, რომელიც წააკითხეს. თავად კი ცდილობს მკითხველი საწინააღმდეგოში დაარწმუნოს და აკეთებს ამას „ჩაგრული ვაცის“ მიამიტობით.

3. სრული აბსურდია დარჯანიას ბრალდებები თბოელექტროსადგურთან დაკავშირებით. თბოელექტროსადგურის „შეძენისა და დამონტაჟებისათვის“ გაღებული თანხა 150 ათასი დოლარი არამიზნობრივ და უკანონო ხარჯად კონტროლის პალატამ შეაფასა, ხარჯი ფუჭად რომ არის გაღებული, ცხოვრებამ დაადასტურა. დარჯანია კი პრეტენზიებს მე მიყენებს, თითქოს ჩემი ბრალი იყოს „ფინკომიტმა“ რომ პირი უშალა და არც თბოელექტროსადგური ააშენა და არც 150 ათასი დოლარი დააბრუნა, რის გამოც დარჯანიას კითხვები (მათ შორის უსიამოვნოც) დაუსვეს. მერე და რა არის ამაში ახალი, მოულოდნელი და განსაკუთრებული? მეტიც, უსიამოვნო, მაგრამ სამართლიანი კითხვები თბოსადგურთან და-

კავშირებით ჯერ კიდევ 2001 წელს გაჩნდა, რამაც აიძულა საკრებულოს იმდროინდელი თავმჯდომარე, თბოელექტროსადგურის ერთ-ერთი „ორგანიზატორი“ ტყეუხავა უსტარი ეფრინა თავის უცხოელ კომპანიონთან ჩამოდი ან შემატყობინე რა ბედი ეწია ჩვენს 150 ათას დოლარს, თორემ არ ვიცი, რა მოუხერხო საკრებულოს ოპოზიციას, რომელიც პასუხს მოხოვსო. ამ ინფორმაციის გამჟღავნებისათვის კი ერთი თანამშრომელიც დაითხოვა სამსახურიდან.

კარგად იცის დარჯანიათ, რომ თბოელექტროსადგურისათვის გადაირიცხული თანხის საკითხი 2001 წლის ბოლომდე არაერთხელ იყო საკრებულოს სხდომებისა და მის გარეთაც საუბრის თემა და მხოლოდ ამის შემდეგ დაინერა (როდესაც სხვა შესაძლებლობები ამოუწერა) წერილი საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელზე თხოვნით, გაერკვია რა ბედი ეწია ფოთის ბიუჯეტის ფულს 150 ათას დოლარს. რა არის ამაში ცუდი? ეს წერილი რეგისტრირებულია და მე ვანერ მას ხელს. დარჯანიათ იცის რატომ. ნამდვილად არ მსურდა ამაზე ხმამაღლა საუბარი, მაგრამ თავად მაიძულა. ხელს მე მხოლოდ იმიტომ ვანერ, რომ დარჯანიათ თავი შეიკავა, რადგან შეიძლება საწყენად (?!) დარჩენოდა საკრებულოს თავმჯდომარეს. საგარეო საქმეთა სამინისტროდან პასუხიც მივიღეთ, მაგრამ რა კავშირი აქვს ამ მიმონერას დარჯანიას დაპატიმრებასთან ან თუნდაც იმას, წაუკითხავს თუ არ წაუკითხავს დარჯანიას შვეიცარიიდან (და არა იტალიიდან) პასუხი. მას რა გაუფუჭდა ამით? აკი თავად ამბობს, რომ მერიიდან გაგზავნილი დოკუმენტები რომლებიც თბოელექტროსადგურს შეეხებოდა მის სასარგებლოდ შეფასდა და ბრალდება მოეხსნა. რით არის უკმაყოფილო დარჯანია? რის დაფიქსირებას ცდილობს ამით, გარდა იმისა, რომ დოკუმენტს მე ვანერ ხელს და მეორეც: მიუხედავად იმისა, რომ თბოელექტროსადგურის და რიგი სხვა საეჭვო ღირებულების საფინანსო-ეკონომიური გადაწყვეტილებების „იდეოლოგი“ და „გენერატორი“ მასთან ერთად სულ სხვა კაცი იყო, ყოფნის კადნიერება თავისი უნიჭო, ბითური წამოწყების შედეგების გამო პასუხისმგებლობა მე დამაკისროს, არ ემეტება ის კაცი, მეგობარი, ნათესავი და თანამოაზრე და რა ქნას.

4. ისე, მეც ვერ გამიგია, რას მერჩის დარჯანია, მისთვის სიკეთის მეტი არაფერი გამიკეთებია. 1993 წელს, როდესაც მერის პირველი მოადგილე ვიყავი, დარჯანია კი სახლში იჯდა უსაქმოდ, აპარატში მივიყვანე და ძმაბიჭობისა და ნათელმირონობის ნიშნით კი არა, როგორც ამას დარჯანია აკეთებდა მოგვიანებით, არამედ იმიტომ, რომ აპარატის დაკომპლექტება მევალებოდა და მასზე არჩევანი პროფესიული ნიშნით შევაჩერე, მოგვიანებით განათლების ინსპექტირების ცენტრის უფროსად დავნიშნეთ. როდესაც „მოქალაქეთა კავშირის“ საქალაქო ორგანიზაცია

შეიქნა, მის თავმჯდომარედაც მე მოვიყვანე, 1995 წელს წელს კი მერის მოადგილედ გაუწიე რეკომენდაცია. ყველგან, სადაც მე ვუწევდი რეკომენდაციას, იგი კარგად ართმევდა თავს მოვალეობას, ამიტომ არავის გაკვირვებია, როდესაც იგი მერად დანიშნეს 1998 წელს. რეალური მხარდაჭერა ჩვენგან არც ამ თანამდებობაზე დაკლებია და როდესაც მისმა რეიტინგმა პიკს მიაღწია უკვე 1999 წელს, მე ვურჩიე კენჭი იყარა მაჟორიტარად ფოთიდან, ბევრიც ვეცადე (არა მარტო მე) დამეყოლიებინა, მაგრამ მან სხვა არჩევანი გააკეთა: დარჩა მერის თანამდებობაზე, ჩაუდგა სათავეში სახელმწიფო მმართველობის მანქანას რომან მელიას წინააღმდეგ და არჩევნები გაუყალბა, რაშიც მრავალი ადამიანი ჩაითრია, და უკიდურესად დაძაბა ვითარება ქალაქში, თავისი მოქმედება კი იმით გაამართლა (და დღესაც ამართლებ), რომ დავალებებს ასრულებდა „გემოდან“. ვაცს ხასიათი ჩამოუყალიბდა ასეთი: სულ სხვებს უნდა შეანძინდოს ხელი საკუთარი უზნეობის, უნიათობის და უპრინციპობის გამო, სამაგიეროდ საზოგადოებას აჩვენებს თავს წამებულად, სხვების ინტრიგებისა და გარემოებათა მსხვერპლად, სხვათა შორის, ახლა მეც ვეკითხები ჩემს თავს, რას ვერჩოდი დარჯანიას, რაზე ვაწინაურებდი, რატომ ვუწყობდი ხელს მის აღზევებას. არ ჯობდა მჭდარიყო შინ, ხომ ასცდებოდა მერის სავარძელს და ციხის კარსაც, ქალაქის საზოგადოება კი ამ დაპირისპირებას და გათიშულობას, რომელიც სათავეს სწორედ 1999 საპარლამენტო არჩევნების დროს იღებს და რომლის შემოქმედი ფოთში დარჯანიაა, რომელსაც ყოფნის კადნიერება და დღეს პრეტენზიებს მე მიყენებს.

5. ცრუობს დარჯანია, როდესაც მის მიერ სესხების აღებას ამართლებს „ზოდელავას მერობის პერიოდში“ დაგროვილი ვალების დაფარვის აუცილებლობით. ზოდელავას პერიოდის ვალების რა მოგახსენოთ, მაგრამ ის კი ზუსტად ვიცი, რომ დარჯანიამ საკუთარ პერიოდში ისეთი სესხები აიღო, თუნდაც თბოელექტროსადგურის ასაშენებლად, რომელსაც არაფერი აქვს საერთო „ზოდელავას პერიოდთან“. თუმცა ეს სულ სხვა თემაა და აღარ გავაგრძელებ, ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ზოდელავას სრულიად უადგილოდ მოხსენიებით დარჯანიამ თავისი უსიამოვნების კიდევ ერთი ფიგურანტი დაასახელა..

საბიუჯეტო ვალებს რაც შეეხება, რომელზედაც ასე წუხს დარჯანია, და ნაცარს გვაცრის თვალებში, ვახტანგ ალანიამ გაისტუმრა უკანასკნელ ლარამდე ისე, რომ არც უძებნია ვისი მმართველობის პერიოდში იყო წარმოშობილი, არც ვინმეს კარნახით გაუკეთებია ეს.

სამწუხაროდ, დარჯანიასთვის არც თვალთმაქცობა ყოფილა უცხო. ინტერვიუს ბოლო ნაწილში თითქოს „შემინდო“ და „მომიტევა სულგრძელად“ ყველა ცოდვა, მაგრამ ბოლმამ მაინც წასძლია და კიდევ ერთი

აბსურდი შემოგვთავაზა: დანიელ მაღალაშვილის ისრაელში საცხოვრებლად წასვლას ფოთის მიტოვება დაარქვა და მის გამო პასუხისმგებლობა მე დამაკისრა.

ამავე პერიოდში ფოთიდან თავიანთ ისტორიულ სამშობლოში გაემგზავრნენ პედაგოგები დელიანოვი, გოლოვანოვი, მანუკიანი, ექიმები შმუკლერი, კანეცკი, ნემეტიშვილი - ყველანი დარჯანიას სამეურვეო სფეროდან. ჰოდა რა წვლილიც დარჯანიას მიუძღვის ამ ხალხის ფოთიდან წასვლაში, იმაზე ნაკლები მიმიძღვის მე დანიელ მაღალაშვილთან მართებაში.

6. თურმე „ქალაქი დაშლილა ქუჩებად, კლანებად“ და ამ ყველაფრის „იდეოლოგი“ მე ვარ. ამას მწამებს დარჯანია, რომელიც 1999 წელს პირადად „ახარისხებდა“ ფოთელ ამომრჩევლებს მომხრეებად და მოწინააღმდეგებად, საკუთარი ხელით ადგენდა საარჩევნო სიებს ქუჩების, კორპუსების, სახლების მიხედვით, თავად, პირადად დაანანილა მოსახლეობა ჯგუფებად. მერე, როცა მისმა „ამომრჩეველთა სელექციამ“, „კარუსელებმა“ და სხვა უმსგავსოებებმა სასურველი შედეგი ვერ გამოიღო, „ომონიც“ ჩამოიყვანა (რომელმაც ფოთელების ცემა-ტყეპით „გამოიჩინა“ თავი), ცრუ ამომრჩევლ-თინეიჯერთა ჯგუფებიც მოაყოლა და ტოტალურად გაუყალბა არჩევნები რომან მელიას, რომელსაც ასევე დიდი სიკეთის მეტი არაფერი გაუკეთებია დარჯანიასათვის. მსოლოდ სამი წლის შემდეგ შეაწუხა სინდისმა დარჯანია და თანამდებობიდან წასვლის შემდეგ ერთ-ერთ ინტერვიუში (იხ. გაზეთი „ფოთი“ N28, 2002 წელი) საკუთარ ნამოქმედარს „რომან მელიას არათანაბარ პირობებში ჩაყენება“ უწოდა. ისიც მას შემდეგ, რაც თავად იწვინა მის მიერ დანერგილი „საარჩევნო ტექნოლოგიების“ გემო, რის გამო „ახალმა ფოთელმა ხმაპარიებმა“ ქანთარიას წინამძღოლობით საკრებულოს მიღმა დატოვეს. ასე, რომ ვინ რისი „იდეოლოგი“ და „ორგანიზატორია“ გაუგებარი არ უნდა იყოს.

7. საკითხავი ის არის, რატომ მოიცალა დარჯანიამ ჩემთვის, რატომ მაკისრებს განტევების ობიექტის როლს საკუთარი დიდი უსიამოვნებების გამო? ცნობილია, რომ საბიუჯეტო სახსრების ხარჯვაზე პასუხისმგებელი პირი ქალაქის მერი ბრძანდება. პირველი, ვინც დააკავეს დარჯანია იყო და ყველა საფუძველი მაქვს ვიფიქრო, რომ სწორედ მან, მისი ჩვენების საფუძველზე მოისვა გვერდით სხვა ფოთელები, ახლა კი საკუთარი როლის მიჩქმალვის მიზნით ხელს ჩემკენ იშვერს.

ბევრი სანყენი, შეურაცხმყოფელი სიტყვა მაკადრა დარჯანიამ. მრჩება შთაბეჭდილება, რომ ამას ორი მიზეზის გამო აკეთებს: ჯერ ერთი „პირს ილამაზებს“ ქანთარიასავით იმათ წინაშე, ვინც განსაცდელში ჩააგდეს თავისი მმართველობის პერიოდში დაშვებული ქმედებებით, და მეორეც, ვიღაცის დაკვეთას ასრულებს ამჯერადაც დარჯანია.



ცხადია, დარჯანიას მე ვერ დავაჭერიხები, ვერც განსაცდელს დავუმძიმებდი. იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ საამისოდ არც უფლებამოსილება გამაჩნდა, არც ნება, არც მოტივი, არც გავლენა, ეს ძალიან კარგად იცის თვითონ. წამოსცდა კიდეც თავის არეულ-დარეულ ინტერვიუში „გამოცდა ღმერთმა მომინყო“. ალბათ ასეა. ხოლო თუ ვის ანიჭებს ნუგეშსა და შვებას ფოთელების დაჭერა, ამასაც თავად პასუხობს „ერთი თვე საშინლად გამიჭირდა, შემდეგ „ფოთელები“ მოვიდნენ და ესეც იმედი“ -ო, აცხადებს იქვე.

ერთმა მისმა მეგობარმა ხმა მომანვდინა დაბოლმილიაო დარჯანია შენზე, რაც მისი ინტერვიუს ტონალობითაც დადასტურდა. მე შევეცადე არ გავცდენილიყავი კორექტულობის ფარგლებს და არც წარსულის მიმოხილვით დამიტვირთავს თავი, მაგრამ თუ დარჯანიას ურჩევნია პირადი ურთიერთობები საჯაროდ გამოფინოს, ვიტოვებ უფლებას, გავიხსენო მისი მმართველობის წლები, მაგრამ ამას არც ამჯერად ვაკეთებ.

საკმაოდ მიცხოვრია, ინსტიტუციები, „კუდიანებზე ნადირობა“, პროვოკაციებიც მინახავს, ყველა დასრულებულა.. ეს თავანყვეტილი ისტერიაც, რომელიც დარჯანიამ წამოიწყო ჩემს წინააღმდეგ, დასრულდება.

P.S. სულ ახლახანს ფოთის ერთ-ერთ ცისფერ-ყვითელი ფერებით გაფორმებულ გაზეთში დარჯანიამ კვლავ შემახსენა თავი. „ვაჟკაცობა არ მეყო მოწერელია მომეხსნაო“ ბრძანებს. ვაჟკაცობის საზომის მეტად უცნაური კრიტერიუმისთვის კი მიუგნია, მაგრამ ისევ ტყუის! ვერ მომხსნიდა! ამას ამ წერილის ეპიგრაფად გამოტანილი მისივე სიტყვები ადასტურებს.

ირაკლი მოწერელია

## გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ

„ქვეყანაში ეპიზოტოტივებთან ბრძოლის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“ და ცოფის პროფილაქტიკის ღონისძიებათა გაძლიერების შესახებ“ საქართველოს პრეზდენტის ბრძანებულებების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე.

მოგვხსენებათ, რომ მსოფლიოს მთელ რიგ სახელმწიფოებში მასობრივად გავრცელდა სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა და ადამიანთა საერთო, განსაკუთრებით საშიში გადამდები დაავადებები, მსხვილი რქოსანი პირუტყვის ღრუბლისებრი ენცელოპათია, თურქული, ცოფი, ჭილეხი, (ციმბირული წყლული) და სხვა.

პრობლემის სიმწვავემ და სერიოზულობამ განაპირობა ქვეყნის ხელმძღვანელობის მხრიდან შესაბამისი ღონისძიებების განსაზღვრა, რომლებიც ადგილობრივი აღმასრულებელი სტრუქტურებისაგან მოითხოვენ პროფილაქტიკური და ორგანიზაციული ხასიათის ზომების გატარებას.

საკითხთა წრე, რომელიც ქალაქის მერიის, მისი სამსახურების, ქალაქში არსებული სპეციალიზირებული სტრუქტურების ძალისხმევასაც საჭიროებენ.

ყოველწლიურად ვიხილავთ მერიის სხდომებზე ეპიზოტოტივებთან, ცოფთან ბრძოლის საკითხებს. შექმნილია მერიასთან ეპიზოტოტივებთან ბრძოლის საგანგებო კომისია, ტარდება ეპიზოტოტიური დაავადებების სანინააღმდეგო პროფილაქტიკურ-სამკურნალო და სალიკვიდაციო-სანიტარული ღონისძიებები.

ბოლო პერიოდში ცოფთან ბრძოლის ორთვიურის ფარგლებში ანტირაბიული ვაქცინით აცრა მთლიანად ჩაუტარდა ძაღლებს შემდგომი რევაქცინაციის განმეორებით. ასევე პროფილაქტიკური აცრები ჩაუტარდა მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს სხვადასხვა დაავადებებზე: პასტერიოლოზზე, თურქულზე, ციმბირის წყლულზე. ბრუცელოზზე სეროლოგიური გამოკვლევებისათვის აღებულ იქნა სინჯები.

ამავე დროს ეპიზოტოტივებთან და ცოფთან ბრძოლის საქმეში გაგვაჩნია არსებითი ხასიათის ნაკლოვანებები და პრობლემად ქცეული საკითხები.

მოგვხსენებათ, რომ დაავადებათა და ცოფის აღკვეთის მიზნით აუცილებელია პირუტყვის უმეტვალყურეოდ ყოფნის აღკვეთა. შეიძლება ითქვას, რომ ეს საკითხი მოხსენიების სიხშირით ლამის ქრესტომათიულად იქცევს მერის მიერ მიღებულ დოკუმენტებსა და იმათ გამოსვლებში, ვისაც მისი გადანყვეტა ევალება.

ფოტის მერიის 1999 წლის 31 მარტის N76 ბრძანების (პუნქტი 7) საქალაქო მეურნეობის სამსახურს დაევალა უპატრონო, მანანწალა ცხოველების დამჭერი მუდმივმოქმედი ბრიგადის შექმნა, რომელსაც ევალება უზრუნველყოს დამკვენი და სხვა მანანწალა ცხოველების დაჭერა. მიუხედავად იმისა, რომ ბრიგადა შექმნილია, რომელიც შედგება 7 კაციანი პერსონალისაგან, მდგომარეობა კვლავ უცვლელია. ქალაქის ნებისმიერ უბანში, ნებისმიერ დროს ადგილი აქვს მსხვილი რქოსანი პირუტყვის, ცხენების და ღორების წანწალს, განსაკუთრებით ბევრია პირუტყვი რეკავას, გეგიდის ქუჩებზე, დავით აღმაშენებლის პროსპექტზე, ცენტრალურ პარკში, აკაკის, კოსტავას ქუჩებზე, სასტუმრო „კოლხთის“ წინ. ხშირად პირუტყვი ქუჩის სავალ ნაწილზე წვება და ხელს უშლის ავტომანქანების მოძრაობას. ამ ბოლო პერიოდში გამოჩნდა დიდი რაოდენობით ცხენები დავით აღმაშენებლის პროსპექტზე, რკინიგზის სკოლასთან, ცენტრალურ ბაღში, რუსთაველის რკალზე.

პირუტყვმა ფაქტობრივად ძლიერ დააზიანა მწვანე საფარი, შეუძლებელი გახდა ქუჩისპირა გაზონების მოვლითი სამუშაოების ჩატარება.

ქალაქის ცენტრალურ ქუჩებში პირუტყვის მასობრივად თარეშის შედეგად დაბინძურებულია მანქანის სავალი ნაწილი და ტროტუარები.

შეიმჩნევა, რომ უპატრონოდ მიშვებული პირუტყვი საკვების ძებნაში აწყდება სანაგვე ყუთებს, აყირავებს მათ, ქმნის ანტისანიტარიას და დაავადებათა გავრცელების საშიშროებას. წყურვილს იკლავს გუბურებსა და თხრილებში არსებული დაბინძურებული წყლით. მარტო მიმდინარე წელს დაფიქსირდა სამოცზე მეტი შემთხვევა სხვადასხვა სახის დაავადებებზე, რომელიც უმეტესადაა ურთიერთობით არის გამოწვეული.

დასუფთავების, გამწვანებისა და კეთილმოწყობის სამმართველოში შექმნილი მანანწალა ცხოველების დამჭერი ბრიგადა ფაქტობრივად უმოქმედოდაა: ავტოტრანსპორტი არ არის სათანადოდ აღჭურვილი, ცხოველთა დაჭერას ეპიზოდურად ეწევიან, იმ შემთხვევაში, თუ მერიიდან მოითხოვენ, ან მასობრივი ინფორმაციის საშუალებები გაამწვავებენ საკითხს. პოზიცია არწყენინებაზე აქვთ აგებული. ოღონდ პირუტყვი არ დაიჭირონ და „არგუმენტების“ მთელი წყებაც კი გააჩნიათ: 1. რა ეშვებათ პირუტყვის მეპატრონეებს, თურმე მანანწალა პირუტყვი ერთადერთი მარჩენალია, 2. რეკავას და გეგიდის ქუჩა თურმე მათი სამოქმედო ზონა არ არის და ამიტომ იქ მოხეტილად პირუტყვს ვერ დაიჭერენ, 3. დავით აღმაშენებლის პროსპექტზე ძროხის დაჭერა არაა მიზანშეწონილი იმის გამო, რომ პატრონი გაიგებს, მოვარდება და კონფლიქტი იქნე-

ბა, 4. თურმე საკრებულოდან ელიან რაღაც დადგენილებას საჯარო სან-  
ქციების შემოღებასთან დაკავშირებით, 5. ჩვენ ყველა ფოთელები ვართ  
და პირუტყვის პატრონებს ვერ ვაწყენინებთ.

მოგახსენებთ, რომ არცერთი ეს „არგუმენტი“ არგუმენტად არ გა-  
მოდგება. საქართველოს კანონი „ვეტერინალური მედიცინის შესახებ“  
კრძალავს პირუტყვის უმეტეაღყურედ გაშვებას და ამით ყველაფერი  
ნათქვამია. პრეზიდენტის ბრძანებულებებიც პირდაპირ გვავალეს პი-  
რუტყვის ხეტიალის აღკვეთას. თქვენთან შეთანხმებით ჩვენ შევხვდით  
კუნძულის უბნის მოსახლეობის იმ ნაწილს, ვისაც საკუთრებაში ჰყავს  
მსხვილი რქოსანი პირუტყვი და ყველა დაგვეთანხმა იმ უბრალო ჭეშმა-  
რიტებაში, რომ ქუჩის სავალი ნაწილი განკუთვნილია ავტოტრანსპორ-  
ტისათვის, ტროტუარი ფეხით მოსიარულე ადამიანებისათვის, გაზონი კი  
გარემოს გაჯანსაღება-გალამაზებისათვის. არავის არ უთქვამს ჩვენთ-  
ვის, რომ პირუტყვი ქალაქის გაზონების იმედად დაიყენა. საგულისხმოა  
ის გარემოებაც, რომ იმ დროს, როცა ქალაქში მოსალოდნელია მაღალი  
რანგის სტუმრების ჩამობრძანება, პირუტყვი ქუჩებში არ ჩანს, რაც იმაზე  
მიგვანიშნებს, რომ საკითხი მართვადია. ამდენად, არსებული მდგომარ-  
ეობა შეიძლება შეფასდეს, როგორც სრული ხელმიშვებულობა საქა-  
ლაქო სამსახურების მხრიდან ერთის მხრივ და უპასუხისმგებლო მოქმე-  
დება მოსახლეობის მხრივ.

ჩვენ შევთავაზებთ დასუფთავების, გამწვანებისა და კეთილმოწყობის  
სამმართველოს (უფროსი ბატონი თ. დოღბაია) საკითხის დარეგულირე-  
ბის მარტივი სქემა, მაგრამ არც მისი შესრულებისათვის გააკეთეს რამე.

არის სხვა საკითხებიც. საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 28  
იანვრის N70 ბრძანებულების შესაბამისად, ქ. ფოთის მერის 1999 წლის  
N76 ბრძანებით (პუნქტი 6) მერიის ურბანიზაციისა და მშენებლობის დე-  
პარტამენტს ევალებოდა ცხოველთა სამარხის (ბეკერის ორმო) მშენებ-  
ლობისათვის ტერიტორიის გამოყოფა და მშენებლობა. ეს პუნქტიც არ  
არის შესრულებული.

ქალაქში ამ მხრივ უმძიმესი ვითარებაა, ყველა პირუტყვი, მათ შორის  
დაავადებულიც, იმარხება პირდაპირ გრუნტში ვისაც სად მოესურვება იქ,  
რაც სანიტარული, ბიოლოგიური, ვეტერინალური ნორმებით კატეგორი-  
ულად დაუშვებელია, რასაც შეიძლება მოყვეს უმძიმესი ინფექციური და-  
ავადებების გავრცელება. მით უმეტეს, რომ ფოთი მჭიდროდ დასახლე-  
ბული ქალაქია, ხასიათდება გრუნტის წყლების დონის მაღალი დგომით,  
რომლითაც მოსახლეობის სულ უფრო დიდი ნაწილი სარგებლობს.

მოსახლეობა ნაკლებად ინტერესდება პირუტყვის ჯანმრთელობის მდგომარეობით. არ განხორციელებულა პირუტყვის გამოკვლევა ადამიანებსა და ცხოველებისათვის საშიშ ინფექციურ დაავადებაზე - ტუბერკულოზზე, არ ჩატარებულა ღორების დამუშავება წითელ ქარსა და ჭირზე.

მოყვანილი ფაქტები, ქალაქის მოსახლეობის დიდი ნაწილის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება პირუტყვის მოვლა-შენახვისადმი მეტყველებს იმაზე, რომ მათი ვეტერინალურ-სანიტარული და ეკოლოგიური კულტურის დონე დაბალია.

მიზანშეწონილად მივიჩნევდი, რომ სპეციალისტებმა გააქტიურონ თავიანთი მუშაობა მოსახლეობასთან იმ აქტუალური საკითხების გასაშუქებლად, რომელიც ხელს შეუწყობს ზემოხსენებული პრობლემების გადანწყვეტას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვთვლი, რომ დასუფთავების, გამწვანებისა და კეთილმონყობის სამმართველოს საქმიანობა პირუტყვის თარემის აღსაკვეთად შეფასდეს არადამაკმაყოფილებლად, აღვნიშნავდი მშენებლობის საქმეთა დეპარტამენტის პასიურ, დაუინტერესებელ პოზიციას ცხოველთა სამარხის მონყობის საკითხში. აუცილებლად მესახება დასუფთავების, გამწვანებისა და კეთილმონყობის სამმართველოსთან არსებული ცხოველთა დამჭერი ბრიგადის რეორგანიზაცია.

ირაკლი მონწერელია



## წერილი N

ბატონო ვასილ, კარგად მაქვს წარმოდგენილი, თუ რაოდენ დატვირთული ბრძანდებით საზოგადოებრივი ტელევიზიის საქმიანობით და ამიტომ, ბოდიშს გიხდით თუ დრო წაგართვით; ის, რაც მინდა გაგიზიაროთ, ჩემი აზრით, მართო მე არ მეხება და ამოტომაც შემოგბედეთ შენუხება.

1. უწინარესად მოგახსენებთ, რომ ა.წ. 25 სექტემბერს საზოგადოებრივ მაუწყებელზე გავიდა სიუჟეტი, რომელიც ეძღვნებოდა ქ. ფოთის წინასაარჩევნო ვითარებას. რეპორტაჟი მთლიანობაში კარგად იყო გაკეთებული, რომ არა ერთი გარემოება, როდესაც გადაცემის წამყვანმა გვაუწყა, რომ იმყოფება ქალაქ ფოთში, „უძველეს ფაზისში“ ჰოდა გამიჩნდა კითხვა და არა მხოლოდ მე, იგივე ჯურნალისტი ქ. ქუთაისიდან რომ უძღვებოდეს რეპორტაჟს იტყვის, რომ „უძველეს კუთაიაში იმყოფება“?, ან თბილისიდან გადაცემის წამყვანისას, იტყვის რომ რეპორტაჟი „უძველესი ტფილისიდან“ მიჰყავს? ალბათ, აზრდაც არ მოუვა ასეთი რამ. თქვენს ყურადღებას მივაპყრობ ამ საკითხს იმის გამო, რომ თანამედროვე ქალაქი ფოთი ნიკო ნიკოლაძის მიერ არის დაგეგმარებული და მისი მშენებლობა, ისევე, როგორც ფოთის ნავსადგურის გამართვა მთლიანად ნიკოლაძის სახელთან არის დაკავშირებული. ქალაქი ფოთი საუკუნოვან ვრცელ დაჭაობებულ მიწაზე გაშენდა და არაფერი აქვს აქვს საერთო „უძველეს ფაზისთან“, რომლის ადგილმდებარეობა არავინ უწყის სად იყო და სად არა. ფოთს ფაზისთან არ აიგივებდნენ არც ნიკო ნიკოლაძე და არც ილია ჭავჭავაძე არც მათი თანამედროვე რეპორტიორები (იხ. გაზეთი „დროება“, „კავკასია“, „ცნობის ფურცელი“). ხსენებული სიუჟეტი თქვენმა თანამშრომელმა ჩანერა და მისივე განმარტებით, მონტაჟი და ტექსტი სხვებმა გააკეთეს და გამოიყენეს ზუგდიდიდან მიწოდებული რაღაც მასალა, სადაც ფოთი თითქოს „უძველეს ფაზისად“ არის მოხსენიებული. შეიძლება ესეც იყოს, იმიტომ, რომ „იმედის“ არხზე გასულ სიუჟეტშიც ფოთი იმავედროულად „უძველეს ფაზისად“ მოიხსენიეს. ფოთის ფაზისად გადარქმევის იდეა 2013 წლიდან მუსირებს „ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის“ მესვეურთა მიერ. საკითხი დამაზიანებელია საქართველოსთვის. სიტყვა რომ არ გამიგრძელდეს გაცნობებთ, რომ ფოთი არასოდეს განიხილებოდა ფაზისის ადგილმონაცვლედ და გაახლებთ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსის დავით მუსხელიშვილის მოსაზრებას ამ საკითხზე, ასევე ამ თემაზე უფრო ვრცელი სამეცნიერო ნაშრომი კი პროფესორ თ. ფაჩულიას ავტორობით გამოქვეყნებულია საქართველოს

მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „მაცნეში“ 2017 წლის მაისში. ფოთის ფაზისად გადარქმევა ბოდვითი იდეა და ვინაიდან ამ ტიპის იდეები იქ პოულობენ გავრცელებას, სადაც საამისო ხელსაყრელი გარემოა, არ არის გასაკვირი, რომ ქ. ფოთში და არა მარტო ქ. ფოთში, მან უკვე მოახდინა საზოგადოებრივი აზრის ამღვრევა, რაც დიდად საზიანოა საქართველოსთვის.

2. ხშირად ჩვენს ჟურნალისტებს სრულიად გაუმართლებლად შემოაქვთ ქართულ სიტყვიერებაში და ასევე უადგილოდ იყენებენ მთელ რიგ სიტყვათა წყობას; მაგალითად, „საქართველოს საარჩევნო რეჟიმში ცხოვრობს“, „შეხვედრამ კითხვა-პასუხის რეჟიმში ჩაიარა“, „სხდომა ურთიერთ დაპირისპირების რეჟიმში გადაიზარდა“, „მოლაპარაკება დიალოგის რეჟიმში მიმდინარეობდა“, „ფორუმი უწყვეტ რეჟიმში ჩატარდა“ და სხვა. უცხო სიტყვათა ლექსიკონით რომ ვისარგებლოთ, რა თქმა უნდა ამდენი სრულიად უადგილოდ ნახსენები „რეჟიმი“ არ გვექნებოდა.

3. „სასამართლო პროცესი 20 მაისს არის ჩანიშნული“. საბჭოთა პერიოდში სხვაგვარად წარმოთქვამდნენ, კერძოდ, „სასამართლო პროცესი 20 მაისს არის დანიშნული“. საკითხავია „დანიშნული“ „ჩანიშნულით“ რატომ შეიცვალა. ეს თანამედროვე მოსამართლეების შემოტანილი ცვლილებაა და ლამის დამკვიდრდა კიდევაც სატელევიზიო სივრცეში. საინტერესო ის კი არ არის რა „ჩანიშნა“ მოსამართლემ თავის უბის წიგნაკში, არამედ ის თუ როდის დანიშნა სასამართლო პროცესი. რატომ არის სასამართლო პროცესი „ჩანიშნული“, ხოლო პარლამენტის სხდომა „დანიშნული“ რა თქმა უნდა, სწორია დანიშნული, ამას გვამცნობს ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ჟურნალისტებიც მას უნდა დაეყრდნონ და არ უნდა იმეორებდნენ მოსამართლეების მცდარ ლექსიკას.

4. „სტიქიამ დააზარალა კახეთის რაიონები, შექმნილია შტაბი, მობილიზებულია ტექნიკა, ითვლიან ბარალს“, „ითვლიან ბარალს“ არ არის სწორი. ითვლიან ფულს, ითვლიან ტარანს. ითვლიან პირველ-მეორეზე ფიზ-აღზრდის გაკვეთილზე. ბარალს კი აფასებენ. ასეა ქართული ენის სალიტერატურო ნორმებით.

5. „სექსუალური ხარ“ ეს ფრაზა სულ უფრო ხშირად ისმის. ქვეყნის სატელევიზიო გადაცემებში როგორც კომპლიმენტი. ამ დროს ჩვენ ყველამ ვიცით „სექსუალურის“ ქართული შესატყვისი, რომელიც უხამსია და არ წარმოითქმება.

ამ სიტყვით ქალს არაინტიმურ ვითარებაში არც ამერიკაში და არც ევროპაში არ მიმართავენ. იქ, როგორც ჩვენში, არ ივინყებენ

ისეთ სიტყვებს, როგორცაა მშვენიერი, მომხიბვლელი, ლამაზი, ეშხიანი, წარმტაცი, სად ამოიკითხეს, რომელ ლექსიკონში ქართველმა ჟურნალისტებმა, მათ შორის ჟურნალისტმა ქალებმა, რომ „სექსუალურად გამოიყურები“ დასაშვებია და კარგი.

6. „გილოცავ ვალენტილობას“, უკანასკნელ წლებში ისევ ქართველი ჟურნალისტების „ძალისხმევით“ შემოგვეპარა მორიგი „დღესასწაული“ ე.წ. „სიყვარულის დღე“. ჩემი თაობისათვის კი 14 თებერვალი ისეთივე ჩვეულებრივი დღე გახლდათ, როგორც 13, 15, 16 და ა.შ. ამჟამად საქართველოში შოთაობას, ვაჟაობას, ილიაობას, ცოტნეობას, ვალენტილობა მიამატეს. თუ ეს კათოლიკური დღესასწაულია, „ობა“ ბოლოსართი რატომ არის მიკვრებული „გაქართულების“ მიზნით და რაც მთავარია, რა უფლებით? ქართულად ამას თავხედობა ჰქვია, საერო და სასულიერო დღესასწაულების ჩამონათვალში „ვალენტილობა“ არ მოიხსენიება. რატომ გვახვევენ თავს „ვალენტილობას“, რა, გასაშუქებელი თემები შემოვლიათ ქართველ ჟურნალისტებს? ვინმეს სურვილი თუ გაუჩნდა, რომ დაწესდეს „სიყვარულის დღე“, ისე, როგორც დაწესებულია „დედის დღე“, „ქალთა დღე“ და ა.შ. და ამას საქართველოს კანონმდებლობა არეგულირებს, კეთილი ინებონ „სიყვარულის დღის“ დაწესების მსურველებმა, დაიცვან კანონმდებლობით დაწესებული პროცედურები, სცენ პატივი საზოგადოებას და ნუ ახვევენ თავს გაუაზრებელ ფსევდოევროპულ „ღირებულებას“ „ვალენტილობის“ სახით: მით უმეტეს, რომ საფრანგეთში 14 თებერვალი არ აღინიშნება როგორც წმ. ვალენტინის დღე. ხოლო მამაკაცის სახელი ვალენტინი საქართველოში, არა თუ დამკვიდრებული არ არის, ისევე გამოირიცხულია, როგორც სამეგრელოში მამაკაცის სახელი „სიგიზმუნდი“.

7. ბოლო დროს სულ უფრო ხშირად ისმის სიტყვა „ნარატივი“, უკანასკნელად იგი პარლამენტის წევრის ბატონ თალაკვაძის ინტერვიუში მოვისმინე. უპრიანი ხომ არ იქნებოდა ამცნოს ვინმემ ტელევიზორიდან ჩვეულებრივ მოკვდავთ რას ნიშნავს „ნარატივი“, იქნებ მართლა არ გააჩნია „ნარატივს“ ქართული შესატყვისი, თორემ იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეს სიტყვა მხოლოდ ჟურნალისტებისა და პოლიტიკოსების ლექსიკის შემადგენელია და სხვას არ ეხება.

ნურც ის დაგვაზინყდება რა იოლად „დავიმკვიდრეთ“ სიტყვა „სკონსორი“ და დავივინყეთ მეოხე, შემწე. ნარატივი ინგლისური სიტყვა ყოფილა და მონათხრობს ნიშნავს, მაგრამ ბატონ თალაკვაძეს და არა მართლ მას რატომ ურჩვინია ნარატივი - გაუგებარია.

ისევე როგორც გაუგებარია რატომ არ მოსწონთ „ფაზისის“

საერო-სამეცნიერო აკადემიის აკადემიკოსებს ქართული ტოპონიმი ფოთი და რატომ ცდილობენ ბერძნულ-რომაული ტოპონიმის „ფაზისის“ შემოტანას მის ნაცვლად.

8. მიმდინარე წლის ზაფხულში, პირველი არხის საინფორმაციო გადაცემაში, რომელიც მიჰყავდა ფრიად მომხიბვლელ ქალბატონს, შემოგვთავაზეს ინტერვიუ საქართველოს რკინიგზის თანამშრომელთან დაჩი ცაგურიასთან. წამყვანის კითხვას რატომ დაიგვიანა ზუგდიდიდან მატარებელმა ხანგრძლივი დროით, რესპონდენტმა უპასუხა: „ტექნიკური პირობების გამო“. მომდევნო კითხვაზე, თუ რაში გამოიხატებოდა ტექნიკური პირობები, განმარტების ნაცვლად გვაუწყა, რომ „ამას ტელემაყურებელი ვერ გაიგებს“. და იქვე მოგვითხრო „საინტერესო“ სიახლეზე, რომ თურმე თბილისი-ფოთის მატარებელზე იხსნება ბიბლიოთეკა და ეს იდეა გადმოიღეს სამხრეთ აფრიკის რომელიღაც ქვეყნიდან. და საკმაო ხანს ისაუბრა ამ სიახლის სარგებელიანობაზე.

ჟურნალისტის კიდევ ერთ შეკითხვას თუ რა სახის ლიტერატურას შესთავაზებენ მგზავრებს, უპასუხა: „აი ისეთს, მატარებელში წასაკითხი რომ არის“. (??) ბატონ დაჩის მთელი შვიდი წუთი დაეთმო . ამრიგად, რესპონდენტმა ერთ შემთხვევაში უტაქტო გამოხატვამით „დაგვაჭილდოვა“ ტელემაყურებელი, მეორე შემთხვევაში კი საკუთარი სიბრიყვე გაგვიზიარა.

9. ყველა სიუჟეტში, რომელიც ეხება კრიმინალურ ან საგანგებო შემთხვევას შემოჰყავთ შესაძლო თვითმხილველი, რომელიც რეპორტიორის მიერ დასმულ კითხვას როგორც წესი, პასუხობს, რომ არაფერი უნახავს და არაფერი გაუგონია, ან უკიდურეს შემთხვევაში სროლის ხმა კი გაიგონა, მაგრამ არაფერი დაუნახავს. ნუთუ არ შეიძლება ისე დავამონტაჟოთ გადაცემა, რომ ვისაც არაფერი უნახავს და არფერი სმენია, კადრში არ მოვახვედროთ და რეპორტიორის კომენტარი ვიკმაროთ, რომლის საქმე არც ის არის კარდაკარ იაროს თვითმხილველის აღმოსაჩენად. (ეს პოლიციის საქმეა). იქნებ სჯობდეს საინფორმაციო გადაცემებს ავარიდოთ, რბილად რომ ვთქვათ საეჭვო ღირებულების, უსარგებლო კომენტარები, რომელსაც როგორც წესი, რესპონდენტებისაგან ვისმენთ.

ზემოსხენებულს განვდით ერთი მიზმით, რომ კარგი გადაცემები უკეთესით შეცვალოთ.

ირაკლი მონწერელია

## აკაკი ცხადაია

(მცირე მოგონება)

აკაკი ცხადაია ქალაქ ფოთის საზოგადოებრივი ცხოვრების ერთი დიდი მონაკვეთის ისტორიაცაა და განსახიერებაც. ჩემმა თაობამ მისი სახელი პირველად გასული საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს გაიგონა, როცა იგი ვაჟთა პირველი საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებლად მუშაობდა. უფრო ღრმად კი შეიცნო მას შემდეგ, რაც სათავეში ჩაუდგა ფოთის განათლების განყოფილებას და თითქმის მეოთხედი საუკუნის განმავლობაში უძღვებოდა მას.

აკაკი ცხადაიას თითქოს ცოტა როდი უცხოვრია ამ ქვეყნად, თუმცა ღვანლი იმდენი აქვს, რომ წლებს უკვე აღარ შეუძლიათ გაგვაკვიროვნ. ის იყო ფოთის პედაგოგ-მასწავლებლების „ოჯახის მამა“ და ასეთად თვლიდა მას ყველა ჩვენი თანამედროვე პედაგოგი თავისი ვიწრო სპეციალობის მიუხედავად.

ბატონი აკაკი ქართული მათემატიკური სკოლის ღირსეული წარმომადგენელი, ფოთის განათლების განყოფილების ხელმძღვანელად სრულიად ახალგაზრდა, 30 წლის ასაკში 1952 წელს მოველინა. იმ დროს მის სამეურვეო სფეროში სულ 4 საშუალო, 2 რვანლიანი, 2 დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა და ორი საბავშვო ბაღი შედიოდა. ყველა სკოლა უკიდურესად გადატვირთული იყო და სამ ცვლად მუშაობდა, ეს გარემოება დიდ უხერხულობას უქმნიდა როგორც მოსწავლეებს, ასევე მათ მშობლებსა და პედაგოგებს.

პირველი, რაც მოავგარა ბატონმა აკაკიმ ეს იყო სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მიუხედავად იმისა, რომ იმხანად არ იყო განვითარებული სამშენებლო ინდუსტრია, მან უკვე 50-იანი წლების ბოლოსათვის მოახერხა ნიკო ნიკოლაძისეული N1, N2, და N3 სკოლებზე მიშენებითი სამუშაოების დასრულება, რითაც სამჯერ გაიზარდა თითოეული მათგანის ფართობი, ამასთან ისე, რომ მთლიანად იქნა შენარჩუნებული ამ შენობების პირვანდელი იერ-სახე. აშენდა სკოლა-ინტერნატი მალთაყვის უბანში და ყველა სკოლა გადავიდა ორცვლიან სწავლებაზე. გაიხსნა მნიშვნელოვანი სკოლისგარეშე დაწესებულებები: პიონერთა მოსწავლეთა სახლი, ნორჩ ტექნიკოსთან სადგური, ბავშვთა სპორტული სკოლა.

ფართოდ გაიშალა სასკოლო და სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობა 60-იან წლებში, როდესაც ქალაქმა მიიღო სამსართულიან N7, N8, N9, N10 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კორპუსები, ნავსადგურის ჰიდრომანქანის, გემთმშენებელი ქარხნის საბავშვო დაწესებულებები. ყველა სკოლა გადავიდა ერთცვლიან სწავლებასა და ნაწილობრივ სწავლების კაბინეტურ სისტემაზე.



70-იანი წლების დასაწყისში ქალაქს შეემატა N5, N11, N12 საშუალო სკოლების ახალი კორპუსები. სკოლების ერთცვლიან სწავლებაზე გადაყვანამ შვება არა მარტო მოსწავლეებს და მათ მშობლებს მისცა, არამედ იმის პირობებიც წარმოშვა, რომ პედაგოგებს შეძლებოდა საკუთარი პროფესიული დონის ამაღლება, ამ მიზნით კი ისევ აკაკი ცხადაიას ძალისხმევით მეთოდკაბინეტი დაარსდა.

განათლების სფეროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ჩამოყალიბება იმდენად ზედმიწევნით წიგნიერად ხორციელდებოდა, რომ დღესაც კი ფოთში ძირეული დემოგრაფიული ცვლილებების მიუხედავად, ყველა სასკოლო შენობა შენარჩუნებულია და გამართულად ფუნქციონირებს. სასკოლო შენობების დისლოკაცია ქალაქის ტერიტორიაზე, მიბმა ადგილმდებარეობაზე უზადოდ არის გადანაცვლებილი, ყველა საპროექტო და სამშენებლო ნორმების დაცვით. ესეც ცხადაიას პირადი მონდომებით მიიღწეოდა, რამეთუ იგი ყოვეთვის წინსწრებით არჩევდა და იმაგრებდა მიწის ფართობებს სასკოლო და სკოლამდელი დაწესებულებების განსათავსებლად, ბატონი აკაკი, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების წევრი ფრიად ინფორმირებული იყო ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმებით და ყოველთვის დროულად იჭერდა თადარიგს სახალხო განათლების დაწესებულებათა საბაზისო განმტკიცებისათვის.

ამრიგად, ფოთში არსებულ უკლებლივ ყველა სკოლას (გარდა რკინიგზის სკოლისა) და სკოლამდელ დაწესებულებას აკაკი ცხადაიას ხელი შეეხო. გამოდის, რომ ყოველ 1-1,5 წელიწადში იგი ქ. ფოთში თითო სახალხო განათლების ობიექტს აბარებდა.

აკაკი ცხადაია მონოდებით პედაგოგი იყო, ამიტომ დიდი გულისყურით ეკიდებოდა სასწავლო პროცესის სრულყოფის საქმეს. სისტემატურად ადევნებდა თვალს მათემატიკური მეცნიერების სიახლეებს. პედაგოგიკის განვითარებას. მას შეუმჩნეველი არ დარჩა დაშორიშორების ტენდენციები საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლეს სკოლას შორის, რომელიც სულ უფრო ღრმავდებოდა ერთის არასაკმარისი შესაძლებლობებისა და მეორის აბიტურიენტების მომზადებისადმი მზარდი მოთხოვნილებების გამო, უწინარესად ტექნიკურ დისციპლინებში. ამ პრობლემაზე იგი ღიად საუბრობდა საჯაროდ. კარად მახსოვს მის მიერ ჩატარებული აგვისტოს პედსაბჭოები, როდესაც ქალაქის მთელი პედაგოგიური საზოგადოება იკრიბებოდა თეატრის დარბაზში და ბჭობდა მოძალებულ პრობლემებზე. აკაკი ცხადაიას სიტყვა გადამწყვეტი იყო, მისი ანალიტიკური გონი, მათემატიკური აზროვნება განაპირობებდა რკინისებურ ლოგიკას, უზრუნველყოფდა არგუმენტების სრულ პაკეტს, რაც არავითარ შანსს არ უტოვებდა ოპონენტებს. იგი მდგომარეობის შემსუბუქებას საგნების კაბინეტურ სწავლებაზე გადასვლაში ხედავდა, მეტის

მიღწევა ადმინისტრაციულ-მბრძანებლობითი სისტემის პირობებში შეუძლებელი იყო.

გაძლიერებული კაბინეტური სწავლებით გამოირჩეოდა ქიმიამი, ბიოლოგიაში, ინგლისურსა და გეოგრაფიაში პირველი საშუალო სკოლა, ფიზიკასა და მათემატიკაში მეორე საშუალო სკოლა.

აკაკი ცხადაიას ეროვნულ თვითშეგნებას უნდა ვუმაღლოდეთ ფოთის ათივე ქართულ სკოლაში საქართველოს ისტორიის, ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების დონის ამაღლებას, რასაც წარმატებით აღწევდა ამ სკოლებში მაღალი კვალიფიკაციის პედაგოგების განაწილებით, კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზებით. სათქმელია, რომ პიროვნერთა და მოსწავლეთა სახლში მუდმივად ფუნქციონირებდა ქართული ლიტერატურისა და სიტყვიერების, ისტორიისა და ხელოვნების ისტორიის წრეები.

სისტემატურად ტარდებოდა საქალაქო ტურები სხვადასხვა საგნებში.

იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა დანყებით კლასებში (I-IV) მოსწავლეთა სწავლებას, რისთვისაც საგანგებოდ ირჩევდა დანყებითი კლასების პედაგოგებს, უზრუნველყოფდა მათი კვალიფიკაციის ამაღლებას. საქმის ამგვარმა გადაწყვეტამ ფოთელ აბიტურიენტებს კარგა ხანს შეუნარჩუნა უმაღლეს სასწავლებლებში მოხვედრის შესაძლებლობა. კრიზისული სიტუაცია და რეპეტიტორობის დამკვიდრება კი შედარებით გვიან, აკაკი ცხადაიას შემდეგ დამკვიდრდა.

ბატონმა აკაკიმ შექმნა ძლიერი კორპუსი სკოლის დირექტორებისა, რომლებმაც აკაკის თბილისში წასვლის შემდეგაც წარმატებით გააგრძელეს მუშაობა. მახსენდება ალექსანდრა აბდუშელიშვილი, ვერა შელია, ანგელინა ჯაკობია, ელეონორა ბარაბაში, გიული ჟვანია, ივანე ნარმანია, შოთა კაკულია, შოთა ცხომარია, ენცო გაბედავა. ფოთის სკოლებში მოღვაწეობდნენ ისეთი ბრწყინვალე პედაგოგები, როგორებიც იყვნენ პორფირე ბარამიძე, სერინო თავაძე, ნოდარ ჩხარტიშვილი ფიზიკაში, თინა ჭოჭუა ქიმიამი, ალექსანდრა გუჯაბიძე, პიმენ ნაცვლიშვილი, ლია კოლოტაშვილი (ქართულ ენასა და ლიტერატურაში), ეთერ ბასილაშვილი, რონა ურუშაძე ინგლისურში, ნინა დიღია, თინა ხავთასი, ანა ბრისკუნოვა (რუსულში), გრიგოლ ნულაია, გენრიეტა ჩიჩუა (მათემატიკაში), გოგუცა ჯუღელი (ბიოლოგიაში), შოთა დარჩია (გეოგრაფიაში). იმ დროს ფოთის პირობებში არ იყვნენ არც ძღვენით ხელდამშვენებული მშობლები და არც ძღვენის მომლოდინე პედაგოგები. ესეც გვიან გაჩნდა, გაცილებით გვიან, ვიდრე სხვაგან. ასე, 80-იანი წლების მიწურულს.

დიდ ყურადღებას უთმობდა აკაკი ცხადაია მოსწავლეთა ჯანმრთელობას და მათ ფიზიკურ აღზრდას. მახსენდება მისი მყისიერი რეაქცია მოსწავლეებში სქოლიოზის შემთხვევების ზრდის გამო. უმოკლეს დრო-

ში განათლების სამინისტროს დახმარებით მან შეძლო ყველა სკოლაში მერხების შეცვლა და მათი გადაჯგუფება მოსწავლეთა სიმადლეების შესაბამისად, დაამკვიდრა ზურგჩანთების ტარება.

მის დაკვირვებულ თვალს არც მოსწავლეთა გარეგნობა გამოჰარვია. იმხანად პრობლემად იქცა ვაჟი მოსწავლეების ფორმები, რომლებიც მდარე ხარისხის მასალისა და მოძველებული, კიტელის მოდელით იკვრებოდა. იქაც მოძებნა გამოსავალი. მიავლინა მოსკოვში თანამშრომელი, რომელმაც ერთ-ერთ ფაბრიკასთან მოახერხა კონტაქტების დამყარება და მაღალი ხარისხის, პიჯაკის თარგით შეკერილი ფორმების ჩამოტანა. მათი ღირებულების ნაწილი კი საბაზო ორგანიზაციებმა გაიღეს.

ფოტში მუშაობის პერიოდში ბატონ აკაკის რვა ქალაქკომის პირველი მდივანი და ამდენივე აღმასკომის თავმჯდომარე შეეცვალა, მაგრამ არც ერთს არ მოსვლია აზრად მისი „შევიწროვება“, იმდენად დიდი იყო მისი ავტორიტეტი და იმდენად დახვეწილად ფლობდა იგი ადამიანებთან ურთიერთობის ხელოვნებას. მას არასოდეს არავისთან არათუ კონფლიქტი, დაძაბული ურთიერთობაც კი არ შეჰქმნია. მის პიროვნებას განსაკუთრებული პატივსცემით ეკიდებოდნენ საქართველოს განათლების სამინისტროში, პირადად მინისტრი ქალბატონი თამარ ლაშქარაშვილი და მისი მოადგილე მშენებლობის დარგში მიხეილ ქოჩაკიძე, რომლისგანაც ბევრი თბილი სიტყვა მსმენია აკაკი ცხადაიას მისამართით.

როდესაც საქართველოში ხელმძღვანელობა შეიცვალა 1972 წელს, ფოტში დიდი კომისია მოავლინეს განათლების დარგის შესამოწმებლად.

კომისიამ უმაღლესი შეფასება მისცა განათლების სისტემის მუშაობას და გამოკვეთილად მის ხელმძღვანელ განყოფილებას.

ამავე წელს ბატონი აკაკის ახლად დაარსებული ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დაჯილდოვდა, რაც მისი ღვაწლის, როგორც სახალხო განათლების დარგის ორგანიზატორის აღიარებას ნიშნავდა. თუმცა მათემატიკა მაინც მისი უმთავრესი ინტერესის საგანი იყო, იგი მას არასოდეს, არც ერთი წუთით არ დაშორებია, მუდმივად თვალს ადევნებდა ქართული მათემატიკური სკოლის მაჯისცემას, ეცნობოდა მათემატიკოსთა შრომებს და ზოგჯერ ჩვენც გვიზიარებდა თავის შთაბეჭდილებებს. თავის საჯარო სამსახურსაც კი მათემატიკასთან აკავშირებდა, როდესაც ვკითხე რატომ აღმოჩნდა სამხედრო სამსახურის გასაველეად საარტილერიო ნაწილში, ასე მიპასუხა: „ხომ გაგიგია მათემატიკა იქ არის საჭირო, სადაც სჭირდებათ გაბომვა, არტილერიაში საჭიროა გაანგარიშება“.

ამიტომ არავის არათუ გაკვირვებია, კანონზომიერადაც იქნა მიჩნეული მისი კომაროვის სახელობის სკოლის დირექტორად გადმოყვანა. როდესაც მასთან საუბარში სინანული გამოვთქვი მისი თბილისში გადმოსვლის გამო, ასე მიპასუხა: „ფოტში საკმაო ხანი ვიმუშავე, ჩემი შე-

საძლებლობების რეალიზაცია სრულად შევძელი შედეგებით კმაყოფილი ვარ, აქაურობის დატოვებაც მენანება, მაგრამ შვილები თბოლისში დამკვიდრდნენ და მეც და დოდოს მათთან ახლოს ყოფნა გვინდა. მით უმეტეს ასაკიც მემატება“.

ფოთში მისი შემცვლელის ვინაობითაც დავინტერესდი.

- „მე ჟორა ხოჭოლავას გავუწიე რეკომენდაცია, ჩემს მოადგილეს“ აქ მის თვალეებში ონავრული ნაპერწკლები გაკრთა და განაგრძო „თუმცა ვინ იცის, ვის დანიშნავენ, ფოთში ლელი, კოდო და ჩამოსული კაცი ხარობს“. ეს მისი „საავტორო“ ფრაზაა და დღესაც აქტუალურია ფოთში. საერთოდ, იუმორი აკაკი ცხადაიას შინაგანი არსების ბუნებრივ სტიქიას წარმოადგენდა, როგორღაც ამკობდა და ამშვენებდა მას, როგორც ადამიანს. ერთ-ერთ ხალხმრავალ შეკრებაზე გვერდიგვერდ აღმოვჩნდით. ცოტა ხანში დიდაქტიკური ფუჭსიტყვაობით ენადგაკრეფილ ორატორისაკენ მიმანიშნა და გადმომილაპარაკა: „რა იღბალი აქვს ზოგიერთს! ამას რომ ვუყურებ ცხოვრების მანძილზე იმდენჯერ აქვს ქრთამი აღებული და ეს პატიოსანი კაცს სახელი მაინც ვერ იქნა და ვერ მოიშორა“.

მოულოდნელად განვიმდა და შაბათობა ჩაგვეშალა. ვიღაცამ დაიჩივლა ამინდის პროგნოზის ბიურომ შეცდომაში შეგვიყვანაო, რასაც იქვე მდგომი აკაკის სხარტი რეაქცია მოყვა: „მერედა არ იცით, რა არის ამინდის ბიურო? ხვალ რომ გეტყვის როგორი ამინდი იყო გუშინწინ“!

1974 წელს საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელი ბრეჟნევი ამერიკაში ჩავიდა ოფიციალური ვიზიტით, როდესაც უკან ბრუნდებოდა, აეროპორტში ვიღაც ამერიკელ მსახიობს, ახოვან ადამიანს გამორჩეულად დაემშვიდობა - კისერზე ჩამოეკიდა და გადააკოცნა, რაც კომიკური სანახავი იყო. ბატონი აკაკის შეფასება კი ასეთი იყო: „ეს იგივეა ფოთში შევარდნაძე ჩამოვიდეს და გასაცილებლად მისულ გოგილო ყურაშვილს კისერზე ჩამოეკიდოს“.

(ტანმალალი გოგილო ყურაშვილი ფოთის თეატრალური დასის წევრი, აკაკი ცხადაიას სიყრმის ამხანაგი იყო).

აკაკი ცხადაია უაღრესად პრინციპული ადამიანი იყო. მასზე ხშირად მოისმენდით „რადგან კაკომ თქვა, ესეც იქნება“, „კაკოს სიტყვა ბეჭედი“.

მისი ყველა მოსაზრება არგუმენტირებული იყო. მე არ შემხვედრია მისი გადანწყვეტილების გამო განაწყენებული ადამიანი, არადა მას სისტემატურად ასობით ადამიანთან უწევდა ურთიერთობა.

აკაკი ცხადაიას ინტერესების სფერო ფართო იყო. იგი საგრძნობლად სცილდებოდა სახელდობრ სახალხო განათლების თუ პედაგოგიკის თემატიკას. მეცნიერება თუ პოლიტიკა, ჯანდაცვა თუ ხელოვნება, ოსტორია თუ ენათმეცნიერება, ეკონომიკა თუ სპორტი. ერთი შეხედვით უბრალო ყოფითი საკითხებიც მისი ყურადღების საგანი ხდებოდა.

აკაკი ცხადაია მხურვალე პატრიოტი იყო. უწინარესად აღვნიშნავდი, რომ მან ზედმიწევნით კარგად იცოდა ფოთის ისტორია, მას შეეძლო ზეპირად დაესახელებინა ყველა ფოთელი ინტელექტუალი, მეცნიერი, ექიმი, ინჟინერი, პედაგოგი, მწერალი, პოეტი, მსახიობი თუ საზოგადო მოღვაწე. იგი ღრმად ერკვეოდა ქალაქის პრობლემატიკაში. მშვენივრად იცნობდა პირველ წყაროებს. არასოდეს არ აიგივებდა ფოთს ფაზისთან. არასოდეს არ მიმართავდა ფაქტების იძულებას და არც სხვებს აძლევდა ამის უფლებას, თუნდაც კეთილი მიზნებით რომ ყოფილიყო ნაკარნახევი, ასე იყო, როდესაც პირველი საშუალო სკოლის თითქმის 100 წლისთავის აღნიშვნა განიზრახეს მავანმა და მავანმა.

მისგან მსმენია, რომ „ყვავილების ქვეყანა“ არ იყო ხალხური სიმღერა, რომ მისი სიტყვების ავტორი იყო ფერაძე - განათლების სამინისტროს თანამშრომელი, ცნობილი მსახიობის გია ფერაძის მამა, რაც თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ ოფიციალურად იქნა აღიარებული. უდიდესი პატივისცემით ეკიდებოდა ნიკო ნიკოლაძის ღვანლსა და მემკვიდრეობას ქ. ფოთში. აკაკი ცხადაია, როგორც აღმასკომის წევრი აქტიურად, მე ვიტყვოდი საგნობრივად მონაწილეობდა ქალაქის ყველა ინფრასტრუქტურული პროექტის შემუშავებასა და განხორციელებაში.

ეს იყო სტადიონისათვის ადგილის შერჩევა, ფოთი-გრიგოლეთის ზღვისპირა ტყე-პარკის გაშენება, ზღვის სანაპირო ზოლის გამაგრებითი სამუშაოები, პალიასტომის ტბისთვის აღკვეთილის სტატუსის მიკუთვნება. ტორფის მოპოვების გაფართოება, ქალაქში გამავალი რიონის არხის რეკონსტრუქცია, ფოთის განაშენიანების გენერალური გეგმის შემუშავება, ფოთში საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საღამოს სწავლების ფაკულტეტის დაარსება, კიბერნეტიკის ინსტიტუტის ფოთის ლაბორატორიის გახსნა, და სხვა. თავად აქტიურად იყენებდა კავშირებს აკადემიკოსებთან ილია ვეკუასთან, ცოტნე მირცხულავასთან, მელიორაციის მინისტრ ილია ლალიძესთან, პროფესორებთან: კუკუშა ზერაგიასთან, ირაკლი ვაკულიასთან და სხვებთან, ვისზეც დამოკიდებული იყო ამა თუ იმ პრობლემის გადაწყვეტა.

ბატონი აკაკი განსაკუთრებული ხიბლის ადამიანი იყო, დადებით მუხტს თითქოს მუდმივად ასხივებდა და გადასცემდა გარშემო მყოფთ. ახარებდა ახლობლისა და თვისტომის წარმატება. ეპითეტებს არ იშურებდა წარმატებული ადამიანის მისამართით, მახსოვს მისი აღტაცება „ვერის უბნის მელოდიების“ გამო, რომლის პრემიერას მოსკოვში დაესწრო და დაბრუნების შემდეგ შთაბეჭდილებებს გვიზიარებდა. როდესაც IV საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ვიქტორ კრატასიუკი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა, გრანდიოზული შეხვედრა მოუწყო ქალაქში.



არანაკლებ მნიშვნელოვანი და დასამახსოვრებელი იყო ქალაქის საზოგადოებრიობის შეხვედრა ჭადრაკში მსოფლიოს ჩემპინთან მიხეილ ტალთან, რომელიც სწორედ ბატონი აკაკის თოასნობით შედგა ფოთში 1961 (?) წელს.

ფოთის საქალაქო ჩემპიონატში კონკურსგარეშე მონაწილეობის მისაღებად მისი და შოთა რუხაძის ძალისხმევით ორგზის იყო მოწვეული საქართველოს არაერთგზის ჩემპიონი ჭადრაკში, დიდოსტატი ბუხუტი გურგენიძე.

ბატონი აკაკი მეორე მსოფლიო ომის მონაწილე იყო, მას არ უყვარდა ფრონტული მოგონებები, ყოველ შემთხვევაში მე ისინი არასოდეს მომისმენია. არც მაშინ გამოსულა იგი სიტყვით, როდესაც ფაშიზმზე გამარჯვების 30 წლისთავის აღსანიშნავად ფოთში, მისი იდეითა და მონაწილეობით შედგა ქალაქის ახალგაზრდებისა და საზოგადოების შეხვედრა საბჭოთა კავშირის გმირებთან, გმირი ქალაქების გმირ დამცველებთან. ეს იყო ფრიად მნიშვნელოვანი, შთამბეჭდავი და რეზონანსული ღონისძიება.

ურთიერთობაში აკაკი ცხადაია უბრალო, უშუალო, უადრესად ყურადღებიანი და გახსნილი იყო. მასთან არათუ ვერ მოიწყენდი, პირიქით, საუბრის აქტიური მონაწილე ხდებოდი. მისთვის უცხო იყო მენტორის ტონი, იდეოლოგიური დოგმების მოშველიება, კატეგორიული განცხადებები, საკუთარი ინფორმირებულობის ხაზგასმა, პირადი მაგალითების ჩართვა მსჯელობაში და ა.შ.

მისგან ვერ გაიგონებდით ტლანქ გამოთქმებს, მოუხეშავ სიტყვებს, მისი შინაგანი კულტურა, ფართო ერუდიცია მის თავი დაჭერასა და საუბარში იმდენად გამოსჭვიოდა, რომ მოწინებითი დამოკიდებულება ამ ადამიანისადმი იმთავითვე ეკიდებოდა ყველას. ამიტომაც იყო აკაკი ცხადაია ერთნაირად საინტერესო სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანებისათვის.

მის სამეგობრო წრეს შეადგენდნენ პედაგოგები, მათემატიკოსები გიორგი ალექსანდრია და გრიგოლ ნულაია, ექიმები: ვახტანგ ვეკუა და გივი ჟვანია, ინჟინრები: გოდერძი ტურძელიძე, ალექსანდრე ხორავა, შოთა რუხაძე, ოთარ კემულარია, ისტორიკოსები ზურაბ ნადარეიშვილი და დავით ფირცხალავა, არქიტექტორი და მოჭადრაკე ირაკლი ლოლუა.

ყველა ამ ადამიანს ახასიათებდა დაკისრებული მოვალეობისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება და თითოეულმა მათგანმა ფოთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში თვალსაჩინო კვალი დატოვა. (სხვა საკითხია რამდენად არის ეს კვალი დანახული და შეფასებული).

ეს იყო თანამოაზრე ლიდერთა ერთობა, მათი ძალისხმევით დაძლეულ იქნა პროვინციალიზმის გამოვლინებანი ფოთის არქიტექტურაში, კულტურის დარგში, ახალგაზრდობის აღზრდასა და მათი პროფესიული მომზადების სფეროში. ბევრი გაკეთდა მრეწველობისა და ჯანდაცვის

განვითარებისათვის.

ამავე დროს ადამიანური არაფერი უცხო არ იყო მათთვის, სახალხო და კურიოზული შემთხვევების ხდებოდა მათ ცხოვრებაში. თუმცა ეს სულ სხვა თემაა.

უდავოდ შეიძლება მივიჩნიოთ, რომ გასული საუკუნის 60-70-იან წლებში ეს ადამიანები მნიშვნელოვნად განსაზღვრავდნენ ფოთში საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ბატონი აკაკის წვლილი ქ. ფოთში სპორტის განვითარების საქმეში. მის სახელს უკავშირდება ბავშვთა სპორტსკოლის სპორტდარბაზის აშენება. მისი თაოსნობით დამკვიდრდა ხელბურთი 50-იანი წლების მეორე ნახევარში და რამდენიმე წლის შემდეგ ფოთელი მოსწავლე გოგონები საქართველოს ჩემპიონებიც გახდნენ.

კარგი ტრადიციები ჩამოუყალიბდათ ბავშვთა სპორტსკოლის კრისა და ჭიდაობის სექციებს, რომლის აღზრდილები დიდი წარმატებით გამოდიოდნენ საქართველოს, სსრ კავშირის და ევროპის შეჯიბრებებზე.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი როლი ბავშვთა ჭადრაკის განვითარებაში. მისი თაოსნობით გაიხსნა ბავშვთა საჭადრაკო სკოლა, რომელსაც სათავეში ცნობილი მოჭადრაკე ირაკლი ლოლუა ჩაუყენა. თავადაც ხშირად დადიოდა საჭადრაკო კლუბში. ჭადრაკს არ თამაშობდა, მაგრამ დიდ დაინტერესებას იჩენდა საჭადრაკო პარტიების გარჩევებისადმი, უყვარდა საჭადრაკო ეტიუდების ამოხსნა. აქტიურად ქომაგობდა ქართველ მოჭადრაკეებს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საჭადრაკო სარბიელზე მისი ნათლული ნანა ალექსანდრია გამოჩნდა.

ცნობილი ფაქტია, როდესაც ნანას დაჭირდა მსოფლიო ჩემპიონის პრეტენდენტთა პაექრობაზე მორალური მხარდაჭერა, ბატონი აკაკი დაუყოვნებლივ გადაფრინდა მოსკოვში ირაკლი ლოლუასთან ერთად და ის მატჩი ლევიტინასთან ნანამ მოიგო.

აკაკი ცხადაიას ეკუთვნის იდეა ფოთში ნანა ალექსანდრიას სახელობის საჭადრაკო კლუბის შექმნის შესახებ, რამაც ბიძგი მისცა ქალაქში საჭადრაკო სახლისათვის შენობის გადაცემას, რომელიც დღეს ნანას სახელით არის ცნობილი.

აკაკი ცხადაია როგორც ადამიანი და მღვანე - ყოველი სიკეთით შემკობილი იყო. ის როგორღაც თავისებური სილამაზით ამშვენებდა პედაგოგიურ საზოგადოებას, ქალაქის ინტელიგენციას, ქართულ პედაგოგიკას, მაგრამ ყველაზე მეტად ამშვენებდა მშობელ ერს, რომლის ყველა საუკეთესო თვისებასაც თვითონვე განასახიერებდა, ნიჭი, შრომისმოყვარეობა, მეგობრული გრძნობა, თავმდაბლობა,

ჩემი ადრინდელი მუშაობის ხასიათის გამო ხშირად ვიყავი დაკავშირებული აკაკი ცხადაიასთან, მისდამი მოკრძალება და პატივისცემის

გრძნობა არასოდეს იცვლებოდა. იმ დროიდან მოყოლებული მრავალ-  
თა შორის, მეც ვიყავი მისი ერთ-ერთი უანგარო პატივისმცემელი და  
მოწინებითი დამოკიდებულება ჩვენი დროის ამ უაღრესად სახელოვანი  
მოღვაწისადმი ბოლომდე შემრჩა.

უკანასკნელად ბატონ აკაკის 2012 წელს შევხვდი მისი დაბადების  
90 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოზე, რომელიც თბილისში გაიმარ-  
თა მისი ოჯახის წევრების, ახლობლებისა და ყოფილი მოწაფეების მონა-  
წილეობით. დაუვინყარი იყო ის დიდი სითბო და გულითადობის ატმოს-  
ფერო, რომელიც დარბაზში სუფევდა.

აკაკი ცხადაია ჩემს მეხსიერებაში დარჩა როგორც საოცრად ლაღი,  
მართალი, გულწრფელი ადამიანი. მისი პიროვნების მთავარი მამოძრა-  
ვებელი ძალა ამქვეყნად იყო სიყვარული, რომელიც მან გულის სითბოს-  
თან ერთად ყველას აქ დარჩენილთ უხვად გვარგუნა.

ირაკლი მოწერელია  
20.11.16

**მოსაზრება ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის  
საზოგადოებრივი საბჭოს 28/1 40.06.2016 წერილში  
დასმულ საკითხთან დაკავშირებით, როგორც ეხება  
ქალაქ ფოთისათვის ისტორიული სახელის – „ფაზისის“  
აღდგენას**

ბერძენ-რომაელთა ავტორების ცნობათა შესწავლით, ნუმისმატიკური და არქეოლოგიური მასალის გამოყენებით აღდგენილია ქალაქ ფაზისის ისტორია დაარსებიდან ბიზანტიური ხანის დასრულებამდე. და მოცემულია ქართველი მკვლევარ-ისტორიკოსის მაქსიმე ბრძენიშვილის ნაშრომში „ქალაქ ფაზისის ისტორიისათვის“. ავტორი აღნიშნავს:

„ჩვენი მთავარი ამოცანა შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ ჩვენი ქალაქის ისტორიის მიმოხილვას შევწყვეტდით შუა გზაზე და ფორმალური ნიშნის მიხედვით შემოვიფარგლებოდით ანტიკური დროით, თუმცა ფაზისი, როგორც ბერძნული ქალაქი, განაგრძობდა თავის არსებობას მომდევნო, ბიზანტიურ, ხანაშიც. ამიტომ მიზანშეწონილად დავინახეთ ფაზისის ისტორია მოგვეყვანა იმ მომენტამდე, როდესაც ის აღარ გვევლინება, როგორც ბერძნულ-ბიზანტიური ძალის საყრდენი ბაზისი კოლხეთში და, პირუკუ, შედის ქართული სახელმწიფოებრიობის საზღვრებში როგორც მისი ორგანული ნაწილი. ამისდა მიუხედავად შრომაში გამოვიყენეთ ბიზანტიური დროის ცნობებიც“. (ციტატის დასასრული. მაქსიმე ბრძენიშვილი „ქალაქ ფაზისის ისტორიისათვის“, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 1969, გვ. 3).

ამავე მკვლევარის მიხედვით (იგივე, გვ. 121, პ. 1, გვ. 123, პ. 3) ფაზისი დაარსებულია V, არაუგვიანეს VI საუკუნის პირველ ნახევარში.

შემდგომში იგი განიხილავს ქალაქ ფაზისის თაობაზე არსებულ ისტორიულ ცნობებს და მოყავს ბერძნული წყარო, სადაც სწერია, რომ „786 წლის შემდეგ ფაზისი მოექცა აფხაზებისა, მერე კი ქართველებისა და მეგრელების ხელში. ამ დროიდან მოკიდებული მეგრელთა ბატონობა განუსაზღვრელი იყო, ხოლო 1725 წელს თურქები საბოლოოდ დაეუფლნენ ამ ქალაქს და იგი მათ ხელში ჰქონდათ 1828 წლამდე, როცა ის მოექცა რუსი გენერლის გესსეს ხელთ და ანდრიანოპოლის ხელშეკრულებით რუსეთის ხელში გადავიდა“. (ციტატის დასასრული. იგივე, გვ. 188).

იქვე აღნიშნულია, რომ ფოთი პირველად იხსენიება XI საუკუნეში ძეგლში „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება და მოქალაქეობაში“ თუმცა სხვა წყაროებით ტოპონიმი ფოთი უფრო ადრე, VIII საუკუნეშიც გვხვდება.

ინტერესმოკლებული არ იქნებოდა შევხებოდი საკუთრივ ქ. ფაზისის, შემდგომ ფოთის ლოკალიზაციის საკითხს.

ეს იმდენადაც არის საინტერესო, რომ დღემდე არ არის ცნობილი ქ. ფაზისის ადგილმდებარეობის რამდენადმე ზუსტი საზღვრები, თუმცა სხვადასხვა მკვლევარები მიიჩნევენ, რომ იგი უნდა მდებარეობდეს დღევანდელი ქ. ფოთიდან აღმოსავლეთით, რამეთუ იქ, სადაც დღეს ქალაქი ფოთია ანტიკურ ხანაში ხმელეთი არ არსებობდა და საფიქრებელია, რომ ეს ტერიტორია ზღვის უბეს წარმოადგენდა, რაც დასტურდება ჰიდროგეოლოგ ყავრიშვილის გამოკვლევებით, რომლის თანახმად მდინარე რიონს ყოველწლიურად ზღვაში 10 მილიონი კუბური მეტრი მყარი ნატანი შეჰქონდა და წლიურად ზღვის სანაპირო ზოლის ხმელეთის მატება ამ უბანზე ექვს მეტრს შეადგენდა (ა.ბ. მონწერელია „კოლხეთის დაბლობის მელიორაცია და სასოფლო-სამეურნეო ათვისება“. რუსულ ენაზე მოსკოვი, 1974 წ. გვ. 8).

თურქების მიერ XVI საუკუნეში აშენებული ფოთის ციხე-სიმაგრე უკვე XX საუკუნეში ზღვის სანაპიროდან 2,5 კილომეტრის დაშორებით აღმოჩნდა. ამ ციხე-სიმაგრის შემადგენელი კოშკი დღესაც არის შემორჩენილი თანამედროვე ფოთის ცენტრში (იგივე, გვ. 12).

მაშასადამე, ფოთი, როგორც დასახლებული პუნქტი წარმოიქმნა და განვითარდა ქ. ფაზისის ადგილმდებარეობიდან დასავლეთით და საკმაო დაშორებით, იმდენად, რომ იგი ფაზისის ადგილმონაცვლედ არ მიიჩნეოდა.

სათქმელია ისიც, რომ ფოთს ფაზისთან არ აიგივებდნენ წინაპრებიც. მისი სახელის შეცვლის საკითხი არ დაუყენებიათ არც ქართველ მეცნიერებს, არც საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეებს.

ნიკო ნიკოლაძის დავალებით 1901 წელს შედგენილ ქალაქის განაშენიანების გეგმას, ასევე, ჰქვია „საპორტო ქალაქი ფოთის გეგმა“, რომელიც უმნიშვნელო კორექტირებით დღესაც აქტუალურია და ყოველი ახალი გენერალური გეგმის საფუძვლად რჩება.

ფოთისათვის სახელის შეცვლის საკითხი არც ბოლშევიკური მმართველობის პერიოდში დამდგარა, მაშინაც კი, როდესაც საქართველოში დასახლებული პუნქტების სახელების შეცვლამ მასობრივი ხასიათი მიიღო.

საკმარისია გავისხენოთ რაიონული ცენტრები: ცხაკაია, მახარაძე, ორჯონიკიძე, მაიაკოვსკი, ნულუკიძე, სტალინირი, ლენინგორი.



აღსანიშნავია, რომ ანტიკურ და უფრო გვიანდელ ხანაში ფაზისის გარდა საქართველოს ტერიტორიაზე არსებობდნენ დიოსკურია, პიტიუნტი, არქეოპოლისი, კუტაია, მაგრამ არასოდეს არ დამდგარა საკითხი, რომ სახელი ჩანაცვლებოდა სოხუმს - დიოსკურია, ბიჭვინთას - პიტიუნტი, სენაკს - არქეოპოლისი, ქუთაისს - კუტაია, აია, ან ქუთათისი.

ტოპონიმი ფოთი VIII საუკუნეში, ანუ 1300 წლის წინ გაჩნდა, (სხვა წყაროებით XI საუკუნეში, ანუ 1000 წლის წინ) და როგორც წარმოშობით ქართული, დამკვიდრდა კიდევ. მისი შეცვლის მცდელობას არც თურქების ბატონობის, არც შემდგომ, საქართველოს რუსეთის შემადგენლობაში შესვლის შემდეგ ჰქონია ადგილი. მეტიც, 1858 წლის 18 ნოემბერს სახელმწიფო აქტით ფოთი საპორტო ქალაქად გამოცხადდა. ნავსადგურის მშენებლობის გაშლამ შემდგომ კი ამოქმედებამ საკუთრივ ფოთის ინფრასტრუქტურის შექმნა და თანამედროვე ქალაქად განვითარება განაპირობა.

ფოთის ნავსადგური ერთ-ერთი მსხვილი ნავსადგურია შავი ზღვის აუზში და არა მარტო საქართველოს, არამედ სამხრეთ კავკასიის კარიბჭეს, ევროპა-აზიის დამაკავშირებელ მნიშვნელოვან სატრანსპორტო კვანძს წარმოადგენს, რომელიც თავისი სახელდებით არა მარტო საქართველოს ორგანულ ნაწილად არის დამკვიდრებული, არამედ ასევე, ფართოდ არის ცნობილი მსოფლიოშიც.

არავითარი საფუძველი არ გვესახება საიმისოდ, რომ ფოთს სახელი შეეცვალოს, მითუმეტეს, ამისი არც პოლიტიკური და არც ეკონომიკური, ან რაიმე ეროვნული მოტივაცია არ მოიაზრება.

აქვე, ვერ საბუთდება, რომ დასახლება „ფაზისი“ რამენაირად უკავშირდება ქართულ ენას, არამედ ყველა ისტორიული და ლიტერატურული წყაროებით იგი ძველბერძნული ენისა და რომაელების გავლენით არის ნაწარმოები (მაქსიმე ბრძენიშვილი „ქ. ფაზისის ისტორიისათვის“, გამომც. „მეცნიერება“, თბ., 1969, გვ. 87).

ირაკლი მონერელია

20.01.17

## ...„რა მოსაწყენი იქნებოდა ცხოვრება სულელების გარეშე“

(გამოუქვეყნებელი წერილი - იბეჭდება პირველად)

ვერ ვიხსენებ ვის ეკუთვნის ეს ფრაზა, მაგრამ ვთვლი, რომ იგი სავსებით ადეკვატურად პასუხობს ფოთში „გაფრქვეულ“ საუკუნის სისულელების ზედახორას“. საქმე იმაში გახლავთ, რომ რამდენიმე დღის წინ ინტერნეტითა და პრესის მეშვეობით გავეცანი ფოთის საკრებულოს დადგენილებას შინაურ ცხოველთა უფლებების დაცვის შესახებ.

მისი ავტორი ბატონი გ.დ აგერ პირდაპირ გვიყურებს პლანშეტიდან, ისე მშვიდად, სერიოზულობის ტალღაზე დაყენებული სახით ამ „ისტორიული“ დადგენილების შემქმნელის კმაყოფილებით აღსავსე გამომეტყველებით, თითქოს ეს არის ახლა აღასრულა თავისი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვალეობა ერისა და ბერის წინაშე. ვეცნობი მის ნახვავს და არ ვიცი, ვიტირო თუ ვიცინო.

ათასი კითხვა მიტრიალებს თავში, რომელი ერთით დავიწყო. აი, საკრებულოს თავმჯდომარე რომ არ გაქცეოდა მერიის შესასვლელთან რეპორტიორს და ეპასუხა დასმულ კითხვაზე, ალბათ, მეც გამიადვილდებოდა იმ „ისტორიული“ დადგენილების წარმოშობის გარემოებათა გარკვევა.

ახლა კი ისევ ჩემი შიშველი ემოციების ანაბრად დავრჩი და პირველი კითხვა, რომელმაც გამიელვა, რამ გააბოზა ფოთში ამდენი კატა და ძაღლი, ან საიდან გაჩნდა ამდენი სექსუალურად შენუხებული ორფეხა მოძალადე. რა დადგენილებაა ეს ასეთი ორიგინალური, რა ვუნოდო მას. მერე მივხვდი! ორღობის პოლიტიკოსებმა პოლიტიკური კომპონენტი დააკლეს ამ დიდმნიშვნელოვან „ჰუმანიზმის მაღალი იდეებით დატვირთულ“ დადგენილებას. და ვინაიდან ვერც მის იდუმალებით სავსე წარმოშობას მივაკვლიე „გ.დ საიდუმლო პროტოკოლი“ დავარქვი. აი, ასე მოვიხსენიებდი ოთხფეხა შინაური ცხოველების, ფრინველებისა და ორფეხა მოძალადეების ურთიერთობათა მარეგულირებელ დოკუმენტს.

სხვა ვარიანტიც შეიძლება, მაგალითად „გ.დ გ.დ-ს კანონი, რატომაც არა!“. გ.დ ფოთში მეტად უნიკალური მოღვაწეა. იგი ერისა და ამავე დროს სახელმწიფო სამსახურში მდგომი ფუნქციონერიცაა და „მრავალათასიანი“ ფაზისის აკადემიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი და უნდა ვიფიქროთ, ერთი მეორეს ხელს არ უშლის. მოიფიქრებს რაიმეს ფუნქციონერი, მხარს დაუჭერს შინაგანი აკადემიკოსი, თუ აკადემიკოსი მოიფიქრებს რაიმეს, ფუნქციონერიც იქვეა, იგივე საბურველში. ეს არის, რომ ამჯერად ფუნქციონერი გდ და აკადემიკოსი გდ ერთდროულად მივიდნენ ორდინალურ სისულელემდე. ბატონი გდ საერთოდაც მიდრეკილია იდუმალებისკენ. მას დღემდე ვერ დააცდენინეს სიტყვა, რა ურჩევნია „ფაზისი“ თუ ფოთი. დუმს კაცი!

ისიც უნდა ვთქვათ, სადმე, რომელიმე მუნიციპალიტეტში არის იმდენი მრჩეველ-აკადემიკოსი, რამდენიც ფოთშია? 2010 წელს დამაქცევარ ვ.ს მიერ შემქნილ საზოგადოებრივ სათათბიროში, რომელიც დღემდე ფუნქციონირებს მუდმივმოქმედი თავმჯდომარის ხელმძღვანელობით 15 აკადემიკოსი

ირიცხება, ანუ საკრებულოს წევრების, ყოველ ხმოსანზე თითო მრჩეველი მოდის. ისიც აღსანიშნავია, რომ ამ სათათბიროს წევრად ბატონი გდ ირიცხება, ანუ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გდ, სახელმწიფო მოხელე, საზოგადოებრივ წარმონაქმნში თავისი თავის მრჩეველადაც გვევლინება.

სალინაძის შემდეგ საკრებულოს შემადგენლობა სამჯერ შეიცვალა, ამავე პერიოდში მისი სამი თავმჯდომარეც შეიცვალა, სავსებით დემოკრატიულად, მაგრამ არ შეცვლილა საკრებულოს საზოგადოებრივი სათათბირო და მისი თავმჯდომარე. გამოდის, რომ ფოთის საკრებულოები და მისი თავმჯდომარეები მიდიან და მიდიან, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისობაში, საზოგადოებრივი სათათბირო კი არალეგიტიმური წარმონაქმნი, რომელიც მთლიანად ფაზისის საერო-სახალხო აკადემიის წევრებით დაკომპლექტებული რჩება. საზოგადოებრიობა საერთოდ იგნორირებულია მართვის პროცესებისაგან, სახეზე გვაქვს ფაზისის საერო-სახალხო აკადემიის (საზოგადოებრივი ორგანიზაციის შერწყმის (და არა თანამშრომლობის) მართვის სახელისუფლებო სტრუქტურებში მისი აკადემიკოსების მოკალათების გზით. სახელისუფლებო ინსტიტუტებისა და არაუფლებამოსილ საზოგადოებრივ ორგანიზაციების ფუნქციების აღრევა წარმოშობს არაჯანსაღ კორპორატიულ ინტერესებს, ქაოსს მართვაში, კორუფციას, მართვის... სტრუქტურებში ნაკლებკომპეტენტური პირების მოძალებას, უძრაობას, ნიჰილიზმს იწვევს საზოგადოებაში, გულგრილობას თვით უფლებამოსილ თანამდებობის პირთა ქცევაში. მაგალითად, ბოლო ორი წლის განმავლობაში ფოთში N1, N5 და N6 საჯარო სკოლების ცრუ საიუბილეო თარიღები აღინიშნა, რომლებიც ბატონმა გდ-მ „გაატარა“, თუმცა ვალდებული იყო, როგორც წლების განმავლობაში განათლების სფეროს ხელმძღვანელი, ცოდნოდა სკოლების ასაკი და არ დაეშვა ცრუ თარიღების აღნიშვნა. ბატონ გდ-ს იმასაც შევახსენებდი, როგორ ჩატარდა ფოთში ამაზრზენი, უზნეო ფილმის პირობითად „ცოცხების“ დემონსტრირება თეატრში და იქ ორგანიზებული წესით უფროსკლასელთა მიყვანა, ხოლო როდესაც კომისია ჩამოვიდა, ფაქტს გაემიჯნენ პირნიშნად რესურს ცენტრთან ერთად და იმ კომისიას უფროსკლასელები შეატოვეს, რომლებმაც „თავის თავზე აიღეს“ თავიანთი პედაგოგების რჩევით. ან კიდევ, N7 საჯარო სკოლისათვის აკადემიკოს ლეო ბოკერიას სახელის მიკუთვნების ფაქტი და ამ საკითხზე გდ-ს ხელმოწერით მონიშნული საკრებულოს დადგენილება. მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით და თვით ლეოს თანხმობის გარეშე ერთი ფარული მიზნით, ჩამოეტყუებინათ „ფაზისობაზე“ ფაზისის სახალხო აკადემიის საიუბილეო სხდომაზე მონაწილეობის მისაღებად და ფოთის ფაზისად გადარქმევის მიზნით აკადემიკოს ლ.ბოკერიას მხარდამჭერი პოზიციის დასაფიქსირებლად. არ გამოუვიდათ, ამაოდ დაშვრნენ.

ჩემს მიერ მოხმობილი მაგალითები იმაზე მეტყველებს, რომ ანაქრონიზმთან გვაქვს საქმე, რომ მათ მართვასთან საერთო არაფერი აქვს და შეიძლება შეფასდეს როგორც „თავგური ფუსფუსი“ ხელისუფლების შორიახლო.

უკვე ხუთი წელია მოხსენიების სიხშირით ლამის ქრესტომათიულად ქცეული „უძველესი ფაზისი“ და ფოთის ფაზისად გადარქმევის ყოვლად მაგნე „ნოვაცია“, ჩემთვის ისიც ცნობილია, რომ „ფაზისის აკადემიის“ რამდენიმე შედარებით ახალგაზრდა აკადემიკოსმა ბრძანა „ჩვენ ფაზისი“ უნდა დავითროთ და განვავითაროთ ტურიზმი, რაც ხელს შეუწყობს საბიუჯეტო შემოსავლების ზრდას“. რა გამოდის? მმართველი პოლიტიკური პარტია, ხელისუფლება ამ იდეას მხარს არ უჭერს (სხვა შემთხვევაში აკად. ვ და სხვა მისი კოლეგა - აკადემიკოსების „შეახილების“ გარეშე ხელისუფლება მიიღებდა მხარდაჭერს გადანყვეტილებას), ხოლო ფაზისის მრავალათასიანი აკადემია და მისი ხელმძღვანელობა „ფაზისზე“ ოცნებობს და მოქმედებს კიდევ. „დათრევა“ განუზრახავს. „დათრევა“ ძალადობრივი ქმედებაა. ერთ მხარეს „დამთრევი“ აკადემიკოსებია, მეორევე ლეგიტიმური ხელისუფლება, ხალხის მანდატით, ფოთის მუნიციპალიტეტში „მოღვაწე“ აკადემიკოსები გვა, ზგ, ინტერესთა კონფლიქტში შევიდნენ და ჯოჯბად ემიჯნებიან „მრავალათასიანთა“ იდეა-ფიქსს, აქედან ისმის კითხვა, ვინ მართავს ფოთს? საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ფაზისის აკადემია“, თუ პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნების“ ხელისუფლება? ამაზე პასუხი ზემოხსენებულებმა უნდა გასცეს, რომელიც გაურბის პირდაპირ პასუხს და კვლავ ორ სკამზე სხედან. უფრო ზუსტად: ერთდროულად ყველგან არიან და იმავდროულად არსად. მე არ გამიკვირდება თუ მომავალში „ცხოველთა უფლებების დაცვის თაობაზე გამოქვეყნებული დადგენილების მსგავს სუროგატ-სისულელეს კვლავ ვიხილავთ. და იცით რატომ? იმიტომ, რომ მისი დამნერის და ხელმომწერისთვის სულერთია რა დაწეროს და ხელი რას მოაწეროს. საზოგადოება მიძინებული ყავს. ქაღალდი ყველაფერს იტანს, თვითონ კი წარსულშია ჩარჩენილი და გახვევებული. „გდ - გდ-ს“ დოკუმენტში მთლიანად გამორჩენილია ფრიად უწყინარი შინაური ცხოველი ცხვარი. არადა „უძველეს ფაზისში“ ფართოდ გამოიყენებოდა ცხვრის დაკვლა, გატყავება, ტყავისაგან ოქროს ვერძის გამზადება და ხეზე გამოფენა. მერე, ეს ხომ ცხვრის მიმართ არაადამიანური ანტიჰუმანური დამოკიდებულება არ არის? რას უყურებს აკადემია? შეაფასა ახალი რეაქციების შუქზე „ათასწლეულის გადასახედი“საწყალი ცხვრის ტყავიდან „ოქროისა ქმნისა“ ტექნოლოგია?

ჩლიქოსნების უფლებები საერთოდ სუსტად არის გამოკვეთილი. რა ქნას ვახტანგ ალანიამ, მისი ცხენი თუ დაჭირდათ მორიგ „ფაზისობაზე“ „მორიგი აიეტის“ შესასკუპებლად, ნალები სად მიაკეროს ცხენს უკანაღებე მიაწებოს თუ უნაგირზე მიაჭედოს ჩლიქებზე კი რა, პედიკური გაუკეთოს? ან კიდევ, შინაურ ცხოველთათვის არ უნდა იყოს გათვალისწინებული სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებები? შეკრიბავენ ოთხფეხებს წინასწარ შერჩეულ ადგილას და მისცემენ კოლექტიური ყფა-ღრენის, კნავილის, ბლავილის და ყივილის საშუალებას. ეს მნიშვნელოვანია ორფეხა მოძალადეებისაგან „თავდაცვითი“ სისტემის შესაქმნელად.

გდ-ს დადგენილების ერთი არსებითი ხარვეზის თაობაზე რატომ

გამორჩათ მის ავტორებს ისეთი არსებითი საკითხი, როგორცაა კასტრაცია. რა, ეს არ არის არაადამიანური მოპყრობის გამოვლინება, როდესაც მამლის პატრონს ფრთის შეჭრას უკრძალავ, მაგრამ მამრის უნარ-ჩვევებს „უბოდიშოდ“ ართმევ. „იმერული ესკიზები“ ხომ გახსოვთ იმ პატარა ბიჭმა რა უპასუხა მამლის დანიშნულებამ: „ჩინჩლაგსო“ და მასწავლებლის წყრომა დაიმსახურა, ეტყობა არც მასწავლებელს, არც მოსწავლეს არ გახსენებიათ, რომ მამალი კასტრირებულიც არსებობს, რომელიც არაკასტრირებულისაგან განსხვავებით „ვერ ჩინჩლაგს“ ასეთს კი ქართულად ყვერული ჰქვია. არც ოთხფეხების მიწას მიბარება არის რეგლამენტირებული და დამარხვის წესი განსაზღვრული ვერტიკალურად, გამოტილად, თუ მოკეცილად? ან იქნებ სადმე ტყეში ხეზე, რაღაცაში გახვეული, როგორც დაწესებული იყო ადამიანებისათვის „ლეგენდარულ“ ანტიკურ ხანაში „უძველესი ფაზისის“ ტერიტორიაზე. ეს ისე სიტყვამ მოიტანა, თორემ საკითხი ბევრად საგანგაშოა. ფოთში ოთხფეხები ახლაც კვდებიან, განსასვენებლისათვის კი ცხოველთა სამარხი ანუ ბეკერის ორმო არ გააჩნია. ეს ის ბეკერის ორმოა, რომლის ასაშენებლად მერად მუშაობის პერიოდში გდ-მ სამი წლის განმავლობაში 25 ათასი ლარი არ გამოყო და აგერ სად უნია! ვერც თბოსადგური ააშენა და ვერც ცხოველთა სამარხი და ცხოველთა ლეში დღესაც პირდაპირ ეფლობა მიწაში და აბინძურებს გარემოს. გდ კი „აკადემიური“ სიმშვიდით სდუმს, თავის სუროგ-პროტოკოლში.

სიტყვა გამიგრძელდა, მაგრამ გვერდს ვერ ავუვლი მერის მოადგილის ბატონ გფ-ს ფეისბუკზე 16 აპრილის პოსტს, სწორედ იმიტომ, რომ იგი, რომელიც გასაგებად აყალიბებს თავის აზრს ფოთის მიმართ, სრულიად მოულოდნელად, მოუცლელი, მაგრამ უადრესად ინფორმირებული და ავტორიტეტული მოხელის აპლომბით „ავდებს მონყალედ“ ... ფოთი ერქვას თუ ფაზისი ნაკლები პრობლემაა“. (ციტატის დასასრული). ეს უკვე საკითხის გაბაიბურებაა. რის საფუძველზე ასკვნის თანამდებობის პირი, რომ ეს საერთოდ „პრობლემაა?“ რატომ არის მისთვის სულერთი ფოთს ფოთი ერქმევა თუ სხვა რამ სახელი? მისთვის ასევე „ნაკლები პრობლემა“ იქნება ქუთაისს ან თელავს რომ წაეპოტინოს ვინმე სახელების შესაცვლელად? მისი ეს მენტორის სტილში წარმოთქმული მოსაზრება იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ფოთში უფრო დიდი პრობლემების შესახებ იცის რაღაც ისეთი, რაც სხვამ არ იცის, ის კი არ ამბობს.

შემდეგ კიდევ მეტი: „ნამდვილად ისტორიული დღე ჩვენი ქალაქისთვის შედგა!“ (ციტატის დასასრული). ნუთუ მართლა? ისტორიული დღე ერთი ადამიანის შთაბეჭდილების ან შეფასებით ხომ არ განისაზღვრება? დაწესდა „ახალი კარგი ტრადიცია“ (ციტატის დასასრული), ესეც ფრიად შეუფერებელი და არარეალური განცხადება. ტრადიცია დადგენილებით არ „წესდება“ ერთი საშუალო დონის დონისზიებაც რეტროს სტილში ტრადიცია არ არის და არავინ იცის იქცევა თუ არა ტრადიციად. ალბათ, არ იქცევა, როგორც ფაზისობა დაწესებული 1981 წელს ვერ იქცა ტრადიციად და ავინყდება ყველას დას-



კვნიით „ნამცეცობის“ დასრულებისთანავე, მაგრამ ვიდრე ქალაქის ხელმძღვანელობაში მოხვედრილ მორიგ მედროვეეს თავშესაქცევი „ტამ-ფანდურა“ სახელად „ფაზისობა“ გაახსენდებოდა მომდევნო კალენდარულ წელს, სულაც არ მახალისებოდა ჩემთვის უცნობ ახალგაზრდა ადამიანს შენიშვნები მივაგო, მაგრამ ქალაქის ხელმძღვანელობას კი ვეტყვი, რომ სახელმწიფო მმართველობის ხელმძღვანელობაში მერის მოადგილის თანამდებობაზე მონვეულ მოხელეს უნდა ვიფიქროთ „მერიის გაძლიერების“ მიზნით ხელი შეუწყონ ახალ გარემოში, ანუ ფოთში ადაპტაციას და არ დაუშვან მისი გამოყენება საშუალო დონის კულტმასობრივ მუშაკად გამწესება. ხომ შეიძლება მას მეტი შეეძლოს და არ აღმოჩნდეს ილუზიის ტყვეობაში, რომ თითქოს მისი სახელით იდეოლოგიური გულივერი მოუვლინა ფოთს, ამ ლილიპუტების საუფლოში, სადაც მხოლოდ მისი გამოჩენისთანავე „ქალაქის კულტურულ ცხოვრებას უკვე დაეტყო“ ციტატის დადასრული. (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, ჩემთვის უცნობი მამებელ-ფარისეველი). სულაც არ მინდა, რომ მას ვინმემ მისივე სიტყვები დაუბრუნოს „ფოთი ერქვას თუ ფაზისი ნაკლები პრობლემაა, იმაზე „ნაკლები“ პრობლემაა ბატონ გფ-ი ერქმევა, ნასყიდა, ქიტესა თუ სილიბისტრო. ბატონი გფ კი ამჯერად იმით არის ჩემთვის საინტერესო, რომ მან ქალაქის მამების პოზიცია გაახმოვანა და გვაუწყა, რომ ფოთში ახალი ქრონიკონი სწორედ მათგან იწყებოდა.

მაშ ასე, ყოველივე ზემოთქმული რომ შევაფასოთ, ფოთის მოცემულობა ასეთია: ვითომ საზღვაო ქალაქი, ვითომ სუფთა კლიმატით, ვითომ კმაყოფილი მოსახლეობით, ვითომ ქუჩებით, ვითომ ტროტუარებით, ვითომ გამწვანებით, ვითომ კანალიზაციებით, ვითომ გერბით, ვითომ დროშით, ვითომ არჩეული აღმასრულებელი ხელისუფლებით, ვითომ დემოკრატიით, ვითომ სამოქალაქო საზოგადოებით, ვითომ კულტურული მემკვიდრეობით, ვითომ მაღალი სინჯის სამედიცინო მომსახურებით, ვითომ ტრადიციებით, ვითომ იუბილეებით, ვითომ „სახალხო“ დღესასწაულებით, ვითომ „პატრიოტული“ დღით, ვითომ გულმხურვალე ფაზისელებით, ვითომ „საზოგადოებრივი სათათბიროთი“, ვითომ შინაურ ცხოველთა დაცვის გარანტიებით. ყველაფერი ისეა, როგორც გენი-ალური ფელინის ფილმში „და მოცურავს გემი.“ ბუტაფორიაა სრული, ბუტაფორია, როგორც გამოხატვის ფორმა, მეც ფელინის დავესესხე.

ირაკლი მონერელია.  
18.06.18

გულივერი: ჯონატან სვიფტის პერსონაჟი, გოლიათი, ინტელექტუალური რომელიც შემთხვევით მოხვდა განუვითრებელი ქონდრისკაცების ქვეყანაში.

ქალაქის მამები: აქ: ბატონ გ.ფ-ს პატეთიკურ „აკიდო სამადლობელში“ 12.04.78 ჩამოთვლილი ადრესატები და მათ შორის ახლო მუდმივად თავგურად მოფუსფუსე არაუფლებამოსილი პირები.

ირაკლი მონერელია  
18.06.18

სამეცნიერო

სამართლებრივი

# ირაკლი მონეჩელიას სამეცნიერო შრომები

## სუბროვიკული კულტურები

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი - გარდაქმნის,  
დაჩქარების კურსით!

*კოლხეთის დაბლობის დასაშრობი ზონის  
ნიადაგურ-მელიორაციული რაიონები და  
მელიორაციის თავისებურებანი*

კოლხეთის დაბლობის დასაშრობი ზონის ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობების შესწავლისათვის ჩატარებულია მისი ნიადაგურ-მელიორაციული დარაიონება, რასაც საფუძვლად დაედო ბუნებრივი დრენირების დონე, ნიადაგურ-ტოპოგრაფიული პირობები და მელიორაციისათვის საჭირო ღონისძიებათა კომლექსი.

ამ მაჩვენებლების მიხედვით გამოყოფილია 1) ზღვისპირა, 2) ჭაობებისა და დაჭაობებული მიწების, 3) უწრეთი, 4) სუსტად წრეთადი და 5) არასაკმარისად წრეთადი ნიადაგურ-მელიორაციული რაიონები.

ზღვისპირა რაიონი მდებარეობს შედარებით უკეთ დრენირებულ ვიწრო ზოლზე, რომელიც შედგება ლიდოებისა და მათ შორის მოქცეული ლაგუნებისაგან და მთლიანად საკურორტო ზონას მიეკუთვნება. ლიდოები მეზორელიეფის დადებითი ელემენტია, ვიწრო ზოლებად გასდევს რაიონს მთელ სიგრძეზე, ხასიათდება ცვალებადი ჰიფსომეტრიული ნიშნულებით და ძირითადად კარგად არის დრენირებული; ლაგუნა ლიდოებს შორის მოქცეული მეზორელიეფის დახშული, უარყოფითი ელემენტია და წყლის აკუმულაციის გამო მუდმივად დაჭაობებულია. ამრიგად, ეს ნიადაგურ-მელიორაციული რაიონი მთელ სიგრძეზე საერთოდ დაბალი, მაგრამ შესამჩნევად ცვალებადი ჰიფსომეტრიული მდებარეობით ხასიათდება, ვაკე რელიეფის ფონზე საგრძნობი ორმხრივი ქანობი აქვს და უპირატესად ტალღოვანი მიკრო და მეზორელიეფის გამო სხვადასხვანაირად არის დატენიანებული.

საერთო დრენირება ხდება წყლოვანი არტერიებით, რომლებიც ზღვისპირა რაიონს გამოჰყოფს ჭაობებისა და დაჭაობებული მიწების ნიადაგურ-მელიორაციული რაიონისაგან.

ნიადაგური საფარი ძირითადად წარმოდგენილია მდელოს-კორდია-



ნი ქვიშა და ქვიშიანი ნიადაგებით, რომლის ფონზე ცალკეული ხალების სახით ვხვდებით სუსტ ენერ, ხოლო მიკრო- და მეზორელიეფის უარყოფით ელემენტებში-მდელოს-კორდიან გალებებულ და ჭაობის ქვიშიან ნიადაგებს. ნიადაგების მაღალი ფილტრაციის უნარის გამო ატმოსფერული ნალექები უმალ ამყარებენ კავშირს გრუნტის წყლებთან და ნიადაგის წყლები წარმოდგენილია ნიადაგ-გრუნტის წყლების სახით. ნიადაგ-გრუნტის წყლის დონე მკვეთრად ცვალებადობს ამინდის პირობების მიხედვით და ნიადაგის ზედაპირიდან საშუალოდ 0,5 მეტრ სიღრმეზე მდებარეობს. ზოგჯერ ხანგრძლივი, უხვი ზვიმებისა და წყალმიმღებში შექმნილი შეტბორვის შედეგად წყლის დონე მინის ზედაპირამდე აღწევს. ნიადაგების ტენის წყარო ატმოსფერული ნალექები და გრუნტის წყლებია. დაჭაობება დაკავშირებულია რელიეფურ პირობებთან და გამონ-ვეულია ნიადაგ-გრუნტის წყლებითა და ატმოსფერული ნალექებით.

ამ რაიონის ტერიტორიის მელიორაცია საკურორტო მიზნებისათვის უნდა გადაწყდეს დაჭაობებული უბნების რეფუელირებით; სასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის კი საჭიროა ღია არხთა ქსელი, დახურული მატერიალური დრენაჟი და წყლის მექანიკური გადატუმბვა.

**ჭაობებისა და დაჭაობებული მიწების რაიონი** მდებარეობს ზღვის-პირა დაბლობის დასავლეთ ნაწილში და უშუალოდ ესაზღვრება ზღვის-პირა რაიონს აღმოსავლეთის მხრიდან. ამ რაიონისთვის დამახასიათებელია მეტად დაბალი ჰიფსომეტრიული დონე, უნრეტი ქანობი, წყლების აკუმულაცია, გრუნტის წყლების სტაბილურად მაღალი დონე, წყალ მიმღებებისაგან უმეტესად შეტბორილი რეჟიმი და ჰიდრომორფული რიგის ნიადაგები, განსაკუთრებით გავრცელებულია ჭაობის ტორფიანი, ჭაობის-ლამიანი და ჭაობის-ალუვიური და ნიადაგის წყლებით. ამ რაიონის ფარგლებში გამოყოფილია:

1) ტიპური ტორფიანი ჭაობების, 2) რიონისპირა ჭაობების და დაჭაობებული მიწების, 3) ტორფიანი ჭაობების შემოგარენზე დაჭაობებული მიწების ქვერაიონები.

ტიპური ტორფიანი ჭაობების ქვერაიონი არ ექვემდებარება ჩვეულებრივი მეთოდებით დაშრობას. ამიტომ გათვალისწინებულია ტორფნარების დამუშავება ტორფის მთლიანად ორგანულ და ორგანულ-მინერალური სასუქების დასამზადებლად. ამის შედეგად ტორფის საბადოები დროთა განმავლობაში ღრმა წყალსატევებად გადაიქცევა.

რიონისპირა ჭაობების და დაჭაობებული მიწების ქვერაიონი მოქცეულია მდ. რიონის აქტიური მოქმედების ზონაში, ხასიათდება დაბალი ჰიფსომეტრიული დონით, მაგრამ უშუალოდ კალაპოტთან შედარებით მაღალი ნიშნულებით და ჭაობისაკენ ქანობით. ნიადაგური საფარი წარმოდგენილია მდელოს-ალუვიური თიხა და თიხნარი ნიადაგებით, აგრეთ-

ვე მათი გაღებებული სხვაობებით, კალაპოტისპირა ბუნებრივი დამბების გადაღმა-ჭაობის-ალუვიური თიხა და ჭაობის-ტორფიანი ნიადაგებით. ამ ქვერაიონის მელიორაცია კოლმატაჟის მეშვეობით უნდა მოხდეს.

ტორფიანი ჭაობების შემოგარენის დაჭაობებული მიწების ქვერაიონი მდებარეობს რიონის აქტიური მოქმედების ფარგლებს გარეთ. ხასიათდება მეტად დაბალი ჰიფსომეტრიული დონით, ხშირი, კლაკნილი, გადახლართული და ჩახერგილი ჰიდროგრაფიული ქსელით, ნიადაგური საფარი წარმოდგენილია უმთავრესად ჭაობის-ლამიანი თიხა ნიადაგებით. ამ ქვერაიონის მელიორაცია გათვალისწინებულია რეფუელირებით და წყლის მექანიკური გადატუმბვით.

**უნრეტ ნიადაგურ - მელიორაციულ რაიონს** დაბლობის დიდი ნაწილი უჭირავს. ამ რაიონისათვის დამახასიათებელია დაბალი ჰიფსომეტრიული მდებარეობა, მიწის ზედაპირის მეტად უმნიშვნელო ქანობი, დიდი ხორკლიანობა. უმთავრესად ბორცვიანი მიკრორელიეფისა და წვრილი მდინარეების ხშირი ქსელის გამო, რომელთაც უმეტესად მცირე სიღრმის, უაღრესად კლაკნილი ჩახერგილი და ამომამზნარებული კალაპოტი აქვს, არ შეუძლია მნიშვნელოვანი წვიმების შემდეგ გაატაროს მთელი წყლები. ნიადაგური საფარი წარმოდგენილია ჰიდრომორფული და ალუვიურ-ჰიდრომორფული რიგის, უმთავრესად ჭაობის-ლამიანი, ჭაობის-ალუვიური და ენერ-ღებების თიხა ნიადაგებით.

ნიადაგების დაჭაობებაში მონაწილეობს ატმოსფერული ნალექები, ალუვიური და წიაღისეული წყლები, დაჭაობებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნიადაგ-გრუნტის ფიზიკური და წყლიერი თვისებები, აგრეთვე ტოპოგრაფიული სიტუაცია.

ეს ნიადაგურ-მელიორაციული რაიონი მეტად რთულ მელიორაციულ ვითარებაში იმყოფება და მიწების სასოფლო-სამეურნეო ათვისებისათვის საჭიროებს ალუვიური წლებისაგან დაცვას, დამშრობ-კოლექტორული ქსელისა და წყალსატუმბი სადგურების მოწყობას, მათი მეშვეობით ატმოსფერული ნალექებისა და წიაღისეული წყლების შეკრება-გაყვანას, ამასთან ძირითადი მელიორაციის ასეთ ფონზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების აგრობიოლოგიური თავისებურებების შესაბამისი აგრომელიორაციული ღონისძიებების შერჩევას.

**სუსტად წრეტადი რაიონი** მდებარეობს უნრეტი რაიონის აღმოსავლეთით, ხასიათდება შედარებით მაღალი ჰიფსომეტრიული მდებარეობით და საგრძნობი საერთო ქანობით, ხშირი და გადახლართული ჰიდროგრაფიული ქსელით, არაღმა, კლაკნილი კალაპოტით. არ ძალუძს შეუფერხებლად გამოიყვანოს წყლები უხვი ნალექების შემდეგ. ნიადაგური საფარი წარმოდგენილია უმთავრესად მძიმე და უსტრუქტურო ელუვიურ-ჰიდრომორფული რიგის მდელოს-კორდიანი გაღებებული, მდელოს-ალივიური გაღებებუ-



ლი, ეწერ-ლებიანი და ეწერ-ლების ნიადაგებით. დაჭაობება გამოწვეულია ატმოსფერული ნალექებით, ალუვიური და დელუვიური წყლებით, გაძნე-ლებული ზედაპირული წრეტით, ნიადაგების მძიმე ფიზიკური და წყლიანი თვისებებით.

ამ რაიონის მიწების სასოფლო-სამეურნეო ათვისებისათვის აუცილე-ბელია მათი ალუვიური და დელუვიური წყლებისაგან დაცვა. საერთოდ, დამშრობ-კოლექტორული ქსელის მონყობა და ამ ფონზე სასოფლო-სამე-ურნეო კულტურების აგრობიოლოგიური მოთხოვნების შესაბამისად აგ-რომელიორაციული ღონისძიებების შერჩევა.

**არასაკმარისად წრეტადი რაიონი** მოქცეულია დასაშრობი ზონის აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ ნაწილში, ხასიათდება შედარებით მაღა-ლი ჰიფსომეტრიული დონით და მნიშვნელოვანი საერთო ქანობით, ჰიდ-როგრაფიული ქსელი არ არის ხშირი, მაგრამ მას შეუძლია დაიტოს და გაატაროს ზედაპირული წყლები. ნიადაგური საფარი წარმოდგენილია ელუვიური და ელუვიურ-ჰიდრომორფული რიგის ნიადაგებით, რომლე-ბიც პერიოდულად ჭარბტენიან მდგომარეობაში იმყოფება; ტენის წყა-როა ატმოსფერული ნალექები, ალუვიური და დელუვიური წყლები. ამ რაიონის მიწების მელიორაციისთვის აუცილებელია ალუვიური და დე-ლუვიური წყლებისაგან მათი დაცვა, ატმოსფერული ნალექების შეკრე-ბა და გაყვანა, სასოფლო-სამეურნეო კულტურების აგრობიოლოგიური მოთხოვნების შესაბამისად აგრომელიორაციული ღონისძიებების შერ-ჩევა.

ნიადაგურ-მელიორაციული რაიონების დახასიათებიდან ჩანს, რომ ისინი მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მელიორაცი-ული ვითარების სირთულით და დაშრობისათვის ყველა მათგანი სა-ჭიროებს რთულ მელიორაციულ სისტემას. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ზოგიერთი რაიონისათვის, რომლებიც გამოირჩევიან დაბალი ჰიფსო-მეტრიული დონით, სუსტი ბუნებრივი დრენირებითა და მძიმე ნიადაგუ-რი პირობებით, ისედაც რთული მელიორაციული სისტემა კიდევ უფრო რთულდება მელიორაციის სპეციალური მეთოდების-კოლმატაჟის, რე-ფულირების და ჰოლდიერული სისტემის გამოყენების აუცილებლობით.

ამ მხრივ განსაკუთრებულ რთულ და ძნელ მელიორაციულ ვითარე-ბაში იმყოფება მეორე - ჭაობებისა და დაჭაობებული მიწების ნიადაგურ-მელიორაციული რაიონი, რომელიც ბღვისპირა ნიადაგურ-მელიორა-ციულ რაიონთან ერთად უფრო თბილი მიკროკლიმატით ხასიათდება და ამ მხრივ მისი სასოფლო-სამეურნეო მნიშვნელობა ბევრად მეტია. ამიტომ გაბედულად უნდა გამოვიყენოთ უფრო რთული ღონისძიებები. მხედველობაში გვაქვს ამ რაიონის მიწების მელიორაციაში კოლმატაჟის მაქსიმალურად გამოყენება.

ცნობილია, რომ კოლხეთის დაბლობის მელიორაციის საკითხი პირველად ნიკო ნიკოლაძემ დააყენა, მასვე ეკუთვნის ამ საქმეში კოლმატაჟის გამოყენების იდეა.

1926 წლამდე ცხარე დისკუსია იყო გამართული კოლხეთის დაბლობის დაშრობის მეთოდებზე. დისკუსია დაიწყო ინჟინერ ვ. ფელდტის სტატიებით, რომლებიც ჟურნალ „ბაკავკაზსკი ტრანსპორტში“ დაიბეჭდა 1924-1925 წლებში. ამ სტატიებში მოცემული იყო კოლხეთის დაბლობის მელიორაციის კომპლექსურად გადანყვეტის ერთგვარი ცდა, რადგანაც მდინარე რიონის ახალ კალაპოტში გადაადგებით წყდებოდა ფოთის საზღვაო ნავსადგურის მოლამვისაგან დაცვის საკითხი, ქ. ფოთის კეთილმონყო და ამასთან კოლხეთის დაბლობის მელიორაცია კოლმატაჟის გამოყენებით. იგი საჭიროდ ცნობდა კოლხეთის დასაშრობი ზონის ცენტრალური მასივის დაშრობას კოლმატაჟის მეთოდით და ამ მიზნით რიონის გადაადგებას მდ.ფიჩორის ტალღეებში. ინჟინერი მ. კუზნეცოვი იცავდა მხოლოდ დაბლობის ჭაობების კოლმატაჟის იდეას. მას აუცილებლად მიაჩნდა კოლმატაჟის გამოყენება მხოლოდ კოლხეთის ძლიერ დაჭაობებული მინერალური მიწების (რომელთა ჰიტსომეტრიული დონე არ აღემატება 2-2,5 მეტრს), კოლმატაჟით მელიორაციის იდეას. ბუნებრივი პირობების შესწავლამ და კოლხეთის ჭაობების დაშრობაზე მიღებულმა პრაქტიკულმა შედეგებმა დაამტკიცეს ინჟინერ მ. კუზნეცოვის მოსაზრების სისწორე.

საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველომ საჭიროდ ცნო მოესინჯა მდ. რიონის კოლმატირებითი უნარი, დაედგინა კოლხეთის პირობებისათვის კოლმატაციის ეფექტიანობა. ინჟინერ მ. კუზნეცოვს დაევალა ექსპერიმენტისათვის შეერჩია ობიექტი და შეედგინა კოლმატაციის პროექტი. შერჩეულ იქნა ჭაობიანი მასივი, რომელიც მოქცეული იყო მდ. რიონსა და პალიასტომის ტბას შორის, უშუალოდ ესაზღვრებოდა ქ. ფოთს აღმოსავლეთის მხრიდან და გაჭიმული იყო „ნედაართუს“ არხამდე. საექსპერიმენტო მასივის ტერიტორია 3250 ჰექტარს შეადგენდა და მას ფოთის საცდელ-საწარმოო ნაკვეთი უწოდეს.

იმდროინდელ ლიტერატურაში კოლმატაჟზე მასალები ერთგვაროვანი იყო და მხოლოდ ძუნწ ინფორმაციას იძლეოდა თუ რომელ ქვეყანაში რა წარმატებით იყენებენ ამ მეთოდს. ასე რომ, მათში გარდა ზოგადი ცნობებისა, არაფერი მოიძებნებოდა. ინჟინერი მ. კუზნეცოვი საკუთარ დიდ ერუდიციას, პრაქტიკულ გამოცდილებას და თავისადმი დაუზოგველ მომთხოვნელობას უნდა დაყრდნობოდა. დასახული მიზნის სარეალიზაციოდ მას არავითარი მონაცემები არ გააჩნდა. ცნობილი იყო მხოლოდ ის, რომ რიონი წყალუხვი, მუდმივად მღვრიე, ხშირად ბობოქარი მდინარეა, რომელიც წლის ყველა დროს გადმოდის ნაპირებიდან, ტბორავს და აჭაობებს დიდ ტერიტორიას. ინჟინერმა მ. კუზნეცოვმა, რომელიც იმ

დროს პრაქტიკულად ხელმძღვანელობდა კოლხეთის დაბლობზე დაშრობის სამუშაოებს, დაამთავრა კოლმატაციის პროექტის შედგენა და 1925 წლიდან შეუდგა მის პრაქტიკულ განხორციელებას.

პროექტის თანახმად გაიყვანეს 4 კოლმატორი თავიანთ სათავე ნაგებობებით-მარეგულირებელი რაზებით, პალიასტომის ტბის მხარეს მოაწყვეს საგუბარი დამბები წყალსაშვებებით და 1928 წლის თებერვალში საკოლმატაციო მასივზე პირველად შეუშვეს რიონის წყალი.

ამ მომენტიდან წინასწარ შედგენილი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ვრცელი პროგრამით დინამიკაში ისწავლებოდა კოლმატაჟთან დაკავშირებული ყველა საკითხი, მუშაობა მთლიანად კოლხეთის მელიორაციის და სუბტროპიკული კულტურების საცდელ სადგურსა და კოლხეთმშენის ჰიდროლოგიის განყოფილების მიერ სრულდებოდა ინჟ. მ. კუზნეცოვის საერთო ხელმძღვანელობით.

წლების მანძილზე ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგად დადგინდა მდ. რიონის მაღალი კოლმატირებითი უნარი და ჭაობების მელიორაციის დიდი ეფექტი, დაბუსტდა კოლმატაციის მეთოდი კოლხეთის დაბლობის პირობებისათვის. დადგინდა, რომ კოლმატაცია არც ისეთი ნელი პროცესია, როგორც ეს ჰგონია ზოგიერთ სპეციალისტს.

მდ. რიონს წლის განმავლობაში წყალუხვობისა და მაღალი მღვრევადობის გამო მაღალი კოლმატირებითი უნარი დაურჩა, კოლმატაციის ეფექტი ძალზე დიდი აღმოჩნდა.

მიუხედავად ამისა, სპეციალისტებს შორის შეიქმნა და ჯერ კიდევ ფეხმოკიდებულია მცდარი, საქმისათვის მავნე აზრი, რამაც დიდი დროით გადადო და დღესაც ხელს უშლის ამ მეთოდის ფართო მასშტაბით გამოყენებას კოლხეთში. ამ მიზეზით შეუძლებელიც კი შეიქმნა კოლხეთის ჭაობების დაშრობის გარიჟრაჟზე კარგად დაყენებული კოლმატაჟის განახლება, რომელიც შეწყდა ომის ვითარების გამო, კოლმატაჟის დაწყებიდან მეცამეტე წელს. დიდი სამამულო ომის დამთავრებიდან 40 წელზე მეტი გავიდა და მთელი ეს დრო უსარგებლოდ დაიკარგა კოლხეთის იმ ნაწილის მელიორაციისთვის, რომელიც ფოთის ჭაობებად არის ცნობილი. ჯერჯერობით არც ჩანს რაიმე დადებითი ძვრა ამ მიმართულებით. უმოქმედობას კოლმატაჟის საზიანოდ ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ ჩვენს საპროექტო ორგანიზაციებს და დაპროექტებაზე დასაქმებულ სპეციალისტებს არა აქვთ კოლმატაჟის დაპროექტების ტრადიცია. ინჟინერ მ. კუზნეცოვის პროექტი კოლმატაჟზე საბჭოთა კავშირში ერთადერთი იყო, რომელიც განხორციელდა 1924-1927 წლებში, მაგრამ ბუნებრივია, ეს პირველი პროექტი გზადაგზა 13 წლის განმავლობაში შემოქმედებითად მნიშვნელოვნად შეიცვალა და ომის დაწყების წინ მან მიიღო სრულყოფილი სახე.

სამწუხაროდ, მელიორაციის პროექტებზე მომუშავე სპეციალისტები არ იცნობენ საკოლმბატაციო ცდის შედეგებს, არც სურვილი აქვთ გაერკვნენ კოლხეთის პირობებისათვის კარგად დამუშავებული პროექტის პრინციპებში. ზოგიერთი სპეციალისტი იმიზეზებს, რომ კოლმბატაჟი ნელი პროცესია და ამ მეთოდით კოლხეთის ჭაობების დასაშრობად თითქოს მთელი საუკუნეც არ იქნება საკმარისი. ცხადია, მელიორაციის სხვა მეთოდებთან შედარებით, კოლმბატაჟი ხანგრძლივი პროცესია, მაგრამ კოლხეთის სინამდვილეში, რიონზე აგებული წყალგამყოფი ნაგებობა გვაძლევს კოლმბატაჟის მართვისა და დაჩქარების საშუალებას. ამასთან ეს ნაგებობა გამიზნული იყო იმისათვის, რომ რიონის ახალ კალაპოტში გადაადგებასთან დაკავშირებით, დონეების დანევის გამო, არ შესუსტებულიყო მდინარის კოლმატირებითი უნარი და ბოლოს, არიან სპეციალისტები, რომელთა აზრით ჭაობების კოლმბატაჟისათვის რიონის ლამის გამოყენება შეამცირებს ზღვაში შეზიდული მყარი ხარჯის მოცულობას და გაძლიერდება ზღვის მიერ ნაპირების ჩამორეცხვა. მართალია, ამ შემთხვევაში ნამდვილად შემცირდება ზღვაში მყარი ხარჯის მოცულობა, მაგრამ მხოლოდ ნატანის წვრილი ატივინარებული ფრაქციების ხარჯზე. ავიწყდებათ, რომ კოლმბატაჟისათვის საჭიროა სწორედ რიონის ნატანის ის წვრილი ფრაქციები, რომლებიც არ მონაწილეობენ პლაჟის ფორმირებაში და სრულიად უსარგებლოდ ინთქმებიან ზღვის აბისალურ ნაწილში.

ამრიგად, მდ. რიონის ნატანის წვრილი ატივინარებული ფრაქციების მელიორაციის მიზნით გამოყენება არავითარ შემთხვევაში არ შექმნის პლაჟის შემქმნელი ქვიშა-ფრაქციების დეფიციტს.

მდ. რიონი საუკეთესო ობიექტია კოლმბატაჟისთვის, მაგრამ ამ მიზნით ხობი, ჯუმი, ოქუმი, ხუმუშკური და სხვა მდინარეებიც უნდა გამოვიყენოთ. მართალია, ეს მდინარეები ყოველთვის არ არიან წყალუხვი და არ მოაქვთ დიდი რაოდენობის ნატანი, მაგრამ ზოგჯერ დელგმური წვიმების შედეგად არსებითად სელურ ნაკადს ქმნიან და ამ წყლების ჭაობებში მიშვებით შესაძლებელია სათანადო საკოლმბატაჟო ეფექტის მიღება.

ამასთან თუ მდ. ხობს მდ. ცხობუს მეშვეობით გადავაგდებთ ჭურის ჭაობიან ტალვეგში, შეგვიძლია მნიშვნელოვნად დავნიოთ მდ. ხობში წყლის დონე წყალდიდობის შემთხვევაში, რაც მოგვცემს საშუალებას სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში ჩავრთოთ დამბათა შორის მოქცეული ბუნებრივად კარგად დრენირებული საუკეთესო მიწები. ცხადია, სამელიორაციო-ტექნიკურ და ორგანიზაციულ საკითხებთან ერთად, რომლებიც მოითხოვენ გააზრებულ გადაწყვეტას, გვერდს ვერ ავუვლით პრაქტიკული ეკოლოგიის საკითხებსაც. მათი შესწავლისა და გადაწყვეტილებისას ანგარიში უნდა გავუწიოთ კოლხეთის პრობლემის ეკონომიკურ და სოციალურ ასპექტებს.

ამჟამად ჩვენი ამოცანაა, დავაყენოთ ზემდგომ ორგანოებში ამ მეთოდის უყოყმანო გამოყენების საკითხი, რამეთუ კოლხეთის ჭაობების მელიორაციის უკეთესი, უფრო იაფი და საიმედო მეთოდი არ გაგვაჩნია. ამავე დროს არც იმის უფლება გვაქვს არ ჩავაყენოთ მელიორაციის სამსახურში კოლხეთის მდინარეები.

ტიპური ტორფიანი ჭაობები, რომელთა როგორც ჩვეულებრივი მეთოდებით დაშრობა, ისე კოლმიტირება და რეფულირება პრაქტიკულად მეტად გაძნელებულია, ან ეკონომიკურად მიზანშეუნონელია, უნდა დამუშავდეს ტორფის ამოღებით მთელს თავის სისქეზე ჭაობის ფსკერამდე.

ამრიგად, გაჩნდება წყალსატევები, რომლებიც შემდეგ უნდა დაღრმავდეს და ამოღებული გრუნტი რეფულიორის მეშვეობით გამოყენებულ იქნეს შემოგარენზე არსებული დაჭაობებული მასივების მელიორაციისათვის. ეს ხელოვნური წყალსატევები შეიძლება წარმატებით გამოვიყენოთ თევზის მოსაშენებლად, ისინი მოქცეულია უშუალოდ საკურორტო ზონაში და ამას რეკრეაციული დანიშნულებაც ექნება.

მდ. რიონის ჩრდილოეთით ნაბადის, ჭურიის და ანაკლიის ტორფნარების დამუშავების შედეგად გაჩენილი წყალსატევები უნდა შეერთდნენ დიდი სანაოსნო არხით, რომელიც უნდა გავიდეს ზღვის ნაპირის პარალელურად, ძირითადად მეორე ნიადაგურ-მელიორაციულ რაიონში. წყალსატევებისა და არხის ეს ერთიანი სისტემა იქნება ჭარბი წყლების მიმღები, როგორც საკურორტო, ისე სასოფლო-სამეურნეო ზონიდან. ამასთან ეს სისტემა თითქმის ყოველგვარი შეფერხების გარეშე მიიღებს ყველა წვრილ მდინარეს, რომელთაც ზღვა ჰკეტავდა ყოველი უმნიშვნელო ღელვის დროსაც კი. გარდა ამისა, ეს ხელოვნური წყალსატევები ზღვის ღელვის და წყლის მიღების ჩვეულებრივი რეჟიმის დარღვევის შემთხვევაში შეძლებს მნიშვნელოვნად განმუხტოს დაძაბული რეჟიმი ამ წყალსატევების დიდი აკუმულირებითი უნარის მეშვეობით. ამრიგად, მოსალოდნელია კოლხეთის დაბლობის წვრილი მდინარეების ჰიდროლოგიური რეჟიმისა და საერთოდ, სასოფლო-სამეურნეო მიწებზე მელიორაციული ვითარების გაუმჯობესება.

ასეთი მრავალმნიშვნელოვანი ამოცანების გადასაწყვეტად უსათუოდ საჭიროა მელიორაციის კომპლექსური ღონისძიებების გამოყენება, რომლებიც ერთდროულად მოემსახურებიან საკურორტო და სასოფლო-სამეურნეო ზონებს. ამ ნიადაგურ-მელიორაციული რაიონის მელიორაცია საერთოდ იქნება რთული, ძვირი და ხანგრძლივი, მაგრამ მელიორაციის მიზნებისათვის აუცილებელი, აღნიშნული ღონისძიებების გატარებით საკურორტო ზონაში უნდა შეიქმნას საუკეთესო სანიტარულ-ჰიგიენური პირობები და დასვენება-გართობისათვის მრავალნაირი მყუდრო გარემო; სასოფლო-სამეურნეო ზონაში ბევრად უკეთესი მელიორაციული ვითარება.



რება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანისა და საერთოდ სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის.

ასეთი კომპლექსური მიდგომით ჩვენ გამოვრიცხავთ ზღვის უშუალო უარყოფით გავლენას სასოფლო-სამეურნეო ზონაზე.

## ლიტერატურა

ა.ფ. ბირკაია - ტენიანი სუბტროპიკების ჭაობებისა და დაჭაობებული მიწების მელიორაცია, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1967.

М. Н. Кузнецов - К вопросу о повороте Риона в новое русло „За кавказский транспорт“, 1926, N 4-5.

ა. ბ. მონერელია - კოლხეთის დაბლობის კოლმაცაციის ცდა. ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბიულეტენი, 1958, N 1.

ა. ბ. მონერელია - კოლმაცაჟის შედეგები კოლხეთში. ნიადაგმცოდნეობა VIII საერთაშორისო კონგრესის მოხსენებათა კრებული, თბილისი, 1964.

ი. ა. მონერელია - კოლხეთის დაბლობის ენერ-ლეზიანი გაღებულ ნიადაგების ზოგიერთი წყლოვან-ფიზიკური თვისებები მათ დატენიანებასთან დამოკიდებულებით. „სუბტროპიკული კულტურები“, 1972, N 3.

ი. ა. მონერელია - ჰიდრომორფული ნიადაგების ტენის რეჟიმში კოლხეთის დაბლობის პირობებში. საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შრომები, ტ. XVIII, თბილისი, 1976.

ი. ა. მონერელია - კოლხეთის დაბლობის მძიმე ელუვიურ-ჰიდრომორფული ნიადაგების აგროფიზიკური დახასიათება. „სუბტროპიკული კულტურები“, 1980, N 3-4.

В. К. Фельдт - Благоустройство Поти и поворот Риони в новое русло. „Закавказский транспорт“. 1925. N 11-12.

В. К. Фельдт - Будущность Поти в связи с поворотом реки Риони в новое русло, „Закавказский транспорт“. 1924. N 18-19.

*ედღვნება სამეცნიერო-პრაქტიკულ სესიას მეციტრუსეთა შემდგომი განვითარებისა და ციტრუსოვანთა ნაყოფის ხარისხის ამაღლების საკითხებზე*

## **კოლხეთის დაბლობის მძიმე ელივიურ-ჰიდრომორფული ნიადაგების აგროფიზიკური დახასიათება**

კოლხეთის დაბლობის დაშრობისა და სასოფლო-სამეურნეო ათვისებისათვის უაღრესად საჭიროა ნიადაგური პირობების, უნინარეს ყოვლისა ნიადაგების ფიზიკური თვისებებისა და წყლოვანი რეჟიმის შესწავლა. ჩვენი გამოკვლევების ობიექტებია ელივიურ-ჰიდრომორფული რიგის ნიადაგები; მდელის კორდიანი გაღებებულნი, ენერლებიანი და ენერტობიანი ნიადაგები, რომლებსაც კოლხეთის დაბლობის დასაშრობი ნაწილის 68 ათასი ჰექტარი, ანუ 34% უჭირავს.

ამ ნიადაგების საერთო დამახასიათებელი ნიშნებია მძიმე მექანიკური შედგენილობა, უსტრუქტურობა, გაღებება, აქტიური ფენის სიმცირე, გამკვრივებული ფენა, რომელიც აძნელებს ნიადაგის სიღრმეში წყლის გაჟონვას, გაჭირვების დიდი უნარი, ჰიდროფილობა და არახელსაყრელი წყლიერ-ფიზიკური თვისებები.

მდელის კორდიანი გაღებებულნი თიხნარი ნიადაგები გავრცელებულია დიდი მდინარეების გაყოლებით. მათი გენეზისი დაკავშირებულია ნივთიერებათა მიგრაციასთან პროფილის მიხედვით და ალუვის აკუმულაციის შეწყვეტასთან ჰიდროლოგიური რეჟიმის შეცვლის შედეგად.

აღნიშნული ნიადაგების დედაქანებს კოლხეთის დაბლობის ცენტრალურ ნაწილში წარმოადგენენ კარბონატული ალუვიური ნაფენები. პროფილი საკმაოდ დიფერენცირებულია გენეზისურ ჰორიზონტებად. ჰუმუსიანი ჰორიზონტი მკაფიოდაა გამოსახული, ადგენითი პროცესების ნიშნები მორფოლოგიურად შეინიშნება პროფილის ქვედა ნაწილში.

მდელის კორდიანი გაღებებულნი ნიადაგები მეტწილად თიხა და მძიმე თიხნარებია. ფიზიკური თიხის შემცველობა მერყეობს 60-82 %-ის ფარგლებში. ფიზიკური თიხის მძიმე სახესხვაობებში ჩვეულებრივ ჭარბობს ლამის, შედარებით მსუბუქებში - მტვრის ფრაქცია.

მდელის კორდიანი გაღებებულნი თიხა და მძიმე თიხნარ ნიადაგებს პოტენციურად გააჩნიათ საგრძნობი აგრერირების უნარი. აგრეგაცია ამ ნიადაგებში მიდის ლამისა და წვრილი მტვრის ხარჯზე. უკეთესი აგრეგაციით ხასიათდება ზედა ჰორიზონტები, სადაც ადგენით პროცესებს ადგილი არ აქვს ან სუსტადაა გამოსახული.

მდელოს კორდიანი გაღებებული ნიადაგების პროფილში შეინიშნება სიმკვრივის გაძლიერება. გამკვრივებული ფენა, რომელიც წყალშემკავებელია ატმოსფერული ნალექების ფილტრაციის დროს მძიმე ნიადაგებში 40-50 სმ სიღრმეზე მდებარეობს.

ამ ნიადაგების ხვედრითი წონა 2, 52 - 2, 78-ის ფარგლებში მერყეობს და უდიდეს მნიშვნელობას აღწევს 40-50 სმ სიღრმეზე, სადაც მორფოლოგიურად შეინიშნება ნივთიერებათა ერთგვარი გადანაცვლება. მოცულობითი წონა ცვალებადობს 0,88-1, 32-ის ფარგლებში და იზრდება პროფილში სიღრმეზე.

აერაციის ფორიანობა ყველაზე დიდ მნიშვნელობას (12-17 %) აღწევს ჰუმუსიან ჰორიზონტში, სადაც საერთო ფორიანობა ცვალებადობს მოცულობის 52-71 %-ს შორის. ჰუმუსიანი ჰორიზონტის ქვევით საერთო ფორიანობა მერყეობს 49-63%-ის ფარგლებში, ხოლო აერაციის ფორიანობა 78 %-ს არ აღემატება.

მძიმე მექანიკური შედგენილობისა და უსტრუქტურობის გამო მდელოს კორდიანი გაღებებული თიხა ნიადაგები ხასიათდებიან უმნიშვნელო ფილტრაციის უნარით. მათი მაქსიმალური ჰიგროსკოპულობა მაღალია და იცვლება მცირე საზღვრებში 17-20\*-ს შორის, ხოლო ჭკნობის ტენიანობა ბევრად არ განსხვავდება მაქსიმალური ჰიგროსკოპულობისაგან.

მრავალწლიანი დაკვირვებებით დადგინდა, რომ ნიადაგური ტენიანობის რეჟიმი და ნიადაგური წყლების დონის ცვალებადობა უშუალო კავშირშია ატმოსფერული ნალექების მოსვლასთან, ხოლო პროფილში ნალექების გაჟონვის უკეთესი უნარისა და სწრაფი ზედაპირული წრეტის გამო მდელოს კორდიან, გაღებებულ ნიადაგებში წყლის დონე უფრო ღრმა ფენებში დგას, ვიდრე ეწერლებიან და მით უმეტეს. ეწერჯაობიან ნიადაგებში.

ბამთარი ხასიათდება ნიადაგური წყლის დონის ყველაზე უფრო ახლო და სტაბილური დგომით. ამ სეზონში წყლის დონე 20-70 სმ სისქეში დგას ნიადაგის ზედაპირიდან. გაზაფხულზე წყლის დონე ნიადაგში ეშვება 30-90 სმ სიმაღლეზე. გაზაფხულში წყალი ნიადაგში ყველაზე დაბალ 75 სმ დონეზეა და ხშირად ნიადაგის პროფილი ამ პერიოდში თავისუფალია ჭარბი ტენისაგან, ხოლო შემოდგომის პერიოდი ხასიათდება წყლის დონეთა ცვალებადობის ყველაზე მეტი არასტაბილურობით და 15-100 სმ-ის ფარგლებში მერყეობს.

ნიადაგის ტენიანობა პროფილში წყლის განმავლობაში მერყეობს 65-70-დან 95-100%-მდე სრული ტენტევადობისაგან. სეზონურ ასპექტში ნიადაგი ყველაზე უფრო ჭარბტენიან მდგომარეობაშია ბამთარში. ნიადაგის ტენიანობა ამ სეზონში აღწევს 70-75 და 90-95 %-ს, ხოლო

გაზაფხულსა და ზაფხულში ტენიანობა პროფილში იცვლება 65-70 და 75-80 %-ის ფარგლებში სრული ტენტევადობიდან.

ნიადაგის ღრმა ჭრილებში ტენიანობის შესწავლამ გვიჩვენა, რომ დატენიანების სახე ამ ნიადაგში აშკარად დაღმავალ ხასიათს ატარებს. დაღმავალი ტენის შემცველი ნიადაგის სისქე აღემატება 100 სმ-ს, სადაც ტენიანობა იცვლება 85-100 %-ის ფარგლებში სრული ტენტევადობიდან.

ჰუმუსიანი ჰორიზონტის ქვევით ეს ნიადაგები ხასიათდება მაღალი წყალშემცველობით და პროდუქტიული ტენის არათანაბარი შემცველობით, რომელიც ზედა ჰორიზონტისათვის იცვლება 28-დან 72 მმ-მდე, 20-40 სმ ფენისათვის 46-დან 79-მმ-დე, 40-60 სმ სისქეში ცვალებადობს 6-დან 64 მმ-მდე, ხოლო 60-86 სმ სისქეში 22-დან 70- მმ-მდე.

ამრიგად, ეს ნიადაგები ხასიათდებიან ტენის საერთო მარაგის საკმაოდ მკვეთრი ცვალებადობით, როგორც მთლიანად პროფილში, ასევე ჰორიზონტების მიხედვით.

ენერილებიანი ნიადაგები კოლხეთის დაბლობში ფართოდაა გავრცელებული და დამახასიათებელია უმეტესად სხვადასხვა ასაკის ვაკე გეომორფოლოგიური ელემენტებისათვის.

თანამედროვე ალუვიურ ნაფენებზე ფორმირებული ენერილებიანი ნიადაგები ხასიათდებიან მკაფიოდ გამოსახული ჰუმუსიანი ჰორიზონტით, სადაც გალებების ნიშნები ვლინდება 40-სმ სიღრმიდან, ხოლო მთლიანი გალებება ჩვეულებრივ იწყება 60 სანტიმეტრიდან. მთელ პროფილში გვხვდება დიდი რაოდენობით მანგანუმისა და რკინის შენაერთები ჩანართებისა და წვრილი, გაფანტული ორტმტეინული კონკრეციების სახით, განსაკუთრებით პროფილის ზედა ჰორიზონტებში, რაც დამახასიათებელია ტენიანი სუბტროპიკების პერიოდულად გამოშრობადი ნიადაგებისათვის.

მექანიკური შედგენილობით ეს ნიადაგები მძიმეა, ძირითადად თიხა და მძიმე თიხნარი. მიუხედავად მძიმე მექანიკური შედგენილობისა, ელივიურ-ჰიდრომორფულ ნიადაგებს შორის ისინი ავლენენ აგრეგირების უკეთეს უნარს. ენერლებიანი ნიადაგების აგრეგაცია მიმდინარეობს ლამის ფრაქციის ხარჯზე. მაგრამ დიდი გაჭირვების უნარის გამო მათ ახასიათებთ არასრულფასოვანი სტრუქტურაიანობა. გაჭირვების უნარით ენერლებიან ნიადაგებს უჭირავთ შუალედური ადგილი კორდიან გალებებულ და ენერჭაობიან ნიადაგებს შორის. უფრო მკვრივია, ვიდრე მდელს კორდიანი გალებებული ნიადაგები. ყველაზე ძლიერი შემკვრივებით გამოირჩევა 20-60 სმ ფენა.

ნიადაგის მყარი ფაზის ხვედრითი წონა სიღრმეში იცვლება 2,56-2,76 ფარგლებში, უმცირეს მნიშვნელობას შეადგენს სახნავ ფენაში. გაჭირვებისა და დაჯდომის შედეგად მოცულობითი წონა იცვლება და სხვადასხვა ტენიანობის პირობებში სხვადასხვა სიდიდისაა. სახნავი ფე-

ნისათვის იცვლება 0,90-1, 10 გ/სმ<sup>3</sup>-ის, ხოლო 20 სმ სიღრმიდან 1,00-1,36 გ/სმ<sup>3</sup>-ის ფარგლებშია.

საერთო ფორიანობა ჰუმუსიან ჰორიზონტში იცვლება 57-65 %-ის ფარგლებში, ხოლო აერაციის ფორიანობა 7-დან 18%-მდე საერთო ფორიანობიდან. ჰუმუსიანი ჰორიზონტის ქვევით საერთო ფორიანობა იცვლება 49-65 %-ის ფარგლებში, ხოლო აერაციის ფორიანობა ტენიანობის მიხედვით პროფილში იცვლება 0-დან 12 %-მდე. აერაციის ფორიანობის ცვლილება ნიადაგის ტენიანობის ცვალებადობასთან დაკავშირებით აიხსნება მკაფიოდ გამოხატული გაჭირვებით.

ტენიანობის დინამიკა და წყლის დონეთა ცვალებადობის წლიური ციკლი ატმოსფერულ ნალექებთან და ჰაერის ტემპერატურასთან შეფარდებით ავლენს პირდაპირსა და უშუალო კავშირს მათ შორის.

ნიადაგური წყლის დონე წლის განმავლობაში სხვადასხვა სიღრმეზე დგას მინის ზედაპირიდან და უშუალო კავშირშია ამინდის პირობებთან. ზამთარში წყლის დონე ნიადაგის ზედაპირიდან პროფილში მერყეობს უპირატესად 0-50 სმ ფენაში. თბილი პერიოდის დადგომიდან წყლის დონე იწვევებს 50-100 სმ ფენაში და არც თუ იშვიათად საერთოდ ქრება ნიადაგის ტენიდან.

სეზონურ ასპექტში უფრო სტაბილური და ზედაპირთან ახლოს დგომა ნიადაგურ წყალს ახასიათებს ზამთარში, ხოლო სტაბილური და ღრმა დგომა - ზაფხულში. შემოდგომით, ხშირი ნალექებისა და გაზრდილი თერმული რეჟიმის შედეგად, ნიადაგური წყლის დონის რეჟიმს ახასიათებს მეტისმეტი არასტაბილურობა.

ენერგეტიკული ნიადაგების ტენიანობა პროფილში იცვლება 75-80 %-დან 90-100 %-მდე სრული ტენტევადობიდან. სეზონურ ასპექტში ნიადაგი გადატენიანებულია წლის ცივ პერიოდში, როცა ნიადაგის ტენიანობა უპირატესად 90-95 %-ის ფარგლებშია, ხოლო ხანდახან აღემატება 95%-ს საერთო ტენტევადობიდან. მხოლოდ ჰუმუსიან ჰორიზონტში ნიადაგის ტენიანობა აღწევს 80-85 %-ს და იშვიათად მცირდება 75-80%-მდე სრული ტენტევადობიდან. თბილ პერიოდში ტენიანობა ნიადაგის პროფილში ცვალებადობს 80-85 %-ის ფარგლებში სრული ტენტევადობიდან.

ღრმა ჭრილებში ტენის განაწილების ხასიათის შესწავლამ გვიჩვენა, რომ უფრო მეტი ტენიანობით გამოირჩევა 20-120 სმ-იანი ფენა ორი მაქსიმუმით 0-20 სმ და 60-80 სმ ფენაში, ტენიანობა 90-100 %-ის ფარგლებში მერყეობს სრული ტენტევადობიდან.

120 სმ სიღრმიდან ტენის შემცველობა 160-210 სმ ფენაში მცირდება და აღწევს მინიმუმს - 80-85%-ს სრული ტენტევადობიდან, ამ ფენის ქვევით, გრუნტის წყლების სარკვემდე კარგად ვლინდება კაპილარული არშია 90 სმ-მდე სისქით.



ტენის საერთო მარაგი ენერგიებიან ნიადაგებში, ისევე როგორც მდელის კორდიან გალებებულ თიხა ნიადაგებში, ძლიერ მერყეობს. მაგრამ ტენის შემცველობა ენერგიებიან ნიადაგებში და პროდუქტიული ტენის რაოდენობა ჰუმუსიან ჰორიზონტებში შეადგენს 6-დან 64-მდე, 20-40 სმ-იან ფენაში 29-დან 65-მდე, ხოლო 40 სმ-ის ქვევით 28-დან 49 მილიმეტრამდე.

ამრიგად, ენერგიებიანი ნიადაგებიც ხასიათდება პროფილში ტენის საერთო მარაგის შესამჩნევი ცვალებადობით.

ენერჯობიანი ნიადაგები ფართოდაა გავრცელებული კოლხეთის მთელ დაბლობზე ჰიპსომეტრულად დაბალ, ჩაკეტილ უნრეტ უბნებზე, საერთო ვაკე რელიეფზე. მისთვის დამახასიათებელია კოლბოხოვანი მიკრორელიეფი, რომელიც კიდევ უფრო უწყობს ხელს დაჯობებას.

ანაერობიზმის მორფოლოგიური ნიშნები ამ ნიადაგებში გვხვდება ჰუმუსიან ჰორიზონტებშიც, რომლის ქვევით გალებება ძლიერდება და 40-50 სმ სიღრმეზე წარმოიქმნება სრული გალებების ჰორიზონტი.

მექანიკური შედგენილობით ენერჯობიანი ნიადაგები ყველაზე მძიმეა ელუვიურ-ჰიდრომორფულ ნიადაგებს შორის. მექანიკურ შედგენილობაში ფიზიკური თიხის შემცველობა 90 %-ს აღწევს.

ენერჯობიანი ნიადაგების აგრეგაცია უმთავრესად მიმდინარეობს ლამის ნაწილაკების ხარჯზე, ამასთან უპირატესად წარმოიქმნება მიკროაგრეგატების პირველი სამი ფრაქცია და უფრო აგრეგირებულია ზედა ჰორიზონტები. ენერჯობიანი ნიადაგები ხასიათდება მაღალი გაჭირვების უნარით მთელ პროფილში, რასაც განაპირობებს მონტმორილონიტის ტიპის მინერალებისა და ლამის ფრაქციის მაღალი შემცველობა. გამოშრობისას ენერჯობიანი თიხა ნიადაგები ავლენენ დაჯდომისა და დანაპრალების დიდ უნარს, რის შედეგადაც მათ ახასიათებთ ნელოვან-ფიზიკური თვისებების მკაფიოდ გამოსახული დინამიკურობა. ტენიანობის ცვლილება გავლენას ახდენს მოცულობითი წონის, საერთო ფორიანობისა და სხვა თვისებების სიდიდეებზე.

ნიადაგის ხვედრითი წონა იცვლება 2,62-2, 80-ის ფარგლებში და უმცირეს სიდიდეს აღწევს აკუმულაციურ ჰორიზონტში.

მოცულობითი წონა ჰუმუსოვანი ჰორიზონტისათვის ცვალებადობს 1,82-1,86 გ/სმ<sup>3</sup>-ის, ხოლო 50 სმ სიღრმიდან 1,15-1,19 გ/სმ<sup>3</sup>-ის ფარგლებში, შესაბამისად მცირდება საერთო ფორიანობა.

საერთო ფორიანობა პროფილში იცვლება 49-69%-ის ფარგლებში და მაღალ სიდიდეს (57-69%) აღწევს აკუმულაციურ ჰორიზონტში, სადაც აერაციის ფორიანობა ცვალებადობს საერთო ფორიანობის 8-15%-ის ფარგლებში. ამ ჰორიზონტის ქვევით აერაციის ფორიანობა მკვეთრად მცირდება და 40-70 სიღრმეში შეადგენს საერთო ფორიანობის 0-2%-ს.

ენერჯაობიან თიხა ნიადაგებს უმნიშვნელო ფილტრაციის უნართან ერთად ახასიათებს წყალშეკავების და წყალტევადობის მაღალი მაჩვენებლები. ყველაზე უკეთესი წყლოვანი თვისებების მატარებელია ნიადაგის პროფილის ზედა შრეები, რაც აიხსნება ორგანული ნივთიერებების დაგროვებით, ნიადაგის მეზოფაუნისა და მცენარეთა ფესვთა სისტემის მოქმედებით.

ტენიანობისა და ნიადაგური წყლის რეჟიმის შესწავლამ გვიჩვენა, რომ ენერჯაობიან ნიადაგებში ეს ელემენტები მჭიდრო კავშირშია მეტეოროლოგიურ ფაქტორებთან, კერძოდ, ატმოსფერულ ნალექებთან და ჰაერის ტემპერატურულ რეჟიმთან.

ნიადაგის ზედაპირთან წყლის ახლო დგომა და სტაბილური დონე აღინიშნება ზამთარში, როდესაც წყლის დონე მერყეობს 0-დან 40 სმ-მდე. თბილი პერიოდის დადგომასთან ერთად ნიადაგური წყლის დონე თანდათან დაბლა იწევს და ზოგჯერ უნალექო პერიოდში საერთოდ ქრება ნიადაგის პროფილში. ნალექების მოსვლასთან ერთად წყლის დონე მკვეთრად იწევს ზევით. შემოდგომით წყლის დონეს ახასიათებს არასტაბილურობა და ზედაპირთან ახლო დგომა.

ენერჯაობიანი ნიადაგების პროფილში ტენიანობა სრული ტენტევადობის 75-80%-დან 95-100%-მდე ფარგლებში იცვლება. სეზონურ ასპექტში ნიადაგი უფრო ჭარბტენიანია ზამთარსა და შემოდგომაზე. ამ სეზონებში ნიადაგის ტენიანობა 0-50 სმ ფენაში უპირატესად იცვლება სრული ტენტევადობის 80-85 %-დან 95-100%-მდე. თბილ სეზონში - გაზაფხულსა და ზაფხულში ტენიანობა მცირდება და მეტწილად მერყეობს სრული ტენტევადობის 75-80 %-დან 90-95%-მდე.

ღრმა ჭრილებში ტენიანობის შესწავლამ შესაძლებლობა მოგვცა დაგვედგინა, რომ ამ ნიადაგების დატენიანებას დაღმავალი ხასიათი აქვს. უფრო მეტი ტენიანობით (საერთო ფორიანობა 100 %) გამოირჩევა 10-60 სმ ნიადაგის ფენა. ქვევით ტენიანობა მცირდება საერთო ფორიანობის 90 %-მდე, ასევე მცირდება ტენიანობა აკუმულაციურ ჰორიზონტში.

ტენის საერთო მარაგი ენერჯაობიან ნიადაგებში ცვალებადობს მცირე საზღვრებში. ცალკეული ფენა უთანაბრო რაოდენობით შეიცავს პროდუქტიულ ტენს, რომელიც ჰორიზონტების მიხედვით ასე იცვლება: - ჰუმუსიანი ჰორიზონტისათვის 2-დან 41 მმ-მდე, 20-40 სმ-ში 22-დან 49 მმ-მდე, 40-60 სმ ფენაში 12-დან 44 მმ-მდე, 60-80 სმ ფენაში 35-დან 42 მმ-მდე.

ამრიგად, ენერჯაობიან ნიადაგებს გააჩნიათ ტენის შემცველობის დიდი დიაპაზონი პროფილში. ამ ტენდენციაში დიდი მსგავსებაა აღწერილ ნიადაგებს შორის.

## დასკვნები

1) ელუვიურ-ჰიდრომორფულ ნიადაგებში მათი გაჭირვებისა და უსტრუქტურობის გამო ჰუმუსიანი ჰორიზონტის გარდა აერაციის ფორიანობის ცვალებადობის შეზღუდული უნარი გააჩნია, დატენიანების ცვალებადობასთან ერთად ამ ნიადაგებში ხდება მყარი ფაზის გადატვიფება, ამდენად, ტენიანობის შემცირების შედეგად გამოთავისუფლებული ფორები ვიწროვდებიან და წყლის ადგილს ჰაერი იკავებს.

2) ამ ნიადაგების დატენიანების წყაროა ატმოსფერული ნალექები, ამიტომ წელიერ რეჟიმს ცვალებადი ხასიათი აქვს და ამინდის პირობებთან უშუალო კავშირშია.

ნიადაგის ტენიანობა პროფილში, გარდა ზედა ჰორიზონტებისა, მცირე საზღვრებში იცვლება და ტენი დაღმავალია. წლიურ ასპექტში ეს ნიადაგები ჭარბტენიანია წყლის ცივ პერიოდში.

ტენის ხარჯვა ხორციელდება უპირატესად ზედაპირული წრეტის, ფიზიკური აორთქლების და ტრანსპირაციის ხარჯზე, აგრეთვე ქვედა ფენებში მცირე ჩაჟონვით.

3) ელივიურ-ჰიდრომორფული ნიადაგები ძლიერ ჰიდროფილურებია, გააჩნიათ მაღალი მაქსიმალური ჰიგროსკოპულობა და ჯკნობის ტენიანობა. ამიტომ მიუხედავად მაღალი წყალნატვრობისა, ამ ნიადაგებში ცალკეულ პერიოდებში ცოტაა პროდუქტიული ტენი, ხოლო ნიადაგის ღრმა ჰორიზონტებიდან კაპილარული ძალებით მოწოდებული ტენი ვერ ანაზღაურებს ზედა ჰორიზონტებში ტენის დანაკარგებს.

4) მდელის კორდიანი გალებებული ნიადაგების მელიორაცია ძირითადად წყდება ზედაპირული წრეტის გაძლიერებით, მიწის ზედაპირის პროფილირებითა და მოშანდაკების და ფილტრაციული უნარის გაუმჯობესებით, გამკვრივებული ჰორიზონტის დესტრუქციით, დადებით შედეგს მოგვცემს ღრმა მელიორაციული დამუშავება ინერტული მასალების შეტანასთან ერთად.

5) ეწერლებიანი თიხა ნიადაგების მელიორაცია უფრო რთულია მდელის კორდიანი ნიადაგების მელიორაციასთან შედარებით. ეს აიხსნება მათი მძიმე წელიერ-ფიზიკური თვისებებით, გავრცელების პირობებით და თითქმის უქანებო რელიეფით. ამიტომ თანამედროვე მდინარეული ტერასების ეწერლებიანი თიხა ნიადაგების მელიორაცია რთულდება და ითხოვს ნიადაგის ბუნების ძირეულ გარდაქმნას, აგრეგატულ-სტრუქტურული მდგომარეობის გაუმჯობესებას, გამკვრივებული ჰორიზონტის დეს-

ტრუქციას და ღრმა მელიორაციულ დამუშავებას, ზედაპირული წრეტის გაძლიერებას, აგრეთვე ზედაპირული და შიდაწიდაგური წრეტის გასაძლიერებლად ღონისძიებათა შეთანხმებას.

6) ყველაზე ძნელი სამელიორაციო ობიექტია ენერჯაობიანი ნიადაგები, რომელთა წყლიერ-ფიზიკური თვისებების გასაუმჯობესებლად აუცილებელია მექანიკური შედგენილობის შეცვლა მათი გამსუბუქებისაკენ და მთელი პროფილის აგრეგატულ-სტრუქტურული მდგომარეობის გაუმჯობესება. ამ ნიადაგების ბუნების ძირეული შეცვლა, ჰიდროფილობისა და გაჯირჯვების უნარის მკვეთრი შემცირება ღრმა მელიორაციული დამუშავების, ინერტული მასალების შეტანის, აგრეთვე ზედაპირული და შიდაწიდაგური წრეტის გასაძლიერებლად ღონისძიებათა შეთანხმების გზით.





ცდა ტარდებოდა ხორგის ექსპერიმენტულ ბაზაში ენერგებიან, მძიმე თიხა ნიადაგებზე. საცდელი მონოლითის ზედაპირის ფართი 2 2 მ და სიმაღლე 2 მეტრს შეადგენდა. იგი იზოლირებული იყო გვერდებიდან ფურცლოვანი ფოლადით. 2-მეტრიანი სისქის ნიადაგური ფენის დატენიანების შემდეგ მონოლითის ზედაპირი დაფარულ იქნა ტოლის რამდენიმე ფენით, თოკით და ფიცრებისაგან შეჭედილი სახურავით ტენის მიგრაციაზე ტემპერატურული გრადიენტის გავლენის გამორიცხვის მიზნით. ცდა დაყენებულ იქნა ზაფხულში. ნიადაგის დასველებული ფენა კაპილარულ აფსკთან არ შეერთებული, გრუნტის წყლების დონე იდგა 4 მეტრზე უფრო ღრმად.

პროფილში ტენის განაწილების ხასიათით შეინიშნება სამი ერთმანეთისაგან განსხვავებული შრე.

მონოლითის ზედაპირზე წყლის მიშვების შეწყვეტიდან მეოთხე დღეს ტენიანობა თავისი მნიშვნელობით უახლოვდება სრულ ტენტევალობას. ხოლო მეშვიდე დღეს მეტნაკლებად თანაბრად მცირდება მთელ 40 სმ-იან ფენაში; თითქოს ეს პროცესი შემდგომშიც უნდა გაგრძელებულიყო, მაგრამ მეცხრე დღეს ტენიანობა 0 - 25 სმ-იან ფენაში მკვეთრად შემცირდა და შესაბამისად გაიზარდა 25-40 სმ ფენაში.

ჩვენი შეხედულებით, ეს მოვლენა განპირობებულია ნიადაგში ჩამწყვდეული ჰაერის არსებობით, რომელიც წყლის ფილტრაციის პროცესში ახშობს ფორების ნაწილს, „ინვეს ფილტრირებული წყლის მიერ წნევის დროებით გაზრდას, რასთან დაკავშირებითაც გაბების ბუშტუკები იკუმშება, გამოიღვენება გრუნტიდან და ნაწილობრივ ისევ გადადის ხსნარში“ (1), ხოლო მათ ადგილს, ბუნებრივია, იჭერს წყალი. ტენის განაწილებაზე ჩამწყვდეული ჰაერის ანალოგიური გავლენა შეიმჩნევა მთელ პროფილში, მაგრამ ნაკლებად, ვიდრე ზედა 40 სმ-იან ფენაში. ჰაერის ჩამწყვდევის სავარაუდო მიზეზად მიჩნეულ უნდა იქნეს პროფილის განსაკუთრებული აგებულება, სადაც ფორიანსა და ჭირჭვალ ზედა ჰორიზონტს ქვემოთ ენაცვლება წყალგაუმტარი ფენა.

წყლის მიშვების შედეგად ტენიანობის ცვლილება 40-70 სმ ფენაში არსებითად ნაკლები აღმოჩნდა, ზედა შრესთან შედარებით ქვედა ფენების ნაკლები ჭირჭვადობის გამო. ამ მიზეზით წყალი ნელა, მაგრამ შესამჩნევად გაიჟონა ქვედა შრეებში, სადაც გამოიწვია უფრო საგრძნობი ძვრები ტენის განაწილებაში. ამ შემთხვევაში 40-70 სმ ფენის სიმკვრივე არსებით გავლენას არ ახდენს განაწილებაზე, როგორც ჩანს, იმის გამო, რომ სიმკვრივეს არ მიუღწევია იმ კრიტიკული მნიშვნელობისათვის, რის შემდეგ იგი ახდენს გავლენას საველე ტენტევალობაზე (2).

მოყვანილი მონაცემებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ტენი პროფილში დაკიდულ მდგომარეობაში იმყოფება და შეკავებულია მასში საკმაოდ მტკიცედ, რადგან წყლის მიშვების შემდგომ ცალკეულად აღებული შრეების ტენიანობაში არსებით ცვლილებებს ვერ ვპოულობთ. ამავე დროს ეს ტენი მეტად ნელა, მაგრამ მაინც იჟონება სიღრმეში, რასაც ადასტურებს უმნიშვნელო, მაგრამ სავსებით მკაფიო ცვლილება ტენიანობისა ფენების მიხედვით მეცამეტედან მეთექვსმეტე დღემდე, აგრეთვე ტენიანობის საშუალო სიდიდეები 0-80 და 80-150 სმ ფენებში, იმ დროს, როცა ტენი 0-80 სმ ფენაში ნელ-ნელა მცირდება, 80-150 სმ ფენაში იგი ასევე ნელა იზრდება.

მოყვანილი მონაცემები უახლოვდება ვ. ა. ულასევიჩის მონაცემებს, რომლებიც ნახსენებია ა. ა. როდეს (1952) მონოგრაფიაში.

დაკიდული ტენის გადაადგილების პროცესი დაწვრილებით შეისწავლა ს. ი. დოლგოვმა (3), რომელიც ხაზს უსვამს „წყლის მხოლოდ პირობით უძრაობას“. იგი თვლის, რომ წყლის უძრავ მდგომარეობას ადგილი აქვს მხოლოდ ზედაპირული და გრუნტის წყლების შეერთების შემთხვევაში, ამასთან გულისხმობს ნიადაგის ზედაპირიდან წყლის აორთქლების იზოლაციის და გრუნტის წყლების სტაბილურ დონეს. არაერთგვაროვანი პროფილის ნიადაგებზე წყლის მიშვების შემდეგ ნიადაგში დამავალი წრეებით მისი გადაადგილების შესწავლისას, თუ ტენიანობის მაჩვენებლებს თავდაპირველთან შედარებით შევადგასებთ, უნდა გამოვყოთ სამი ზონა:

- 1.უდიდესი დატენიანების ზონა (0-40 სმ);
- 2.მდგრადი დატენიანების ზონა (40-70 სმ);
- 3.უმცირესი დატენიანების ზონა (70-150 სმ).

პროფილში ტენის განაწილების ხასიათი ისწავლებოდა აგრეთვე რამდენიმე ღრმა შურფში. ეწერლებიან თიხა ნიადაგზე N 25 შურფში, რომელსაც 4 მ სიღრმე (ნახ, 1) ჰქონდა. გრავიტაციული ტენის ნიშნები 3 მეტრ სიღრმეზე გამოვლინდა, გრუნტის წყლის ჰორიზონტი ზედაპირიდან 2,74 მ-ზე დადგა. მყარი ჰორიზონტის დადგომამდე წყლის გამოსვლას თან ახლდა გამოძევებული ჰაერის ხმაური, წყალი შურფის კედლებიდან არ ჟონავდა ატმოსფერული ნალექების მოსვლიდან მეხუთე დღესაც კი.

უფრო დიდი ტენიანობით გამოირჩევა ნიადაგური ფენა 0-120 სმ სისქით, ტენის უმცირესი შემცველობა აღინიშნება 160-210 სმ ფენაში, რომლის ქვემოთ გრუნტის წყლის დონემდე კარგად არის გამოსახული კაპილარული აფსკი, რომლის სისქე დაახლოებით 90 სმ აღწევს. მამასადამე, ტენი, რომელსაც ნიადაგის ფენა შეიცავს, დაკიდული ტენის ხასიათს ატარებს.

სხვადასხვა ხარისხით დატენიანების პირობებში ძირითადი „წყლოვანი და ფიზიკური თვისებების შესწავლის შედეგები (ცხრ. 1) ადასტურებენ, რომ კოლხეთის ბუნებრივ პირობებში პერიოდულ დატენიანებასა და გამოშრობას განიცდის მხოლოდ სახნავი ფენა. სახნავი ფენის ქვემოთ ნიადაგ-გრუნტები ბუნებრივად უკიდურესად დამკვრივებულია, გაჟღენთილია ტენით, უკიდურესად გაჭირვებულ მდგომარეობაშია.

ნალექების მისვლისას წყლით იჟღინთება სახნავი ფენა და იწვევს კუმშვადი ძალების გაძლიერებას ყველა ფენებზე, რომლებიც იმყოფებიან პლასტიკურ მდგომარეობაში, განიცდიან მოცულობით-პლასტიკურ დეფორმაციას ფორების მოცულობის შემცირების ხარჯზე, რასაც თან ახლავს გრუნტიდან შესაბამისი მოცულობის წყლის გამოდევნა. ამ ჰორიზონტებში ტენიანობა მცირდება და ხდება დამკვრივება გრუნტის კონსოლიდაციის შედეგად.

ნიადაგის საფარი ფენის გამოშრობისას ქვედა ფენები თავისუფლდება დამატებითი კუმშვითი ძალების მოქმედებისაგან და იწყება გრუნტის დეკომპრესია, რის შედეგად მიმდინარეობს ფორების მოცულობისა და ტენიანობის გადიდება, სხვა სიტყვებით, კონსოლიდაციის პროცესში წართმეული წყალი დეკომპრესიის დროს ბრუნდება გრუნტში.

ნიადაგის წყლის რეჟიმის შეაფასებისას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნიადაგის ფენაში ტენის გადაადგილების მექანიზმს.

საკვლევი ნიადაგის პირობებში ტენის გადაადგილება (გვალვიანი პერიოდის გამოკლებით) ხდება ძირითადად კაპილარებით, ამასთან ტენის კაპილარული აწევა შესაძლებელია ნიადაგის ფორების არა მთლიანი მოცულობით, არამედ მისი მოქმედი ნაწილის მეშვეობით. ჩვენ მიერ შესწავლილია ეწერლებიან ნიადაგებში წყლის კაპილარული აწევის სიჩქარე (ნახ.2).

ყველა გამოკვლევული ფენა გამოირჩევა სიმკვრივის სხვადასხვა ხარისხით და სიმკვრივის მიხედვით წყლის კაპილარული აწევის სიჩქარე მით უფრო მეტია, რაც ნაკლებია ნიადაგის სიმკვრივე. მშრალ პერიოდში ეწერლებიანი ნიადაგები ამჟღავნებენ მცენარის ფესვების განვითარებისათვის ჰაერშემცველ ფორების საკმაო რაოდენობას მთელ პროფილში, მაგრამ ნალექების მოსვლის შემდეგ, ნიადაგის ტენიანობისა და დაჭირვების გადიდების კვალობაზე, ჰაერშემცველი ფორების მოცულობა მნიშვნელოვნად ხანგრძლივი დროით წყდება, რითაც გამოირიცხება ფესვთა სისტემის განვითარებისათვის საჭირო პირობები.


ცხრილი 1. ეწერლებიანი ნიადაგების ძირითადი წყლოვან-ფიზიკური თვისებების ცვალებადობა დატენიანების ხარისხის მიხედვით (ხორგის ექსპერიმენტული ბაზა)

სიღრმე	ხვმ	ჭრილი 6 <sup>1</sup>						ჭრილი 3 <sup>1</sup>				ჭრილი 2 <sup>1</sup>				
		0% მოცულობიდან			წყალნაჯარ % ფორ.	მშ გ/სმ <sup>3</sup>	0% მოცულობიდან			წყალნაჯარ % ფორ.	მშ გ/სმ <sup>3</sup>	0% მოცულობიდან			წყალნაჯარ % ფორ.	
		ტ	ფ	აერ			ტ	ფ	აერ			ტ	ფ	აერ		
0-10	2,56	0,90	57	65	8	88	0,99	43	61	18	70	1,10	41	57	16	72
10-20	2,60	0,90	58	65	7	80	1,00	46	62	16	74	1,09	45	57	12	79
20-30	2,63	1,02	61	61	0	100	1,13	50	57	7	87	1,14	46	57	11	81
30-40	2,63	0,97	63	63	0	100	1,13	49	57	8	86	1,20	46	55	9	84
40-50	2,72	0,97	63	64	1	100	1,16	49	57	8	86	1,32	44	52	8	85
50-60	2,70	0,99	63	63	0	98	1,19	51	57	6	89	1,35	40	50	10	80
60-70	2,70	1,00	61	63	2	100	1,16	51	57	6	89	1,36	38	50	12	76
70-80	2,74	1,00	58	61	3	97	1,12	55	59	4	92	1,36	40	49	9	82
80-90	2,76	1,00	59	62	3	95	1,08	56	61	5	92	1,36	41	49	8	82
90-100	2,76	1,00	59	63	4	95	1,09	57	61	4	92	1,36	43	49	6	87

1


უდიდესი დატენიანების მდგომარეობა - ჭრილი 6; შედარებით მშრალი - ჭრილი 3;

უმეტესი გამომშრობის - ჭრილი 2. ტ - ტენიანობის ფ-ფორიანობა აერ - აერაცია ხვმ - ხვედრითი მასა



ნახ. 2. წყლის კაპილარული აწევის სიჩქარე

ყველა გამოკვლეული ფენა გამოირჩევა სიმკვრივის სხვადასხვა ხარისხით და სიმკვრივის მიხედვით წყლის კაპილარული აწევის სიჩქარე მით უფრო მეტია, რაც ნაკლებია ნიადაგის სიმკვრივე. მშრალ პერიოდში ეწერლებიანი ნიადაგები ამჟღავნებენ მცენარის ფესვების განვითარებისათვის ჰაერშემცველი ფორების საკმაო რაოდენობას მთელ პროფილში, მაგრამ ნალექების მოსვლის შემდეგ, ნიადაგის ტენიანობისა და დაჯირჯვების გადიდების კვალობაზე, ჰაერშემცველი ფორების მოცულობა მნიშვნელოვნად ხანგრძლივი დროით წყდება, რითაც გამოირიცხება ფესვთა სისტემის განვითარებისათვის საჭირო პირობები.



ნახ. 3. ჩაის ბუჩქის ფესვთა სისტემის განვითარება (ხორგის ექსპერიმენტული ბაზა)

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულ პერიოდებში ენერგებიან თიხა ნიადაგებს გააჩნიათ შედარებით კარგი წყლოვან-ჰაეროვანი თვისებები, როგორც წესი, მცენარეთა ფესვები 25-30 სმ. ქვემოთ არ ვრცელდება. ვითარდებიან ჰორიზონტალური მიმართულებით და არცთუ იშვიათად უხვევენ ზედაპირისაკენ ასეთ შემთხვევაში მთავარი ფესვი მცენარეს არ გააჩნია საერთოდ, ან განვითარებულია ძლიერ სუსტად (ნახ. 3).

ფესვთა სისტემის ასეთი ზედაპირული განლაგება ნიადაგის ჰიდროლოგიური პირობების არაკეთილსასურველ პირობებში ვერ უზრუნველყოფს მცენარეთა სრულფასოვან კვებას და უაღრესად ართულებს ნიადაგის დამუშავებას. მაგრამ, ფესვთა სისტემის ასეთი განვითარება არ უნდა ავხსნათ მხოლოდ ქვედა ჰორიზონტების მაღალი წყალშემცველობით, ვინაიდან მოყვანილი მონაცემების თანახმად (ცხრ.1 ნახ. 3) ფესვები აენეცდნენ წყლით გაჟღენთილ, მაგრამ არა გამკვრივებულ შრეებში. ცნობილია, რომ ნიადაგში ფესვების შეღწევა მისი სიმკვრივის უკუპროპორციულია. ნიადაგში ჟანგბადის გადიდების კვალობაზე სხვა თანაბარ პირობებში ფესვების შეღწევა ძლიერდება.

გამოკვლევებით (4) დადგენილია, რომ მოსავლის შემცირება ნიადაგის გამკვრივების დროს განპირობებულია მექანიკური წინააღმდეგობებით, რომელიც ხელს უშლის ფესვთა ნორმალურ ზრდას და აუარესებს ჰაეროვან რეჟიმს გამკვრივებულ ნიადაგში.

ბ. ტ. შოუს (5) მიხედვით, რომელიც კენონის გამოკვლევებს იმონებს, ფესვების ზრდა შეიძლება გაგრძელდეს ნიადაგში ჟანგბადის მცირე შემცველობის პირობებშიც, თუკი უზრუნველყოფილია ჟანგბადის უწყვეტი მიწოდება მცენარეთა ფესვთა სისტემასთან.



რა თქმა უნდა, ნიადაგის მკვრივი ფენები ასეთ შესაძლებლობას გამო-  
რიცხავენ და ცალკეული ფესვები, ამონურავენ რა ჟანგბადის მარაგს, შემდ-  
გომში ჟანგბადის შეუღწევლობის გამო იწყებენ კვდომას. ფესვთა სისტემის  
დიდი ნაწილი, მიაღწევს რა ნიადაგის მკვრივ შრეებს, ვერ ძლევს მათ წინა-  
აღმდეგობას და უხვევს ბედაპირისაკენ.

პირველი ცხრილის მონაცემებიდან აგრეთვე ირკვევა, რომ სავსე  
ტენიანობის ერთი და იმავე მნიშვნელობის დროს თავისუფალი ფორების  
მოცულობა და ამდენად ჰაერის შემცველობა ენერგეტიკული ნიადაგების  
სხვადასხვა ფენაში არ არის ერთნაირი, რაც მეტყველებს ტენის ერთი და  
იმავე კატეგორიების სხვადასხვა ფიზიოლოგიურ მნიშვნელობაზე. ამიტომ  
ნიადაგის მთელ სისქეში, როგორც ერთგვაროვან გარემოში, აბსოლუტუ-  
რი ტენიანობის შეფასება დაუშვებელია. ასე მაგალითად, გაჟღენთილი  
ნიადაგის გამოშრობისას კაპილარული დატენიანება და აბსოლუტური ტე-  
ნიანობა გენეტიკურ ჰორიზონტებში თანამიმდევრულად დგება. საბოლოო-  
ოდ, მაქსიმალური ჰიგროსკოპულობის შესაბამისი გახდება. ამასთან ცნო-  
ბილია (6), რომ იმ დროს, როცა კაპილარული ტენტევალობა ნიადაგის  
ფენებში იცვლება, მაქსიმალური ჰიგროსკოპულობის სიდიდე არ იმყოფე-  
ბა რაიმე დამოკიდებულებაში კაპილარულ და სრულ ტენტევალობასთან.  
ჯკნობის ტენიანობა გარკვეულად პირდაპირკავშირშია მაქსიმალურ ჰიგ-  
როსკოპულობასთან, ამდენად, სასარგებლო ტენის მარაგი სხვადასხვა  
გენეტიკურ ჰორიზონტებში შეიძლება სხვადასხვა იყოს და არ ავლენდეს  
პირდაპირდამოკიდებულებას სრულ და კაპილარულ ტენტევალობასთან.

ცხრილი 2. ენერგეტიკული თიხა ნიადაგის ტენის მარაგი (ხორკის ექსპერიმენტული ბაზა)

ჯრილები საღი ხე, სმ	ტენის საერთო მარაგი, მმ			მდგრადი ჯკნობის ტენიანობა, მმ			პროდუქტიული ტენის მარაგი, მმ		
	6	3	2	6	3	2	6	3	2
0-10	57	43	41	23	26	29	34	17	12
10-20	58	46	49	22	25	27	36	21	22
20-30	61	50	46	25	28	28	36	22	18
30-40	63	49	46	23	27	28	40	22	18
40-50	63	49	44	22	26	30	41	23	14
50-60	63	51	40	25	31	35	38	20	5
60-70	61	51	38	28	32	35	33	19	3
70-80	58	55	40	26	27	33	32	28	7
80-90	59	56	41	26	26	33	33	30	8
90-100	59	57	43	24	27	33	35	30	10

ეს მდგომარეობა დასტურდება ტენის მარაგის გამოანგარიშებით.  
ნიადაგის გამოშრობის კვალობაზე ტენის მარაგი შრეებში მცირდება  
მთელს პროფილში და მიუხედავად ტენის საერთო მარაგის საკმაოდ

მაღალი შემცველობისა, რიგ შემთხვევებში მეტად მცირეა (ცხრ. 2). ხანგრძლივი გვალვის დროს ნიადაგის 50-100 სმ-იანი ფენა უფრო მცირე ტენს შეიცავს, ვიდრე 0-50 სმ ფენა, ამრიგად, ნიადაგის პროფილის ქვედა ფენებს ყოველთვის არ შეუძლია ზედა ფენების ტენის მარაგის შევსება.

ამ ნიადაგებისათვის სავსებით სამართლიანად უნდა მივიჩნიოთ ის დებულება, რომლის თანახმად თიხა ნიადაგების სწრაფი გამოშრობის დროს მასში ჩნდება ტენიანობის მნიშვნელოვანი გრადიენტები, რაც პროგრესულად აძნელებს ტენის გაცემას ნიადაგის ურთიერთდაშორებულ ფენებს შორის. უნდა აღინიშნოს, რომ კოლხეთის დაბლობის პირობებში ეწერლებიანი ნიადაგების ზედა ფენები საკმაოდ ხშირად განიცდიან გამოშრობას ტენიანობის იმ რაოდენობამდე, რომელიც თავისი მნიშვნელობით უახლოვდება მაქსიმალურ მოლეკულურ ტენტევალობას (მმტ) და მით ძნელადმისანვდომია მცენარისათვის. ჩვენი გაანგარიშებით მმტ 0-30 სმ ფენისათვის ძეგს 31-33 პროცენტის ფარგლებში ჰაერ-მშრალი ნიადაგის მასიდან.

ტენიანობის ასეთი რეჟიმის დროს ნიადაგში იქმნება არასასურველი ვითარება მცენარისათვის და საჭირო იქნება ნიადაგში ტენის მარაგის გადიდება. ეს მით უმეტეს აუცილებელია, რომ ეწერლებიანი ნიადაგების ათვისება ხდება ჩაის კულტურით და პლანტაციები ამ ნიადაგებზე არცთუ იშვიათად პერიოდულად ტენის სიმცირის გამო გვაძლევს დაბალ მოსავალს.

### **დასკვნები**

1) ეწერლებიანი ნიადაგები ხასიათდებიან გაჯირჭვებით, ბუნებრივ პირობებში გააჩნიათ აერაციის ფორიანობის ცვლილების შეზღუდული შესაძლებლობა მოცულობიდან 8-10 პროცენტი;

2) ეწერლებიანი ნიადაგების საანგარიშო ფენაში ტენი დაკიდულ მდგომარეობაშია და ხასიათდება გადაადგილების მცირე უნარით;

3) ეწერლებიანი თიხა ნიადაგების გამკვრივებულ, უსტრუქტურო ფენებში გაჯირჭვების ხარჯზე ხდება კაპილარების შევიწროვება, კაპილარული ტენის გადაადგილება და მაშასადამე, ტენის კაპილარული აწევა არ ხდება.

4) ეწერლებიანი ნიადაგები ძლიერ ჰიდროფოლურია, გააჩნია მაღალი მაქსიმალური ჰიგროსკოპულობა და ჭვინობის ტენიანობა, ამიტომ, მიუხედავად მაღალი წყალშემცველობისა, 80-85 % სრული ტენტევალობიდან ცალკეულ პერიოდებში მცენარეები განიცდიან ტენის უკმარისობას და საჭიროებენ მორწყვას.

### ლიტერატურა:

1. ვ. თ. ბაბუკვი, ა. ვ. გერბუტ-გეიბოვიჩი გრუნტმცოდნეობის და გრუნტების მექანიკის საფუძვლები მ. 1964.
2. ბ. ნ. მიჩურინი, ვ. გ. ონიშჩენკო მცენარისათვის მისაწვდომი ტენის მარაგის ოპტიმიზაცია ნიადაგებში. მოხსენებები, ანგარიშები და კომის. სსრ კავშირის გეოგრ. სახ. გამომ. 1970.
3. ს. ი. დოღოვი - ნიადაგის ტენის მოძრაობის გამოკვლევა და მცენარისათვის მისი მისაწვდომობა. მ-ლ 1948.
4. ს. ი. დოღოვი, ს. ა. მოდინა, ბ. ვ. ლიჩმანოვი (კულტურული მცენარეებისათვის) ნიადაგის სახნავი ფენის ოპტიმალური აგებულების შესწავლა, ვრ. ნიადაგთმცოდნეობა 111 ყრილობა. 1968.
5. ბ. ტ. შოუ - ნიადაგის ფიზიკური პირობები და მცენარეები. მ. 1955.
6. ნ. ა. კაჩინსკი - ნიადაგის ტენიანობისა და მისი შესწავლის მეთოდების შესახებ ლ. 1930.

## **კოლხეთის დაბლობის ნიადაგების ენერჯიანი ნიადაგების ზოგიერთი წყლიერ-ფიზიკური თვისებები მათი დატენიანების მიხედვით**

კოლხეთის დაბლობის ნიადაგების ნარმატებით ათვისებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დაშრობილი ნიადაგების თვისებებისა და რეჟიმის დრმა შესწავლის გზით დასაბუთებულ ჰიდროტექნიკურ, მელიორაციულ და კულტურტექნიკურ ღონისძიებათა სწორად შერჩევას.

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ მოგვყავს ენერჯიანი ნიადაგების წყლიერფიზიკური თვისებების გამოკვლევების ზოგიერთი შედეგი. გამოკვლევები ჩატარდა ხორგის ექსპერიმენტული ბაზის წყალ-საბალანსო ნაკვეთზე.

გამოკვლევული ნიადაგური სახესხვაობა ფორმირებულია თანამედროვე ალუვიურ დანალექებზე, სადაც ჰუმუსიანი ჰორიზონტი მკაფიოდ გამოიყოფა და გაღებებიანების ნიშნები ემჩნევა 40-50 სმ სიღრმემდე. ძალიან იშვიათად სახნავ ჰორიზონტზე მთლიანი გაღებებიანება, ჩვეულებრივ, იწყება 50-60 სმ სიღრმიდან.

მთელ პროფილზე გაფანტული სახით გვხვდება დიდი რაოდენობით მანგანუმრკინოვანი შენაერთები.

ქვემოთ მოგვყავს ენერჯიანი ნიადაგის მორფოლოგიური აღწერა.

ჭრილი 5 - დაყენებულია ხორგის ექსპერიმენტული ბაზის წყალ-საბალანსო ნაკვეთზე.

ფენა - 0-19 სმ რუხი, სუსტად გამოხატული კომპოვანი, დატენიანებული, გამკვრივებული, ბევრია ბალახოვანი მცენარეების ფესვების ნაშთები, თიხოვანი.

ფენა 19-40 სმ რუხი-ჟანგოვანი ლექებით, უსტრუქტურო, ტენიანი, მკვრივი, ბალახოვანი და მერქნიანი მცენარეულობის ფესვების ნაშთები მცირე რაოდენობით, თიხნარი.

ფენა 40-66 სმ ჟანგოვან-რუხი მონაცრისფრო ელფერით, უსტრუქტურო, სველი, მკვრივი, მერქნიანი მცენარეულობის ფესვების მრავალი ნაშთით მანგანუმისა და რკინის ჰიდროჟანგეულების კონკრეციებით, თიხნარი, გადასვლა თანდათანობით.

ფენა 66-100 სმ. მონაცრისფრო-რუხი, ჟანგმინოვანი ლაქებით და ჟანგოვანი ძარღვებით, მერქნიანი მცენარეულის ნაშთებით და გამოხუნებული კონკრეციებით, თიხნარი.

მარილმჟავასაგან წამოდუდება შეიმჩნევა მხოლოდ კარბონატების ხილული განაყოფების - გამოხუნებული კონკრეციების ზედაპირზე. უნდა

აღინიშნოს, რომ გამოკვლევული ნიადაგური სახესხვაობაში მიმდინარე დაჟანგვა-აღდგენითი პროცესები გამოხატულია სხვადასხვაგვარად და ძირითადად განპირობებულია ნიადაგის ზედაპირის აღნაგობით წყალ-საბალანსო ნაკვეთის პირობებში, სადაც შენარჩუნებულია ნიადაგის ბუნებრივი ზედაპირი, შეიძლება შევნიშნოთ აღდგენითი პროცესის სიჭარბე მიკრონაკვეთებსა და დაუხრელ დუბეებში.

ენერლებიან ნიადაგებს აქვთ მძიმეთიხნარი მექანიკური შედგენილობა, რომელიც გამოირჩევა ლამიანი ნაწილაკების მაღალი შემცველობით. (ფიზიკური თიხის შემცველობა განუზომლად მაღალია. 80 % -ს აღემატება).

